ჩვენთან არს ღმერთი!

ჯვარი ვაზისა. 1. 1991

ნიშითა და სასწაულითა უხრწნელი და პატიოსანი ჯუარი შენი, ქრისტე, რომელი ჰურიათაგან დამალულ იყო ქუეყანასა ზედა, ხოლო ცათა შინა იხილვეზოდა მეუფისა გამოჩინეზითა, რომელი მძლე ექმნა ღუაწლსა და წინა-აღმდგომთა ზრძოლისათა და მჯრწნელ საცთურსა კერპთასა, რომელი არს შემწეჲ სულთა ჩუენთაჲ.

ჭილ-ეტრატის იადგარი

ჩვენთან არს ღმერთი!

ჯვარი ვაზისა

1

1991

დაიბეჭდა
სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქის,
უწმინდესისა და უნეტარესის,
ილია II-ის
ღვაწლითა და ლოცვა-კურთხევით.

თბილისი
1991

ᲓᲓᲐ
ᲘᲐ
ᲖᲔᲪᲘᲣᲠᲘ
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ღვთისმეტყველება

რედაქტორისაგან

"თქუენ ხართ ხორცნი ქრისტესნი და ასონი ასოთა მისთაგანნი" (1 კორ. 12, 27),- იტყვის წმიდა და დიდებული მოციქული პავლე და მხედველობაში ჰყავს პეტრესეული აღმსარებლობის მორწმუნენი (შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისა ცხოველისაჲ - მათე 16,16), რომელთაგანაც "არავის ხელ-ეწიფების თქუმად უფალი იესო, გარნა სულითა წმიდითა (1 კორ. 12,3). თვით ის ისტორიული და მარადღირებული ფაქტიც, რომ მაცხოვარი ევნო ჩვენი ხსნისათვის არა თავის კვეთით, ვითარცა ნათლისმცემელი და არცა განხერხვით, როგორც ესაია, არამედ ჯვარცმით "რაჲთა წერილ აღესრულოს, ვითარმედ: ძუალი მისი არა შეიმუსროს" (იოანე 19,36) მიგვანიშნებს იმაზედ, რომ უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ თავისი პატიოსანი და მხსნელი ვნებებით დააარსა ერთი წმიდა საყოველთაო და სამოციქულო ეკლესია (წმ. ათანასე დიდი), რომელსაც, მხოლოდ ერთს მიანიჭა "კლიტენი სასუფეველისა ცათაჲსანი" და მადლი კაცთა შეკრვა-განხსნისა (მათე 16,19). თუმცაღა, იმავე უფალმა იწინასწარმეტყველა ცრუ-ეკლესიათა და სექტათა დაარსება, შერყვნა ჭეშმარიტი სარწმუნოებისა "...უკუეთუ ვინმე გრქუას თქუენ: აჰა, აქა არს ქრისტე, გინა თუ -იქი, ნუ გრწამნ. რამეთუ აღდგენ ქრისტემტყუარნი და ცრუწინასწარმეტყველნი" (მათე 24, 23-24). იმავეზე გვსაუბრებს მაცხოვარი იგავშიც ღვარძლის შესახებ (მათე 13,24-30); მან დიდი სიბრძნით უწყოდა, რომ "იფქლთან" ერთად "აღორძინდებოდა ღვარძლიც" ანუ ჭეშმარიტ მოძღვრებასთან - ცრუმოძღვრებანი (წმ. იოანე ოქროპირი). განსაკუთრებით, ქრისტეს მეორედ მოსვლის წინ უნდა გამრავლებულიყო ცრუაღმსარებლობანი, (მათე 24) - "დიდი ჭირის" დროს, - რაც სწორედ, ერთ-ერთი ნიშანი იქნებოდა, სხვა მრავალთან ერთად, განკითხვის დღის მოახლოებისა. ყველაფერი, რაჲც დღეს ხდება დედამიწაზედ თუ კოსმოსში, მხოლოდ ერთზე ღაღადებს დაუფარავად: მოახლოვდა ანტიქრისტეს გამეფება, მოახლოვდა უფლის დიდებით მოსვლა, "ვისაც ყური ასხენ, ისმინენ"!

ამით აიხსნება ის, რომ უძველეს ქართულ მართლმადიდებელ და სამოციქულო ეკლესიასთან ერთად დღეს "თანაღორძინდა" ჭეშმარიტებისა და ქართული სულისათვის უცხო კრიშნაიზმი, იესო ქრისტეს უარყოფით. მოციქული კი იტყვის: "ამისათვის გაუწყებთ თქუენ, რამეთუ არავინ სულითა ღმრთისაჲთა იტყოდის და თქუას: შეჩუენებულ იესო" (1 კორ. 12,3) ან "ყოველმან რომელმან უარყოს ძე, არცა მამაჲ არს მის თანა" (1 იოანე 2,23), სხვადასხვა პროტესტანტული მიმდინარეობა: ბაპტიზმი, ორმოცდაათიანელობა, იეღოველობა და სხვა. ყველა ამ შწვალებლებზე კი ჯერ კიდევ 20 ს. წინათ აშბობდა ღვთის სულით ნეტარი პავლე მოციქული: "რამეთუ არიან მრავალნი დაუმორჩილებელცა და ამაოჲსა მეტყველ და გონება-მაცთურ... რომელთაჲ ჯერ-არს პირსა დაყოფაჲ (გაჩუმება - **რედ.**), რომელნი ყოველსა სახლებსა გარდააქცევენ, ასწავებენ, რომელი-იგი არა ჯერ-არს (ტიტეს მიმართ 1,11) ან "არიან ვინმე, რომელნი აღგძრავენ თქუენ და ჰნებავს გარდაქცევად სახარებაჲ იგი ქრისტესი, არამედ დაღაცათუ ჩუენ (მოციქულნი ქრისტესნი - **რედ.**), გინა თუ ანგელოზი ზეცით გახარებდეს თქუენ გარეშე მისსა, რომელი-იგი გახარე თქუენ, შეჩუენებულ იყავნ" (გალატელთა 1,7-8). იმავეს გვასწავლის უფლის მკერდსმიყრდნობილი მოციქული იოანე ღვთისმეტყველიც: ყოველივე, რომელი გარდაჰხდებოდეს და არა ეგოს მოძღურებასა ზედა ქრისტესსა, მის თანა ღმერთი არა არს, ხოლო რომელი ეგოს მოძღურებასა ზედა ქრისტესსა, მის თანა ძეცა და მამაჲცა არს. რომელი მოვიდეს თქუენდა და ესე მოძღურებაჲ არა მოაქუნდეს, ნუ შეიწყნარებთ მას, სახლთა თქუენთა და "გიხაროდენ" (გამარჯობა-**რედ.**) ნუ ეტყვთ მას. რამეთუ რომელმან ჰრქუას მას "გიხაროდენ", ეზიარების საქმეთა მისთა ბოროტთა (2 იოანე 1,9-11).

ყურადსაღებია ის, რომ ამ საუკუნის 20-იან წლებამდე საქართველოში არ ყოფილან ქართველი სექტანტები, ისინი მხოლოდ თავისუფალი დემოკრატიული ქართული რესპუბლიკის ანექსიის შემდეგ ჩნდებიან და განსაკუთრებით ამ ბოლო წლებში გამრავლდნენ. ძნელი არ არის მივხვდეთ, თუ ვის უნდა აძლევდეს ხელს ჩვენი ერის სულიერ-აღმსრულებლობით დაქაქცვა და განყენება იმ უძველესი რწმენიდან, რომელიც ჩვენს ღირსეულ წინაპრებს უტარებიათ.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ჟურნალის რედაქციამ განიზრახა გახსნას ახალი რუბრიკა "შწვალებელსა კაცსა განეშორე" (ტიტეს მიმართ 3,10), სადაც მოკლედ იქნება მოთხრობილი სხვადასხვა აღმსარებლობის წარმოშობის ისტორიაზედ და მის არსებით შეცდომაზე ანუ სამოციქულო მოძღვრებასთან განსხვავებულობაზე.

თავდაპირველად, გთავაზობთ წმ. იოანე ოქროპირის განმარტებას იგავისათვის ღვარძლზე (მათე 13,24-30).

იოანე ოქროპირი

საუბარი XLVI

მათე 13,24-30

სხუაჲ იგავი დაუდგა მათ და ჰრქუა: ემსგავსა სასუფეველი ღმრთისაჲ კაცსა, რომელმან დასთესა თესლი კეთილი აგარაკსა თჳსსა.

და ვითარცა დაიძინეს კაცთა მათ, მოვიდა მტერი მისი და დასთესა ღუარძლი შორის იფქლსა მას და წარვიდა.

ხოლო ოდეს აღმოსცენდა ჭეჭილი იგი და ნაყოფი გამოიღო, მაშინ გამოჩნდა ღუარძლი იგი.

მოვიდეს მონანი იგი და უთხრეს სახლისა უფალსა მას და ჰრქუეს: უფალო, ანუ არა თესლი კეთილი დასთესე აგარაკსა შენსა? ვინაჲ აღმოსცენდა ღუარძლი?

ხოლო მან ჰრქუა: მტერმან კაცმან ყო იგი. ხოლო მონათა მათ ჰრქუეს მას: გნებავსა, რაჲთა მივიდეთ და გამოვარჩიოთ იგი?

ხოლო მან ჰრქუა მათ: არა, ნუუკუე შეკრებასა ღუარძლისასა აღმოჰფხურათ იფქლიცა.

აცადეთ იგი თანა-აღორძინებად ურთიერთას ვიდრე ჟამადმდე მკისა, და ჟამსა მკისასა უბრძანო მომკალთა მათ: შეკრიბეთ პირველად ღუარძლი იგი და შეკართ ძნეულად, რაჲთა დაიწუას იგი; ხოლო იფქლი იგი შეკრიბეთ საუნჯესა ჩემსა.

რა განსხვავებაა ამ იგავსა და წინას (იგავი მთესვარზე; მათ. 13. 3–9) შორის? იქ მაცხოვარი საუბრობდა ადამიანებზე, რომელნიც უყურადღებოდ უსმენდნენ მას და განეშორნენ თუ არა, თვით მარცვალიც გადააგდეს. აქ კი მას მხედველობაში აქვს ერეტიკული საკრებულოები. ქრისტე განუმარტავს მათ, თუ რატომ ლაპარაკობს იგავებით, – ამით ის უწინასწარმეტყველებს მწვალებლებზე (ერეტიკოსებზე). პირველი იგავი (მთესველზე) უჩვენებდა, რომ უფლის სიტყვა არ იქნა მიღებული; მეორე კი წარმოთქმულია, რათა იცოდნენ, რომ ღვთის სიტყვასთან ერთად შეწყნარებულია სიტყვისათვის ზიანის მიმყენებელი. ეშმაკის ერთ-ერთი ვერაგობა ისაა, რომ ჭეშმარიტებას ყოველთვის შეურიოს მცდარობა; იგი ალამაზებს თავის ვერაგობას ჭეშმარიტებასთან მიმსგავსებით და ცდილობს, ამ გზით ადვილად შეაცდინოს მცირედმორწმუნენი. აი, რატომაა, რომ მტრისაგან დათესილს უფალი უწოდებს არა ნებისმიერ სხვა მარცვალს, არამედ ღვარძლს, რომელიც იერით რამდენადმე წააგავს ხორბალს. შემდგომ მიუთითებს ბოროტი განზრახვის აღსრულების საშუალებაზე: დაიძინეს კაცთა, – ნათქვამია. მცირე საფრთხით როდი ემუქრება უფალი აქ უფროსებს, რომელთაც უპირატესად ევალებათ ყანის დაცვა...და არა მარტო უფროსებს, ხელქვეითთაც. იგავში ნაჩვენებია, რომ ცდომილება მოდის ჭეშმარიტების შემდეგ; ამას ამოწმებს გამოცდილებაც... და მართლაც, სინამდვილეში ასე არაა? წინასწარმეტყველებს მოჰყვებათ ცრუწინასწარმეტყველნი; მოციქულებს – ცრუმოციქულნი; ქრისტეს – ანტიქრისტე. სატანაც, ვიდრე არ დაინახავს, რას მიეტმასნოს, ან ვისზე იეშმაკოს, მანამდის არაფერს წამოიწყებს, არც კი იცის, როგორ მოიქცეს, როგორ შეუდგეს საქმეს. ახლაც იგივე ხდება: ბოროტი, როდესაც უკვე ამჩნევს, "რომელმან გამოიღო ნაყოფი და ყო, რომელმანმე ასი, რომელმანმე სამეოცი და რომელმანმე ოცდაათი," ირჩევს ახალ გზას. მას არ შეუძლია მოტაცება უკვე ფესვებგადგმულისა, არც ჩაკვლა მისი, არც დაწვა, მაშ რა უნდა ქნას?... და აი, მოიფიქრებს ახალ მზაკვრობას, ახალი სახის ვერაგობას, სახელდობრ: – ჩათესავს ხოლმე საკუთარ თესლს და ჩათესავს მაშინ, როცა "დაიძინეს კაცთა". ეს ნათლად ჩანს უფლის მიერ წარმოთქმულ ამ იგავში.

ახლა საკითხავია, რითი განსხვავდებიან მძინარენი წინა იგავში მოხსენებულ უყურადღებოთაგან? იქ ეშმაკმა მოიტაცა მარცვალი ახლადდათესილი; არ მისცა მას საშუალება დაფესვიანებისა, აქ კი მოტყუებისათვის მეტი მზაკვრობა დასჭირდა. განუწყვეტლივ ფხიზლობის საჭიროებას გვასწავლის ამ იგავით ქრისტე. – შენ გაქვეს წინანდელ საფრთხეს, უბედურებას? კარგია... მაგრამ, ამით ნუ დამშვიდდები, ამბობს უფალი, რადგან ახალი საფრთხე გელის... და აი, როგორც იქ, იმ წინა იგავშია ნაჩვენები, რომ დალუპვაა მოსალოდნელი გზისაგან, კლდისაგან და ეკლებისაგან, ისე აქაც, ამ იგავში – ძილისაგან. მუდმივი სიფხიზლეა საჭირო, სადარაჯოზე მუდმივად ყოფნა. ამიტომაც სთქვა უფალმა: "რომელმან დაითმინოს სრულიად, იგი ცხოვნდეს" (მათ. 10. 22). რაღაც მსგავსი მოხდა ქრისტიანობის დასაწყისში. შეიყვანა რა ეკლესიაში მზაკვარი ადამიანები, ფარული ერესიარხები, ეკლესიის მრავალმა წინამძღვარმა ამით ეშმაკს გაუადვილა ვერაგობის განხორციელება. მას შემდეგ, რაც მან ღვარძლი ჩათესა, უკვე აღარაფერი ჰქონდა გასაკეთებელი... მაგრამ ახლა იტყვი: როგორ, შესაძლებელია განა უძილოდ გაძლება? ბუნებრივი ძილის გარეშე ადამიანი, რა თქმა უნდა, ვერ გაძლებს, მაგრამ მოჭარბებული ძილის გარეშე შეიძლება გაძლება; ე. ი. სიფხიზლეა საჭიროა. ამიტომაა პავლე მოციქული რომ ამბობს: "მღვიძარე იყუენით და განჰძლიერდით (1 კორ. 16.12). შემდეგ უფალი გვიჩვენებს, რომ ეშმაკის საქმე არის არა მხოლოდ მავნე, არამედ ფუჭიც, რადგან იგი თესავს იმას შემდეგ, რაც ყანა უკვე დამუშავებულია და ყველა სამუშაო დასრულებულია. ასევე იქცევიან ერეტიკოსები: ისინი მხოლოდ და მხოლოდ თავიანთი პატივმოყვარეობისათვის ანთხევენ შხამს. უფალი მთელი სიზუსტით აგვიწერს ერეტიკოსთა ქცევას: "ხოლო ოდეს აღმოჰსცენდა ჭეჭელი იგი, და ნაყოფი გამოიღო, მაშინ გამოჰსჩნდა ღვარძლი იგი" (მათ. 13. 26). ასევე მოქმედებენ მწვალებლები: დასაწყისში ფარულია მათი მოქმედება; შემდეგ თანდათან თამამდებიან, იღებენ სიტყვის სრულ თავისუფლებას, შხამს ანთხევენ. რატომ ჰყვება ამას უფალი, რაზე მიუთითებს მონებს? ერეტიკოსთა სიკვდილით დასჯა არ შეიძლებაო, გვეუბნება იგი. უფალი კრძალავს ამას... ეშმაკს ხომ ადამიანის მტერს უწოდებს იგი, რადგან ენებს ადამიანებს; თუმცა მისი ეს სურვილი, სურვილი ჩვენი დალუპვისა, წარმოიშვა არა ჩვენს მიმართ მისი მტრობის გამო. ღმერთის წინააღმდეგ იბრძვის ეშმაკი ამით, მის მიმართ აქვს მტრობა და სწორედ ამის გამოა, რომ ადამიანს ერჩის. აქედან ნათლად ჩანს, რომ ღმერთს ვუყვარვართ ჩვენ იმაზე მეტად, ვიდრე ჩვენ ჩვენი თავი გვიყვარს.

მეორეს მხრივ, ნახეთ, როგორია ბოროტება ეშმაკისა. მას არ ჩაუთესია მანამდე, ვიდრე ყანა არ დაამუშავეს, ვიდრემდის არ დათესეს... არ ჩაუთესია, რადგან არაფერი იყო დასალუპი. მაგრამ, აი, დაამუშავეს ყანა, დათესეს ხორბალი და სწორედ მაშინ ჩათესა თავისი ღვარძლი, რათა წყალში ჩაუყაროს ამდენი შრომა მიწათმოქმედს. ხედავთ, რა მტრობას ავლენს უფლის მიმართ ეშმაკი! იხილეთ მონათა მონდომებაც: ისინი მზად არიან ამოძირკვონ ღვარძლი, თუმცა არც თუ მთლად წინდახედულად იქცევიან. დათესილის მიმართ იჩენენ მბრუნველობას, მხედველობაში აქვთ რა არა ღვარძლის ჩამთესავთა დასჯა, არამედ მხოლოდ ერთი რამ: არ დაიღუპოს მათი უფლის მიერ დათესილი. პირველის აუცილებლობა არ არის, ამიტომ იგონებენ საშუალებას, თითქოსდა მხოლოდ ავადმყოფობის აღმოსაფხვრელად. გამონახეს კიდეც, მაგრამ ვერ ბედავენ საკუთარი ნებით განახორციელონ იგი; უფლის მჯავრს, განაჩენს ელოდებიან. "ნებავსა, რათა მივიდეთ და გამოვარჩიოთ იგი?" – ეკითხებიან ისინი უფალს. რას პასუხობს მათ უფალი? უკრძალავს: "არა, ნუუკუე შეკრებასა ღუარძლისასა აღმოჰფხურათ იფქლიცა? (მათ. 13. 29). ამ სიტყვებით ქრისტე კრძალავს ომებს, სისხლისღვრასა და ძალმომრეობას. ერეტიკოსთა დახოცვა არ შეიძლება, რამეთუ ეს იძლევა ქვეყანაში ომის გარდუვალობის საბაბს.

2. ამგვარად, უფალი მონათა მიერ გამონახულ გზას არ ამართლებს ორი შემდეგი მიზეზით: ჯერ ერთი, რათა არა ევნოს ხორბალს; მეორეც იმიტომ, რომ ყველა, განუკურნებელი სენით დაავადებული, თვითონვე თავისთავად მიიღებს სასჯელს. ამიტომ, თუ გინდათ ისინი დაისაჯონ, და ამავე დროს, ხორბლის დაუზიანებლად, მოითმინეთ განსაზღვრულ დრომდე. რა იგულისხმა უფალმა, როცა სთქვა: "ნუუკუე შეკრებასა ღუარძლისასა აღმოჰფხურად იფქლიცა? – ან ის, რომ იარაღით ერეტიკოსთა ამოწყვეტა გამოიწვევს მათთან ერთად ბევრი წმიდანის განადგურებას; ან ის, რომ ბევრი ამ ღვარძლისაგან შეიძლება გარდაიქმნას და გახდეს

ხორბალი... და თუ თქვენ, – ამბობს იგი, – ამოძირკვავთ მათ დროზე ადრე, ამით სიცოცხლეს წაართმევთ იმ ადამიანებს, რომელთაც ჯერ კიდევ ჰქონდათ დრო გამოსწორება-გარდაქმნისა; ანადგურებთ მათ, რომელთაც შეეძლოთ ხორბლად ქცეულიყვნენ. ასე და ამგვარად, უფალი არ კრძალავს ერეტიკოსთა ალაგმვას, მათთვის პირის დახშობას, მათი კადნიერების მოთოკვას, მაგრამ კრძალავს მათ ამოწყვეტას, და შემდეგ, დაუკვირდით, ო, რა საოცარია სიყვარული, უწყინარობა უფლისა, როგორ ფიქრობთ, – იგი მსჯავრს, განაჩენს უბრალოდ აცხადებს და მეტი არაფერი? არა, უფალი მიზეზსაც გვიმეღავნებს მსჯავრთან ერთად. რა მოხდება, თუ ღვარძლი დაცულ იქნება ბოლომდე? მაშინ "უბრძანა მომკალთა მათ: შეჰკრიბეთ პირველად ღუარძლი იგი, და შეჰკართ ძნეულად, რათა დაიწუას იგი?" (მათ. 15. 30). კვლავ შეახსენებს მოწაფეთ იოანე ნათლისმცემლის სიტყვებს, რომელშიც იგი, უფალი, გამოსახულია მსჯულად და არიგებს, რომ საჭიროა გაუფრთხილდეთ, დაიცვათ ღვარძლი, სანამ ხორბლის გვერდით იზრდება, რადგან მისთვის ჯერ კიდევ შესაძლებელია ხორბლად გარდაქცევა. თუ ერეტიკოსი მოკვდება ყოველგვარი ნაყოფის გარეშე, იგი ვერ ასცდება საშინელ მსჯავრს. "ეამსა მკისასა, ამბობს უფალი, შეჰკრიბეთ პირველად ღუარძლი იგი." რატომ პირველად? რათა მოწაფეებს არ ჰქონდეთ იმის შიში, რომ ღვარძლთან ერთად ამოძირკვულ იქნება ხორბალიც. "და შეჰკარით ძნეულად, რათა დაიწუას იგი; ხოლო იფქლი იგი შეჰკრიბეთ საუნჯესა ჩემსა."

"სხუასა იგავსა ეტყოდა მათ, და ჰრქუა: მსგავს არს სასუფეველი ცათა მარცუალთა მდოგვისასა." (მათ. 13.31). რამდენადაც უფალმა სთქვა, რომ ნათესის სამი ნაწილი იღუპება, ერთი კი გადარჩება და თვით ამ გადარჩენილშიც ბევრი ავადდება, ზიანდება, მოწაფეთა შეკითხვის – "ვინ და რამდენნი იქნებიან ერთგულნი" – თავიდან ასაცილებლად, იესო უქარწყლებს მათ შიშს და განამტკიცებს მათ რწმენას იგავით მდოგვის მარცვალზე, რომელშიც გვიჩვენებს, რომ ქადაგება ყველგან გავრცელდება.

"რომელი უმცირეს არს ყოველთა თესლთა, ხოლო რაჟამს აღორძნდის, უფროს ყოველთა მბალთა არნ იგი, და იქმნის იგი ხე დიდ, ვიდრემდის მოვიდიან მფრინველნი ცისანი და დაადგრიან რტოთა მისთა?" (მათ. 13.32). ეს იგავი სახარებისეული ქადაგების გავრცელების სახეა. ქრისტეს მოწაფეები თუმცა ყველაზე უძლურნი, ყველაზე მეტად დამცირებულნი იყვნენ, მაგრამ მათში ისეთი უდიდესი იდუმალი ძალა ბობოქრობდა, რომ მათი ქადაგება მთელ მსოფლიოს მოეფინა.

კვლავ ახალ იგავს ამბობს უფალი: "მსგავს არს სასუფეველი ცათა ცომსა, რომელი მოიღო დედაკაცმან და შეჰრეოთ იგი იფქლსა სამსა საწყაულსა, ვიდრემდე აღაფუვნა იგი ყოვლად" (მათ. 13.33). როგორც საფუარი მოქმედებს ფქვილის დიდ რაოდენობაზე და თავის ძალას ავლენს მასზე, ასევე თქვენც გარდაქმნით მთელ სამყაროს, – ამცნობს ამ იგავში უფალი მოწაფეებს. მიაქციეთ ყურადღება, რომ მაცხოვარი იყენებს სახედ (შედარებად) იმას, რაც ბუნებაშია, რათა გვიჩვენოს, რომ მისი სიტყვა ისევე უცილობელი და დაურღვეველია, როგორც ბუნებაში გარდუვალი კანონიდან ხილულის წარმოქმნა. ნუ მეუბნები მე: რისი გაკეთება შეგვიძლია ჩვენ, თორმეტ კაცს ამ მრავალრიცხოვან ხალხში? სწორედ იმაში გამომჟღავნდება თქვენი ძალა, რომ თქვენ შერეულნი უამრავში, არ შეშინდებით, არ დაფრთხებით. საფუარი მხოლოდ მაშინ აფუებს ცომს, როცა შეეხება ფქვილს...და არა მხოლოდ შეეხება, არამედ შეერევა მას (ამიტომაა ნათქვამი "შეჰრეოთ"). ასევე, თქვენც მხოლოდ მაშინ შესძლებთ მტრის ძლევას, თუ შეხვალთ მასთან ურთიერთობაში და განუწყვეტელ კავშირში... და როგორც საფუარი ფქვილის გროვაში არ იკარგება, არამედ სულ მცირე დროში მთელ ნარევს გადასცემს საკუთარ თვისებას, თქვენი ქადაგებებიც მსგავსად ამისა მოიმოქმედებს. მაშ, ნუ შეშინდებით, რომ მე მრავალ საფრთხეზე გელაპარაკეთ; ნუ შეგაძრწუნებთ თავდასხმები. თქვენ ყველას და ყველაფერს დაძლევთ და გაბრწყინდებით.

სამ საწყაულში უფალი გულისხმობს ბევრ საწყაულს, რამდენადაც ეს რიცხვი გამოიყენება ჩვეულებრივ მრავლის მნიშვნელობით. ნუ გაგიკვირდებათ ასევე ისიც, რომ სამეუფოზე საუბრისას უფალი იხსენიებს მარცვალსა და საფუარს. გამოუცდელ, თითქმის უსწავლელ ხალხს ესაუბრებოდა ქრისტე, რომელნიც უმდაბლესი საგნების საშუალებით უნდა ჩასწვდომოდნენ უმაღლესს და ვინაც იყვნენ ისეთი უბრალონი, რომ ყველაფერ ამასთან ერთად საჭიროებდნენ ბევრ ახსნა-განმარტებას. მაშ, სად არიან ელინთა ძენი? თვალწინ მომხდარი ჭეშმარიტების ხილვით დაე გულისხმაჰყონ, ჩასწვდნენ ქრისტეს ძლიერებას; დაე, თაყვანი სცენ, თავი

მოუდრიკონ უფალს, როგორც ასეთი საქმის წინასწარმეტყველსა და აღმსრულებელს ამ საქმისას. მან ერთმა ჩადო ძალა საფუარში; მისადმი მორწმუნენი შეურია მრავალს, რათა მათაც გადაეცათ სხვებისათვის თავიანთი გულისხმისყოფა, მიხვედრის უნარი.

მაშ ნურავინ ნუ იწუწუნებს სიღარიბეზე, სიმწარეზე. დიდია ძალა ქადაგებისა. ერთხელ "აფუებული" თვითონ ხდება საფუარი სხვებისათვის. ნაპერწკალი თუ შეშას მოხვდა, ალად მოედება მას, ცეცხლის ახალ წყაროდ გადააქცევს და გაავრცელებს. ასეა ქადაგებაც; მაგრამ უფალმა საფუარზე თქვა და არა ცეცხლზე. რატომ? იმიტომ, რომ იქ ყველაფერი ცეცხლზე როდია დამოკიდებული, არამედ ბევრი – ალმოდებულ შეშაზეც. აქ საფუარი ყველაფერს თავისთავად წარმოშობს. თუკი თორმეტმა ადამიანმა "ააფუა" მთელი მსოფლიო, დაფიქრდით, რა გალეულნი, უძლურნი ვართ, როცა მიუხედავად მრავალრიცხოვნებისა, ჩვენ, რომელთაც გვევალებოდა საფუარი ვყოფილიყავით ათასობით ქვეყნისათვის, დარჩენილნიც ვერ გამოვასწორეთ.

მაგრამ ახლა თქვენ იტყვით: ისინი მოციქულები იყვნენ. მერედა რა? არ იყვნენ ისინი თქვენნაირ მდგომარეობაში? საზოგადოებაში არ ცხოვრობდნენ? არ ინაწილებდნენ თქვენნაირ ხვედრს? არ მოსაქმეობდნენ? განა ანგელოზნი იყვნენ, განა ციდან გარდამოვიდნენ? ახლა კვლავ იტყვით, რომ მათ ჰქონდათ ნიჭი სასწაულქმედებისა... მაგრამ სასწაულქმედებით არ გამხდარან ისინი საკვირველნი... და საინტერესოა, კიდევ დიდხანს იქნება ეს სასწაულები ჩვენი დაუდევრობის საფარველი? შეხედეთ წმინდანთა დასს, გაბრწყინებულს არა სასწაულებით. იყვნენ ისეთნიც, რომელნიც ეშმაკთ განასხამდნენ, მაგრამ რადგან უკანონობას სჩადიოდნენ, არათუ გაბრწყინდნენ, არამედ საშინელი სასჯელი დაიმსახურეს. მაშ რა მოხდა, იკითხავთ თქვენ, რამ გახადა მოციქულნი ასეთი დიდნი, ასეთი საკვირველნი? სიმდიდრის, ამაო დიდების უგულებელყოფამ, ამაო ქვეყნის საზრუნავზე უარისთქმამ. რომ არ დაეტოვებინათ მათ ეს ამაოება, ვნებების მონად რომ დარჩენილიყვნენ, მაშინ თუნდაც უამრავი მკვდარი აღედგინათ, ვერავითარ სარგებლობას ვერ მოიტანდნენ, პირიქით, ცრუს სახელს დაიმკვიდრებდნენ.

მაშასადამე, მხოლოდ ერთი ცხოვრება ბრწყინავს ყველგან, მხოლოდ იმით მიიზიდება მადლი სულისა. რითი მიიზიდა იოანემ მრავალი ქალაქი? ის ხომ არ სასწაულმოქმედებდა? მოუსმინეთ ამის შესახებ მახარებელს: "და მრავალი მოვიდოდეს მისა (იესოსა) და იტყოდეს, ვითარმედ: იოანე სასწაული არარაჲ ქმნა". (იოან. 10.41) რატომ გახდა ილია საოცარი? განა არა გაბედულებით მეფის წინარე? განა არა ერთგულებით ღვთის მიმართ? სასწაულები ხომ მათ შემდგომ მოხდა. განა რაიმე სასწაულებით გააკვირვა ეშმაკი იობმა? არავითარი სასწაული არ მოუხდენია მას; ბრწყინვალე ცხოვრება აჩვენა, მოთმინება გამოიჩინა, ანდამატზე ძლიერი მოთმინება. რა სასწაული მოიმოქმედა დავითმა სიყმაწვილეში, როცა ღმერთმა სთქვა მასზე: ვპოვე დავით, ძე იესესი, კაცი გულითადი ჩემი, რომელმან ჰყოს ყოველი ნებაჲ ჩემი". (საქ. 13.22) და აბრაამმა, ისაკმა, იაკობმა განა მკვდარი აღადგინეს, განა კეთრისაგან გასწმიდეს ვინმე? იცით თუ არა, რომ ნიჭი სასწაულქმედებისა თქვენი დაუდევრობის დროს შეიძლება ვნების საგნად გადაიქცეს? ბევრი დაეცა ამის გამო, ბევრიც გაამაყდა; სიმონიც ამის გამო იქნა განგდებული, არ მიიღო ქრისტემ და როცა მოინდომა მასთან ყოფნა, აი, რა მოესმა: "მელთა ხვრელი უჩნს და მფრინველთა ცისათა საყოფელი; ხოლო ძესა კაცისასა არა აქვს, სადა თავი მიიდრიკოს". (იოან. 9.58), ყველანი, რომელთაც სასწაულქმედება ფულის ან ამაო დიდების გამო სურდათ, დაეცნენ და დაიღუპნენ. თავდადებული, ერთგული ცხოვრება, სიყვარული სათნოებათა მიმართ არათუ არ ჰბადებენ ასეთ სურვილებს, არამედ პირიქით, რომ ჰქონდეთ კიდეც, სპობენ მას. მოიგონეთ, რას ამბობდა ქრისტე, როდესაც წარმოთქვა მოწაფეების წინაშე თავისი მცნება, ხომ არ უთქვამს: მოახდინეთ სასწაულები, ადამიანებმა რომ იხილონ? სრულიადაც არა, არ უთქვამს მას ეს. მაშ რა უთხრა? "ეგრეთ ბრწყინევდინ ნათელი თქუენნი წინაშე კაცთა, რათა იხილნენ საქმენი თქუენნი კეთილნი და ადიდებდნენ მამასა თქუენსა ზეცათასა." (მათ. 5.16). არც პეტრესთვის უთქვამს უფალს, თუ გიყვარვარ, სასწაულები მოახდინეო, არამედ "დამწყსენ ცხოვარნი ჩემნი", (იოან.21.17). რატომ ანიჭებდა უფალი პეტრეს იოანესთან და იაკობთან ერთად სხვა მოციქულებთან შედარებით უპირატესობას? სასწაულქმედების გამო? განა ყველა მოციქული ერთნაირად არ განწმენდდა კეთროვნებს? განა ყველა ერთნაირად არ აღადგენდა მკვდრებს?

მაშ, რატომ იყო ეს სამი მოციქული ასე გამორჩეული? სულიერი სიქველის გამო! აი, ხომ ხედავთ, ყველგან საჭიროა ცხოვრება და საქმე. "ნაყოფთა მათთაგან იცნნეთ იგინი", ამბობს უფალი. (მათ. 7.16)... და რა არის ჩვენი ცხოვრება? რას წარმოადგენს იგი? სასწაულების გამოცხადებას თუ ზრუნვას ჩვენი ყოფაქცევის კეთილსახიერებაზე? ცხადია, ამ უკანასკნელს. სასწაულქმედებაც თავის საწყისს, ცხადია, აქედან იღებს, ძირიც აქვეა მისი. ვინც ზნეობრივ, კეთილ ცხოვრებას ეწევა, ის მიიზიდავს თავისკენ სასწაულქმედების მადლს, ხოლო მიმღები ამ მადლისა მიიღებს მას იმისათვის, რათა გამოასწოროს სხვისი ცხოვრება. ქრისტეც ახდენდა სასწაულებს, რათა მიეზიდა ხალხი და შეეყვანა ადამიანები სათნოებათა სამყაროში. ამისათვის ზრუნავდა იგი. მარტო სასწაულქმედებით როდი კმაყოფილდებოდა. ხან გვენით გვმეუქრება, ხან სასუფეველს გვპირდება, ხან თავის საოცარ მცნებებს გვაცნობს; ყველა საშუალებას მიმართავს, რათა ანგელოზთა სწორი გაგვხადოს.

ახლა მითხარი შენ თვითონ: ვთქვათ, შემოგთავაზონ ასარჩევად ქრისტეს სახელით სასწაული მკვდართა აღდგინებისა ან მისივე სახელისათვის სიკვდილი. რომელს აირჩევდი? განა არა უკანასკნელს ყოველგვარი ყოყმანის გარეშე? პირველი იქნებოდა სასწაული, ხოლო უკანასკნელი არის საქმე და რომ შემოგთავაზონ ბალახის ოქროდ გადაქცევის უნარი ან ისეთი ძალის მონიჭება, რომლის საშუალებით შეგეძლება ყველა სიმდიდრის ბალახივით ფეხქვეშ გათელვა, განა არ აირჩევდი უკანასკნელს?... და სრულიად სამართლიანადაც, ასეთი არჩევანით უფრო მიიზიდავ ადამიანებს. ოდეს დაინახავენ, რომ ბალახი ოქროდ აქციე, ისინი თვითონ მოინდომებენ ასეთი ძალის შეძენას სიმონის მსგავსად; ამით კი გაიზრდება მათი მომხვეჭელობა და პირიქით: თუ ნახავდნენ, რომ ყველა ოქროს ბალახივით ფეხქვეშ თელავს, ისინიც შეეკდებოდნენ ამ სენისაგან განთავისუფლებას. ხედავთ ალბათ, რომ ცხოვრებას შეუძლია დიდი სარგებლობის მოტანა. და რას ვეძახი მე ცხოვრებას? როცა შენ უგულებელჰყოფ სიმდიდრეს, როგორც უნდა უგულებელჰყოფდე, როცა მოჭარბებულ სიყვარულში ხარ, როცა შენს ლუკმას მშიერს უნაწილებ, იკავებ სიბრაზისაგან თავს, უარყოფ პატივმოყვარეობას, ახშობ საკუთარ თავში შურს.

ასეთი გაკვეთილი მოგვცა თვით იესომ: "ისწავლეთ ჩემგან, – თქვა მან, – რამეთუ მშვიდ ვარ და მდაბალ გულითა". (მათ. 14.29) არ უთქვამს მას: მე ვმარხულობდი, თუმცა შეეძლო გაეხსენებინა 40 დღიანი მარხვა, არამედ დუმს ამაზე და მიუთითებს მხოლოდ: მშვიდ ვარ და მდაბალ გულითაო... და კვლავ: მოწაფეებს როცა აგზავნის, არ ეუბნება: იმარხულეთ, არამედ – "რომელსა ქალაქსა შეხვიდეთ და შეეგიწყნარნენ თქვენ, ჰსჭამდით წინა–დაგებულსა თქვენსა". (მათ. 10.8) ამასთანავე არიგებს მათ, რომ ყოველნაირად უფრთხილდნენ ანგარებას. "ნუ მოიგებთ ოქროსა, ნუცა ვერცხლსა, ნუცა რვალთა სარტყელთა თქუენთა". (მათ. 10.9) თქვენ არ იფიქროთ, რომ ამით მარხვას უარვყოფ, არა, მე ყოველნაირად მხარს ვუჭერ მარხვას, ვწუხვარ მხოლოდ იმაზე, რომ თქვენ უარყოფთ ყველა სათნოებას, რანიც საჭირო არიან სულის ხსნისათვის... და უპირატესობას ანიჭებთ იმას, რაც უკანასკნელ ადგილს იჭერს სათნოებათა შორის.

სიყვარული, თავმდაბლობა, მოწყალება... აი უპირატესნი სათნოებანი. მაშასადამე, თუ გინდა გახდე მოციქულთასწორი, არაფერი ხელს არ გიშლის ამაში. საკმარისია შეასრულო მხოლოდ ერთი – მოწყალების სათნოება, რომ არაფრით იქნები ღარიბი მოციქულებზე. მოციქულებს გაუსწორდები სიმდიდრით. არავინ უნდა გადადგეს ამისათვის სათნოების ქმედება სასწაულქმედების მიღებამდე.

თუ დემონი იტანჯება, როცა მას გამოდევნიან ხოლმე სხეულიდან, ათასჯერ მეტად იტანჯება, როცა უყურებს ცოდვებისაგან განთავისუფლებულ სულს. ცოდვა მთავარი ძალაა დემონისა. ცოდვებისათვის მოკვდა ქრისტე, რათა ამ გზით გაუნადგურებინა იგი. ცოდვებით შემოვიდა სიკვდილი; ცოდვების საშუალებითაა, ყველაფერი რომ ნადგურდება. შენ მოაკვდინე შენში ცოდვები? ამით ძარღვები გადაუჭერი ეშმაკს, გაუსრისე თავი, შეესუსტე და გაუნადგურე ძლიერება, გაუფანტე მეომრები, – უდიდესი სასწაული ჩაიდინე. ეს სასწაული ყველა სასწაულს აღემატება! ჩემი სიტყვები არ გეგონოთ; ნეტარი პავლე იტყვის ამას: "ჰბაძევდით მადლთა მათ უფროსთა; და მერმე აღმატებული გზაჲ გიჩუენო თქუენ". (1 კორ. 12.31) ხედავთ, მოციქული წარმოგიჩენთ არა სასწაულქმედების ნიჭს, არამედ სიყვარულს – გვირგვინს ყველა სათნოებისას, ყველა სიკეთისას. მაშასადამე, თუ ჩვენ გავიწვრთნებით სიყვარულში, მაშინ არ გვეწება გაჭირვება

სასწაულქმედებებში და პირიქით... თუ არ ვიმოღვაწეებთ სიყვარულში, ვერავითარ სარგებლობას ვერ მივიღებთ სასწაულქმედებისგან.

დავუფიქრდეთ ყოველივე ამას, გულმოდგინებით ვაკეთოთ ის, რისი საშუალებითაც გახდნენ მოციქულები ასე დიდებულნი. გინდათ, გაიგოთ რითი გახდნენ ისინი ასერიგ დიდნი? მოუსმინეთ მოციქულ პეტრეს: "აჰა ესერა ჩუენ ყოველი დაუტევეთ და შეგიდეგით შენ; რაჲმე იყოს ჩუენდა?" (მათ. 19.27)

მოუსმინეთ ასევე ქრისტეს, რას პასუხობს მოწაფეებს: "ამინ გეტყვით თქვენ, რომელნი ეგე შემომიდექით მე, მერმესა ამას შუებასა, რაჟამს დაჰსჯიეს ძე კაცისა საყდართა დიდებისა თვისისათა, დაჰსხდეთ თქუენცა ათ-ორ-მეტთა საყდართა, განჰსჯად ათ-ორ-მეტთა ტომთა ისრაელისათა. და ყოველმან, რომელმან დაუტევა სახლი, გინა ძმანი, ანუ დანი, ანუ მამა, ანუ დედა, ანუ ცოლი, ანუ შვილნი, ანუ აგარაკნი, სახელისა ჩემისათვის, ას-წილად მიიღოს, და ცხოვრება საუკუნო დაიმკვიდროს" (მათ. 19. 28-29).

ამგვარად, მოიკილეთ ცხოვრებისეული ამაოება, მივუძღვნათ თავი ქრისტეს, რათა ჩვენც შეგვეძლოს გავხდეთ მოციქულთა სწორი უფლის განსაზღვრებით და ღირსი გავხდეთ უკვდავებისა, რომლის მონიჭებასაც გისურვებთ ყველას მადლითა და კაცთმოყვარეობითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისა არს დიდება და პატივი უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

თარგმნა მ. ჩიჭიჭაძემ



წმიდა ეგნატი ანტიოქიელი

წინათქმა

წმ. ეგნატის შესახებ წმ. იოანე ოქროპირი ამბობს: "რომელს შევასხათ ქება უპირველესად, მარტვილს, ეპისკოპოსს თუ მოციქულს? სამმაგი გვირგვინი შეეხზა სულიწმიდის მადლმა და ასე შეამკო მან ეგნატის წმიდა თავი" /წმ. იოანე ოქროპირი, შესხმა წმიდა მღვდელმოწამე ეგნატი ღმერთშემოსილისა, პატროლოგია გრეკა-პგ. ტ.50, სვ. 588/.

მართლაც, თუ ერთი მხრივ, ეპისკოპოსი იყო წმ. ეგნატი /მისი საეპისკოპოსო ღვაწლი ეპისტოლეებშიც გაცხადდა/, მეორე მხრივ, მოციქულთა მოძღვრების მქადაგებლადაც გამოჩნდა იგი და მართლმადიდებელ ქრისტიანთა მომდევნო თაობებს უფლისმიერი ჭეშმარიტებით აღბეჭდილი სიტყვები გადასცა, მაგრამ ყოველივე ამასთან ერთად თავისი სისხლით სწამა მან იესუ ქრისტე და "ღვთის წმიდა პურად" შეირაცხა /წმ. ეგნატი ეწამა II ს-ის 10-იან წლებში/.

საეკლესიო მწერლობაში უადრესი ხსენება წმ. ეგნატისა გვხვდება მის მოწაფესთან წმ. პოლიკარპე სმირნელთან /85-155 წწ./, რომელიც ასე მიმართავს ფილიპელებს: "ეგნატის ეპისტოლეებს, - ერთს, რომელიც თქვენ გამოგიგზავნათ და კიდევ სხვებს, რაც კი გვაქვს, - გიგზავნით თქვენ, როგორც გვიბრძანეთ. ისინი ერთვის ჩემს ეპისტოლეს და მათგან დიდი სარგებლობის შეძენა ძალგიძთ, რადგანაც მსჭვალავს მათ რწმენა, მოთმინება და ყოველგვარი დამოძღვრა, რაც მიგვაახლებს ჩვენს უფალს" /იხ. ევსები კესარიელი, საეკლესიო ისტორია, III, 16; გ. ბარდის გამოც. პარიზი, 1978, გვ.150; შდრ. ეგნატი ანტიოქიელი, პოლიკარპე სმირნელი, ეპისტოლეები, პოლიკარპეს მარტვილობა, პ. კამელოს გამოც. პარიზი, 1969, გვ. 174; შდრ. პგ.5, სვ. 1/.

წმ. პოლიკარპე იმავე ეპისტოლეში საჩინოყოფს წმ. ეგნატის მოწამეობრივ აღსასრულს: "ყველა თქვენთაგანს ვევედრები, რომ დაემორჩილოთ სამართლიანობის სიტყვას და დაითმინოთ სრული დათმენით, რაც იხილეთ კიდეც თქვენივე თვალით არა მხოლოდ წმ. ეგნატიში, ზოსიმესა და რუფოსში, არამედ, აგრეთვე, სხვებშიც, რომლებიც თქვენგან იყვნენ, და თვით პავლეშიც და დანარჩენ მოციქულებში. ...ფუჭად როდი "რბიოდნენ" ისინი /გალ. 2,2/, არამედ-რწმენითა და სიმართლით, აწ კი მკვიდროზენ მათთვის განკუთვნილ ადგილას უფალთან, რომელსაც თანა-ევნენ /"სუნეპათონ"/ ისინი, რადგანაც არათუ ამეამინდელი ყოფა შეიყვარეს, არამედ ის შეიყვარეს , ვინც ჩვენთვის მოკვდა და ჩვენს გამო აღდგა ღვთის მიერ /იგულისხმება: მამა ღმერთის მიერ, ე.ჭ./" /წმ. პოლიკარპე სმირნელი, ფილიპელთა მიმართ I; დასახ. გამოც. გვ. 188; შდრ. ევსები კესარიელი, საეკლ. ისტ. III. 6, 13 /

წმ. ეგნატის სიტყვებს იმოწმებს წმ. ირინეოს ლიონელი /გარდ. დაახლ. 202 წ./, რომელიც აღნიშნავს: "როგორც თქვა ერთმა ჩვენთაგანმა, რომელმაც სწამა ღმერთი და მხეცთა შესაჭმელად დაისაჯა: "პური ვარ ღვთისა და დავიფქვები მხეცთა კბილებით, რომ გავხდე წმიდა პური" /წმ. ირინეოსი, მხილება და დამხობა ცრუ „„ცოდნისა, წიგნი 5, თავი 28; იხ. პგ. 5, სვ. 10 შდრ. ქვემორე ეპისტოლე, თავი 4,1/.

უადრეს ავტორთაგან საყურადღებოა ორიგინეს მოწმობა /185-254 წწ./: "კარგად არის თქმული ვინმე მარტვილის ერთ ეპისტოლეში, —ვგულისხმობ ეგნატის, ნეტარი პეტრეს შემდეგ ანტიოქიის მეორე ეპისკოპოსს, რომელიც დევნულების ჟამს რომში მხეცებს შეებრძოლა, რომ "ამ სოფლის მთავარს დაეფარა მარიამის ქალწულება"/ ორიგენე, VI ჰომილია ლუკას სახარების შესახებ; პგ. 5, სვ 10; —შდრ. წმ. ეგნატის ეპისტოლე ეფესელთა მიმართ, თავი 19/.[1]

უფრო ვრცელი ცნობები წმ. ეგნატის შესახებ დაცულია ევსები კესარიელის /265-339 წწ./ "საეკლესიო

---

1 ორიგენეს სხვა მოწმობა მოტანილი გვაქვს ქვემორე ეპისტოლეზე დართულ შენიშვნებში. იხ. შენ. 14; იქვე, იხ. წმ. დიონისე არეოპაგელის მოწმობა.

ისტორიაში" /იხ. წიგნი III, თავი 36, 37, 38; წიგნი V, თავი 8/. ეს ცნობები ქართველი მკითხველისათვის ხელმისაწვდომია /იხ. ა. ბოროდა, მოციქულმოწამე ეგნატი ანტიოქელი ეპისკოპოსი და მისი წერილები, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1988 წ. გვ. 518-519/.

წმ. ეგნატის იხსენიებს წმ. ათანასე ალექსანდრიელი /295-373 წწ./: "ეგნატიმ, რომელიც მოციქულთა შემდეგ დადგინდა ანტიოქიის ეპისკოპოსად და გახდა მოწამე ქრისტესი, ეს დაწერა და თქვა უფლის შესახებ: "ერთია მკურნალი ხორცისა და სულისა, ქმნილი და უქმნელი,[2] ღმერთი კაცში,[3] ჭეშმარიტი ცხოვრება სიკვდილში, მარიამისაგანაც და ღვთისაგანაც"... ნეტარმა ეგნატიმ მართლად დაწერა, როდესაც "ქმნილად" თქვა იგი /ქრისტე—ეჭ./ ხორცის გამო, რადგანაც ქრისტე ხორცი იქმნა,[4] ხოლო -"უქმნელად", რადგანაც არ არის იგი ქმნილებათა და დაბადებულთაგან, არამედ ძე მამისაგან "/წმ. ათანასე ალექსანდრიელი, ეპისტოლე არიმინის, და სელევკიის სინოდთა მიმართ" პგ. V, სვ.16ა/.

შეჯამებულად გვაუწყებს წმ. ეგნატის შესახებ წმ. იერონიმე /347-386 წწ./ თავის სახელგანთქმულ შრომაში "ბრწყინვალე კაცთა შესახებ": "ეგნატი იყო ანტიოქიის ეკლესიის მესამე ეპისკოპოსი პეტრე მოციქულის შემდეგ. როდესაც ტრაიანემ ქრისტიანთა დევნა დაიწყო, იგი მხეცებთან შესაბრძოლებლად რომში გადააგზავნეს ბორკილდადებული. ეგნატი ზღვით მივიდა სმირნაში, სადაც ეპისკოპოსად იყო პოლიკარპე, მსმენელი იოანისი[5]. აქედან ეგნატიმ ერთი ეპისტოლე მისწერა ეფესელებს, მეორე მაგნესიელებს, მესამე ტრალისელებს, მეოთხე რომაელებს, სმირნადან გამგზავრებულმა მისწერა ფილადელფიელებს და სმირნელებს, აგრეთვე პირადად პოლიკარპეს, რომელსაც მიანდო ანტიოქიის ეკლესია; ეგნატი იხსენიებს სახარებას, რომელიც მე უკვე ვთარგმნე [ლათინურად][6] და იესუ ქრისტეს პიროვნების შესახებ ამბობს: "ხოლო მე აღდგომის შემდეგაც სხეულში ვიხილე იგი /in carnem eum uidi - "ენ სომატი აუტონ ეიდონ"/[7] და მწამს, რომ არის და რაჟამს მივიდა პეტრესთან და მათთან, რომლებიც პეტრეს გვერდით იყვნენ, უთხრა მათ: "შემეხეთ და ნახეთ, რომ არა ვარ უსხეულო დემონი /daemonium incorporale/"[8]. და მყის შეეხნენ მას და ირწმუნეს". საჭირო ჩანს, რომ რადგანაც ვიხსენებთ ამ კაცს

---

2 წმ. ეგნატის ჩვენამდე მოღწეულ ტექსტში იკითხება: "შობილი და უშობელი" /"გენნეტოს კაი აგენნეტოს"/, რაც, როგორც ჩანს, გვიანდელი შეცვლაა /იხ. ეფესელთა მიმართ, VII. 2; პ. კამელოს გამოც. გვ. 64/.
3 შდრ. იოანე 1,14: "და სიტყვა ხორცი იქმნა" /"სარქს ეგენეტო"/.
4 წმ. ეგნატის ეპისტოლის ჩვენამდე მოღწეულ ტექსტში იკითხება: "ხორცში ქმნილი ღმერთი" /ეფესელთა მიმართ, VII. 2; პ. კამელოს გამოც. გვ. 64/.
5 იგულისხმება წმ. იოანე ღვთისმეტყველი.
6 იგულისხმება წმ. იერონიმეს მიერ ბერძნულიდან ლათინურად თარგმნილი აპოკრიფი "პეტრეს ქადაგება": იხ. აქვე შენ.3.
7 წმ. ეგნატის ეპისტოლის მოღწეულ ტექსტში გვაქვს არა "ვიხილე" /vidi - "ეიდონ"/, არამედ- "ვიცი"/ "ოიდა"; novi/.
8 ეს ციტატა, რომელიც გვხვდება წმ. ეგნატის ეპისტოლეში სმირნელთა მიმართ /III.2; პ. კამელოს გამოც. გვ. 134/, არის ციტირება აპოკრიფიდან "ქადაგება პეტრესი" /"კერიგმა პეტრი"/, რომელსაც ეწოდება, აგრეთვე, "მოძღვრება პეტრესი" /"დოქტრინა პეტრი"/. მოტანილი ციტატა ემსგავსება ლუკას სახარების 24 თავის 39 მუხლს, მაგრამ ამ უკანასკნელში არ გვხვდება სიტყვები "უსხეულო დემონი" /"დაიმონიონ ასომატონ"/, რაც სწორედ ზემორე აპოკრიფს ეკუთვნის. სხვათაშორის, ამ აპოკრიფს ეხება ორიგინეც, როდესაც იგი მსჯელობს ტერმინ "უსხეულოს" /"ასომატოს"/ შესახებ: "ტერმინი "უსხეულო" უცნობია და იგი არ გვხვდება წმიდა წერილის უმეტეს ნაწილში. თუ ვინმე დაგვიპირისპირებს პატარა წიგნს, რომელსაც ეწოდება "პეტრეს მოძღვრება" /Petri doctrina/, სადაც თითქოს მაცხოვარი ეუბნება მოწაფეებს: "არ ვარ უსხეულო დემონი /daemonium incorporale/", - ვუპასუხებთ, რომ, ჯერ ერთი, ეს წიგნი საეკლესიო წიგნთა შორის არ ირიცხება, მეორეც, ცხადია, რომ იგი არ დაუწერია არც პეტრეს, არცთუ სხვას, ვინც კი ღვთის სულით იყო შთაგონებული." (ორიგენე, დასაბამთა შესახებ, შესავალი, რუფინუსის ვერსიის კრიტიკული ტექსტი და თარგმანი ანრი კრუზელისა და მანფილიო სიმონეტისა, პარიზი, 1978, ორიგენეს შესავალი, 8; გვ. 86, 150; შდრ. პგ. II, სვ. 119; შდრ. წმ. ეგნატის ეპისტოლენი...პ. კამელოს გამოც. გვ. 134, შენ.2/. როგორც ჩანს, ხსენებული აპოკრიფის ციტირებული ადგილი არის პასუხი და უარყოფა სხვა აპოკრიფისა, რომელსაც "ებრაელთა სახარება" ეწოდება და რომელშიც, თანახმად იმავე წმ. იერონიმეს ცნობისა, მაცხოვარი წარმოდგენილია "უსხეულო დემონად". წმ. იერონიმე შენიშნავს: "რადგანაც მოციქულებს ეგონათ იგი "სული" /spiritus/ ანდა, თანახმად სახარებისა, რომელსაც ებრაელებისეულად აცხადებდნენ ნაზარელები, - "უსხეულო დემონი", ამიტომ უთხრა მათ: "...ხელი შემახეთ და იხილეთ, რამეთუ სულსა ხორც და ძუალ არა ასხენ..." /ლუკა, 24, 39/; იხ. პლ. 24, სვ. 628 ა-ბ.

/ეგნატის,—ე.ჭ./ მცირე ადგილი მოვიტანოთ რომაელთა მიმართ მისი ეპისტოლეედან: "სირიიდან რომამდე, ხმელეთსა თუ ზღვაზე, დღითა თუ ღამით ვებრძვი მხეცებს"... მას მიუსაჯეს მხეცებთან შებრძოლება, ის კი ვნების სურვილით აღიავსო და რაჟამს ესმა ლომების კბილთა ხრჭიალი, თქვა: "პური ვარ იესუ ქრისტესი და ვილოცავ, რომ დავიფქვე მხეცთა კბილებით, რათა გავხდე წმიდა პური". ხოლო ივნო მან ტრაიანეს იმპერატორობის მეათე წელს" /იხ. პგ. 5, სვ. 16; შდრ. რომაელთა მიმართ, თავი 4.1; პ. კამელოს გამოც, გვ. 110/.

წმ. ეგნატის სიტყვები, რაც დამოწმებულია ორიგენესთან /იხ. ზემოთ/, გვხვდება წმ. ბასილი დიდთანაც: "ძველებიდან ვიღაცამ სხვაგვარადაც თქვა, რომ იოსებისადმი დაწინდვა მოგონებულ იქნა, რათა ამ სოფლის მთავარს დაფარვოდა მარიამის ქალწულობა" /ბასილი დიდი, ქრისტეშობის ჰომილია, ვ, პგ. 5, სვ. 17 ა/.

წმ. ეგნატის ეძღვნება წმ. იაონე ოქროპირის ვრცელი ენკომია, რომლის შესავალი სიტყვები ზემოთ უკვე დავიმოწმეთ. ამჯერად მოვიტანთ კიდევ ერთ ციტატას:

"თეატრონის შუაში, ზემოთ მჯდომარე მთელი ქალაქის წინაშე მხეცები ეძგერნენ მას, რომელმაც მარტვილის ხვედრი დაითმინა, რათა ყველას თვალწინ ეძლია ეშმაკი და მისდა მჭვრეტელნი მსგავსი ღვაწლისადმი აღეშურვა. არათუ მარტოდენ ახოვნად მოკვდა იგი, არამედ მოკვდა წადიერად /"შეტა ჰედონეს"/ და არათუ ცხოვრებისაგან განდგომას /სიტყვ. "გამოხეთქვას"/ განიზრახავდა, არამედ უმჯობესი და უსულიერესი ცხოვრებისათვის იჩინა იგი; ამიტომაც, სიხარულით უჭვრეტდა ეგნატი მხეცებს" /პგ. 50, სვ. 594; შდრ. პგ. 5, სვ. 18/.

საყურადღებოა ცნობილი ქრისტიანული ძეგლის "პასქალური ქრონიკის" უწყება: "ის, რომ უფალი სახარების სამწლიანი ქადაგების შემდეგ მივიდა ცხოველმყოფელ და ნებაყოფლობით ჯვართან,[9] ამას გვასწავლის, აგრეთვე ეგნატი ღმერთშემოსილი და მარტვილი, რომელიც იყო იოანე ღვთისმეტყველის ჭეშმარიტი მოწაფე და მოციქულთა მიერ ანტიოქიის უწმიდესი ეკლესიის ეპისკოპოსად დადგენილი. ტრალისელთა მიმართ ეპისტოლეში სიტყვასიტყვით /"ეპი ლეჭსეოს"/ ასე დაწერა მან: "ჭეშმარიტად შვა იგი მარიამის სხეულმა, რომელიც ფლობდა მასში დამკვდრებულ ღმერთს; ჭეშმარიტად იშვა სიტყვა მარიამ ქალწულისაგან. შეიმოსა მან ჩვენებრ ვნებადი სხეული /შდრ. გიორგი მთაწმიდლის თარგმ.: "იშვა სიტყუაჲ... მსგავსად ჩუენსა, ვნებადითა გუამითა"/... სამი ათეული წელი მოქალაქეობდა, მოინათლა იოანეს მიერ ჭეშმარიტად, არათუ ზმანებით, და სამი წელი ქადაგებდა სახარებას... ჯვარს ეცვა ჭეშმარიტად და არა მოჩვენებით ან ზმანებით ანდა ცთომით. მოკვდა ჭეშმარიტად და დაეფლო და აღდგა მკვდრეთით"[10]. აჰა, ასეთი და ამგვარი მოძღვარი ეკლესიისა ცხადად ამბობს, რომ მაცხოვარი სამ წელს ქადაგებდა სახარებას" /იხ. პგ. 5, სვ. 24; მოტანილი ციტატა შეესაბამება ტრალისელთა მიმართ ეპისტოლის ვრცელი რედაქციის X თავს/.

იობ მონაზონი თავის შრომაში "განგებულების ანუ სიტყვის განკაცების შესახებ" /წიგნი VII, თავი 31/ აღნიშნავს: "ღმერთშემოსილი ეგნატი ამბობს, რომ სამი რამ დაეფარა ამ ქვეყნის მთავარს: ქალწულება მარიამისა. მუცლადღება უფლისა და ჯვარცმა" /ფოტი პატრიარქის "ბიბლიოთეკის" მიხედვით, კოდ 221; იხ. პგ. 5, სვ. 23 ც; შდრ. წმ. ეგნატის ეპისტოლე ეფესელთა მიმართ, XIX, 1/. ამავე ციტატას იმოწმებს, აგრეთვე, წმ. ანდრია კრიტელი /გარდ. 766 წ./ /იხ. პგ.5, სვ. 28 ც/;

---

9 "ნებაყოფლობითი ჯვარი" /"ჰეკუსიოს სტაუროს"/ გულისხმობს, რომ ეს ჯვარი უფალმა მიიღო არა იძულებით, არამედ ნებსით, ანუ თვით ირჩია იგი. ასევე, ყველა ჭეშმარიტი ქრისტიანი სწამებს უფალს და ჯვარს ეცმის ნებსით, რადგანაც ეს ჯვარი ნებაყოფლობითია და არა იძულებული.

10 ციტატა მოტანილია ტრალისელთა მიმართ წმ. ეგნატის ეპისტოლის ვრცელი რედაქციიდან, რომელიც ამავე რედაქციის დანარჩენ თორმეტ ეპისტოლესთან ერთად ქართულად თარგმნა წმ. გიორგი მთაწმიდელმა. ზემორე ციტატა შეესაბამება ა. ბოროდას გამოცემის 542 გვ-ს.

საგულისხმოა, აგრეთვე, წმ. თეოდორე სტუდიელის /გარდ. 826 წ./ იამბიკო წმ. ეგნატისადმი;
"გულში გქონდა ტრფიალება – ქრისტე,
მოციქულთა თანამოკარვედ /"სუსკენოს"/ გამოჩნდი, სამგზის ნეტარო!
მხურვალე ღვაწლით დაწვი შენ ცთომილება,
ეპისტოლეთა მიერ იქმენ მეორე პავლე"
/პგ. 5, სვ. 29 ბ/.

მიქაელ სვინგელოზი /761-846 წწ./ წმ. დიონისე არეოპაგელისადმი მიძღვნილ ენკომიაში აღნიშნავს: "წერს აგრეთვე, საკვირველი ეგნატი: "ჯვარსეცვა ჩემი ტრფიალება".[11] ეს სიტყვები რომაელთა მიმართ ეპისტოლეში დაწერა ღმერთშემოსილმა ეგნატიმ, რომელსაც მოელოდა რომში მოწამეობრივი ღვაწლი და ლომების მიერ შეჭმა, თანახმად იმპერატორ ტრაიანეს ბრძანებისა, ამ უკანასკნელის იმპერატორობის მეცხრე წელს, როდესაც ქრისტიანთა დევნა დაიწყო" /პგ.5, სვ. 29/.

მოტანილი ციტატები ცხადყოფს, რომ წმ. ეგნატი ღმერთშემოსილი ეკლესიის უდიდეს მამათა შორის არის შერაცხილი.[12] ანტიოქიის მღვდელთმთავრის ღვთივმბრძოლი სულიერება ცხოვლად ვლინდება მის ეპისტოლეებში. ქვემოთ წარმოვადგენთ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეპისტოლის ახალქართულ თარგმანს, რაც შევასრულეთ ორიგინალის უკანასკნელი კრიტიკული გამოცემიდან: Ignace D'Antioche, Polycarpe de Smyrne, Lettres, martyre de polycarpe, texte grec, introduction, traduction et notes de P. Ch.. Camelot, 4e ed. Paris 1969.

ედიშერ ჭელიძე

---

11 ამ ფრაზის კომენტარისათვის იხ. შენ. 14.

12 ჩვენამდე მოაღწია, აგრეთვე, წმ. ეგნატის აპოკრიფულმა "მარტვილობამ", რომელიც ასე იწყება: "ეგნატი, იოანე მოციქულის მოწაფე, იყო ყოვლითურთ მოციქულებრივი კაცი /"ანერ აპოსტოლიკოს"/ /იხ. პგ.5, სვ. 980/. საგულისხმოა, რომ ამ ძეგლში ტრაიანე იმპერატორის შეკითხვას: "რას ნიშნავს ღმერთშემოსილი" /"თეოფოროს"/, წმ. ეგნატი უპასუხებს: "ვისაც მკერდში ქრისტე ჰყავს". ტრაიანე კვლავ ეკითხება მას: "მკერდით ატარებ ჯვარცმულს?", რასაც ემოწმება წმ. ეგნატი. ყურადღებას იქცევს იმპერატორის განაჩენი: "ვბრძანებ, რომ ეგნატი, რომელიც ამბობს, რომ თავის შიგნით ატარებს ჯვარცმულს, მხედრებმა შეკრან და დიდ რომში გადააგზავნონ, რათა ხალხის გასართობად მხეცების ლუკმა გახდეს" /იქვე, სვ. 981/. როგორც ჩანს, აპოკრიფი ეფუძნება სათნო გარდმოცემებს წმ.

ეპისტოლე რომაელთა მიმართ

ეგნატი ღმერთშემოსილი – ეკლესიას, წყალობაქმნილს უზენაესი მამის სიდიადეში, მისი მხოლოდშობილი ძის იესუ ქრისტეს მიერ, შეყვარებულსა და განათლებულს მამისვე ნებით, ვისაც ესათნოება ყოველივე, რაც კი არსებობს იესუ ქრისტეს, ჩვენი ღვთის რწმენასა და სიყვარულში. – ეკლესიას, რომელიც მოთავეობს1 რომაელთა ქვეყნის სამკვიდრებელში, ღვთივღირსეულს, ღირსადმშვენიერს, ნეტარღირსეულს, ღირსადსაქებელს, ღირსადსასურველს, ღირსადწმიდასა და წინამძღვარს სიყვარულისას, ქრისტეს სჯულიერს,2 მამის მოსახელეს, რომელსაც მოგიკითხავ სახელითა ძისა მამისა, იესუ ქრისტესითა! თქვენ, რომლებიც ხორციელად და სულიერად შეუერთდით უფლის ყველა მცნებას, რომლებიც წრფელად3 აღივსეთ საღვთო მადლით და განიწმიდეთ4 ყოველი უცხო ფერისაგან5, უსპეტაკესად იხარებდეთ იესუ ქრისტეს, ჩვენი ღვთის მიერ!

1.1. რადგანაც ფრიად ვეცადრე ღმერთს ლოცვათა მიერ, ველირსე იმას, რომ ვიხილე და შევიწყნარე ღირსსახილველნი თქვენი სახენი, და თუ ღვთის ნება ღირსმყოფს, აგრეთვე, რომ მივეწიფო აღსასრულსაც, ვსასოებ მაშინ, იესუ ქრისტეს მიერ შეკრულმა ამბორ-გიყო თქვენ. 2. კეთილად განეგო დასაბამი, თუკი მომმადლებს ღმერთი იმასაც, რომ უბრკოლველად მოვიგო ჩემი წილხვედრი. შიში მაქვს თქვენი სიყვარულისა, არ მიმტროს მან მე,6 რადგანაც თქვენთვის ადვილია ისა ქმნათ, რაც გსურთ, ჩემთვის კი, – თუკი არ განმეკრძალვით, – საძნელოა ღმერთს მივეახლო.

11.1. არათუ ის მწადს, რომ აამოთ ადამიანებს, არამედ მხოლოდ – ღმერთს სათნო-ყოთ, რასაც იქმთ კიდეც. ვერ მოვიპოვებ უმჯობეს ჟამს, ღმერთს მივეახლო, და თქვენც, უკეთუ დაიდუმებთ, სხვას ვერას ჰპოვებთ საქმეს უკეთესს თქვენი თავისთვის. თუკი დუმილით განმეკრძალვით, გავხდები ღვთისა, მაგრამ თუ ჩემს ხორცს შეეტრფობით, კვლავ მივიქცევი სრბოლისაკენ.7 არათუ სხვა რამ, ჩემთვის მარტოდენ ის იბრუნეთ, ღმერთს შევწირო ზედაშეს მსგავსად, რადგანაც უკვე განემზადა საკურთხეველი, თქვენ კი შემოკრბით სიყვარულით, როგორც რამ ქორო, და უგალობეთ მამას იესუს მიერ, რადგანაც ღმერთმა ღირს-იჩინა ეპისკოპოსი სირიისა; აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ უწოდა მას. კარგია ამ ქვეყნიდან ღვთისაკენ "ჩასვლა", რომ შემდეგ მასთან "აღმოვიდე".8

111.1 არასოდეს გშურდათ ვინმესი; სხვებს ასწავლიდით.9 მსურს მტკიცედ ეგოს ყოველივე, რაც თქვენ ასწავლეთ და განაჩინეთ. ჩემთვის მარტოდენ ის ითხოვეთ, ძალა მომეცეს შინაგანად და გარეგანად, რომ არა მხოლოდ სიტყვით ვამბობდე, მსურდეს კიდეც; არა მხოლოდ სახელად მერქვას ქრისტიანი, ვიყო კიდეც და თუ ვიქნები, მეწოდება კიდეც ამგვარად, მორწმუნე კი მაშინ გავხდები, ქვეყნად რომ აღარ გამოვჩნდები. ჩენილთაგან რა არის კარგი?9 მამაში მყოფი ღმერთი ჩვენი იესუ ქრისტე უმეტესად არის ჩენილი. არათუ რწმენების საქმეა ქრისტიანობა, არამედ – სიდიადისა, როდესაც მოიძულებს მას სამყარო.10

IV.1. მივწერ მე ყველა ეკლესიას და ვამცნებ ყველას, რომ ნებსით ვკვდები ღვთისათვის, თუკი თქვენს მიერ არ დავბრკოლდები.11 ამიტომ გეკედრებით, უღროო დროს ნუ გამოავლენთ კეთილგანწყობას. მაცადეთ მე, გავხდე მხეცების ლუკმა, რადგანაც მათი გზით ღმერთს მივეახლები. ხორბალი ვარ ღვთისა და დავიფქვები მხეცთა კბილებით, რომ გავხდე წმიდა პური ქრისტესი. 2. უფრო ის ეცადეთ, ალერსით აწვიოთ მხეცები, საფლავად მექმნენ მე და არაფერი დატოვონ ჩემი ხორციდან, რომ დაძინებული არავის ვემძიმო. ჭეშმარიტად მაშინ ვიქნები მოწაფე იესუ ქრისტესი, რაჟამს ჩემს სხეულსაც ველარ იხილავს ქვეყნიერება. ლიტანია ჰყავთ ქრისტეს მიმართ ჩემთვის, რომ ამგვარი სახით შევიწირო ღვთისადმი. 3. პეტრესებრ და პავლესებრ როდი გამცნებთ თქვენ: ისინი – მოციქულნი, მე კი – მსჯავრდებული, ისინი – თავისუფალნი, მე კი ვიდრე დღემდე – მონა, მაგრამ თუ ვიტანჯ, ვით აზატქმნილი იესუ ქრისტესი, თავისუფალი აღვდგები მის მიერ, აწ კი ტყვექმნილი იმას ვსწავლობ, არაფრისადმი მქონდეს გულისთქმა.

V.1. სირიიდან რომამდე ხმელეთსა თუ ზღვაზე, დღითა თუ ღამით ვებრძვი მე მხეცებს, ბორკილდებული ათი ავაზას, ანუ, რაც იგივეა, მხედართა დასის მიერ, რომლებსაც თუმცა კეთილს უყოფენ, მეტად და მეტად ავდებიან. მათი სიავე უმეტესად

მასწავლის მე, მაგრამ "არათუ ამით რასმე განვმართლდები" /1. კორ. IV.4/.

2. დაე, ღირსი ვიყო მხეკებისა, რომლებიც მზადყოფანში არიან ჩემთვის. ვილოცავ მათთვის, რომ დამეხარბონ; ალერსით ვაწვევ, ხარბად მჭამონ, რათა არ მოხდეს ისე, რომ დამიფრთხნენ, როგორც ზოგ ვინმეს, და არ შემეხონ. თუნდაც რომ ნებით არ ისურვონ თვით ვაიძულებ. შემინდეთ, ძმანო, რადგანაც ვიცი, რაც მე მარგებს!12

3. აწ შევუდგები მოწაფეობას. ნუვინ იქნება, – ნურც ხილული, ნურც უხილავი, – მოშურნე ჩემთვის, რომ მივეახლო იესუ ქრისტეს. ცეცხლი და ჯვარი, მხეკთა გუნდები, დაჭრა-დაგლეჯა, ძვლების მიმოყრა, ასოთმოკვეთა, დაქუცმაცება მთელი ტანისა, ეშმაკ-ისაგან ტანჯვა-წამება, – დაე, შემემთხვეს ეს ყოველივე, რომ მივეახლო იესუ ქრისტეს.

VI.1. არაფერს მარგებს სიამენი ამა ქვეყნისა, არც საარქაო სამეფონი. მიღირს, რომ მოვკვდე იესუსთვის, ვიდრე ვეუფლო ქვეყნის კიდეებს. მას ვეძიებ, ვინც ჩვენთვის მოკვდა. იგი მსურს, ვინც ჩვენთვის აღდგა. მომელის მე შობა!

2. შემინდეთ, ძმანო! ნუ დამაბრკოლებთ, რომ გავცხოველდე; ნუ ინებებთ, რომ მოვკვდე! ვინც მსურველია, რომ იყოს ღვთისა, ამა სოფლისთვის ნუ გასცემთ მას, და ნუ აცთუნებთ ნივთის მიერ. მაცადეთ, შევიწყნარო წმიდა ნათელი. რაჟამს იქ მივალ, შევიქმნები ადამინი.13

3. მაცადეთ, ვბაძო ვნებას ღვთისას. ვინც თავის თავში ღმერთს შეიცავს, დაე, შეიცნოს, რასაც ვესწრაფვი, და თანამიგრძნოს, რამეთუ უწყის, რით ვარ პყრობილი.

VII.1. სოფლისმთავარი განიზრახავს ჩემს წარტაცებას, ღვთისადმი ჩემი სურვილის გახრწნას და ნუ იქნება მისდა შემწედ ვინმე თქვენგანი. უმჯობესია, გახდეთ ჩემი, რაც ნიშნავს, – ღვთისა! ნუ იქმთ იმგვარად, სიტყვით აშბობდეთ იესუ ქრისტეს, გულისთქმა კი ქვეყნისკენ გქონდეთ. ნუ დაიბუდებს შური თქვენში.

2. თუნდაც პირისპირ გევედროთ თქვენ, ნუ მერწმუნებით. უმჯობესია ის ირწმუნოთ, რასაც მოგწერთ, რადგანაც გწერთ მე ცოცხალი, კვდომის მეტრფე. ჯვარს-უცვა ჩემი ტრფიალება14 და აღარ არის ჩემში ნივთისმოყვარე ცეცხლი, არამედ ცხოველი წყალი, რომელიც ჩემში მეტყველებს და შინაგან მეტყვის: "მოდი მამასთან". აღარ შევიტკბობ ხრწნილების საზრდოს, არც ამ ცხოვრების სიამეებს. მსურს პური ღვთისა, – ხორცი იესუ ქრისტესი, რომელიც იშვა "თესლისაგან დავითისა" /იოანე 7,42; რომ. 1,3/, და მსურს სასმელი, სისხლი მისი, რაც სიყვარული არის უხრწნელი.

VIII.1. აღარ ვესწრაფვი კაცებრ ცხოვრებას. ასე იქნება, თქვენ თუ ინებებთ, ხოლო გნებავდეთ, რომ თქვენც გინებონ!15 მოკლე წერილით გევედრებით:

2. ირწმუნეთ ჩემი. მართლად რომ ვაშბობ, გააცხადებს, თქვენს წინაშე იესუ ქრისტე, – უტყუარი პირი,16 რომლის მიერ ჭეშმარიტი გვაუწყა მამამ.

3. ითხოვეთ ჩემთვის, მას მივეახლო. ხორციელად როდი მოგწერეთ, – ოდენ ღვთის ნებით. უკეთუ ვივნებ, გნებებივართ, თუ ვერ ვეღირსე, გძაგებივ-ართ.17

IX.1. მოიხსენეთ თქვენს ლოცვაში ეკლესია სირიისა, რომელსაც ჩემს სანაცვლოდ ღმერთი ჰყავს მწყემსად. ეპისკოპოსობს მასზე მარტოოდენ იესუ ქრისტე და თქვენმიერი სიყვარული.

2. სირცხვილი არის, მეც მათ შორის შერაცხილვიყო, მათი ნარჩევი, მათგან განგდებული. არა ვარ ღირსი, მაგრამ ღმერთს თუ მივეახლები, შევიწყალები, რომ ვიყო ვინმე.18

3. აშბორ-გიყოფს თქვენ ჩემი სული და სიყვარული ეკლესიათა, რომლებმაც კი შემიწყნარეს ქრისტეს სახელით, მაგრამ-არათუ მსგავსად მწირისა.19 ეკლესიები, მშორებელნი ჩემს ხორციელ გზას, ქალაქებში წინ მიხვდებოდნენ.20

X.1. ამას გწერთ სმირნიდან ნეტარღირსეულ ეფესელთა მიერ. ბევრ სხვასთან ერთად ჩემთან არის აქ კროკოსიც, – საწადელი ჩემთვის სახელი.21

2. მჯერა, რომ იცით მათ შესახებაც, რომლებმაც უკვე წინ მისწრეს მე სირიიდან რომისაკენ ღვთის სადიდებლად. აუწყეთ მათ, რომ ახლოსა ვარ. ყველა მათგანი ღირსი არის ღვთისაც და თქვენიც. ამიტომაც შეგფერით თქვენ, განუსვენოთ მათ ყოველითურთ.22

3. ხოლო მოგწერეთ ეს ცხრა დღით უწინარეს სექტემბრის კალენდებისა. ქრისტესმიერი მოთმინებით გაძლიერდით აღსასრულამდე!23

შენიშვნები

1. "მოთავეობს" – ბერძნ. "პროკათეტაი" /სიტყ. "წინ ზის"/. აღნიშნულმა ბერძნულმა სიტყვამ დიდი კამათი აღძრა. მკვლევართა ნაწილმა ხსენებული სიტყვა გაიაზრა, როგორც წმ. ეგნატის მიერ რომის ეკლესიის აღმატებულებაზე ხაზგასმა. ბერძნული ტექსტის გამომცემელი და ფრანგულად მთარგმნელი პ. კამელო აღნიშნავს: "ძნელია, ამ ტექსტში არ დავინახოთ მინიშნება სხვა რეგიონებთან შედარებით რომის ეკლესიის გარკვეულ უპირატესობაზე." ასევე, ლ. დიუშესნის თქმით "ამ გამოთქმის ყველაზე უფრო ბუნებრივი მნიშვნელობა ისაა, რომ ეკლესია თავჯდომარეობს ეკლესიათა კრებულს" /იხ. ეგნატი ანტიოქიელი, პოლიკარპე სმირნელი, ეპისტოლეები, მარტვილობა პოლიკარპესი, ბერძნული ტექსტი, შესავალი, თარგმანი და შენიშვნები პ.თ. კამელოსი, პარიზი, 1969, გვ.106, შენ. 1/. მკვლევართა მეორე ნაწილი /მათ შორის პ. პრეობრაჟენსკი/ მიიჩნევს, რომ წმ. ეგნატი ამ სიტყვით ცხადყოფს რომის ეკლესიის უპირატესობას მხოლოდ ქალაქ რომის გარეუბნებში არსებულ ეკლესიებთან შედარებით. ვფიქრობთ, აღნიშნული სიტყვა, ალბათ, სხვაგვარად უნდა გავიგოთ. იგი, ჩვენი აზრით, გულისხმობს ზოგადად ეკლესიის მოთავეობას, წინამძღვრობას ქვეყნის ცხოვრებაში და არა კონკრეტულად რომის ეკლესიის სხვა ეკლესიებზე უპირატესობას. რა გვაძლევს ამგვარი გააზრების საფუძველს? უპირველესად ის, რომ ბერძნულ ტექსტში არ არის უწყებული თუ ვის "მოთავეობს", ვის "თავჯდომარეობს" რომის ეკლესია, ამის უწყება კი სრულიად აუცილებელი იქნებოდა, მოტანილ კონტექსტში რომ ბერძნული სიტყვა კონკრეტულად სხვა ეკლესიებზე უპირატესობის ანუ სხვა ეკლესიებზე "თავჯდომარეობის" მნიშვნელობით ყოფილიყო ხმარებული წმ. ეგნატის მიერ. საყურადღებოა, რომ თვით პ. კამელო შენიშვნაში ასეთ კითხვას სვამს: "მაგრამ თავჯდომარეობს ვის?" /იხ. დასახ. გამოც. გვ. 106, შენ. 1/ მეორე მხრივ, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ იმავე სიტყვის ხმარების სხვა შემთხვევებშიც წმ. ეგნატის ეპისტოლეებში. მკვლევარები, რომლებიც ხსენებულ სიტყვას რომის ეკლესიის უპირატესობის აღმნიშვნელად იგებენ, თვით უთითებენ წმ. ეგნატის ეპისტოლეს მაგნესიელთა მიმართ, სადაც იგივე სიტყვა ორგზის გვხვდება. მაგრამ როგორი შინაარსი აქვს მას მითითებულ შემთხვევებში? აი, პირველი ადგილი: "მოთავეა /"პროკათემენოს"/ ეპისკოპოსი ღვთის ადგილას, ხოლო მღვდლები – მოციქულთა ადგილას"/ /მაგნესიელთა მიმართ, VI.1/. შდრ. გიორგი მთაწმიდლის თარგმანი: "მსგავსად ღმრთისა, წინაშე-მჯდომარე იყოს ეპისკოპოსი თქუენი და ხუცესნი – სახედ მოციქულთა კრებულისა". როგორც ვხედავთ, მოტანილ ტექსტში ისაა უწყებული, რომ ეპისკოპოსი ღვთის ნაცვლად მოთავეობს, წინამძღვრობს მრევლს, ერს, ქვეყნის ცხოვრებას /და არა სხვა ეპისკოპოსებს/, ისევე, როგორც მღვდლები მოციქულთა მსგავსად მოთავეობენ ერსა და ქვეყანას /და არა ერთმანეთს/. "მოთავეობა" რომ წმ. ეგნატისათვის არ ნიშნავს კონკრეტულად უპირატესობას, არამედ, ზოგადად სულიერების მიერ ერის წინამძღვრობას, ეს გაკლებით უკეთ ჩანს მეორე შემთხვევაში, სადაც ჩვენთვის საინტერესო ზმნიდან ნაწარმოები ზედსართავი "პროკათემენოს" /თავჯდომარე, მოთავე/ მრავლობით რიცხვში გვხვდება. ასე მიმართავს მაგნესიელთა მრევლს წმ. ეგნატი: "არავინ იყოს თქვენს შორის, ვინც შეძლებდა თქვენს განყოფას, არამედ შეუერთდით ეპისკოპოსს და მათ, რომლებიც მოთავეობენ უხრწნელების სახითა და მოძღვრებით" /მაგნესიელთა მიმართ, VI.2/". მოტანილი ციტატა უეჭველად ცხადყოფს, რომ სამღვდელო დასის წევრები თანაბრად არიან მოთავენი ანუ წინამძღვარნი ერისა. ამავე შინაარსით პავლე მოციქულთან გვხვდება ტერმინი "პროესტოტეს" /"წინამდგომარენი", "წინამძღვარნი"/, რომელიც იდენტურია ზემორე სიტყვისა. აი, შესაბამისი ადგილი: "მღვდლები, რომლებიც კეთილად მოთავეობენ" /სიტყვ. "კეთილად მოთავე მღვდლები": შდრ. ძვ. ქართული თარგმანი: "რომელნი კეთილად ძოდიან ხუცესნი"; 1 ტიმ. 5,17/.

ვფიქრობთ, წმ. ეგნატი რომის ეკლესიას დაგვისახავს არა როგორც სხვა ეკლესიათა მოთავეს, მათზე უპირატეს, არამედ, სხვა ეკლესიების მსგავსად, ანუ სხვა ეკლესიებთან ერთად, წინამძღვარს ქვეყნისას. რომის ეკლესია ისეთივე წინამძღვარია რომაელთა მხარეში, როგორც ეფესოს, მაგნესიის, სმირნის და სხვა ქალაქთა ეკლესიები. ალბათ, საყურადღებოა, რომ რომაელთა ეკლესიის მიმართვაში ზმნას "პროკათეტაი" წინ უძღვის სიტყვა "კაი", რომელიც ქართული "-ც" ნაწილაკის ფარდია და ნიშნავს: "აგრეთვე". ფრაზა "ჰო კაი პროკათეტაი " შეიძლება

ითარგმნოს: "ისიც მოთავეა", "ისიც, აგრეთვე, წინამძღვრობს", რაც, ალბათ, ნიშნავს: სხვა ეკლესიებთან ერთად, რომლებსაც ადრე გაუგზავნა ეპისტოლე წმ. ეგნატიმ, ქალაქ რომის ეკლესიაც წინამძღვარია რომაელთა ქვეყნისა.

საგულისხმოა, რომ იმავე მიმართვაში წმ. ეგნატი რომის ეკლესიას უწოდებს "მოთავეს" ანუ "წინამძღვარს" /"პროკათემენე"/ სიყვარულისას. ეჭვი არ არის, აქაც ზოგადეკლესიურ მოთავეობაზეა საუბარი და არა კონკრეტულად რომის ეკლესიის სხვა ეკლესიებთან შედარებით უპირატესობაზე /შდრ. ამ ადგილის გიორგი მთაწმიდლისეული თარგმანი: "წინამძღუარსა სიყუარულისასა"/.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ წმ. ეგნატი გამორჩეული ეპითეტებით მიმართავს, გარდა რომისა, აგრეთვე სხვა ეკლესიებსაც. მაგალითად, ეფესელთა ეკლესიას იგი უწოდებს "ყამთა უწინარეს წინაგანჩინებულს ყოვლითურთ მარადიული დიდებისათვის". ძნელია მოიძებნოს უფრო აღმატებული სახელდება ეკლესიისა, მაგრამ ამგვარი მიმართვა, ცხადია, არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს ღირსების ნიშნით ეფესოს ეკლესიის სხვა ეკლესიებზე უპირატესობას. იმავე ეფესოს ეკლესიას წმ. ეგნატი უწოდებს "უმეტესად ნეტარღირსეულს" /"აქსიომაკარისტოს"/, სმირნელთა ეკლესიას მიმართავს, როგორც "უმეტესად ღვთივღირსეულს" /"აქსიოპრეპესტატოს"/ და სხვა.

წმ. გიორგი მთაწმიდელი ზემოგანხილულ ზმნას "პროკათეტაჲ" მდებარეობითი შინაარსით აღიქვამს და ასეთ თარგმანს გვაწვდის: "წმიდასა ეკლესიასა... რომელი-იგი შენ-არს /ე.ი. აშენებულია, ე.ჭ./ ღმრთივბრწყინვალედ სოფელსა შინა ჰრომაელთასა" /იხ. "ეპისტოლენი წმიდისა ეგნატი ღმერთშემოსილისანი", გამოსცა ა. ბოროდამ, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1989, გვ. 619/. როგორც ვხედავთ, არც გიორგი მთაწმიდელი ჭვრეტს ბერძნულ ტექსტში რომის ეკლესიის უპირატესობაზე ხაზგასმას. საგულისხმოა, რომ წმ. ეგნატი ეფესოს ეკლესიას პირდაპირ უწოდებს "გამორჩეულს" /"ეკლეგმენე", იხ. პგ. 5, სვ. 732 ა/, მაგრამ, ცხადია, არც ეს წოდება მიანიშნებს ეფესოს ეკლესიის უმეტეს ღირსებაზე კონკრეტულად სხვა ეკლესიებთან შედარებით /გიორგი მთაწმიდელი შესაბამისი სიტყვისა და მთელი კონტექსტის ასეთ თარგმანს გვაწვდის: "წინასაუკუნითგან წინაჲსწარგანჩინებულსა და შეერთებულსა და გამორჩეულსა ვნებითა მით ჭეშმარიტითა", დასახ. გამოც. გვ. 604/. "რჩეული" /"ეკლეკტე"/ ეწოდება, აგრეთვე, ტრალისელთა ეკლესიას /შდრ. "რჩეულსა და ღირსსა ღმრთისასა", დასახ. გამოც. გვ. 535/, რაც, ასევე,ზოგადად, საეკლესიო ღირსების აღმნიშვნელია.

2. "ქრისტეს სჯულიერი" – "ხრისტონომოს"; ეს სიტყვა ნიშნავს "ქრისტეს სჯულის მატარებელს", "ქრისტეს სჯულისას". შდრ. გიორგი მთაწმიდლის თარგმანი: "ქრისტეს აღმსარებელი". ჩვენამდე მოღწეულ ბერძნულ ტექსტში გვაქვს "ხრისტონუმოს" /"ქრისტეს მოსახელე"/, მაგრამ რადგანაც სამი უძველესი თარგმანი /ლათინური, სირიული და სომხური/ პირველ წაკითხავს უჭერს მხარს, მკვლევარებმა კრიტიკულ ტექსტში აღადგინეს "ხრისტონომოს". ალბათ, ამავე წაკითხვას უჭერს მხარს გიორგი მთაწმიდლისეული "ქრისტეს აღმსარებელი", რადგანაც მეორე წაკითხვა, "ხრისტონიუმოს", საფიქრებელია, მას ეთარგმნა, როგორც "ქრისტეს სახელმოდგამი", თუმცა ორიგინალისაგან მნიშვნელოვანი დაცილებანი გიორგი მთაწმიდლის თარგმანში შეიმჩნევა. მაგალითად., მომდევნო ეპითეტი "ჰატრონიუმოს" /"მამის მოსახელე"/ მას თარგმნილი აქვს, როგორც "მამისა მადიდებელი" /დასახ. გამოც. გვ. 619/.

3. "წრფელად" – ბერძ. "ადიაკრიტოს": ლათ. indiscretim. ბერძნული "ადიაკრიტოს", ჩვეულებრივ, ნიშნავს "განუყოფლად, განუწვალებლად"; აგრეთვე, "განურჩევლად", მაგრამ, როგორც ცნობილია, ეს სიტყვა "ახალ აღთქმაში" და ადრექრისტიანულ მწერლობაში გულისხმობს: "პირუთნელად, უპირფერად, გულწრფელად, უყოყმანოდ". მისაღებია ფრანგული თარგმანი inebranblement /ურყევად/, თუმცა იგი ზედმიწევნით ვერ ასახავს ბერძნულ ტერმინს. კონტექსტისათვის არაზუსტია რუსული [неразделько] /პრეობრაჟენსკის თარგმანი/. შესანიშნავია გიორგი მთაწმიდლის თარგმანი: "შეუორგულებელად", რაც ნიშნავს: "წრფელად, გულწრფელად" /იხ. ძველი ქართული ენის ლექსიკონი, ი. აბულაძის მასალები, თბ. 1973, გვ. 490/. აქ რომ ბერძნული ტერმინი სწორედ "სიწრფელეს" ნიშნავს და არა "განუყოფლობას", ამას ცხადყოფს კონტექსტი, სადაც საუბარია საღვთო მადლის წრფელად მიღებაზე ანუ საღვთო სიყვარულის წრფელად შეწყნარებაზე. პავლე მოციქული გვაუწყებს: "წარუდგინენით თავნი თქუენნი... სიყუარულითა შეუორგულებელითა" /11 კორ. 6,6; დასახ. ლექსიკონი,

გვ. 490/. "სიყვარული შეუორგულებელი" ბერძნულში არის, როგორც: "აგაპე ანიპოკრიტოს". სიტყვა "ანიპოკრიტოს", რომელიც მოტანილ კონტექსტში უთუოდ იდენტურია სიტყვისა "ადიაკრიტოს", ნიშნავს მხოლოდ "გულწრფელობას, უპირფერობას" /იხ. უ. არნდტი, ფ. ჯინგრიჩი, ახალი აღთქმისა და სხვა ადრექრისტიანული ლიტერატურის ბერძნულ-ინგლისური ლექსიკონი, კემბრიჯი, 1957, გვ. 76/. მსგავსი შინაარსისაა, აგრეთვე, გამოთქმა "სარწმუნოებაჲ შეუორგულებელი" /"პისტის ანიპოკრიტოს"; იხ. 1 ტიმ. 1,5; სხვა ნიმუშები იხ. დასახ. ლექს. გვ. 490/.

4. "განწმედა" – ბერძ. "აპოდიიულიძო" პირდაპირი აზრით აღნიშნავს "გაფილტვრას", "ფილტრში გატარებას", გადატანით კი "განწმენდას" /შდრ. ლათ. repurgo/.

5. "ფერი" – ბერძ. "ზრომა"; ლათ. color" შდრ. გიორგი მთაწმიდლის თარგმანი: "განუშორებელად ყოვლისავე უკეთოჲსა სახისაგან და წესისა" /დასახ. გამოც. გვ. 619/.

6. ამ სიტყვებით წმ. ეგნატი აშხელს შინაგან შიშს იმისას, რომ რომაელთა დიდმა სიყვარულმა კვლავ ამქვეყნიური მოღვაწეობისაკენ არ მოაბრუნოს იგი და კეთილად დაწყებული მოწამეობრივი გზა არ დაუბრკოლდეს. ეს შიში მთელი ეპისტოლის მანძილზე იჩენს თავს. საგულისხმოა, რომ ტრალიელთა მიმართ გაგზავნილ ეპისტოლეში ასეთივე შიშია გამჟღავნებული ამპარტავნების მიმართ: "ჩემს თავს ვზღუდავ, რომ ამპარტავნებით არ წარვწყმდე, რადგანაც მმართებს აწ დიდად ვეფრთხოდე და ვერიდებოდე მათ, რომლებიც მაამპარტავნებენ მე" /IV.1; შდრ. გიორგი მთაწმიდლის რამდენადმე გავრცობილი თარგმანი: "უწყი საზომი თავისა ჩემისაჲ და თავსა ჩემსა განვიზომ, რაჲთა არა წარვწყმდე სიქადულითა... უფროჲსი შიში თანა-მაც და არა მიხედვად მათდა, რომელნი ამაოდ აღმაზუაებენ მე", დასახ. გამოც. გვ. 537/. ფ. ფუნკი აღნიშნულ სიტყვებს უკავშირებს ლიონელ მარტვილებს, რომლებიც, ევსები კესარიელის მოწმობით, საკუთარ თავს მარტვილებს არ უწოდებდნენ და არც სხვებს რთავდნენ ნებას, ამგვარად მიემართათ მათთვის /იხ. ეგნატი ანტიოქელი... ჰ. კამელოს – გამოც. გვ. 98, შენ. 1/. პირველწყარო, ლიონის ეკლესიის ეპისტოლე ასე წარმოგვიდგენს თავის მარტვილებს: "მათ იმდენად აღიშურვეს ქრისტესადმი და იმდენად ჰბაძეს მას, "რომელი-იგი ხატი ღმრთისაჲ იყო... /ფილ. 11.6/, რომ თუმცა ამგვარ დიდებაში იყვნენ და არათუ ერთგზის ან ორგზის, არამედ მრავალგზის იმარტვილეს... მაინც თავიან თავს მარტვილებად არ რაცხდნენ და არც ჩვენ გვრთავდნენ ნებას ამ სახელით გეეწოდებინა მათთვის; ხოლო თუ ვინმე ჩვენგანი ან ეპისტოლეში ან სიტყვიერად მარტვილებად სახელდებდა მათ, მკაცრად გაიცხადნენ /"ეპეპლესსონ პიკროს"/. ისინი წადიერად განუკუთვნებდნენ მოწამეობის წოდებას ქრისტეს, სარწმუნოსა და ჭეშმარიტ მარტვილს, მკვდართა პირჭმოსა და საღვთო ცხოვრების წინამძღვარს, ამასთან მოიხსენიებდნენ გარდაცვლილ მარტვილებს და ამბობდნენ: "ისინი უკვე არიან მარტვილები, რომლებიც ქრისტემ ღირს-იჩინა და შეიწყნარა მათეულ აღსარებაში, როდესაც სიკვდილის გზით ბეჭედი დაადო მათ მარტვილობას; ჩვენ კი ვართ ჩვეულებრივი და უბრალო აღმსარებლები", შემდეგ კი ცრემლებით მოუწოდებდნენ და ევედრებოდნენ ძმებს, რომ მხურვალედ ელოცათ მათი აღსრულებისათვის" /ევსები კესარიელი, საეკლესიო ისტორია, ბერძნული ტექსტი, თარგმანი და შენიშვნები გ. ბარდისა, პარიზი 1955, გვ. 23-24-წიგნი V, თავი 11,2-3/.

ამგვარი განცდის გამოხატულებაა, აგრეთვე, წმ. ეგნატის სიტყვები: "მიყვარს /"აგაპო"/ წამება; მაგრამ არ ვიცი, ღირსი თუ ვარ" /ტრალისელთა მიმართ IV.2/.

7. სიტყვ. "მარბოლი გავხდები" /"ესომაი ტრეხონ"/. შდრ. გიორგი მთაწმიდლის თარგმანი: "უკუეთუ ჯორკთა ჩემთა ეტრფიალნენ, კუალად ვრბიოდი და მიმოვიქცეოდი სოფელსა ამას შინა" /დასახ. გამოც. გვ. 619. ამ შემთხვევაში "სრბოლა" მიწიერ ცხოვრებას ნიშნავს, რაც თითქმის განვლილი წმ. ეგნატიმ. საგულისხმოა, რომ გიორგი მთაწმიდელის ზემომოტანილი თარგმანი-კომენტარი "სრბოლას" სწორედ ასე განაკრცობს: "მიმოქცევა სოფელსა ამას შინა".

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ ასკეტურ მწერლობაში ცნობილია უარყოფითი შინაარსით ტერმინი "პალინ-დრომესაჲ" /"კვლავ სრბოლა"/, რითაც აღინიშნება საღვთოდ დაწინდული ასკეტის ამქვეყნიური ყოფისაკენ მიბრუნება. ცნობილი ჰიმნოგრაფის სტეფანე საბაწმინდელის /X ს./ ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში "თხრობა წმიდა მამათა მარტვილობის შესახებ, რომლებიც დახოცეს ბარბაროსებმა ანუ სარკინოზებმა ჩვენი წმიდა მამის საბას

სახელგანთქმულ ლავრაში", ვკითხულობთ: "სამარცხვინოა, უამურია და საყვედრელია, რომ კაცობრივი შიშის გამო ამქვეყნიურობისაკენ მობრუნდნენ და კვლავ სრბოლას /"პალინდრომესაჲ/ მიეცნენ ისინი, რომლებიც ერთგზის უკვე უცხოიქმნენ ამქვეყნისაგან და არამცირედი ჟამი განლიეს უდაბნოებში" /–პალესტინური და სირიული აგიოლოგიის კრებული, ტ.1, გამოსცეს ა. პაპადოპულო – კერამეუსმა და ვ. ლატიშევმა, სანკტ–პეტერბურგი, 1907, გვ. 8/.

8. წმ. ეგნატი მისტიკურად ჭვრეტს თავის მიწიერ გზას აღმოსავლეთიდან /ანტიოქიიდან/ დასავლეთისაკენ /რომი/. დასავლეთი, საზოგადოდ, სიმბოლოა სიკვდილისა, ამქვეყნიური ცხოვრებიდან მზისებრ "დასვლისა" ანუ ჩასვლისა, რაც თავის მხრივ საღვთო წიაღში სულიერი "აღმოსვლის" საწინდარია. საგულისხმოა, რომ წმ. იოანე ოქროპირს წმ. ეგნატის გზა დასავლეთისკენ ესახება ამქვეყნიური მზისა და სულიერი, გონისეული მზის თანამსვლელობად: "მზისებრ ამოვიდა წმ. ეგნატი და დასავლეთისაკენ ისწრაფა მან, რომელიც უბრწყინვალესი იყო მზისა. თუკი მის ზემოთ მსრბოლი მზე გრძნობად სინათლეს აშუქებდა, თავად ეგნატი ქვემოდან ესხივებოდა მას და მოძღვრების გონისეულ ნათელს ანიჭებდა სულებს. ასევე, თუკი მზე დასავლეთის მხარეში ჩადის და თვალს ეფარება, რასაც მყისვე მოყვება ღამე, ხსენებული მოწამე დასავლეთში მისვლის შემდეგ უფრო ბრწყინვალე მზედ ამოვიდა" /pg. 50, col. 593/.

9. შდრ. 11 კორ. 4,18: "არა ვეძიებთ ჩუენ ხილულსა ამას, არამედ არახილულსა, რამეთუ ხილული ესე საწუთრო არს, ხოლო არახილული იგი საუკუნე არს."

10. იგულისხმება, რომ ჭეშმარიტი ქრისტიანობა რწმენასთან ერთად საქმეებსაც გულისხმობს, კერძოდ, ქრისტეს გამო დევნულებათა დათმენას და მარტვილობას, რითაც იდიდება მაცხოვარი და თავად სარწმუნოებაც. საგულისხმოა, რომ სიტყვა "ქრისტიანიზმი" /"ხრისტიანისმოს"/ საეკლესიო მწერლობაში პირველად წმ. ეგნატისთან გვხვდება.

11. აქ კვლავ გამოხატულია შინაგანი შიში, რომ სხვათა ზედმეტმა ზრუნვამ და სიყვარულმა არ შეაფერხოს მისი მოწამეობრივი გზა.

12. შდრ. გიორგი მთაწმიდლის თარგმანი: "არა უმეცარ ვარ უმჯობესსა ჩემსა" /დასახ. გამოც. გვ. 621/.

13. აღნიშნულ ქვეთავში "შობა", "ნათელი", "ადამიანი", ცხადია, სულიერებას გულისხმობს. წმ. ეგნატი საღვთო ნათელში სულიერად იშვება ზეცაურ კაცად ანუ გააცხოველებს თავის თავში სამოთხისეულ ადამს, ჭეშმარიტ ადამიანს, თავის ჭეშმარიტ ბუნებას, ღვთის ხატსა და მსგავსებას. ჯ. ლაითფუტი შენიშნავს: "მარტვილის ტანჯვა მსგავსია მშობიარობის სალმობისა /შდრ. "საქმე მოციქულთა", 2,24 – "სალმობანი სიკუდილისანი"/. ახლოვდება ჟამი, როდესაც მოწამე უნდა გათავისუფლდეს სიკვდილისაგან, როცა ის უნდა იშვეს ახალი ცხოვრებისათვის. მშობიარობის ურვები, განცდილნი მიწიერი ეგნატის მიერ, შობას ანიჭებს ზეცაურ ეგნატს" /იხ. წმ. ეგნატის ეპისტოლეთა პ. კამელოს გამოცემა, გვ. 114, შენ.1/. მკვლევარი მოუხმობს ავგუსტინეს საგულისხმო სიტყვებს: "პეტრეს ხსენების დღეს ეწამა პავლეც, ხოლო არათუ დედის საშოდან კაცთა რიცხვს შეერთო იგი, არამედ ხორცთა ბორკილებიდან ანგელოზთა ადგილას იშვა" /იხ. ავგუსტინე, პეტრე და პავლე მოციქულთა ხსენების დღის შესახებ, PL. 39, col. 1683 = sermo 381; შდრ. კამელოს დასახ. გამოც. გვ. 114:, შენ.1/. პ. კამელო დასძენს:"ეგნატი ემზადება რომ იშვეს "სიცოცხლეში", "წმიდა ნათელში,"; ამიერიდან ის იქნება "ადამიანი". ანუ წმ. პავლესეული "ახალი ადამიანი– "კაინოს ანთროპოს" /ეფს.4,24/" /იქვე. გვ. 115/ საგულისხმოა იმის აღნიშვნაც, რომ ლათინური სიტყვა natalicium ანდა natalis, რომელიც ნიშნავს "შობას", "დაბადების დღეს", საეკლესიო ტექსტებში წმინდანთა სიკვდილს უკავშირდება და მათი ხორციელი აღსასრულის ხსენების დღეს გულისხმობს /იხ. ალბერტ ბლეზი, ქრისტიან ავტორთა ლათინურ–ფრანგული ლექსიკონი, 1954, გვ. 549/. ამგვარი გაიგივება სწორედ იმით აიხსნება, რომ ქრისტიანული რწმენით, წმინდანის ხორციელი სიკვდილი მისი სულიერი შობის დასაბამია.

14. შდრ. გიორგი მთაწმიდლის თარგმანი: "ჩემი იგი ტრფიალი ჯუარცუმულ არს" /გვ. 622/. მოწამეობის დასაბამია ბაძვა უფლის ვნებისადმი: "მაცადეთ, ვბაძო ვნებას ღვთისას" /VI.3/, ამბობს წმ. ეგნატი და შემდეგ დასძენს: "ჯვარს–ეცვა ჩემი ტრფიალება" /"ეროს" amor/. ზოგი თანმედროვე მთარგმნელი ბერძნულ "ეროსს" იგებს, როგორც "ხორციელ სურვილს". უკანასკნელ ფრანგულ თა–

რგმანში ვკითხულობთ: mon desir terrestre a ete crucifie /დასახ. გამოც. გვ. 117/, რაც ნიშნავს: "ჩემი მიწიერი სურვილი ჯვარს ეცვა". ამგვარი გააზრებით გამოდის, რომ წმ. ეგნატი გულისხმობს საკუთარ თავში მიწიერი გულისთქმის, მატერიალური ვნებების მოკვდინებას. წარმოდგენილ თარგმანს პ. კამელო იმით ასაბუთებს, რომ სიტყვა "ეროსი" "ახალ აღთქმაში" სულიერი სიყვარულის მნიშვნელობით არ გვხვდება. ეს მომენტი, ცხადია, საბუთი არ არის. ცნობილია, რომ წმიდა მამებმა ანტიკური ენიდან მომდინარე აურაცხელ ლექსიკას მოუხმეს და ჭეშმარიტად ქრისტიანული სული შთაბერეს სხვა შინაარსის მქონე სიტყვებს. საგულისხმოა, რომ დოგმატური ტერმინოლოგიის უძირითადესი ცნებები /"ერთარსება", "ერთბუნება", "სამგვამონვება" და მისთ./ არ გვხვდება "ახალ აღთქმაში", მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ აღნიშნულ ცნებებს რაიმე სხვა შინაარსობრივი წყარო ჰქონდეთ. რაც შეეხება კონკრეტულად "ეროსს", ეს სიტყვა უძირითადესია, მაგალითად, წმ. დიონისე არეოპაგელის მჭვრეტელობითი მეცნიერებისათვის, აგრეთვე მრავალი სხვა შედარებით მოგვიანო დროის ღვთივშთაგონებული ავტორისათვის. როგორც ჩანს, ამ ტერმინის ზემოაღნიშნული შინაარსით ქრისტიანობაში შემოსვლა სწორედ წმ. ეგნატის სახელს უკავშირდება. საყურადღებოა, რომ უშუალოდ ზემომოტანილი სიტყვების წინ გვხვდება ასეთი წინადადება: "გწერთ მე ცოცხალი, კვდომის მეტრფე". ეჭვი არ არის, რომ მიმღეობა "ერონ" /"მეტრფე"/, რომელსაც საფუძვლად აქვს იგივე ზმნა, რაც "ეროსს" /"ერაო" და "ერამაჲ"/, ამ შემთხვევაში უთუოდ სულიერ, საღვთო სიყვარულს გულისხმობს, რადგანაც ხორციელი სურვილების ასპექტით, ანუ მიწიერების თვალსაზრისით, არ შეიძლება, რომ ადამიანს სიკვდილი ანუ ხორციელი კვდომა უყვარდეს. სიტყვა "ეროსის" შინაარსის გაგებაში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ქრისტიანულ ტრადიციას, რადგანაც წმ. მამები გაცილებით ღრმად ჭვრეტდნენ ყოველივე იმას, რაც საღვთო სიყვარულს უკავშირდება. თვით პ. კამელო შენიშნავს, რომ მთელი ქრისტიანული ტრადიცია წმ. ეგნატის ზემომოტანილ სიტყვებში საღვთო სიყვარულს ხედავს, კონკრეტულად სიტყვა "ეროსს" კი იესუ ქრისტეს სახელდებად მიიჩნევს. ამ მხრივ, უპირველესად აღსანიშნავია წმ. დიონისე არეოპაგელი, რომელიც თავისი შრომის "საღმრთოთა სახელთათვის" IV თავში ვრცლად მსჯელობს იმის შესახებ, რომ "ეროსი" უფრო ცხოველ საღვთო სიყვარულს გულისხმობს, ვიდრე "აგაპე". პავლე მოციქულის მოწაფე აღნიშნავს /მოგვაქვს ეფრემ მცირის თარგმანი/: "ვინაჲცა სთნდა ვიეთმე ჩუენთა სამღდელო მეტყველთაგანთა უსაღმრთოესცა ყოფად "ტრფიალებისა" /ბერძ. "ეროს"/ სახელი უფროჲს "სიყუარულისასა" /ბერძ. "აგაპე"/. და სწერს საკვირველი ეგნატიცა: "ტრფიალი ჩემი ჯუარ-ცუმულ არს"... საღმრთოდ განისაკუთრეს /დიდმა ღვთისმეტყველებმა, ე.ჭ./ ჭეშმარიტი "ტრფიალება" /"ეროს"/ უფროჲს "სიყუარულისასა" /"აგაპე"/. ვინაჲცა დიდი პავლე, შეპყრობილ რაჲ იქმნა საღმრთოჲთა ტრფიალებითა და მიიღო ძალი იგი მისი განმაცვბრებელი, საღმრთოჲთა მით პირითა იტყჳს: "არღარა მე ცხოველ ვარო, არამედ ცხოველ არსო ჩემ შორის ქრისტე" /გალატ. 2,20/, და ვითარცა ჭეშმარიტი ტრფიალი, განცვბრებულადცა ღმრთისა უწოდს თავსა თჳსსა, რამეთუ არღარა თავისა თჳსისად ცხონდებოდა, არამედ ტრფიალსა მის მისისა ცხოველ იყო, ვითარცა ფრიად საყუარელისა" /IV.12; 13/.

ამგვარად იაზრებს წმ. ეგნატის სიტყვებს ცნობილი საეკლესიო მწერალი თეოდორე სტუდიელი /გარდ. 826 წ./, რომელიც აღნიშნავს: "წმიდა მამებმა საჩინოყვეს ღვთისადმი მძაფრი ტრფობა, როდესაც ერთმა მათგანმა თქვა: "ვითარცა სურინ ირემსა წყაროთა მიმართ წყალთასა, ეგრეთ სურინ სულსა ჩემსა შენდა მიმართ, ღმერთო!" /ფს. 41,1/; სხვამ თქვა: "ტრფიალება ჩემი ჯვარცმულია, - ქრისტე" /თეოდორე სტუდიელი, სამოძღვრო ქადაგებანი, pg. 99, col. 512 D/. საგულისხმოა, აგრეთვე, რომ წმ. ეგნატის "ეროსში" ქრისტეს ხედავს ორიგენეც /გარდ. 254 წ./ იგი გვაუწყებს: "მახსოვს, რომ ერთერთი წმინდანი, სახელად ეგნატი, ქრისტეს შესახებ ამბობს: "ჯვარს-ეცვა ჩემი ტრფიალება" /Prol. in Cant. 3; pg. 13, c. 70. იხ. პ. კამელოს დასახ. გამოც. გვ. 116; შდრ. ა. ბოროდას გამოც. გვ. 622, შენ. 4; იხ. აგრეთვე, მიქაელ სვინგელოზის მოწმობა ეპისტოლის თარგმანისადმი წამძღვარებულ ჩვენს "წინათქმაში"/.

15. იგულისხმება, რომ თუ რომაელები ინებებენ, ისურვებენ ანუ საათნო-იჩენენ უმჯობესს ეგნატისათვის /ე. ი. მის მოწამეობრივად აღსრულებას/, ღმერთიც

ინებებს, ისურვებს სათნო-იჩენს მათ.

16. "უტყუარი პირი" ანუ ძველი ქართული "პირი უტყუველი" /"აფსეუსტეს სტომა"/ ქრისტიანულ ტრადიციაში სახელედება როგორც თავად მაცხოვარს, აგრეთვე მის მზაძველ ყველა წმიდა მამას. ორიგინალური ძეგლებიდან ეს შესიტყვება გვხვდება, მაგალითად, "სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში".

17. წმ. ეგნატი ევედრება რომაელებს, დათრგუნონ მისდამი სიყვარული, რომ მასშიც არ აღენთოს მსგავსი განცდა და მოწამეობისათვის დაწინდული სული კვლავ ამქვეყნიურობას არ დაუბრუნდეს, ანუ არ დაბრკოლდეს მისი მარტვილური გზა. ჭეშმარიტი სიყვარულის გამოვლენად წმ. ეგნატის ესახება მთლიანი დათრგუნვა მისდამი თანალმობისა, აგრეთვე, სრული მდუმარება მისი ღვაწლის შესახებ, ეს კი მაშინ გამოვლინდება, როდესაც აღსრულდება ვნება. ამგვარად, ეგნატის ვედრებაა, რომ რომაელებმა მარტვილობისათვის გაწირონ იგი, რაც ნიშნავს, ინებონ, სათნო-იჩინონ მისი მოწამეობა. ეს გზა შეიძლება დააბრკოლოს მხოლოდ მათმა ადამიანურმა თანალმობამ. ამიტომ, ამბობს მარტვილი, თუ ვერ ეღირსა იგი ვნებას, ამის მიზეზი იქნება სწორედ რომაელთა მისდამი სიყვარული, რაც არსებითად სიძულვილია.

18. "ვინმე" გულისხმობს იმავე "ადამიანს" /შდრ. "რაჟამს იქ მივალ, შევიქმნები ადამინი" VI. 2; იხ. შენ. 13/, ანუ ჭეშმარიტ "ვინმეს", ახლადშობილ, განახლებულ კაცს, მას ვინც ნამდვილად, ცხოვლად არსებობს და არა ამქვეყნიურად, ნივთიერად. პ. კამელო შენიშნავს: "ის /წმ. ეგნატი/ ვერ იქნება "ვინმე" მარტვილობის გარეშე" /დასახ. გამოც. გვ. 115/.

19. შდრ. გიორგი მთაწმიდლის გავრცობილი თარგმანი: "...ეკლესიათა, შემწყნარებელთა ჩემთა სახელისათჳს ქრისტესისა, - არა ვითარცა მწირი და მოგზაური, არამედ ვითარცა თავი და მოძღუარი მათი" /გვ. 624/.

20. პ. კამელო შენიშნავს: "ქალაქები, რომლებიც არ მდებარეობდნენ რომისაკენ წმ. ეგნატის მიერ გასავლელ გზაზე (ეს არის "ზორციელი გზა", "სულიერი გზა" ისაა, რომელიც ღვთისაკენ მიდის), მისდამი მიავლენდნენ წარმომადგენლებს, რომლებიც უნდა დალოდებოდნენ წმინდანს მის მიერ გასავლელ ქალაქებში" /დასახ. გამოც. გვ. 118/.

21. ეს კროკოსი, როგორც ქალაქ ეფესოდან წარმოგზავნილი ჯგუფის წევრი, იხსენიება ეფესელთა მიმართ ეპისტოლეში: "...კროკოსი, ღირსი ღვთისა" /11.1/.

22. წმ. ეგნატის სიტყვები ცხადყოფს, რომ ქრისტიანთა დევნულების მსხვერპლნი სხვებიც ყოფილან, რომლებიც მასზე ადრე შეუპყრიათ ანტიოქიაში და აქედან რომში გადაუგზავნიათ "ღვთის სადიდებლად" ანუ მარტვილობისათვის.

23. რომაელთა მიმართ ეპისტოლე ერთადერთია წმ. ეგნატის ეპისტოლეთა შორის, რომელსაც ახლავს ნაწილობრივი თარიღი /კერძოდ, დღის აღნიშნა/. მითითებული რიცხვი შეესაბამება 24 აგვისტოს /იხ. პ. კამელოს დასახ. გამოც. გვ. 11; 119; შდრ. ა. ბოროდას გამოც. გვ. 624, შენ. 2/.

ბჟელი მერბნულიდან თარგმნა,
წინათქმა და კომენტარები დაურთო
ედიშერ ჭელიძემ.

ექვთიმე კოჭლამაზაშვილი

მიცვალებულთა მოხსენების დღეების შესახებ

(წერილი პირველი)

ეკლესიაში ხშირად ისმის კითხვა: რომელ დღეებში უნდა მოვიხსენოთ მიცვალებულთა სულნი? რატომაა საამისოდ დაწესებული სახელდობრ მესამე, მეცხრე, მეორმოცე დღეები მიცვალებიდან; აგრეთვე წლისთავი და საზოგადო ხსენების დღეები (მსოფლიო შაბათი, დიდი მარხვის II,III და IV შაბათები, გარეგნობა, სულთაობა, ხალარჯობა და სხვ.)?

მიცვალებულის მოხსენების საჭიროება, მისი სახელით სხვადასხვა ქველისმოქმედების (შესაწირავის გაღება, გლახაკთა მოწყალება, ჟამისწირვის შესრულება, აღაპის გამართვა და სხვ.) ჯეროვანება ეჭვს არ იწვევს; მორწმუნეთ სწამთ იმქვეყნიური ცხოვრება და სულიერი შეწევნის ძალა, მაგრამ როდესაც კითხვა ეხება მოხსენების დღეებს, ხშირად არაერთგვაროვან პასუხებს ვისმენთ. მაგალითად, ზოგჯერ მეცხრე დღის ნაცვლად მეშვიდეს მიუთითებენ; შესაწყნარებლად მიაჩნიათ მეორმოცე დღის მოხსენების ნაადრევი ან ნაგვიანევი შესრულება ("დასწრება" ან "გადაცილება"); ტრადიციულ "გარეგნობას" რუსული -თი ანაცვლებენ; ზოგიერთ საუფლო და საღმრთისმშობლო დღესასწაულს (ფერისცვალება, ქრისტეს შობა, ღმრთისმშობლის მიძინება...) უმართებულოდ მიიჩნევენ მიცვალებულის მოხსენების საგანგებო დღედ და ა.შ.

ხსენების დღეებთან დაკავშირებულ თითოეულ კითხვას დასაბუთებული პასუხი ესაჭიროება, - დაფუძნებული საღმრთისმეტყველო მოძღვრებაზე, ღმრთისმსახურების წეს-განგების (ტიპიკონის) ლიტერატურულ წყაროებსა და საეკლესიო ტრადიციაზე.

ქართულ ენაზე პოპულარული საღმრთისმეტყველო ლიტერატურის ნაკლებობის გამო (ვგულისხმობთ ბეჭდვით ლიტერატურას) ხშირად მიმართავენ რუსული ენიდან თარგმნას (ერთ-ერთი ასეთი სტატია, - მიცვალებულთა ხსენების შესახები, - იხ. "საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1980 წლისათვის", გვ. 147-148. ეს რომ ნამდვილად რუსულიდანაა თარგმნილი, ადასტურებს, მაგალითად, ისეთი აშკარა რუსიზმი, როგორიცაა "სვიმონ სალუნელი" - "სვიმეონ თესალონიკელის" ნაცვლად და სხვ.). ვფიქრობთ, პირველ რიგში გვმართებს ქართულ ენაზე არსებული დიდძალი სასულიერო ლიტერატურის შესწავლა. რუსული ენიდან თარგმნა განსაკუთრებით მაშინაა გაუმართლებელი, როცა ქართულად უკვე არსებობს ამა თუ იმ თხზულების ბრწყინვალე თარგმანი, შესრულებული დედნიდან (უმეტესწილად - ბერძნულიდან).

ამჯერად გვინდა მკითხველს გავაცნოთ ეგზეგეტიკურ-ჰომილეტიკურ კრებულ "მარგალიტში" დაცული ერთი ლიტერატურული ძეგლი, რომელშიც მბატკნულად და აპოკრიფული შეფერილობითაა აღწერილი სულისა და ხორცის გაყრა, და მასთან დაკავშირებით განხილულია მიცვალებულთა მოხსენების დღეების (მიცვალებიდან მესამე, მეცხრე, მეორმოცე დღეები და წლისთავი) მისტიკური მნიშვნელობა.

ჩვენთვის საინტერესო კრებული დასათაურებულია ასე: "სწავლანი სულიერნი, გამოკრებულნი წმიდათაგან წიგნისაგან მარგარიტისა და დაბადებისაგან ღმრთისა" (XVIII ს. ხელნაწერი A 1369). ამ კრებულს დიდი ინტერესი აღუძრავს სასულიერო მწერლობის უბადლო მკვლევარის კორნელი კეკელიძისათვის. თავის "ლიტერატურის ისტორიაში" იგი ვრცლად ეხება მას (ტ. 1. 1980, 451-456. აქვეა დასახელებული "სულიერ სწავლათა" სხვა ნუსხებიც) და ასკვნის: "ამ კრებულის შემადგენელი ნაწილები უძველესი დროიდანვე ყოფილა ცნობილი ქართულ ენაზე; მაგრამ კრებული, როგორც ასეთი, შეიძლება მართლაც შედარებით გვიან გაჩენილიყო. ვიღაც უცნობ რედაქტორს თავი მოუყრია ყველა იმ სტატიისათვის, აპოკრიფულისა თუ არააპოკრიფულისათვის, რომელნიც კითხვა-მიგების სახით არსებობდა ქართულ მწერლობაში. ამავე დროს, რათა ეს საინტერესო მასალა უფრო გასაგები გაეხადა მკითხველი მასისათვის, მას გაუკეთებია

ენა და სტილი ზოგიერთი სტატიისა" (იქვე, 455–456). კ. კეკელიძეს მოჰყავს მაგალითები იმისა, რომ "სულიერ სწავლათა" კრებულში X-XI სს. თარგმანებიცაა შესული (მათ შორის ეფთვმე ათონელისაც), და ამით ხაზს უსვამს მის ლიტერატურულ ღირებულებას.

პირველხსენებული კრებული თანამედროვე მკითხველისთვისაც არაა ინტერესს მოკლებული. ამიტომ ჩვენ განვიზრახეთ მისი საგანგებო შესწავლა: ლიტერატურული წყაროებისა და პარალელების მოძიება, ტექსტის თავდაპირველი სახისა და გვიანდელი რედაქციული დამუშავების წარმოჩენა, აპოკრიფული და კანონიკური წყაროებიდან მომდინარე სტატიების გამიჯვნა...

ტექსტის დაბეჭდვა სრული სახით ცალკე წიგნად გვაქვს განზრახული. ამჯერად კი გთავაზობთ მის ერთ ფრაგმენტს, რომელშიც სულისა და სხეულის გაყრაა აღწერილი და დასათაურებულია ასე: "...საქმე ესე სულისა" (A1369, 34r–38v). იგი იწყება სიკვდილის საშინელების აღწერით [1–9]; მერმე წარმოსახულია მიცვალებულის ვედრება ანგელოზებისადმი [10–11]; ამ უკანასკნელთა მიერ სულის გამოყვანა გვამისაგან და განტევება (გაშვება) "სოფელსა შინა" ორი დღით [18–21]; სინანული ცოდვილი სულისა; მესამე დღეს მისი ამაღლება ზეცად (იესუ ქრისტეს ანალოგიით, რომელიც მკვდრეთით აღდგა ჯვარცმიდან მესამე დღეს) [21]; გზადაგზა "ჰაერის მცველ" ეშმაკთა შემასმენლობა (მიცვალებულის ცოდვათა მხილება, დასმენა) და ანგელოზთა-მიერი შეწევნა [22–25]; მესამე დღესვე მიცვალებულის სულის თაყვანისცემა ღმრთის წინაშე [26–27]; მერმე ექვსი დღით სამოთხეში შეყვანა[28–30]; მეცხრე დღეს (3+6=9) იქიდან გამოყვანა და ღმრთის წინაშე მეორე თაყვანისცემა [31–33]; ამის შემდეგ ჯოჯოხეთში ჩაყვანა 30 დღით და მის საშინელებათა მოხილვა (9+30=39) [34–36]; მეორმოცე დღეს კი ისევ ზეცად აყვანა და მესამე თაყვანისცემა ღმრთის წინაშე [37–39].

თითოეული თაყვანისცემის დროს "წინაშე ღმრთისა განიკითხვის სული იგი". ამიტომაც ამ დროს ანგელოზები განსაკუთრებით ევედრებიან უფალს და მათთან ერთად მიცვალებულის მოყვასთაც თანა-აძს (ევალებათ; სიტყვიდან: "თანანადები" – ვალი) ჟამის-წირვა შეასრულებინონ ხუცესს. "სულიერ სწავლათა" ტექსტის მიხედვით "უკუეთუ შეწირონ მსხუერპლი მეორმოცესა დღესა და გლახაკთა მისცენ, შემწირველი აცხოვნებს სულსა [თჳსსა] და მიცვალებულსაცა". ამის მიხედვით "განბჭობს უფალი სულისა მისთვის". თუ "კეთილი ადგილის" ღირსი იქნება, სამოთხეში დაამკვიდრებს, ხოლო თუ "ბოროტისა ღირს" – ჯოჯოხეთში.

თითოეულ შემთხვევაში (მიცვალებიდან მესამე, მეცხრე და მეორმოცე დღეები) საგანგებოდაა აღნიშნული მიცვალებულის მოხსენება მსხვერპლის შეწირვით ანუ ჟამისწირვით: "ნეტარ-ძი მას, ვინ შეწირა უსისხლო იგი მსხუერპლი, რამეთუ სულსაცა აცხოვნებს და მასცა, რომლისათვის შეწიროს". როდესაც ანგელოზებთან ერთად კაცნი ევედრებიან ღმერთს სისხლითა და ჯორკითა მისითა" (ე. ი. ჟამისწირვით), "გლახაკთა მიცემითა და პანაშვიდითა", მაშინ "დიდად შეიწყალებს ღმერთი სულსა მას და მისთა შემწირველთაცა მის თანა". ამით ხაზი ესმება აღნიშნულ დღეებში მიცვალებულის მოხსენების დიდ მნიშვნელობას და ერთგვარად კანონის ძალას იძენს. წმ. ჟამისწირვა უფლის "სისხლთა და ჯორკით" ვედრებად მოხსენებულია იმიტომ, რომ უსისხლო მსხვერპლი ჟამისწირვის დროს სულიწმიდის ძალით საიდუმლოდ გარდაიქმნება უფლის სისხლად და ხორცად. წინამდებარე ტექსტის მიხედვით მიცვალებულის მოსასხენებელთა შორის ჟამისწირვას უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება. სასურველია აგრეთვე "გლახაკთა მიცემა" (ღარიბ მოყვასთათვის დახმარების გაწევა) და პანაშვიდიც, მაგრამ ისინი ჟამისწირვას ვერ გაუტოლდებიან თავისი მნიშვნელობით. იგივე აზრია გამოხატული ერთ აპოკრიფულ კითხვა-მიგებაში, რომელიც იმავე კრებულს შემოუნახავს. გრიგოლი ღმრთისმეტყველის კითხვაზე, – "რაჲ სჯობს მიცვალებულისათვის, რაჲთა უყოს კაცმან: ლოცვა, მარხვა, მოწყალება თუ წირვა"-ო, ანგელოზი მიუგებს: "მარხვა და ლოცვა მმარხველთა და მლოცველთა ოდენ აცხოვნებს; ხოლო მოწყალება, ვითარცა დათესოს კაცმან თესლი კეთილი და ნაყოფსა მოელოდეს მრავალსა; ხოლო წირვა, ვითარცა ორბი შთაჯდების მაღალსა კლდესა და მაღლით აღიყვანოს ნადირი, ეგრეთვე წირვა შთაჯდების ფსკერსა ჯოჯოხეთისასა და აღმოიყვანს სულსა ცოდვილისასა და განაბრწყინვებს მზეებრ, უკუეთუ გულ-სავსედ და წმიდად წიროს მღვდელმან" (A1369, 126v–127r).

ჩვენი ტექსტის მიხედვით გარდაცვალებიდან მესამე,

მეკხრე და მეორმოცე დღეების გარდა მიზანშეწონილია წლისთავის აღნიშვნაც: "კუალად მოქცევასა წელიწდისასა შეიწირვის მისთვის გლახაკთა მიცემა, ჟამისწირვა, გამოზრდა მშიერთა. ესე ყოველი კეთილ არს". საინტერესოა, რომ აქ ანონიმი ავტორი კმაყოფილდება წლისთავის აღნიშვნის მიზანშეწონილობის ჩვენებით ("კეთილ არს"), და ისეთი თავგამოდებით აღარ ამტკიცებს მის აუცილებლობას, როგორც მესამე, მეკხრე და განსაკუთრებით მეორმოცე დღის მოხსენებისას.

"საქმე ესე სულისა" ან მისი პირველსახე (არქეტიპი), აპოკრიფული შინაარსის მიუხედავად, როგორც ჩანს, სანდო წყაროდ ყოფილა მიჩნეული და მტკიცედ დამკვიდრებულა საეკლესიო ცხოვრებაში. მის ავტორიტეტულობას მოწმობს არა მარტო მიცვალებულთა მოსახსენებლად ეკლესიაში დაწესებული დღეები (მიცვალებიდან მესამე, მეკხრე, მეორმოცე დღეები), არამედ ჰიმნოგრაფიული მასალაც. ჩვენს აპოკრიფთან ნათესაობას ამყარებს, მაგალითად, იოანე დამასკელის (VIII ს.) ერთი საგალობელი, რომელსაც მიცვალებულის წესის აღსრულებისას ვგალობთ:

"ჰ, ვითარი ღუაწლი აქუს სულსა, გან-რაჲ-ვიდოდეს ჯორკთაგან; ჰ, ვითარ-იგი მაშინ კრემლოინ, და არავინ არს მწყალობელ მისა; ანგელოზთა მიმართ მიჰხედავნ და ურგებად ევედრებინ. კაცთა მიმართ ჴელთა განმარტებნ და არავინ არს შემწე მისა".

ამ საგალობელში მოკლედაა გადმოცემული ჩვენი ტექსტის პირველი ნახევრის [1-15] შინაარსი:

1. "ღუაწლი" ანუ ტანჯვა, რომელიც "აქუს სულსა, გან-რაჲ-ვიდოდეს ჯორკთაგან," აღწერილია ჩვენი ტექსტის დასაწყისში [1-9].

2. კრემლის ღვრა ("ვითარ-იგი მაშინ კრემლოინ") ნახსენებია რამდენჯერმე: "თუალნი აღმევსებიან კრემლითა" [1]; "თვალნი კრემლითა აღევსებიან" [6]; "მაშინ იწყებს ტირილად. ანგელოზნიცა კრემლოინ მის თანა" [18]; "იწყებს ტირილად საზარელად" [20] "წუხს და ტირს სული იგი" [35].

3. ანგელოზთა მიმართ "ურგები" (ამაო, უსარგებლო, "ცუდი") ვედრება, რომელსაც იოვანე დამასკელი ასახელებს, აპოკრიფში დიალოგის სახითაა წარმოდგენილი [10-11], კაცთა (ცოლ-შვილის, მსახურთა, მეზობელთა, მეგობართა) მიმართ ვედრება კი - მონოლოგის სახით [14-15]. ეს განსხვავება იქვე ახსნილი: "სული იგი ხედავს სხუასა და სხუანი ვერ ხედვენ მას"-ო [19].

4. "არავინ არს მწყალობელ მისა"-ო (ე.ი. მიცვალებულისა) - იოანე დამასკელი გულისხმობს ანგელოზებსა და ადამიანებს. მიცვალებულს ვერც ანგელოზები შველიან რასმე და ვერც ადამიანები. აპოკრიფშიც იგივე აზრია გამოთქმული; ანგელოზებს არ ძალუძთ მონანიებისათვის სიცოცხლე გაუხანგრძლივონ ადამიანს, რადგან "ღმერთსა უბრძანებია წარყუანება" მისი, ხოლო სხვა ადამიანებს (ცოლ-შვილისა და ახლობლების ჩათვლით) არათუ არ შეუძლიათ შველა, არამედ აღარც ესმით ხორცისაგან გაყრილი სულისა.

ვფიქრობთ, მიცვალებულის ზემოაღნიშნული საგალობლისა და ჩვენი აპოკრიფის ნათესაობა აშკარაა. ამასთან, საეკლესიო ტრადიციას შემოუნახავს არა მარტო აპოკრიფის დედაარსი, არამედ მისი თითოეული ნიუანსიც.

საკითხავია, საიდან დაკანონდა ჩვენში მიცვალებულის მეორმოცე დღის მოხსენების ნაადრევი ან ნაგვიანევი შესრულება? ტერმინი "ორმოცი" ხომ მაინცდამაინც მეორმოცე დღეს მიუთითებს. უფლის წინაშე მიცვალებულის სული წარდგება მეორმოცე დღეს და სწორედ ამ დღეს იუნებოდა ჯეროვანი ლოცვა მიცვალებულისათვის, და არა ორმოცის "დასწრებით" ან "გადაცილებით".

ფიქრობენ, თითქოს ორმოცის "დასწრება" და "გადაცილება" დაკანონდა საეკლესიო ტრადიციის დავიწყებისა და საეკლესიო დისციპლინის შესუსტების შედეგად. ამ მოსაზრებას ის გამართლება აქვს, რომ "დასწრებისა" და "გადაცილების" ნორმა (ე. ი. როდის და რა შემთხვევებში უნდა დავასწროთ ორმოცს და რამდენი დღით) ჩვენთვის ცნობილი არაა და მისი დადგენა ცალკეულ შემთხვევებში თვითნებურად ხდება; ჭირის-უფალი ცდილობს, "ორმოცი" დაამთხვიოს შაბათს ან რომელიმე სხვა სახსნილო დღეს. ამის შედეგად მიცვალებულის მოხსენება სრულდება არა საკუთრივ ორმოცზე, არამედ 38-ე, 39-ე, 42-ე ან 43-ე დღეს. ამის მიუხედავად მას მაინც "ორმოცს" უწოდებენ.

ჩვენი აზრით, ორმოცის "დასწრება" და "გადაცილება" საეკლესიო დისციპლინის დარღვევის შედეგი კი არ არის, არამედ მიცვალებულის მოსახსენებლად ჟამისწირვის უპირატესობის აღიარებისა. ასეთი დასკვნის საფუძველს გვაძლევს წინამდებარე აპოკრიფი.

დღეისათვის, როგორც ცნობილია, ორმოცზე სრულდება პანაშვიდის ლოცვა (უმეტესწილად "მცირე პანაშვიდი" ანუ "ლიტი", – ასე უწოდებენ პანაშვიდის ლოცვის დამამბოლოებელ ნაწილს "წმიდათა თანა"-ს გალობის დართვით). მისი შესრულება შეიძლება წლის ნებისმიერ დროს-მარხვაშიც და ხსნილშიც (საზოგადო ლიტი არ სრულდება მხოლოდ ვნების ხუთშაბათიდან თომას კვირიაკემდე), ამიტომ გაუმართლებელია ორმოცის პანაშვიდის გადატანა წინა ან მომდევნო დღეებში. მაგრამ მეორმოცე დღეს პანაშვიდის შესრულებით დაკმაყოფილება ბოლო დროის ჩვეულებაა. ძველად ამ დღეს უსათუოდ ჟამისწირვას ასრულებდნენ ხოლმე (მეორმოცე დღე უმნიშვნელოვანესია მიცვალებულის სულისათვის და ამ დღეს, ბუნებრივია, ჟამისწირვა შეეფერებოდა), სხვა დღეებში კი – პანაშვიდს. მიცვალებულთა მოსახსენებლებს შორის ჟამისწირვას რომ უპირატესი მნიშვნელობა ენიჭებოდა, ამის დასტურს ჩვენი აპოკრიფის გარდა სხვაგანაც ვხვდებით. მაგ. რეის-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლისწერის მე-14 მუხლი ეხება ჟამისწირვას "ერთისა სულისათვის". თუკი "სულისა საჭმენებელად განჩინებულ" დღეებში მიცვალებულთა მოხსენება საეპისკოპოსო ტაძრებისა და მონასტრების დიდი ეკლესიების "თავად" (ე.ი. მთავარ) საკურთხეველზე იყო განწესებული, ცალკეული მიცვალებულისათვის, ძეგლისწერის თანახმად, "ეგუტერთა სადმე შინა, ანუ შტოთა ეკლესიისათა ჯერ-არს თითოეულისა ხუკისაგან ჟამისწირვაჲ" (დიდი სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიძაშვილმა, ე. გოუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ, გ. ნინუამ, 1975, 553). ასეთი შეზღუდვა იმის მომასწავებელია, რომ თითოეული მიცვალებულის მოხსენება (ჟამისწირვით) მეტად ხშირი ყოფილა; იმდენად ხშირი, რომ დიდი ტაძრების მთავარი საკურთხეველები ყველას ვერ აუვიდოდნენ.

მსხვერპლის შეწირვა (ჟამისწირვა) ტაბიკონის მიხედვით წელიწადის ზოგიერთ დღეს აკრძალულია. მაგალითად: დიდი მარხვის დღეებში (შაბათ-კვირის გარდა), დიდ პარასკევს, ყველიერის ოთხშაბათსა და პარასკევს. თუკი მიცვალებულის ორმოცი რომელიმე ასეთ დღეს დაემთხვეოდა, ჟამი შეიწირებოდა რამდენიმე დღით ადრე ("დასწრებით"), თვით იმ დღეს კი შესრულდებოდა პანაშვიდი. მართალია, პანაშვიდი მაინც მეორმოცე დღეს იგალობებოდა, მაგრამ რაკი სულისათვის უმეტესი მნიშვნელობა ჟამისწირვას ჰქონდა, ამიტომ ჟამისწირვის დღე ორმოცთან იყო გათანაბრებული. ვფიქრობთ, ესაა მიზები "დასწრების" დაკანონებისა. ასეთი წესი, რა თქმა უნდა, ყოველმხრივ გამართლებული იყო თავის დროზე, მაგრამ რაკი დაიკარგა ტრადიცია მიცვალებულის მოსახსენებლად ჟამისწირვის შესრულებისა, და მარტო პანაშვიდია სრულდება, ორმოცის გადატანა სხვა (წინა ან მომდევნო) დღეებში არაფრით არ შეიძლება იყოს დასაბუთებული.

ამ საკითხების გასარკვევად, ვფიქრობთ, მკითხველი ინტერესით გაეცნობა "სულიერ სწავლათა" კრებულიდან ამოღებულ წინამდებარე აპოკრიფს. ტექსტი A1369 ნუსხის მიხედვით ძირითადად უცვლელად მოგვაქვს. აღვადგინეთ მხოლოდ არქაიზმები ზოგიერთ "გავულგარულებულ" ადგილას და შევასწორეთ აშკარა შეცდომები.

პირობითად ტექსტი დავყავით 40 მცირე მონაკვეთად. ბოლოში ერთვის ვარიანტები და შენიშვნები (A1369 ხელნაწერს აღვნიშნავთ A ლიტერით).

(34 r) წიგნსა მარგალიტსა[1] შინა [2] წერილ არს [3] საძმე ესე სულისა

[1]. აწ ესეცა ვთქუათ[4], რომელი მინდა თქუმად[5]; შემეშინების და შემიძრწუნდების[6] გული, შემიშფოთინების, და გონება შემიძრწუნდება[7], თუალნი[8] აღმევსებიან ცრემლითა; ამისთვის, რამეთუ მოწევნულ არს სიკუდილი ჩუენი[9].

[2]. დიდება ღმერთსა, რომელმან განაჩინა[10] შობა და სიკუდილი.

[3]. ვაი ჩუენდა[11], რამეთუ სათუმელადცა საზარელ არს წინაშე ღმრთისა კეთილთაგან ცარიელსა.

[4]. აწ ესე, რომელი მეგულების, მოვედით, ძმანო, და ღმობიერად ვისმინოთ ჟამისა ამის საშინელისათჳს[12]; ვითარმცა არა იყო[13] სასმენელად საშინელი, რამეთუ ჯორცთაგან ეგულების განყუანება[14] ჩუენი[15] ღმერთსა.

[5]. ოდეს მოიწიოს სიკუდილი[16] კაცისა ბრძანებითა ღმრთისათა, ანგელოზნ (V)ი წარმოვლენ ქანარითა (?) და ფუცხვითა[17]. მზაკუარნი ეშმაკნი მოიწევნიან, ვითარცა შავნი ინდონი და ესე ორნივე კაცსა თავსა წარმოადგებიან; მარჯუენით[18] ანგელოზნი და მარცხენით – ეშმაკი.

[6]. ოდეს იხილოს უძლურმან, ცხედარსა ზედა მდებარემან, შეძრწუნდების და განკრთების, თვალნი ცრემლითა აღევსებიან.

[7]. ვითარცა[19] მიავლინის რა სოფლისა მპყრობელმან[20] მსახურნი მისნი შეპყრობად კაცისა, შეშინდების კაცი იგი და შეკრიან ძნელად განსახსნელად და სცემდიან და გუემდიან.

[8]. და იტყჳს[21] კაცი იგი გულსა შინა თჳსსა[22]: "უფალნო ჩემნო, რაცა გინდეს, ვყო ნება თქუენი",[23] და მიიზიდვიდიან[24] წინაშე სოფლის მპყრობელისა.

[9]. და იტყჳს[21] კაცი იგი გულსა შინა თჳსსა[22]: "ნეტარმცა[25] (35r) არა შობილ ვიყავ დედისაგან. რაჲ[26] ესე მოიწია ჩემ ზედა? ნეტარ მომკლვენ[27] მე, ანუ დამაგლახაკებენ მე? და რაჲ[26] ნებავს ჩემთჳს[28] მპყრობელსა სოფლისასა, არა უწყი".

[10]. ესრე სახედ კაცი ესე ძრწის და ენა პირსა შინა გაექუდების(!). შემოკრბებიან ყოველნი მის ზედა და გონებით ევედრების[29] ანგელოზთა, რაჲთა არა წარიყუანონ[30]. "ჰი, ანგელოზნო ღმრთისანო, ნუ წარმიყუანებთ[31] უნანელსა. განუმზადებელი ვიპოვე წინაშე თქუენსა[32]. დრო მეკით, რაჲთა შევინანო ცოდვათა ჩემთა სიმრავლე. მაშინ წარმიყუანეთ[33] წინაშე ღმრთისა".

[11]. ჰრქუან[34] ანგელოზთა კაცსა მას: "ჰი უბადრუკო, სადა იყავ აქამომდე? არა გესმაა მდელითა[35] და მონაზონთაგან[36], რომელსა იგინი გასწავებდეს? არა გესმაა მოძღურისა[37] შენისაგან სინანული? აწ ღმერთსა უბრძანებია წარყუანება შენი. ცუდად რასაღა გვევედრები?"[38]

[12]. უკუეთუ[39] იყოს მართალი კაცი იგი, ნ(V)ეტარ-ძი მას. უკეთუ[39] ცოდვილი იყოს, ვაი მისთჳს[40].

[13]. ანგელოზნი და ეშმაკნი იწყებენ ბრძოლასა, რაჲთამცა ერთმან-ერთსა[41] არა დაანებონ[42].

[14]. იხილა, რამეთუ არა უსმინეს ანგელოზთა. ევედრების[43] კაცი ცოლსა და შვილსა, მსახურთა და მეზობელთა: "ჰი საყუარელნო[44] ჩემნო, ნუ მიმცემთ სიკუდილსა. ესე არს დღე ჩემისა ხოიშნისა[45]. კეთილი ჩემი წარვაგე თქუენ[46] ზედა და თავიცა ჩემი დავდევ თქუენთჳს[47]. ჟამი არს ჭსნისა ჩემისა".

[15]. იხილა, რამეთუ არცა რა მათგან ერგო. მაშინ იწყებს ტირილად. ანგელოზნიცა ცრემლოინ[48] მის თანა.

[16]. ეტყჳს[49] ანგელოზი ერთი მეორესა: "უფალო, საწყალობელ[50] არს[51] კაცი ესე. ვინ უწყის, შეინანოს; დრო ვსცეთ".

[17]. და იგი ეტყჳს:[49] "უფალსა უბრძანებია წარყუანება[52] მისი. ვითარ ვსცეთ დრო?"

[18]. მაშინ გამოიყუანებენ[53] სულსა მას გუამისაგან[54] და ორსა ოდენ დღესა განუტეობენ სულსა სოფ(36r)ელსა შინა.

[19]. წარვალს სული იგი და მოვლის ყოველთა ადგილთა ჩუეულებისაებრ[55] თჳსთა[56] და მეგობართა, მონაგებსა და ხუასტაგსა. სული იგი ხედავს სხუასა და სხუანი ვერ ხედვენ მას.

[20]. სული იგი იტყჳ:[21] "ვაჲ[57] ჩემთჳს;[58] რა ცუდად დავშვერ სოფელსა ამას!" იწყებს ტირილად საზარელად: "ვიხილე მონაგები ჩემი თუალითა[59] ჩემითა, თჳსნი[60] და ნათესავნი და მშობელნი. უკუეთუ[39] რაჲმე[61] წარვაგე ველითა ჩემითა, იგი შემძლებელ არს ხოიშნად ჩემდა და რომელი იგი დარჩეს ოხრად ჩემგან, ცუდად დავშვერ ამისთჳს.[62]

[21]. მაშინ აღიყუანებენ[63] ანგელოზნი სულსა მას მესამესა დღესა, ვითარცა ქრისტე აღდგა საფლავით, და აღამაღლებენ ზეცად.

[22].მაშინ მოუხდებიან ჰაერის მცველნი ეშმაკნი, რაჲთამცა პოვეს ბრალი რაჲმე[61] მის თანა. განიკითხვენ და შეასმენენ და დაესარჩლებიან ანგელოზთა: ჩუენი15 არ(V)ს[51] სული ესეო.

[23]. უკუეთუ[39] რაჲმე[61] აქუნდეს[64] ცოდვა სულსა მას, სტანჯვენ ფრიად, და უკუეთუ[39] კეთილი რაჲმე აქუნდეს[64] მცირედ, მისცემენ ანგელოზნი ეშმაკთა ქრთამად, რაჲთა გამოიჴსნან[65] სული იგი მათგან.

[24]. და კუალად აღამაღლებენ ანგელოზნი სულსა მას ზეცად და კუალად გამოუჯდებიან[66] ჰაერის მცველნი სიძვის მოყუარენი[67] ეშმაკნი. იგინიცა შეასმენენ და სტანჯვენ ფრიად და განიკითხვენ, უკუეთუ[39] აქუნდეს[64] ცოდვა რაჲმე და კეთილიცა, ეგრეთვე იჴსენებიან[68].

[25]. და აღამაღლებენ ანგელოზნი სულსა მას და გამოუჯდებიან[66] ეგრეთვე ჰაერის მცველნი, ფიცის მოყუარენი,[67] სამეოცსა[69] ადგილსა. ესრეთ დგანან ყოველთა ცოდვათ მოყუარენი[67] ჰაერის მცველნი ბოროტნი ეშმაკნი მაცთურნი.

[26]. ამაღლდენ რა ზეცას ანგელოზნი და სული მათ თანა, უკუეთუ[39] კეთილი რაჲმე დარჩომილ იყოს, მხიარულებით აღვ(37r)ლენ წინაშე ღმრთისა და თაყუანის-აცემინებენ[70] და წინაშე ღმრთისა განიკითხვის სული იგი.

[27]. კურთხეულ არსმცა კაცი, რომელმან უწირვინოს ხუცესსა მას სულსა, რამეთუ მას ჟამსა ანგელოზნიცა ევედრებიან ღმერთსა: "უფალო, შეიწყალე სული ესე".

[28]. მაშინ უბრძანებს უფალი ანგელოზსა: "წარიყუანე[71] სული ეგე სამოთხესა ექუსთა დღეთა შინა" და უჩუენებენ[72] შუენიერებასა[73] სამოთხისასა, და კრებული წმიდათა და გალობა ანგელოზთა და სუნნელება[74] შუენიერი[75].

[29]. გალობენ სულიცა იგი და მხიარულ არიან, უკუეთუ[39] კეთილი რაჲმე[61] ექმნას; და თუ არა, – მწუხარე არნ.

[30]. განცვფრდების[76] და იტყჳ[21]: "ვაჲ[57] ჩემდა, რა ცუდად დავშვერ სოფელსა ამას შინა! ვაჲ[57] ჩემდა, რამეთუ დავაკლდი სამოთხესა ამას. მესმოდა კეთილი და არა ვიქმოდი; მღდელნი[77] და მოძღუარნი[78] მასწავლიდენ და მე სიცილითა ვბასრობდი! აწ(V) სამართლად ვიტანჯები უფლისა მიერ".

[31]. ექუსსა[79] დღესა შინა ესრეთ არს სული იგი. მაშინ გამოიყუანებს[80] ანგელოზი სულსა მას. სამი პირველი და ექუსი ესე დღეთ იქმნების და მიათაყუანებენ[81] წინაშე ღმრთისა.

[32]. ნეტარ-ძი მას, ვინ შეწირა უსისხლო იგი მსხუერპლი, რამეთუ სულსაცა აცხოვნებს და მასცა, რომლისათჳს[82] შეწიროს.

[33]. და ანგელოზნიცა ევედრებიან ღმერთსა მისთჳს[83]: "უფალო, კაცნიცა გევედრებიან სისხლითა და ჯორკითა[84] შენითა,[85] გლახაკთა მიცემითა და პანაშვიდითა", და დიდად შეიწყალებს ღმერთი სულსა მას და მისთა შემწირველთაცა მის თანა.

[34]. და უბრძანებს ღმერთი ანგელოზთა, რაჲთა[86] შთაიყვანონ სული იგი ჯოჯოხეთს ოცდაათსა დღესა; შიგან მოახილვონ ყოველნი ფოლორცნი ჯოჯოხეთისანი, ცეცხლი საშინელი მატლითა შეზავებული, ბნელი წ(38r) ყუდიადი, გარესკნელნი ეშმაკნი საოცარნი, ჯურღმულნი ღრმანი გუელითა[87] სავსე და სხუა მრავალი საყოფელი, მჭეცნი საშინელნი, ჴმანი საზარელნი, კუერნანი და წურბელნი და სხუათა მჭეცთა სიმრავლე, რომელთა ვერა გამოვიტყვი.

[35]. ამათ ყოველთა იხილავს ოცდაათთა დღეთა შინა. წუხს და ტირს სული იგი: "ნეტარ რომელსა სატანჯველსა მიმცემს მე უფალი?"

[36]. უფალსა იგონებს და ესრეთ განილევის: "ვაჲ[57] ჩემდა; ნეტარმცა[25] არა შობილ ვიყავ მუცლისაგან დედისა[88] ჩემისა! რაჲ[26] ესე უცნაური მომიჯდა საქმე ბოროტი, საქმეთა და ცოდვათა ჩემთა შემსგავსებული".[89]

[37]. მაშინ ზე აღიყუანებს[90] ანგელოზი სულსა წინაშე ღმრთისა; ცხრა იგი და ოცდაათი ესე, და მეორმოცედ ესე განთავდების; და მიათაყუანებს წინაშე ღმრთისა;

[38]. და უკუეთუ[39] შეწირონ მსხუერპლი[91] მეორმოცესა დღესა და გლახაკთა მისცენ, შემწირველი აცხონებს სულსა და მიცვალებულსაცა.

[39]. მაშინ გაბჭობს უფალი სულისა მისთჳს;[40] თუ კეთილსა ადგილსა ღირს იყოს, მუნ დაამკჳდრებს[92] და უკუეთუ[93] ბოროტსა ღირს იყოს, ეგრეთვე უყოფს[94].

[40]. კუალად მოქცევასა წელიწდისასა შეიწირვის მისთჳს[40] გლახაკთ მიცემა, ჟამისწირვა, გამოზრდა მშიერთა. ესე ყოველივე კეთილ არს.

ვარიანტები და შენიშვნები

1 მარგალიტA. 2 შიგანA. 3 სწერიაA. 4 ვთქვათA. 5 თქმადA. 6 შემიძრწუენდებისA. 7შემიძრწუნდებიანA. 8თვალნიA. 9ჩუჱნიA. 10 განაჩინა – დაადგინა, დააწესა. 11 ჩვენდაA. 12 საშინელისათვისA. 13 ვითარმცა არა იყო – როგორ არ იყოს. 14განყვანებაA. 15 ჩვენიA. 16 სიკვდილიA. შევნიშნოთ, რომ ზემოთ შეგვხვდა "სიკუდილი"-ს ფორმით. 17 ფუცხვი (ფუცხჳ), სულხან – საბას განმარტებით, არის "რკინის კავი თითებიანი ქვაბით ჯორკის ამოსაღებელი". 18 მარჯუენითA. 19 ვითარცA. 20 "სოფლის მპყრობელად" აქ ეშმაკი იგულისხმება, "სოფლად" – ცოდვილ ადამიანთა სიმრავლე. 21 იტყვისA. 22 თვისსაA. 23 თქვენიA. 24 მიზიდვიდიანA. 25 ნეტამცაA. 26 რაA. 27 მომკულენA. 28 ჩემთვისA. 29 ეხვეწებისA. 30 წარიყვანონA. 31 წარმიყვანებთA. 32 თქვენსაA. 33 წარმიყვანეთA. 34 ჰრქვანA. 35 მღვდელთაA. 36 მონოზანთაგანA. 37 მოძღვრისაA. 38 გვეხვეწებიA. 39 უკეთუA. 40 მისთვისA 41 ერთმანეთსაA. 42 დანებონA. 43 გხეწებისA. 44 საყვარელნოA. 45 ხოიშ...A. 46 თქვენA. 47 თქვენთვისA. 48 ცრემლოიანA. 49 ეტყვის A. 50 საბრალოA. 51 არისA. 52 წარყვანებაA. 35r-ზე გვქონდა: "წარყუანება". 53 გამოიყვანებენA. 54 გვამისაგანA. გრიგოლი ღმრთისმეტყველისა და ანგელოზის აპოკრიფული კითხვა-მიგების მიხედვით სული გვამისაგან გამოჰყავს არა ანგელოზს, არამედ სალმობას (ტკივილს): "გრიგოლი ჰკითხა: სულსა შენ აღმოჴდია? ანგელოზმან ჰრქუა: სულსა სალმობა აღმოჴდის და მერმე მე აღვიყვან" (A1369, 125v-126r). 55 ჩვეულებისაებრA. 56 თვისთაA. 57 ვაიA. 58 ჩემთვისA. 59 თვალითაA. 60 თვისნიA. 61 რამეA. 62 ამისთვისA. 63 აღიყვანებენA. 64 ჰქონდესA. 65 გამოიხსნანA. 66 გამოუხდებიან A. 67 მოყვარენიA. 68 იხსენებიანA. 69 სამოცსაA. 70 თაყვანის-აცემინებენA. 71 წარიყვანეA. 72 უჩვენებენA. 73 შვენიერებასაA. 74სურნელება A. 75 შვენიერიA. 76განცვიფრდების A. 77 მღუდელნიA. 78 მოძღვარნიA. 79 ექვსაA. 80 გამოიყვანებსA. 81 მიათაყვანებენA. 82 რომლისათვისA. 83 მისთვისA. 84 ხორკითაA. 85 "სისხლითა და ჯორკითა" ვედრება, როგორც შესავალშიც ვთქვით, ნიშნავს წმ. ჟამისწირვას. 86 რათაA. 87 გულითაA. 88 "შუკლისაგან დედისა"-ს ნაცვლად ხელნაწერში წერია: "დედისაგან მუკლისა". 89 შემგზავსებულიA. 90 აღიყვანებსA. 91 მსხუერპლიA. 92 დაამკჳდრებსA. 93 უკეთოA. 94 უზამსA.

ბიბლია და ქართული კულტურა

ვისწავეცა მრბენმთავრისა მის სოლომონის მიერ
თქმული, ვითარმედ - ჰმაბოვდ ჯინჭველსა, მედგარო
და იქმენ მუშაკ მსგავს მისა, ვითარცა იგი -
მან თვსსა უდიდესსა მარცუალსა მას იფქლისასა
შემმა უყვის გულსმოდგინედ, ვიდრემდის აღიღის და
წარიღის საბრდელად თვსსა."

ეს წერილები შექმნილია ჩვენი სადიპლომო ნამუშევრების ძიებვით, რომელთა შექმნის დროსაც ვეყრდნობოდით ეკლესიის დიდი მასწავლებლებისა და გვიანდელი პერიოდის მართლმადიდებელ ავტორთა შრომებს. თემაზე მუშაობის მიზანი იყო მიგვეღო გარკვეული ცოდნა, რომლის საფუძველზეც ჩვენი მიმართება ძველი ქართული მწერლობისადმი შედარებით მწყობრ სახეს მიიღებდა და რაც მთავარია, სწორ სარწმუნოებრივ პოზიციაზე დაგვაყენებდა, გაგვარკვევდა იმ უმთავრეს კანონზომიერებებსა და საფუძვლებში, რომლითაც ხასიათდება ქრისტიანული ხელოვნება. ვფიქრობთ, ეს მეტად მნიშვნელოვანი საკითხი გახლავთ ფილოლოგიის კურსდამთავრებულისთვის, რომელსაც ძველი ქართული ლიტერატურის სპეციალობა აქვს არჩეული.

ლელა ჯაფარიძე
ნანა ბოკუჩავა

ლელა ჯაფარიძე

ქრისტიანული ხელოვნების საფუძველი და მისი უმთავრესი თვისება

ქრისტიანული ხელოვნების შესახებ საუბრისას, პირველ ყოვლისა, ითვალისწინებენ მის მნიშვნელობას სამყაროს აღქმის რელიგიურ სისტემაში და მოიაზრებენ სწორედ ღვთისმეტყველური პოზიციებიდან. ესთეტიკა, რომელსაც არ ჰქონდა თვითკმარი და თავისთავადი ღირებულება, იყო ნაწილი ეკლესიის სულიერი ცხოვრებისა. ქრისტიანული ხელოვნების ესთეტიკის საფუძველი არის საღვთისმეტყველო მოძღვრება, რომლითაც გამსჭვალულია საეკლესიო ორგანიზმის ყოველი სფერო. თავისი მნიშვნელობით იგი უკიდურესად პრაქტიკულია და მიზნით საეკლესიო-ლიტურგიულ ღვთისმსახურებას უკავშირდება, პიროვნების ღვთის გზაზე წარმართვას ესწრაფვის. როგორც ქრისტიანული ეკლესიის ღვთივგანბრძნობილი მასწავლებელი, ბასილი დიდი ბრძანებს, ქრისტიანული ხელოვნება "არა მარტო ბაძავს ხილულს, არამედ მის აზრობრივ არსამდე მიდის.." მიუხედავად იმისა, რომ მისი ფორმა მატერიალურია, საწყისი სულიერ სფეროში ეძიება და ემპირიული სამყაროს დონეზე გამოვლენილ ღვთაებრივ მშვენიერებად არის მიჩნეული. ქრისტიანული ხელოვნების ცენტრში დგას პიროვნების სულიერი საწყისი და მისი ხსნის იდეა, ღვთის შეცნობის, მისი რწმენის აუცილებლობა. აქ უმთავრესია არა ფორმა, მატერიალური სამოსი, არამედ ის, რაც მიღმიურია, დაფარული, მაგრამ განმსაზღვრავი და არსებითი.

ქრისტიანული ხელოვნების მიზნიდან გამომდინარე, შეუძლებელი იყო მასში რეალისტური პრინციპის განხორციელება, რადგან მისი ცდაა გამოსახვა არა მოვლენათა შემთხვევითი მომენტებისა, მისი ცვალ-

ებადი ასპექტებისა, არამედ უკვლელი არსის, იმის, რაც მოვლენათა პირველსახეს წარმოადგენს. ამიტომ იგი გონებრივ სფეროს, ფორმალურ-რელიგიურ აზროვნებას, რელიგიური ჭეშმარიტებითა და მისტიკურ-ირრაციონალური შემეცნებით უპირისპირდება; ამავე დროს, იგი ითვალისწინებს თითოეულ პიროვნებას, რომელიც კომუნიკაციაში შედის მასთან, თავისი უმაღლესი მისიით, რაც ღმერთთან მიახლოვებას გულისხმობს, რომლისგანაც მას იერარქიის გრძელი რიგი აშორებს (მიწიერი და ზეციერი) და რომლისათვისაც ხორციელი ბუნების შეჭირვება და სამყაროსეული ზოროტებისაგან განდგომისათვის შრომა სჭირდება.

წმ. კირილე იერუსალიმელი წერს: "სახარების მოსმენა ყველასათვის ნებადართულია, მაგრამ მადლი სახარებისა მხოლოდ ჭეშმარიტ ქრისტიანზე გადმოდის, ამიტომაც მათ, რომელთაც არ შესწევთ ძალა გაგებისა, უფალი იგავებით ესაუბრებოდა, ხოლო მოწაფეებს კი ცალკე უხსნიდა იგავებს, რადგან ის, რაც შეეხება მადლისა ნათელღებულთათვის, სიბრძავეა ურწმუნოთათვის; ხოლო საიდუმლო, რომელსაც ეკლესია გაუწყებს შენ, კათაკმევლობის გამარულებელს, არ გაენდობა წარმართს, არ გადაეცემა მას საიდუმლო სწავლება მამაზე, ძეზე და სულიწმიდაზე. თვით კათაკმეველსაც არ ველაპარაკებით საიდუმლოებების შესახებ პირდაპირ და ხშირად; ბევრ რამეს შეფარვით ვამბობთ, - მკოდნე მორწმუნეები გულისხმაჰყოფენ, უკოდინრებს კი არა ევნებათ რა". ხოლო წმიდა მაქსიმე აღმსარებელი დიონისე არეოპაგელის წიგნის თარგმანებში წერს, რომ წმიდა წერილის სახეობრივი აზროვნება მისაწვდომად მეტად რთულია და წინასწარმეტყველებანი, რომელიც მასში მრავლადაა წარმოდგენილი, ახსნას საჭიროებს. სიმბოლოთა საშუალებით შეიმეცნება ძველი აღთქმის კულტი თუ ახალი აღთქმის უმეტესი სიმაღლისა და მეტი სულიერების საიდუმლო. როგორც დიონისე არეოპაგელი გვასწავლის, წმიდა წერილის პირობითი ნიშნები მხოლოდ და მხოლოდ მისთვის ცხადდება, ვინც საღმრთო საიდუმლოს ზიარების ღირსია.

იმისათვის, რომ წავიკითხოთ ბიბლია, საჭიროა, როგორც აბობენ ხოლმე, ვიცოდეთ მისი ენა, სადაც "ყოველი სიმბოლო წარმოადგენს არა მარტო მხატვრულ-ემოციურ სახეს, არამედ მალოგიზირებელ ძალას, მისტიკური ხედვის ხორცშესხმას". ზეციური ჭეშმარიტების გრძნობით არეში გადმოტანა სიმბოლურ-სახეობრივი აზროვნებით ხორციელდება, სხვაგვარად შეუძლებელია მისი გამოუთქმელი შინაარსის აღწერა. "თუკი საღვთო თხზულებანი იმიტომ მოგვემადლა, რომ ზეციური სიმარტივე თავისთავად შეუცნობადია და ჩვენგან განუჭვრეტელი, მაშინ წმიდა გონებათა სიტყვიერი ხატწერა და ანგელოზთა სახელების, ასე ვთქვათ, ერთბაშად სცენაზე გამოტანა შეუფერებელი ჩანს. შეიძლება თქვას ვინმემ, რომ ღვთისმეტყველები, რომელთაც განზრახული ჰქონდათ უსხეულოთა სხეულებრივი გამოხატვა, მოვალენი იყვნენ თვისობრივად და შეძლებისდაგვარად მონათესავე სახეებით გამოეძერწათ და განეცხადებინათ ისინი". ამ აზროვნების ფორმების გარეგნული მხარე მოკლებულია ზედმეტ დამუშავებას და ამით ემიჯნება რაციონალიზმსა და გრძნობიერებას. მისი უპირველესი დანიშნულებაა, მოამზადოს ადამიანი და აამაღლოს ზესთასოფლიურ სიმაღლეზე, აზიაროს იგი იმ ჭეშმარიტებას, რომლის შინაარსსაც ფლობს. მისი აღქმის უმთავრესი მომენტია რწმენა; გარეშე სარწმუნოებისა, შეუძლებელია წმიდა წერილებთან მიახლება; იგი დუმს ყოველი ურწმუნოს წინაშე. დასაწყისში აღვნიშნავთ, რომ ქრისტიანულ ხელოვნებას უაღრესად პრაქტიკული დანიშნულება აქვს; იგი არის განუყოფელი ნაწილი საღვთისმსახურო საქმიანობისა. ქრისტიანული ხელოვნების ყოველი ფორმა ღვთისმსახურების ურთულესი სიმბოლისტურ-სახეობრივი სისტემის შემადგენელი ნაწილია. აქვე უნდა დავძინოთ, რომ ღვთისმსახურება მართლმადიდებლურ სარწმუნოებაში წარმოგვიდგება არა როგორც რელიგიური წეს-ჩვეულება, არამედ, როგორც სარწმუნოების ცოცხალი და ცხოველმყოფელი ხორცშესხმა, სადაც მიმდინარეობს ღრმა განცდა და პრაქტიკული განხორციელება დოგმატური ღვთისმეტყველებისა, ცხოვრება ბიბლიურ სინამდვილეში, აქ, დედამიწაზე ზეციურ ცხოვრებას ზიარება. ეკლესია არის ის "ერთადერთი სულიერი გარემო, სადაც ინახება, ცხოვრობს და იღწვის ბიბლია, რომელიც გარეშე ეკლესიისა, გვამადქცეულ სხეულად გვევლინება; საეკლესიო ღვთისმსახურება არის ბიბლიის ლიტურგიული ცხოვრება." ქრისტიანული ხელოვნება, რომელიც სწორედ ბიბლიაზეა ამობრდილი, თავისი ხასიათით, აზროვნებითა და გამომსახველობითი თავისებურებებით წმიდა წერილს ემგავსება. ამდენად, ქრისტიანული ხელოვნების სიმბოლისტურ-სახეობრივი ურთულესი სისტემის ახსნა შეუძლებელია საღმრთო წერილის გარეშე. იგი ინარჩუნებს მის იმ თვისებასაც, რომ აღმქმელს ზეციური ჭეშმარიტება მისი სულიერების შესაბამისად მიაგოს. როგორც ბიბლია არის უდიდესი "კოსმიური" წიგნი, მომცველი მთელი სამყაროსეული სიბრძნისა და შექმნილი სულიწმიდის მეოხებით ღვთივგანბრძნობილ კაცთაგან, ქრისტიანული ხელოვნება, როგორც მასზე ამობრდილი ნერგი, იმავე

მადლითაა აღვსებული. ქრისტიანული ხელოვნების სიმბოლისტურ-სახეობრივი აზროვნება ჩვეულებისამებრ კანონიკურ ფორმებს ემორჩილება და იგი წმიდათა ზეშთაგონების ნაყოფია, ღვთაებრივ-ადამიანური შემოქმედების შედეგი. და როდესაც საუბარი ხდება მის შესახებ, მისი საფუძველისა და მიზნის გათვალისწინებასთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ სწორედ მისი კანონიკური ფორმებით აზროვნების თავისებურებას. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ქრისტიანული ხელოვნების ეს თვისება უშუალოდ გამომდინარეობს მისი მიზნიდან და საფუძვლიდან, რადგან სხვაგვარად შეუძლებელია განახორციელოს თავისი უმაღლესი მისია, სულიერად აღამაღლოს ადამიანი და ჭეშმარიტი გზით წარმართოს მისი ცხოვრება. ამ ნიშნით ხასიათდება ქრისტიანული ხელოვნების ნებისმიერი სფერო.

ასე მაგალითად, მეტად განსაზღვრულია თავისი მიზნით, საეკლესიო მხატვრობის ყოველი სახე. იგი ითვალისწინებს მლოცველის (აღმჭელის) გადაყვანას სხვა რეალობაში, ასეთ შემთხვევაში იგი წყვეტს თავის ფიზიკურ ცხოვრებას და იქცევა იმად, რასაც სიმბოლურად ასახავს. ამდენად, ხატი ყოველთვის ან იმაზე უფრო მეტ შინაარსს მოიცავს ვიდრე თვითონაა, ან უფრო ნაკლებს. თუკი იგი მხოლოდ და მხოლოდ ერთი ცხოვრებით ცხოვრობს, მაშინ ფუჭ დაფად იქცევა, უკეთეს შემთხვევაში კი არქეოლოგიურ ღირებულებას იძენს. ხატი მარტოოდენ მაშინ ასრულებს თავის "მოვალეობას", როდესაც იგი სულიერ ხილვას ბადებს მლოცველში, ე. ი. როდესაც პირველსახეზე მიუთითებს. ხოლო თავისთავად, ამ გარემოების გარეშე იგი უფუნქციოა და უსარგებლო. როგორც პავლე ფლორენსკი ამბობს, წმიდა ცხოვრებით მოღვაწე მამებისათვის ლოცვისას ხატი ხშირად "კარადაც გადაქცეულა" და გზა მიუცია მათთვის ზეკიურ სამყოფელში, ე. ი. ხატი განიცდება ღვთაებრივი სინამდვილის გაკვეული სახის დადასტურებად. მისი საფუძველია სულიერი გამოცდილება, მისი პრინციპი – პირველსახემდე ამაღლება. ქრისტიანი ადამიანი სამყაროს გამოსახავდა არა ისე, როგორც აღიქვამდა შეგრძნებათა საშუალებებით, არამედ იმგვარად, როგორსაც ცნობდა მას სული სპირიტუალისტურად მარადისობის თვალთახედვიდან. ქრისტიანობის გნოსეოლოგიური საფუძვლებიდან გამომდინარე, იგი არ არის აქცენტირებული ხორცზე, არ აინტერესებს მისი წარმოშობა და მისი ბედი; იგი ადამიანში მხოლოდ და მხოლოდ ღვთის ხატებას ხედავს; სხეულებრივი პროპორციის გამოსახვისას ცდილობს ხაზი გაუსვას მის იერატულობას, წარმოაჩინოს ვითარცა ტაძარი სულისა; ჩვეულებისამებრ, ფიგურების წონა არ შეიგრძნობა, სხეულის ყველა ნაწილი ემორჩილება თავს, საერთოდ არ ჩანს ტანი, იგი ნაოჭებიან სამოსში იმალება. ყურადღების ცენტრში ექცევა სახე, რომელიც მეტად თავისებურია, თვალები ყურადღებას იპყრობს გაზრდილი ზომით და ლოცვითი, მშვიდი განწყობილებით, ტუჩები თხელია, მგრძნობიაროობას მოკლებული, ცხვირი ხშირად იხატება ვერტიკალის სახით, იკვეთება შუბლის ნაწილიც, რომელიც ზომით სახეზე ყველაზე დიდია. ფიგურა მოკლებულია ყოველგვარ ემოციურობას და სტატიკურობით გამოირჩევა. ემპირიული სამყაროს ელემენტების გამოსახვა თითქმის მინიმუმამდეა დაყვანილი და ჩვეულებისამებრ, არ ფუნქციონირებს პეიზაჟი.

ქრისტიანული მართლმადიდებლური ხელოვნების ისტორიამ მხოლოდ და მხოლოდ რამდენიმე ხატმწერის სახელი შემოგვინახა. მიზები ამისა ცხადია, არ არის გულმავიწყობა. ქრისტიანულ აზროვნებაში ჭეშმარიტ, ერთადერთ შემოქმედად დასახულია ღმერთი, რომლის სახე დედამიწაზე არის ეკლესია, მარად ცოცხალი და შემოქმედი, ცხოველმყოფელი ძალით აღსავსე. პრინციპი, რომლითაც იგი ხელმძღვანელობს ხელოვნების არსის გაგებისას, არის რეალიზმი. იგი ამტკიცებს და აცხადებს ჭეშმარიტებას, ამდენად, უგულებელყოფს ინდივიდუალიზმს, რომელსაც პიროვნულ სუბიექტივიზმამდე მივყავართ. მაგ. როდესაც მხატვარს სურს ღვთისმშობლის გამოსახვა, სუბიექტური ხედვა, რომელიც თავისთავად მის პიროვნულ გამოცდილებასა და სულიერი ცხოვრებისაგან არის ამოზრდილი, მიზნის განხორციელებისას მხოლოდ და მხოლოდ ხელის შემშლელი შეიძლება აღმოჩნდეს. იგი წმიდანის სახეზე, რომელსაც აღდგენილი აქვს ხატება ღვთისა, მისთვის სრულიად უცხო, მაგრამ თავად ავტორისათვის ბუნებრივ ხაზებს შეიტანს და ემპირიულ ელემენტს გააძლირებს (გაამიწიერებს), უმაღლესი სულიერი სფეროდან გრძნობისმიერ სფეროში გადაანაცვლებს და ჩვეულებრივ დედად აქცევს მას. ამგვარად, საინტერესო არ არის ამ შემთხვევაში "კარგია" თუ "ცუდი" ნახატი, უმთავრესია ის, რომ ჩვენს წინაშეა არა ხატი ღვთისმშობლისა, რომელმაც სპირიტუალისტურ არსებათა სამყაროს მადლს უნდა გვაზიაროს და საღვთო ენერგიით აღგვავსოს, არამედ ქალის პორტრეტი. შესაძლოა, საუკეთესო ნაოსტატი, მაგრამ შედარებით ემპირიული და მარტოოდენ ესთეტიკური ღირებულების მქონე. ბუნებრივია, ისმის კითხვა: ზღუდავს თუ არა კანონი ხატწერას? მამა პავლე ფლორენსკი ამბობს, რომ პირიქით, კანონიკურ ფორმაში ავტორი უფრო თავისუფლად "სუნთქავს",

იგი იცავს მას შემთხვევითობიდან, რომელიც მარტოოდენ ხელისშემშლელი შეიძლება აღმოჩნდეს. რაც უფრო მტკიცეა და მყარი კანონი, მით უფრო ღრმად და ზუსტად გამოსახავს ზოგადადამიანურ სულიერ მოთხოვნილებებს. კანონიკური გულისხმობს ეკლესიურს, ეკლესიური საყოველთაოს, საყოველთაო-საერთო ადამიანურს; სწორედ ამიტომაა, რომ სულის განწმედა შლის სუბიექტურსა და შემთხვევითს და ადამიანური ბუნების სამარადისო სიმართლეს უცხადებს სულიერ მოღვაწეს.

როგორც აღინიშნა, ხატის შექმნა ერთი პიროვნების სახელს არ უკავშირდება; მას ქმნის ეკლესია — ყოვლისშემოქმედის "ხორციელი" სახე და მიწაზე არსებული ზეციური სავანე. იკონოგრაფიული კანონი, რომელიც საეკლესიო მწერლობას ეყრდნობა დასრულებული სახით ძირითადად IV-VI ს-ში ფორმირდება.

უპირატესად ადრეულ პერიოდში ქრისტანული მართლმადიდებლური ხატების შემქმნელნი წმიდანები იყვნენ, რამდენადაც კანონის ჩამოყალიბების პროცესი ღვთაებრივ გამოცხადებებს უკავშირდებოდა, რაც მარტოოდენ ღირსთა ხვედრი შეიძლება გამხდარიყო. თუმცა, ძალზე ხშირად, ზეციურ საიდუმლოთა მჭვრეტელი ხატვის ტექნიკას არ ფლობდა. ამგვარ სიტუაციაში მიმდინარეობდა ხატწერის ტრადიციის ჩამოყალიბების პროცესი. საეკლესიო გადმოცემებით ცნობილია, რომ პირველი ხელით დაწერილი ხატის შემქმნელი არის ლუკა მახარებელი. მას ეკუთვნის ღვთისმშობლის გამოსახულება. კანონიკური ფორმის ჩამოყალიბება, როგორც საეკლესიო კრებათა შემორჩენილ აქტებში იკითხება, არა მხატვრის სულიერი გამოცდილებითაა შექმნილი, არამედ უოყევი კანონითა და მსოფლიო ეკლესიის წმიდა გადმოცემით. იგია ნაყოფი არა მხატვრის შემოქმედებითი ფანტაზიისა, არამედ წმიდა მამათა და განბრძნობილ ეკლესიის მასწავლებელთა სულიერი ჭვრეტისა და მათზე გარდამოსული სულიწმიდის მადლითაა შექმნილი. შეურყვნელ და მყარ სპირიტუალისტურ ნიადაგზე აღმოცენებულ, საუკუნეების მანძილზე გამოცდილ ამ კანონს მკაცრად იცავდა მართლმადიდებლური ქრისტიანული ეკლესია, რომელიც, როგორც აღინიშნა, არათუ ავიწროვებდა ხატმწერს, არამედ, პირიქით, შესანიშნავ საშუალებას აწვდიდა მას ჭეშმარიტი სულიერი სახეების შექმნისას.

სახეობრივი თეორიის ყველა ასპექტმა წინ წამოიწია ხატმებრძოლობის პერიოდში. ხატზე მებრძოლთა და ხატის თაყვანისმცემელთა პოლემიკის განხილვით წარმოდგენა იქმნება ამ პერიოდის ბიზანტიელ მოაზროვნეთა ესთეტიკური შეხედულების შესახებ. როგორც ცნობილია, ხატზე მებრძოლნი რელიგიურ თემაზე შექმნილი გამოსახულებებისა და პირველ ყოვლისა, მაცხოვრის ანთროპომორფული გამოსახულების წინააღმდეგ გამოდიოდნენ. მათი აზრით, გამოსახულების თაყვანისცემის მომენტი კერპთაყვანისმცემლობისაგან იღებდა დასაბამს და მისი გავლენის შედეგი იყო. ღვთაების გამოსახულებას მიიჩნევდნენ საუკეთესო რელიგიური გრძნობების პროფანაციად და ებრძოდნენ მას, როგორც უხეშ ფეტიშიზმს.

ხატის თაყვანისმცემელთა ძირითადი ფილოსოფიურ-ესთეტიკური შეხედულებანი ამოსავალს არეოპაგელის მოძღვრებაში პოულობს და იგი ქრისტიანულ-დოგმატურ საფუძველზეა აღმოცენებული. განსაკუთრებით აღინიშნებოდა ხატის ის თვისება, რომ ის მოგვითხრობს იმაზე, რაც სიტყვიერ ტექსტებშია მოცემული და ამ მიმართებით წარმოადგენს, ბასილი დიდის სიტყვებით რომ ვთქვათ, "უსწავლელთა წიგნს". ხატის დამცველნი წინ სწევდნენ მის 5 ძირითად თვისებას: დიდაქტიკურს, სიმბოლურს, საკრალურ-მისტიურს, ლიტურგიულ და საკუთრივ, მხატვრულს. საკრალურ-მისტიური სფერო ხატს განიხილავს, როგორც რელიქვიას, რომელიც ზებუნებრივი ენერგიის მომცველია, რომელსაც იგი განსაკუთრებული ღვთისმსახურების წესის აღსრულებით იძენს. ამ ენერგიის წყარო არის თავად არქეტიპი. ხატი იქცევა იმგვარად, როგორც მოიქცეოდა მსგავს შემთხვევაში მისი წინასახე. სწორედ მას უკავშირდება მორწმუნის ლოცვითი დამოკიდებულება. იმისათვის, რომ ხატმა, რომელიც იზომორფულად გამოსახავს არქეტიპს, მიიღოს მისგან ღვთაებრივი ენერგია, რომელსაც სასწაულების მოხდენაც ძალუძს, როგორც ეკლესიის მასწავლებელნი აღნიშნავენ, საჭიროა მისი შექმნისას იკონოგრაფიული კანონის გათვალისწინება. ხატი თავისი თვისებებით უმნიშვნელოვანეს ადგილს იკავებს ასევე უდიდესი საკრალურ-მისტიური შინაარსის მქონე ლიტურგიულ მსახურებაში, სადაც მიწიერი ლიტურგია, ვითარცა სამშვინველი სულს, უერთდება ზეციური ღვთისმსახურებას.

ხატის თაყვანისმცემელთა გამარჯვება, მართლმადიდებლური სარწმუნოების უმნიშვნელოვანეს მოვლენად არის მიჩნეული. ხატზე ბრძოლა თავის თავში მოიცავდა თეოლოგიურ დაპირისპირებას მონოფიზიტურ და დიოფიზიტურ ელემენტებს შორის. 843 წ. 11 მარტის საბოლოო ტრიუმფი ხატის მებრძოლთა წინააღმდეგ აღმოჩნდა ბიზანტიური და მასთან ერთად, მთელი ქრისტიანული ხელოვნების დიდი აღმავლობის დასაწყისად. მხატვრული ენა შეგნებუ-

ლად იწშიდება ნატურალისტური ტალღისაგან. ხელოვნებაში უმაღლეს საფეხურზე განიხილება მხატვრობა, ხატწერა, რომლის შექმნის პროცესშიც, როგორც აღინიშნა, ავტორი მისტიურ ერთიანობაში მოდის ღმერთთან; ხელოვნებას ქმნის ეკლესია და ხელოვნება დგას ეკლესიის სამსახურში.

ღვთისმსახურებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ლიტურგიკულ ჰიმნოგრაფიას, რომელიც, ერთის მხრივ, მორწმუნის გრძნობებსა და აზრებს გამოხატავს, მის სულიერ ცხოვრებას წარმოადგენს, მეორეს მხრივ, სარწმუნოების ძირითად ელემენტებს ქადაგებს და მისი არსის ამოხსნას ემსახურება. ჰიმნოგრაფია ძირითადად ეძღვნება ამა თუ იმ დღესასწაულს, წმიდანს. იგი ეყრდნობა ღვთისმეტყველებაში დამუშავებულ თუ საღმრთო წერილში წარმოდგენილ მზა რელიგიურ ფორმულებს, ცნობილ ფრაზეოლოგიასა და სახეებს და გამოთქმებს. რამდენადაც ჰიმნოგრაფიული ნაწარმოებების შესრულება გალობით ხდება, მისთვის მეტად ნიშანდობლივია რიტმულ-ინტონაციური მხარე. ჰიმნოგრაფია ამოსავალს საღმრთო წერილში პოულობს; იგია მისი ძირითადი წყარო, ამდენად, მისთვის დამახასიათებელია მკვეთრად გამოკვეთილი ანტინომიური აზროვნება, ტექსტების სიმბოლისტურ-ლინგვისტური აღქმა და სახეობრივი მეტყველება. თითოეული კონსტრუქციას თავისი მიღმური შინაარსი ახლავს და ტრანსცენდენტურ ლოგოსს უკავშირდება. ჰიმნოგრაფიული ნაწარმოების ერთი ტაეპიც კი თავისი სულიერი სიდიადით უდიდესი მონუმენტურობით გამოირჩევა. ტრადიციული ფორმები, რომელნიც ზოლად გასდევენ მთელ ლიტურგიულ პოეზიას, პირველი მხატვრული მიგნების განუმეორებელ ნიშანს სავსებით ინარჩუნებენ და ზემოქმედების ძალას არ კარგავენ. ე.წ. ლიტერატურული შაბლონები, რომელნიც ფართოდ არიან გამოყენებულნი მთელს ქრისტიანულ მწერლობასა და პოეზიაში, უმაღლეს კატეგორიებად მიიჩნევა. ისინი საუკუნოვანი ტრადიციებით არიან გამყარებული და ვიწრო გეოგრაფიული არეალით არ არიან შემოსაზღვრული. თავისთავად, ენის სპეციფიკის თვალსაზრისით, ეროვნულ კულტურებში, ახალი ნიუანსური ელემენტებით ივსებიან, მაგრამ ფაქტიურად ყველგან ერთი და იგივე შინაარსი ახლავთ. ამგვარად, ისევე, როგორც ხატწერაში, ჰიმნოგრაფიაშიც ავტორის ინდივიდუალურობა, მისი ორიგინალური სტილი უკანა პლანზეა გადატანილი, ამით ხდება თავიდან აცილება იმ შემთხვევითობისა, რომელმაც ემპირიული ელემენტის, გრძნობისმიერი განწყობის გაძლიერება შეიძლება გამოიწვიოს ნაწარმოებში ავტორის სუბიექტური მეს შემოსვლით. ლიტურგიული ჰიმნოგრაფია მთლიანად სულიერ, ტრანსცენდენტურ სფეროს წარმოაჩენს, მატერიალური საწყისი აქ სრულიად უგულებელყოფილია. სიტყვის გაგება, როგორც ითქვა, სიმბოლისტურ-ლინგვისტური პოზიციიდან ხდება. სიტყვა მის არსთან განუყოფლად აღიქმება. ფრაზის ლოგიკურ გააზრებასთან ერთად, რომელიც უმნიშვნელოვანესი ფუნქციის მატარებელია, არანაკლებ ყურადღებას იმსახურებს მისი სტილისტური წყობა, რომელიც ღვთაებრივი ენერგიის მეოხებით ზესთასოფლიურ სიმაღლეზე მიუთითებს. ჰიმნოგრაფიისათვის, ისევე, როგორც ჰაგიოგრაფიისათვის, დამახასიათებელია ეპითეტთა გამორჩეული სიმრავლე, რაც სავსებით ბუნებრივი მოვლენაა, რამდენადაც "უძლური" და "ულირსი", (როგორც იხსენიებს ავტორი საკუთარ თავს), "კადნიერდება" და "ბედავს" შესხმას ღირსეულისას, მას არ აკმაყოფილებს 1-2 ეპითეტი, უფრო ხშირად კი იმ სიკეთისა და მშვენიერების გადმოსაცემად, რომელსაც აღწერს იგი, არ არის საკმარისი არანაირი სიმრავლე ეპითეტებისა და, უფრო მეტიც, მის გამოსახატავად სიტყვის დაძებნაც კი შეუძლებელია. საეკლესიო მხატვრობის მსგავსად, იგი, ვისადმიც აღვლენილია ლოცვა, აქაც სტატიკურობით გამოირჩევა, არ მოიცავს ემოციურ და ემპირიულ შტრიხებს.

ლიტურგიული ჰიმნოგრაფია, როგორც ღვთისმსახურების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, საეკლესიო ცხოვრების პრაქტიკის ძირითად მიზანს ემსახურება და ქრისტიანული ხელოვნების სხვა ფორმებთან სრულ ერთობაში მოდის. ამდენად, სავსებით ბუნებრივია, რომ უნდა არსებობდეს ძლიერი თანხვედრები ჰიმნოგრაფიის ნიმუშებსა და სასულიერო მხატვრობის ნაწარმოებთა შორის. რამეთუ, როგორც არაერთგზის აღვნიშნეთ, საეკლესიო მხატვრობასა და ლიტურგიულ ჰიმნოგრაფიას, ორ ძირითად შემადგენელ ელემენტს საღვთისმეტყველო პრაქტიკისა, ერთი მიზანი ამოძრავებთ — ტრანსცენდენტურ პირველსახემდე ამაღლების იდეა, პიროვნების ხსნა; საერთოა, აგრეთვე, მათი მსაზრდოებელი წყარო, რომელიც საღმრთო წერილად წარმოგვიდგება.

წინასახეობრივი აზროვნების მეტად საინტერესო სისტემას ეყრდნობა აგიოგრაფიული მწერლობა, რომელშიც წუთიერი, სოფლური, მარადიული ზესთასოფლიურის წინაშე გაიაზრება და ერთი მიზნისაკენ ისწრაფვის. აგიოგრაფიული გმირებიც, თითქმის უწონოდ, უსივრცოდ და უდროო გარემოში არიან წარმოდგენილნი. მათი შინაარსი მიღმურია, ტრანსცენდენტური. ყოველი მათი სახე გარკვეულად ქრისტეს ცხოვრებას იმეორებს. ამდენად, მაცხოვარი

და მისი ცხოვრება აგიოგრაფიული ნაწარმოებებისა და მისი გმირის პირველსახეა. აქვე შესაძლებელია გავიხსენოთ ის ძირითადი წარმოდგენა, რომელსაც ქრისტიანული აზროვნება ეყრდნობა; კერძოდ, სამყაროში არაფერია ერთმნიშვნელოვანი, ყველაფერს წინასახეობრივი შინაარსი გააჩნია და არქეტიპზე მიუთითებს. ქრისტიანი მორწმუნე, როდესაც იარაღს ან სამსჭვალს ხედავს, მაცხოვრის ჯვარცმა აგონდება; როდესაც წვიმს, მას გეთსიმანიის ბაღში მამისადმი მლოცველი მხსნელის სხეულიდან გარდამოსული სისხლიანი ცვარი ახსენდება; ზღვისა და ნავის ხილვისას წარმოუდგება მოციქულებთან ერთად ზღვაში მოარული იესო ქრისტე. მზე აგონებს უმზეობის წყვდიადს, რომელიც მაცხოვრის სიკვდილის შემდგომ მოეფინა გარემოს; წყალი ახსენებს მხსნელის გვერდიდან გადმოქცეულ სისხლს; როცა ქსმის საათის მონოტონური ხმაური, ახსენდება გულის ძგერა მისთვის განხორციელებულისა გეთსიმანიის ბაღში, როდესაც ჯვარცმისა და სიკვდილის ჟამი უახლოვდებოდა. როგორც ნეტარი ავგუსტინე წერს: "ღვთისმოსავ კაცს უხმოდ ესაუბრება მთელი სამყაროს ყოველი ქმნილება ენაზე, რომელიც შესაძლოა უსიტყვო იყოს, მაგრამ არანაკლებ მრავალსმეტყველია და გასაგები. სწორედ ამის გამო აღიქვამს იგი სათნო და მასოებელ აზრებს და ღვთისადმი მგზნებარე სიყვარულით ინთება." ამგვარად, ქრისტიანული აღმსარებლობა ყველაფერსა და ყოველივეს სიმბოლურ გააზრებას სძენს, მის იდეურ მხარეს სჭვრეტს, მისი ფარული შინაარსის ამოცნობას ცდილობს. ბუნების ხილული მოვლენები სამყაროს გარეგნულ ფორმად მიაჩნია, ხოლო მის შინაარსად თვლის იმ პირველსაწყისს, რომელსაც ბუნების მოვლენებში წესრიგი და ჰარმონია შეაქვს.

ადამიანი ღვთის ხატადაა შექმნილი. იგია ტაძარი ტრანსცენდენტური სულისა და სახეობრივად პირველსაწყისს უკავშირდება. აგიოგრაფიულ მწერლობაში გმირი სწორედ ამ "ტაძრული" შინაარსის მომცველია და იგი წინასახეობრივად მაცხოვარის ცხოვრებას იმეორებს. "საქმე წმიდათა მოციქულთა"-ში ვკითხულობთ: "და იყო მეყსეულად ზეკით ოხრაჲ, ვითარცა მოწევნაჲ ქარისა სასტიკისა და აღივსო ყოველი იგი სახლი, სადა-იგი იყვნეს მსხდომარე" /2,2/. იოანე ოქროპირის ეგზეგეზის მიხედვით, სახლი აქ სამყაროდ უნდა იქნეს გააზრებული, ე. ი. სამყარო აღდგომიდან ორმოცდამეათე და ამაღლებიდან მეათე დღეს სული წმიდის მადლით აღივსო და თუ წინასწარმეტყველებს, როგორც ღვთისაგან რჩეულთ, კონტაქტი მხოლოდ თავის ხალხთან ჰქონდათ, სულიწმიდის მადლით მოციქულები მთელ სამყაროსთან შედიან ურთიერთობაში. ცეცხლი — როგორც სიმბოლო ღვთიური ნათელისა, მოსესთან თუ შეუწველ მაყვლოვანად წარსდგა, მოციქულებზე ცეცხლოვანი ენების სახით გარდამოდის, შეუწველად ედება მათ და ღვთიური ნიჭით აღავსებს.

მხსნელის მიერ ადამიანური ცხოვრებით ცხოვრების, სიკვდილით სიკვდილის დაძლევის შემდგომ აღდგა კაცობრივი ადრე გათიშულ ზეცასა და მიწას შორის.

ქრისტიანული სარწმუნოება სწორედ იმას გვასწავლის, რომ ადამიანი, ვითარცა ტაძარი ღვთისა, მაქსიმალურად უნდა მიემსგავსოს იესო ქრისტეს. მან ჯვარს უნდა აცვას ცოდვილი "მე" და სათნოებით შემოსილ ახალ პიროვნებად აღსდგეს, თავის თავში უნდა მოჰკლას ძველი ადამი და ახალი ადამი შეიმოსოს. აგიოგრაფიული მწერლობა, რომელიც წმიდანის ცხოვრებას აღწერს და ე. ი. იმ ადამიანის ცხოვრების გზას წარმოგვიდგენს, რომელმაც თავის სიმხნითა და ღვაწლით, უდიდესი სულიერი თავგანწირვით, იტვირთა მაცხოვრის ჯვარი, ღვთის სათნოდ განვლო ცხოვრება და დასთრგუნა ბოროტება, თავისი ცხოვრებით მიემსგავსა იესო ქრისტეს, ზეციურ სამკვდრებელში მისი დიდების თანაზიარი შეიქმნა და ღვთის წინაშე ცოდვილთა შუამდგომლობის უნარით შეიმოსა. ამ თვალსაზრისით, მაგალითად, წმ. ნინოს ცხოვრების წაკითხვისას, ვნახავთ, რომ თუ დედა ღვთისმშობელმა იტვირთა "მირონი მის საუფლოჲსა", რომელიცაა "კრავი ცოდვათა აღმხმელი", სიკვდილის დამთრგუნველი და კაცთა გამომხსნელი — ადამიანად ქმნილი ძე ღვთისა, წმიდა ნინომ, ვითარცა მისგან ყოვლად უბიწო "სძლისგან" დათესილმა "სძალმა", მუცლად იღო საღმრთო მადლი და ზეციური ღვაწლით — ღვთიური ნათლით შემოსა "ბნელის მონებისაგან განშიშვლებულნი" ქართველნი და ჭეშმარიტი ღმერთის თაყვანისცემა ასწავლა მათ.

როგორც ვხედავთ, ჰიმნოგრაფიული და აგიოგრაფიული მწერლობა, რომელშიც ავტორი არ ცდილობს საკუთარი ორიგინალური გააზრებები მოგვახვიოს თავს, იმგვარ სახეობრივ-სიმბოლურ სისტემას ეყრდნობა, რომელიც ამოსავალს ბიბლიაში პოულობს და რომლის ამოხსნა საღვთისმეტყველო-თეოლოგიურ სფეროს მოიცავს და წმიდა მამათა და ეკლესიის დიდ მასწავლებელთა სწავლებებს უკავშირდება. ეს ის მზა მასალაა, რომელსაც აწვდის უზარმაზარი გამოცდილებისა და სულიერი პოტენციის მქონე ეკლესია სასულიერო ხელოვნების მსახურთ — ერთბამად ხატმწერთა და სიტყვის ოსტატთ.

ნანა ბოკუჩავა

ფსალმუნისა და სახარებისეული სახე – სიმბოლოების დამოწმება იოანე საბანისძის "აბოს წამებაში"

იოანე საბანისძის "აბოს წამებას" წინ ქართლის კათოლიკოსის სამოელის წერილი უძღვის, სადაც კათოლიკოსი სთხოვს და აჯერთხებს იოანე საბანისძეს ახალმოწამე აბოს ცხოვრებისა და წამების აღსაწერად. აქვე აუწყებს მას, თუ რატომ შეჩერდა მასზე არჩევანი: **"ჩვენ თვით უწყით წადიერებაჲ შენი ღმრთის მსახურებისათვის და ღმრთივმიმადლებული შენი მეკნიერებაი საღმრთოთა წიგნთაი და გულსმოდგინებაი შენი კეთილთა საქმეთა მოღვაწეებისათვის".**

ეს სამი ღირსება ავტორისა მისავე წერილში ჩანს, სადაც წერს: "ვაქებ და ვაკურთხევ მე მოწყალებასა ღმრთისასა, რომელმან დაჰნერგა გულსა მამფლისასა ესევითარისა ამისთვის ბრძანებად, რომელი სარგებელ და **ნაყოფ სულისა** და **სიქადულ** და **სიხარულ ხორცთა** მექმნების მე საუკუნოდ მიმართ და სოფელსაცა ამას".

ამ სამი ღირსების დასტური არის თავად თხზულება, რომელიც ისეა გაჯერებული საღმრთო წიგნების ცოდნით, რომ ძნელდება მისი ღირსების სრულად დანახვა. ჩვენ მხოლოდ ერთი წახნაგით შევეცდებით წარმოვაჩინოთ ის სიღრმე, რომელიც მეტ-ნაკლებად დაფარულია მკითხველისათვის.

თხზულება ოთხი თავისაგან შედგება:

I თავი: "ღმრთისმსახურთა და მარტვილთმოყვარეთა კრებულისათვის თხრობაჲ და მოძღვრებაჲ ახლისა ამის მოწამისა ჰაბოჲსა ხსენებაჲ" – სადაც ავტორი ამზადებს და განარჩევს მკითხველს, თხზულება იწერება მხოლოდ მათთვის, ვინც "ღმრთივცნობილია" და "ღმრთის მცნობელია", ვინც "ქრისტეს პატიოსანი სისხლითაა სყიდული". მიზანი კი ერთია – "რათა ერთობით მოგვცეს ჩვენ უფალმან სასყიდელი შრომათა ჩვენთაჲ".

II თავი: "ქართლად შემოსვლაჲ და ნათლისღებაჲ ნეტარისა ჰაბოჲსი" – სადაც მოთხრობილია მოწამის სულიერი ზეაღსვლის ისტორია.

III თავი: "მარტვილობაჲ წმიდისა ჰაბოჲსი."

IV თავი: "ქებაჲ სანატრელისა წმიდისა ჰაბოჲსი."

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ავტორი I თავში ესაუბრება მკითხველს და თხოვს მიაპყრონ მას "საჩინონი სასმენელნი" და "უფროისღა საცნობელნი ყურნი გულისა და გონებისანი", "რამეთუ ქრისტესთვის არიან და სანატრელთა მისთა მოწამეთათვის":

"შეიწყნარეთ კარავსა გვამისა თქვენისასა და სავანე განუმზადეთ, რამეთუ უფალსა ჰნებავს დამკვიდრებად ასოთა შინა თქვენთა, ვითარცა თქვა მოციქულმან პავლემ მოძღვარმან ეკლესიისამან, ვითარმედ: "ტაძარნი ხართ ღმრთისანი და სული წმინდაჲ დამკვდრებულ არს თქვენ შორის... ამისთვის საყვარელნო, ნუ გეწყინებინ სმენად სიტყვათა ამათ. რაითა არა ცუდად დავშვრეთ – მე სიტყვითა და თქვენ სმენითა, **რათა ერთობით მოგვცეს ჩვენ უფალმან სასყიდელი შრომათა ჩვენთაჲ"** – აქ არის საოცარი ერთობის მიღწევის სურვილი, რომელიც ამგვარად უნდა განხორციელდეს: აბო – იესოში; იოანე საბანისძე – აღმწერი და მისი მკითხველი – აბოში; გამაერთიანებელი კი უფლის სიყვარულია, რომლის სიტყვებს იქვე გვახსენებს მთხრობელი – "მე მოვიდე და დავიმკვიდრო თქვენ შორის" და "სასუფეველი ღმრთისაჲ გულთა შინა თქვენთა არს".

აქ იოანე საბანისძე იწყებს ეპოქის სულიერი თვალით აღწერას: "და არა თუ ხოლო ჩემდა მარტოჲსა საძიებელ არს სმენად საწადელი ესე მარტვილობაჲ ამის მოწამისაჲ, არამედ ყოველთა ჯერ არს თქვენდაცა დაკვირვებად ჩემ თანა, რომელნი ესე შემოკრებულსა ამას **ჟამსა მეშვიდესა დარსა ზედა ვდგათ,** რომლისა ჟამისათვის უფალი იტყვის, ვითარმედ: **"მრავალნი სცთებოდნენ და მრავალთა აცთენებდენ"**, და მოციქული პავლე მისწერს ტიმოთესა, ვითარმედ: "მოვალს ჟამი, ოდეს სიცოცხლესა ამის მოძღვრებისასა არა თავსიდებენ, არამედ გულისთქმისაებრ თვისისა თავით თვისით შეიკრებდენ მოძღვრებასა ქავილითა ყურთაჲთა და ჭეშმარიტებისაგან სასმენელნი გარე მიიქცინენ და ზღაპრებსა მიექცენ", – რომელიცა-ესე აწ ჟამსა ამას აღესრულების ჩვენ შორის,"— დასძენს ბოლოს ავტორი.

ერთობას გვავალებს "შეშვიდე ჟამის დარზე დგომა"

– აქ მინიშნებაა იესოს მიერ გალილეას ქვეყანაში ჩადენილ მეორე სასწაულზე, როცა რწმენაშერყეულ კაცს იესო უსაყვედურებს: "უკუეთუ არა იხილოთ სასწაულები და ნიშები არა გრწმენეს", რწმენაში განმტკიცებით გაუკოცხლდება კაცს მომაკვდავი ძე და მას მხურვალება "შეშვიდე ჟამს ოდენ დაუტევებს" /იოან. 4,47–54/— ქართლისთვისაც ეს არის ჟამი სიკვდილის, რომელშიც დევს რწმენით გაკოცხლება. ღვთის მოწყალების გამოვლინება კი არის ახალმოწამე, არაბი აბო. ის არის სიკვდილში მდებარე სიცოცხლე. ბნელში მდებარე ნათელი, ურჯულოებიდან აღმოცენებული ჭეშმარიტება. მეოთხე თავში – ქებაჲ წმინდისა მოწამისა აბოსი – იგი მოციქულ პავლეს ედარება: "გიხაროდენ, მოწამეო, უფლისა – მიერ! რამეთუ შენ მიეშგავსე უკანასკნელსა მას მოციქულსა პავლეს მამულთა მათ შჯულთა და მოძღვრებათა განგდებითა, და ქრისტეს, ძისა ღმრთისა, აღსარებითა მსგავსებადვე მისა თავი მოგეკვეთა:" "რამეთუ აღვერიენით მტერსა უკხოსა, შჯულითა განდგომილსა ქრისტესგან... ხოლო აწ შენგან მოგვეახლა ქრისტე და ჩვენ გულისხმა ვყავთ კვალად შიში მისი და სიყვარული მისი და მადლსა მისსა ღირს ვიქმნენით და სიყვარულსა მისსა და წყალობათა დღითი დღე მრავალთა სასწაულთა და კურნებათა ჩვენს შორის გამოჩინებითა".

სახარებისეული სიტყვების "მრავალნი სცთებოდნენ და მრავალთა აცთუნებდნენ",— მოხმობით იოანე საბანისძე მკითხველს ზეთისხილის მთაზე უფლის ნათქვამს ახსენებს: "–ეკრძალენით, ნუ ვინმე გაცთუნნეს თქუენ... რამეთუ აღდგეს ნათესავი ნათესავსა ზედა და მეუფებაჲ მეუფებასა ზედა, და იყვნენ სიყმილნი და სრვანი და ძვრანი ადგილდადგილდ. ხოლო ესე დასაბამი სალმობათაჲ არს. მაშინ მიგცნენ თქუენ ჭირსა. და მოგწყვიდნენ თქუენ, და იყვნეთ თქუენ მოძულებულ ყოველთაგან წარმართთა სახელისა ჩემისათვის. და მაშინ დაბრკოლდებოდიან მრავალნი და ურთიერთას შინა – განსცემდენ და სძულობდენ ურთიერთას. და მრავალნი ცრუწინასწარმეტყველნი აღდგენ და აცთუნებდენ მრავალთა. და განმრავლებითა უსჯულოებისაჲთა განხმეს სიყვარული მრავალთაჲ. ხოლო რომელმან დაითმინოს სრულიად, იგი ცხონდეს" /მათ. 24, 4–13/.

შევადაროთ იოანე საბანისძის მიერ აღწერილი ქართლის მდგომარეობა ზემოთქმულს: "რამეთუ რომელნი–ესე ვართ ყურესა ამას ქვეყანისასა, სასტიკებისა და სივერაგისა, მანქანებითა მით საკთურებისაითა, ზედამდგომელთა ამათ ჩვენთა, მფლობელთა ამის ჟამისათა, ზაკვლებითა მოძღვრებისათა თვით თავით თვისით შჯულისდებისაითა, განდგომილთა ქრისტესაგან მრავალნი შეაცდუნნეს და გარდადრიკნეს გზათაგან სიმართლისა და ჭეშმარიტებასა ქრისტეს სახარებისასა შეაცოდნეს, რომელნი ხუთასის წლისა ჟამთა და უწინარესღა შჯულდებულ ყოფილ არიან წმიდითა მადლითა ნათლისღებისაჲთა.

მიერითგან ვიდრე აქამომდე ნაშობნი ქრისტიანეთანი გარდაგვილარნეს – რომელნიმე მძლავრებით, რომელნიმე შეტყუვილით, რომელნიმე სიყრმესა შინა უმეცრებით, რომელნიმე მზაკვრებით. და სხუანი რომელნი–ესე ვართ მორწმუნენი, მძლავრებასა ქვეშე დამონებულნი და ნაკლულევანებითა სიგლახაკითა შეკრულნი, ვითარცა რკინითა ხარკსა ქვეშე გვემულნი და ქეჭნილნი, ძვირ–ძვირად ზღვეულნი შიშითა განილევიან და ირყევიან, ვითარცა ღერწამნი ქართაგან ძლიერთა. არამედ ქრისტეს სიყვარულითა და შიშითა, ჩვეულებისამებრ მამულისა სლვისა, ჭირთა მოთმინებითა არა განეშორებიან მხოლოდშობილსა ძესა ღმრთისასა".

აშკარაა, რომ იოანე საბანისძე თითქის ზედმიწევნით იმეორებს სახარებისეულ ლექსიკურ შედგენილობას, რათა აღწეროს VIII საუკუნის ქართლის მდგომარეობა. ამდენად, ჟამი, რომელსაც ის აღწერს, ასევე ზუსტად მიესადაგება ჩვენს ეპოქას. მისი გამჭოლად ნათქვამი სიტყვები: "–ჯერ არ თქვენდაცა დაკვრვებად ჩემ თანა" – დღევანდელი ადამიანის ყურადსაღებიც ხდება, რადგან "წელი ათასი, ვითარცა დღეჲ ერთი", რადგან ქრისტეს მოსვლის შემდგომ ყოველი ეპოქა ბოლო ჟამში ცხოვრობს.

იოანე საბანისძე წერს: "მრჩობლ იქმნა დღესასწაული ესე ღმრთის გამოცხადებისაჲ... რამეთუ ერთად შეკრებითა მით მათითა მრავალი ღმრთისმსახურებაჲ აჩვენიან... ყოველთა წილ საჭმელთა გემოვანთა ძალი იგი საღმრთოთა სიტყვათა ტკბილადი გამოვალენ პირსა მათსა, რამეთუ სიტყვა იგი წინასწარმეტყველისაჲ ოხრი შორის მათსა, ვითარმედ: "ტკბილ არიან სასასა ჩემსა სიტყუანი შენნი, უფალო, უფროჲს თაფლისა პირსა ჩემსა /ფს. 118, 103/. რამეთუ შეკრებასა მას ჭამადთასა განძღებაჲცა აქუს, ხოლო ღმრთისა სიტყვათა მოხსენებასა არა არს განძღებაჲ ღვთისმოყვარეთა სულთაჲ". და კვალად: "წმიდათა მათ მარტვილთა ხსენებითა ვინმეცა განძღა მარტვილთმოყვარე?" და ერთგულებაჲცა აქუს უფლისა მიმართ, რამეთუ ეტყვის უფალი წმიდათა მისთა: "–რომელმან თქვენ შეგიწყნარეს, მე შემიწყნარა".

ამისათვის უფროჲსნა გულსმოდგინედ საღმრთოთა მათთვის არნ შეკრებაჲ იგი მათი. მუნ შუა წარმოიხვნიან სიტყვანი იგი ცხოვრებისანი, მუნ სამებისა წმიდისა იგი სარწმუნოებაჲ აღორძინდებინ..."

118-ე ფსალმუნის 103-ე მუხლს: "რაზამად ტკბილ არიან სასასა ჩემსა სიტყვანი შენნი, უფროის თაფლისა პირსა ჩემსა", "Как сладки гортани моей слова Твои, лучше меда устам моим"

-იოანე ოქროპირი შემდეგნაირად განმარტავს: "თაფლის სიტკბო მხოლოდ ყელში შეიგრძნობა, შემდეგ კი მუცელში გადადის და გაიფანტება. ღვთის სიტყვა კი ატკბობს გულს და სულს. სხვა ფსალმუნშიც ამბობს წინასწარმეტყველი: "გულის სათქმელ არიან უფროის ოქროისა, ანთრაქთა პატიოსანთა ფრიად და უტკბილეს უფროის თაფლისა და გოლეულისა" (ფს.18. 10) ისე არ აამებს ჩემს გემოვნებას თაფლის სიტკბო, როგორც ახარებს შენი სიტყვებით წვრთნა ჩემ სულს. ხორხი ნახსენებია, როგორც ხმის ორგანო: ხმა სწავლებას ემსახურება, ყელისა და ხმისაგან იღებს სული სარგებელს".

იოანე საბანისძე ამ კონტექსტს მთლიანად ითვალისწინებს და ეძიებს თავისი ქმედების დიდაქტიკურ განმარტებას სხვადასხვა სიბრტყეზე:

1. "რამეთუ სიმტკიცე და სიხარულ ეკმნის ქებულთა მოთხრობითა მით, სიმხნეჲ იგი ქრისტეს მოღვაწეთაჲ და სიქადულ და მხიარულება მოხუცებულთა, ხსენებაჲ იგი ღვაწლისა მის მარტვილთაჲსა, და საწადელ და სასურველ მღელთა და ყრმათა მათ..."

2. "და ემსგავსენით შორის ეკლესიასა ხმანი იგი მათნი ანგელოზთა მათ გალობის-შემსხმელთა."

3. "რამეთუ დამდაბლდა და მიხსნა ჩვენ, აღმაღლდა ზეცად, ვინაიცა გარდამოხდა, და მიწისაგან ესე კაცებაი თანაალიყვანა და მარჯვენით მამისა მჯდომარე არს..."

იოანე საბანისძე 118-ე ფსალმუნის მოხმობილი სიტყვებით გამოხატავს სიყვარულს უფლისადმი. თუ გავიხსენებთ სიკვდილისწინა საუბარს აბოსა და ამირას შორის ("რაჲ ეგეოდენი სიტკბოება გაქვს ქრისტეს შენისაგან, რომლითა სიკვდიდცა არა გეწყალის თავი შენი?...

- უკუეთუ გნებავს ცნობად სიტკბოებაჲ მისი, შენცა გრწმენინ ქრისტე და ნათელიღე მისსა მიმართ და მაშინღა ღირს იქმნე ცნობად სიტკბოებისა მისისა"— დავინახავთ, რომ აქ ავტორი, მოწამე და მკითხველი ერთიანდებიან ქრისტეს სიყვარულში.

აქ იოანე საბანისძე აღწევს იმ პოლიფონიურობას, რაც ქართულ გალობაშია, შესაძლოა, აქ არის ქართული ბაროვნების წყობა; სრულად არის შეთვისებული ზოგადქრისტიანული ხედვა. ამ პოლიფონიურობაში შეიმეცნება: "რამეთუ საშინელ და წმიდა არს და ყოვლად ძლიერ და საკვირველ და უფალ და ყოვლისა მპყრობელ არს სახელი მისი", და აქვე, ადამიანური უძლურება. ამიტომ მიმართავს იოანე საბანისძე იმ საერთო სიმბოლოების ჩამოთვლას, სადაც სიმბოლიზირდება მაცხოვრის სახე: 1. კარი; 2. გზა; 3. ტარიგ; 4. მწყემს; 5. ლოდ; 6. მარგალიტ; 7. ყვავილ; 8. ანგელოზ; 9. კაც; 10. ღმერთ; 11. ნათელ; 12. ქვეყანა; 13. მარილ; 14. მატლ; 15. მარცვალ მდოგვის; 16. მზე სიმართლის; და ძე მამის უკვდავისა და ერთ ღმერთ გარდაუქცეველ და განუქარვებელ და უცვალებელ".

ამ სიმბოლოთა განმარტების შემდეგ ავტორი წერს: "ხოლო ესე არა თუ რაიმე თავით თვისით განგიმარტეთ თქვენ, საყვარელნო და ქრისტესმოყვარენო და სწავლის მოღვაწენო, **არამედ წმიდათა წიგნთაგან საწინასწარმეტყველოთა და მოციქულთა ქადაგებისაებრ, - წმიდათა სახარებათა წერილნი და ნეტართა მამათა მძღოლთა მიერ განსაზღვრებული სარწმუნოებაჲ.**"

ეს მონაკვეთი განსაკუთრებით ყურადსაღებია, იოანე საბანისძე გვამცნობს, რომ აქ არ შერეულა მისი, ავტორის დამოკიდებულება-ნააზრევი, არამედ ყოველივე მკაცრად კანონიზირებულია.

ჩამოთვლილ სიმბოლოთაგან სამი: ლოდი, ქვეყანა და მატლი ფსალმუნიდანაა.

"ლოდ საკიდურ ეწოდა წინასწარმეტყველის მიერ, რამეთუ ესე არს, რომელი იგი შეურაცხ და განგდებულ იქმნა მღვდელმოძღვართა მათგან და მწიგნობართა ნათესავისა ჰურიასტანისა იერუსალემს, არამედ ესე თავ ყოველთა ცისკიდეთა იქმნა".

"ლოდი, რომელი შეურაცყვეს მაშენებელთა, ესე იქმნა თავ კიდეთა" - /ფს. 117,22/.

იოანე ოქროპირი ამ ფსალმუნის განმარტებისას წერს: "ეს ფსალმუნი თავის საამო ხმოვანებაში შეიცავს რაღაც დიდ ჭეშმარიტებას... მის შუაგულში არის მნიშვნელოვანი წინასწარმეტყველება. "-ლოდი, რომელიც შეურაცყვეს მაშენებელთა, ესე იქმნა თავ კიდეთა", რაც ქრისტემ გაუმეორა იუდეველებს, თუმცა შენიღბულად, რადგან ისინი რისხვით იყვნენ მოცულნი და არ სურდა უფრო გაღიზიანებინა (მათ. 21, 42; მარკ. 12,10; ლუკ. 20, 17;). რატომ არის ეს წინასწარმეტყველება შუაში, წყვეტს თანმიმდევრობას

და არ უკავშირდება ზემოთ მიმდინარეს?" ეს არ არის გასაოცარი, არც ახალი, ასეა მრავალი წინასწარმეტყველება ძველ აღთქმაში, რადგან ისინი დრომდე თვალთაგან შეუმჩნეველი უნდა ყოფილიყო, რომ არ განადგურებულიყო თავად წიგნები...

მაშინებლები არიან იუდეველები – მცნებათა მასწავლებლები, მწიგნობრები, ფარისევლები, ვინც უარყო იგი, მაგრამ ეს განგდებული აღმოჩნდა იმდენად სარგო, რომ მთავარ კუთხედ დაიდო. ყველა ქვა როდი გამოდგება კუთხისათვის, არამედ უკეთესთაგანი, რომელსაც შეუძლია შეაერთოს სხვადასხვა მხარეთა კედლები... არავის ადამიანთაგან, ანგელოზთაგან, მთავარანგელოზთაგან არ შეეძლო შეექმნა ასეთი ქვაკუთხედი – მხოლოდ უფალს...

...ქვაკუთხედი, კავშირი ორი ხალხისა უფლის თაყვანისცემაში, რადგან იუდეველთაგან მრავალმა ათასმა ირწმუნა, ებრაელთაგან იყვნენ მოციქულებიც. ვინ არ გაოცდება, ვის არ გააოგნებს ის, რომ სადაც ჯვარს აცვეს ქრისტე, იქვე თაყვანსსცემენ მას. ჯვარმცმელები – ლირსებააყრილნი, თაყვანისმცემელნი კი განდიდებულნი არიან. მთელს დედამიწას გადაუარა მისმა სიტყვამ და გააერთიანა მრავალი ჭეშმარიტებაში. ის საოცარია მათთვის, ვინც ასე თუ ისე იგებს მასზე და უფრო თვალნათელი და გაცხადებულია მორწმუნეთათვის."

იოანე საბანისძე ხედავს რა აბოში განახლებული ტაძრის ლოდს, ხედავს მასშივე ხსნას.

"**ქვეყანა** ეწოდა, ვითარცა თქვა დავით: ქვეყანამან გამოსცა ნაყოფი თვისი, მაკურთხენინ ჩვენ, ღმერთო, ღმერთო ჩვენო!" /ფს. 66, 7/.

ჭეშმარიტად ქვეყნისა დამბადებელი იგი ქვეყანად მოვიდა და ქვეყანით მიწისაგან შექმნულთა მათგან მიწისა ბუნებისა იგი ხორცნი, ვითარცა შვენიერი ჯეჯილი, აღმოსცენდა ქვეყანით და ნაყოფად გამოიხვნა წმიდანი თვისნი მოციქულნი და მოწამენი და მართალნი და დაწყეული იგი ქვეყანაი ნაყოფითა კურთხევისაჲთა აღავსო".

წმიდა აბოს წამების შემდეგ "გამოიღეს წმიდაჲ იგი გვამი წმიდისა მის... გარდამოიღეს იგი ურმისა მისგან და დადვეს იგი ქვეყანასა". ეს ადგილი შემდეგში კურნების ძალას მიიღებს – "ყოველნი სიხარულითა და მადლობითა ქრისტესითა მივიდოდეს და აღიღებდეს მიწასაცა მის ადგილისასა. და მრავალნი სენთაგან შეპყრობილნი მიჰყვანდეს და მასვე დღესა შინა განიკურნებოდეს". IV თავში იოანე საბანისძე მიმართავს სანატრელ მოწამეს: "–**შენ ქვეყანამან მსხვერპლად წმიდად და სათნოდ მიგიპყრა ღმერთსა**, მას ზედა დაწვითა პატიოსნისა გვამისა შენისაჲთა, რამეთუ გექმნა შენ, ვითარცა საკურთხეველი იგი აბელისი, ენუქისი, აბრაჰამისი და ელიაჲსი, რომელნი–იგი მრგვლიად დასაწველთა მათ ტარიგთა შესწირვიდეს ღმერთისა, და კვალად ადგილი იგი სამსხვერპლოჲსა შენისაჲ ემსგავსა ბერვასა აჰრონისასა და ზაქარიაჲსსა მღვდელთაჲსა, რამეთუ ნაკვერცხალსა მას ზედა ცეცხლისასა აღვიდოდა, ვითარცა სულნელებაჲ საკმეველთაჲ, სულნელებაჲ ხორცთა მაგათ შენთაჲ წინაშე უფლისა, წმიდასა მას წმიდათასა, ზეცისა საკურთხეველსა".

ყოველივე სიმბოლურად ასე განთავსდება:

I. ქვეყანა – ღვთისმშობელი; აღმოცენება – ქრისტე;

II. ქვეყანა, სადაც ითესება სიტყვა – ქრისტე; ნაყოფი – აბო.

ღვთისმსახურებაში: საკურთხეველი ემსგავსება ქვეყანას, სადაც იდება ტარიგი. მაცხოვრის გბაგავლილი აბო ხდება ტარიგი. მისი დამწვარი ხორცის სულნელება – საკმევლის სულნელებაა, რომელიც ზეციურ საკურთხეველში აღიკვამლება.

"**მატლ** ეწოდა, რამეთუ თქვა: "მატლ ვარ და არა კაც" /ფს. 21,7/ გამობრწყინვებითა ღმრთეებისაითა, ვითარცა სამჭედური მატლსა შინა, ეგრეთ ხორცთა შინა თვისთა დაფარა ღმრთეებაჲ იგი თვისი და უფსკრულთა ამის სოფლისათა შთააგდო და აღმოიქვა, ვითარცა კეთილმან მეთევზურმან, რომლისთვისცა იტყვის: "შეიპყრა ვეშაპი იგი სამჭედურითა და განუღო დანდალი ყბასა მისსა და ხარტუკი ცხვირსა მისსა" ესე იგი არს ეშმაკი, რომელი შეიპყრა, და შემუსრნა მანქანებანი მისნი, რომლისთვის წამებს მეფსალმუნე დავით: "შენ შეჰმუსრე თავები ვეშაპისაჲ მის" /ფს. 73. 13–14/.

21–ე ფსალმუნი მთლიანად წინასწარმეტყველურია და ქრისტეს ვნებას ასახავს და ყველაზე ხშირია მისი გამოჩენა ახალ აღთქმაში. აქ იოანე საბანისძე აკავშირებს ორ ფსალმუნს – 21–ესა და 73–ეს.

ქართლის სამეფო ნაბუქოდონოსორის მიერ წარყვნილ იერუსალიმს წააგავს. ფსალმუნში არის ვედრება: "ვიდრე-ამდის, ღმერთო გაყუეტრებდეს მტერი, განაარისხებდეს მხდომი სახელსა შენსა სრულიად? რად გარე-მიიქცევ ხელსა შენსა და მარჯუენასა შენსა წიაღადვე შენდა სრულიად?... შენ განამტკიცე ძალითა შენითა ზღვაი, შენ შეჰმუსრე თავები ვეშაპთაი წყალთა ზედა, შენ შეჰმუსრე თავი ვეშაპისაი მის და მიეც საჭმელად ერსა მას ჰინდოეთისასა" /ფს. 73, 10–11; 13–14;/.

ბევრი შემთხვევა ებრაელთა ისტორიიდან მოასწავებდა იესოს ცხოვრებისა და მსახურების სხვადასხვა კერძოობას. მაგ. ისაკის მსხვერპლად შეწირვა

მიანიშნებდა, რომ ღმერთი ერთადერთ ძეს გამოგზავნიდა მსხვერპლად სოფლისა; ტარიგი, რომელსაც ურიები ჰკლავდნენ პასექში და ჭამდნენ ეგვიპტის მონობიდან გამოხსნის მოსაგონებლად, მოასწავებდა იესოს ჯვარცმას; გველი რვალისა, რომელიც მოსემ უდაბნოში დაჰკიდა ძელზე, მოასწავებდა იესოს ჯვარზე სიკვდილს; სამი დღის ყოფნა იონა წინასწარმეტყველისა ვეშაპის მუცელში და მერე გამოსლვა მისგან, მოასწავებდა სამი დღის დაფლვას და მკვდრეთით აღდგომას მაცხოვრისას. როგორც მატლში იმალება ანკესი, ისე დამალა ქრისტემ თავისი ღვთაებრივი ბუნება ადამიანურ ხორცში და ამქვეყნიურობის უფსკრულში ჩამოეშვა, ივნო და არსში ჩამალული ღვთაებრივი ბუნებით შეიპყრო და შემუსრა ეშმაკი (ვეშაპი).

ნათლისღების დღესასწაულის ღამეს წმ. აბო საპყრობილეში იგრძნობს ხორცთაგან გასვლას და უფალთან მისვლის ჟამს და მოამზადებს თავს. წამების დღეს კი ამბობს: "დიდ არს ჩემდა დღეი ესე, რამეთუ ვხედავ ორკერძოვე ძღევასა უფლისა ჩემისა იესუ ქრისტესსა, რამეთუ დღესასწაულსა ამას შთახდა მდინარესა მას შინა იორდანესა განშიშვლებული ნათლისღებად და სიღრმესა მას შინა წყალთასა დამალულისა მის ვეშაპისა თავები ძალითა ღმრთეებისაითა შემუსრა /ფს. 73, 13-14/.

ჯერ არს ჩემდაცა დღესა ამას, რაითა განვიძარცვო შიში ხორცთა ამათ ჩემთაი, რომელნი სამოსელ არიან სულისა ჩემისა, და **შთავხდე, ვითარცა სიღრმესა ზღვისასა, შორის ქალაქსა ამას** და ნათელვიღო სისხლითა ჩემითა და ცეცხლითა და სულითა, ვითარცა ქადაგა წინამორბედმან იოვანე და მერმე კვალად შთავხდე წყალთაცა და კვალად განვნათლდე, რამეთუ დღეს გარდამოსლვაი არს სულისა წმიდისაი ყოველთა ზედა წყალთა, რომლითა ნათელიღებენ ქრისტეს მორწმუნენი სახედ იორდანისათა მათ მდინარეთა. და განშიშვლებითა ხორცთა ჩემთაითა მტერისა მის მზაკვარისა მანქანებანი, რომელ იზრახნა ჩემთვის, განვბასრე და დავტკეცნე **ფერხითა ჩემითა შორის ქალაქსა ამას.**

და კვალად დღესა ამას პარასკევსა ვნებითა თვისითა უფალმან ჩემმან იესუ ქრისტემან ჯვარსა მას ზედა განპყრობითა ხელთა თვისთაითა განაქიქა და თითისა საჩუენებელ-ყო ყოველთა კიდეთა ქვეყანისათა მტერი იგი ყოვლისა სოფლისაი.

აწ მეცა თანამაც, რაითა განუხდე ბრძოლად მტერსა მას ქრისტიანეთასა"...

I. იესო ქრისტეს ნათლისღების დღეს „აბო "ქალაქში", ვითარცა ზღვის სიღრმეში შთახდომით ნათელს იღებს **სისხლით** – თავისკვეთა მისი ("სცეს მახვილითა სამგზის... ვიდრემდის სული თვისი შეჰვედრა უფალსა"), **ცეცხლით** – დაწვა მისი სხეულისა ("განვიღოთ და დავწვათ იგი ცეცხლითა"), და **სულით.**

II. მეორედ წყალში შთახდომა ("და მერმე კვალად შთავხდე წყალთაცა და კვალად განვნათლდე") არის წინასწარმეტყველება მისი სიკვდილისშემდგომი მდგომარეობისა "ძვალნი იგი წმიდისა მოწამისანი, რომელთა ვერღარა უძლეს დაწვაჲ, შთაკრიბნეს ტყავსა ცხოვრისასა... მიიხვნეს და შთაყარნეს დიდსა მას მდინარესა"; "გარდამოავლინა უფალმან ადგილსა მას ზედა ვარსკვლავი მოტყინარეჲ, ვითარცა ლამპარი ცეცხლისა... კვალად მეორე დღესა უმეტესლა წყალთა გამოსცეს განსაკვირვებელი ნათელი... აღმობრწყინდეს ნათელნი სვეტისა მსგავსად, ვითარცა ელვანი" – სულისწმიდის გარდამოსვლა.

III. პარასკევ დღეს აბოს წამება მოწამის ხვედრში უფლის ნების კიდევ ერთი დასტურია, პარასკევ დღეს უფლის ჯვარცმას თანხვდება აბოს სისხლის დათხევა და თავისი ვნებით ქალაქს დაუფლებული "ვეშაპის" დათრგუნვის მაუწყებელია.

ნათლისღება და ჯვარცმა არის ძღევა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, რომელსაც ქრისტეს შეწევნით განახორციელებს მისთვის მოწამე.

წმ. აბოს გამოყვანა თავისი ქვეყნიდან ედარება ღვთის სიტყვით აბრაამის გამოყვანას ქალდეველთაგან ("ეგრეთვე ესე კვალად ნაშობი აბრაჰამისი არა თუ თვისით გონებით, არამედ წამისყოფითა ღმრთისა-მიერითა იწვია ისიცა"). უფალი ამბობს წმიდა სახარებაში: "– და ყოველმან, რომელმან დაუტევა სახლი, გინა ძმანი ანუ დანი, ანუ მამაჲ ანუ დედაჲ ანუ ცოლი, ანუ შვილნი ანუ აგარაკნი სახელისა ჩემისათვის, ას წილად მიიღოს და ცხოვრებაჲ საუკუნოჲ დაიმკვიდროს" /მათ. 19,29/.

აბო მიატოვებს ყველას და ყველაფერს ქრისტეს სიყვარულისათვის ("დაუტევა მამაჲ და დედაჲ და ძმანი... წარმოვიდა აქა ნერსეჱს თანა").

ქართლში მოსულ აბოს უფალი "მეცნიერ ჰყოფდა", რათა მრავალ შჯულისმეცნიერთაგან ზედმიწევნით შეესწავლა ძველი და ახალი აღთქმის საღვთო წიგნები. ასე განვლო აბოს კათაკმევლობის ხანამ, როცა იგი "სრულ იქმნა ყოვლითა მოძღვრებითა,

რომელი აქვს წმიდასა კათოლიკე ეკლესიასა ქრისტეს მიერ", მაშინ "უდებ-ჰყო" რჯული მაჰმადისა და მისი ლოცვის წესი, მთელი გულით შეიყვარა ქრისტე და **გამოარჩია სიტყვებით: "მითხრეს მე უშჯულოთა ზრახვაჲ, ხოლო არა ეგრე იყო, ვითარ რჯული შენი"** /ფს. 118, 85/.

სულიერად "ჩვილს" ქრისტეში ეშინოდა და ხილულად ვერ განიცხადებდა თავს ქრისტიანად და ეძებდა ადგილს, სადაც ფარულად მოინათლებოდა. ნერსე ერისთავის ლტოლვილებამ ქრისტეს სანატრელ მონას საშუალება მისცა მონათლულიყო და დაუბრკოლებლად შეერთდებოდა ქრისტიანულ მარხვასა და ლოცვას.

ოსეთიდან აფხაზეთში მიმავალი აბო მთელი გზის მანძილზე "იმარხვიდა და არ დასცხრებოდა ფსალმუნებითა".

აქედან იწყება მისი ახალ სულიერ საფეხურზე ზეაღსვლა. აფხაზეთში მყოფმა აბომ იწყო მარხვა და დუმილი, "რათა შეუძლოს ყოველთა მათ ისართა ეშმაკისათა განხურვებულთა დაშრეტად". მაცხოვრის ნათლისღების შემდგომი მარხვა და უდაბნოში განსვლა ედგა თვალწინ და ქრისტეს მიმსგავსებით და მისი მეოხებით "აღიღო ამანცა ფიცხელი შრომაჲ შორის ქალაქსა, ვითარცა უდაბნოსა ზედა". მოღვაწეობა კი დაიწყო იანვრის 17 რიცხვში, წმიდა მამა ანტონის ხსენების დღეს.

ამ სულიერი მოღვაწეობის შედეგი გამოჩნდა აფხაზეთის მთავართან თქმულ სიტყვებში: "რაჲ მადლი არს ყოფაჲ ჩემი აქა, სადა არა არს შიში, არცა სიკვდილი ქრისტესათვის? აწ გევედრები, განმიტევე მე, რაჲთა ეუწყოს ქრისტესმოძულთა მათ. ...ამისთვის არა მეშინის მე სიკვდილისაგან, რამეთუ მე სასუფეველსა ვეძიებ ქრისტესგან".

ქართლში მოსულ აბოს ქრისტიანობის გამო სასტიკად დევნიდნენ სარკინოზნი "რომელნიმე ჰყვედრიდეს, რომელნიმე აგინებდეს, რომელნიმე აშინებდეს, რომელნიმე სდევნიდეს, რომელნიმე მშვიდობისა სიტყვითა შეაჯერებდეს".

საოცარია განგება ღვთისა, რომელიც წარმართავს ყოველი ადამიანის ცხოვრებას. ნეტარი აბო, ვითარცა ქრისტე "სამი წლის ჟამთა იქცეოდა ქალაქსა მას შინა" და "ვერავინ მიყვნა ხელნი მის ზედა ბოროტებით, რამეთუ არღა მოწევნულ იყო ჟამი მისი" /იოან. 7,30/.

ქრისტეს საჯაროდ აღსარებისათვის შეიპყრობენ და საპყრობილეში შეიყვანენ, რამდენიმე დღის შემდეგ მას გაათავისუფლებინებს ქართლის ერისთავი სტეფანოზი. საინტერესოა, რომ აქ ავტორი არ ირჯება ზუსტად მიუთითოს I პყრობილების დღეთა რაოდენობა, არამედ ამბობს: "ხოლო რავდენთამე დღეთა გამოითხოვა იგი სტეფანოზ..." აბოს მეორედ შეპყრობა, ბორკილთა დადება და საპყრობილეში ჩაგდება მოხდა სტეფანე პირველმოწამეს ხსენების დღეს – 27 დეკემბერს.

საპყრობილეში მყოფმა აბომ გააძლიერა სულიერი მოღვაწეობა: "და იყოფოდა... საპყრობილესა შინა მარხვითა, ლოცვითა და **ფსალმუნებითა**".

იოანე საბანისძის ხედვა მთლიანად აბოს შინაგანი სულიერი ზეაღსვლისაკენ არის მიპყრობილი და მხოლოდ რამდენიმე სიტყვით ამბობს: "ყოფდა იგი ქველისსაქმესა". იგი მხოლოდ ორ უკიდურეს დამოკიდებულებას გამოჰყოფს მრავალ ცრუმოძღვართა და შემასმენელთაგან", რომლებიც აბოსთან შედიოდნენ:

1. ლმობიერებასა და სიბრალულში შემალულ ლიქვნასა და სიცრუეს;
2. შიშის ჩამნერგავ გაფრთხილებას;

— მათ ერთნაირად იღებს აბო: "იგი არა ისმენნ მათსა, არამედ ილოკავენ და უღარღილოდ ფსალმუნებნ გონებითა თვისითა".

საპყრობილეში ყოფნის მე-9 დღეს აბო იტყვის: "-ხვალე განსვლაჲ არს ჩემი ხორცთაგან და მისლვაჲ უფლისა ჩემისა და ღმრთისა იესუ ქრისტეს თანა, – რამეთუ ესე უფალმან გამოუცხადა თვისსა მას მოწამესა."

ვნახოთ რას უკავშირდება რიცხვი 9 ბიბლიაში:

უფალი უბრძანებს მოსეს: "დათესავთ მერვე წელს, მაგრამ **მეცხრე წლამდე** ძველ მოსავალს შეჭამთ, ძველი უნდა ჭამოთ, ვიდრე მოსავალი შემოვიდოდეს" /ლევ. 25,22/.

"ჰოშეაყის **მეცხრე წელს** აიღო აშურის მეფემ სამარია, აშურში გადაასახლა ისრაელი" /4 მეფ. 17,6/.

თავისი მეფობის **მეცხრე წელს, მეცხრე თვის მეათე დღეს** წამოვიდა ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორი მთელი თავისი ლაშქრითურთ იერუსალიმის წინააღმდეგ... თვის მეცხრე დღეს გამძვინვარდა შიმშილობა ქალაქში და არ ჰქონდა პური ქვეყნის ერს" /4 მეფ. 25,1-3/.

"პეტრე და იოანე აღვიდოდეს ტაძარსა მას ჟამსა ოდენ ლოცვისასა, **ცხრა ჟამს**" /საქ. 3,1/.

"იხილა მან ჩუენებით განცხადებულად ვითარ

მეცხრესა ოდენ ჟამსა მის დღისასა, რამეთუ ანგელოზი უფლისაჲ მოვიდა მისა და ჰრქუა მას: კორნილიე! და მან მიხედნა მას და ზარი განჰხდა და ჰრქუა მას: რაჲ არს, უფალო? ხოლო მან ჰრქუა მას: **ლოცვანი შენნი და ქველის საქმენი შენნი აღვიდეს სახსენებელად შენდა წინაშე უფლისა** /საქ. 10,3-4/.

"ხოლო მეექუსით ჟამითგან დაბნელდა ყოველი ქვეყანაჲ ვიდრე მეცხრე ჟამადმდე" და მეცხრესა ოდენ ჟამსა ხმა-ყო იესო ხმითა დიდითა" /მათ. 27, 45-46/.

შესაძლოა ამ წინასახეებს ითვალისწინებს იოანე საბანისძე, როცა არ ივიწყებს და საგანგებოდ მიანიშნებს მკითხველს იმ დღეს, როცა სანატრელ მოწამეს უფლისას გამოეცხადება ნება ღვთისა.

იოანე საბანისძე აღწერს აბოს გულსა და გონებაში წარმოშობილ მიმართებებს:" - ჩემდამო ნურას იტყოდეთ, რამეთუ მე, ვითარცა ყრესა, არა მესმოდა და ვითარცა უტყვმან რაი არა აღიღოს პირი თვისი, ვიყავ მე, ვითარცა კაცი უსმი, რომლისა თანა არა არს პირსა მისსა სიტყუაი, რამეთუ მე უფალსა ვესავ. განმეშორენით მე, უკეთურნო, და გამოვიძინე მე მცნებანი ღმრთისა ჩემისანი" /ფს. 118, 115/.

118-ე ფსალმუნის 115-ე მუხლზე "მისდერკით ჩემგან, უკეთურნო, და გამოვიძინე მცნებანი ღმრთისა ჩემისანი", იოანე ოქროპირი წერს: "ის განაგდებს ბოროტ სულთ და უკეთურ აზრებს, რათა უფლის მცნებები სიტყვით და საქმით შეასრულოს... მზაკვრული ჩანაფიქრით ვინც ცდილობს მომცეს ბოროტი რჩევები ვპასუხობ, რომ შეწყვიტონ შეგონება, რადგან უფლის ცნებებით ცხოვრება ჩემთვის ყველაზე ძვირფასია".

აბო ამ სოფელში ყრუდ და მუნჯად იტყვის თავს, რადგან ის უკვე ისმენს უფლის სიტყვას და ემზადება უფალთან მისასვლელად ("ზვალე განსვლაი არს ჩემი ხორცთაგან და მისლვაი უფლისა ჩემისა... რამეთუ ესე უფალმან გამოუცხადა თვისსა მას მოწამესა"), მთელი ღამე დაუჯდომელად **"აღსრულნა ფსალმუნნი"** და ცისკარს ფსალმუნის სიტყვებით შეხვდა: "-წინაისწარ ვხედავდ უფალსა, წინაშე ჩემსა არს მარადის, რამეთუ მარჯველ ჩემსა არს, რაითა არა შევიძრა" /ფს. 15, 8/.

მე-15 ფსალმუნის ებრაული ზედწარწერა "ოქროს ჯო�ა" და სათაური "ძეგლის წერაჲ დავითისი" ამ ფსალმუნის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მიუთითებს. აბო ცისკარს ამ ფსალმუნის სიტყვებით ხვდება: "და იტყოდა მდგომარეჲ იგი შეუძვრელად, ვითარმედ: - წინასწარ ვხედევდ უფალსა, წინაშე ჩემსა არს მარადის, რამეთუ მარჯვლ ჩემსა არს, რაჲთა არა შევიძრა... "და შემდგომნი, იგი სიტყვანი". ეს ფსალმუნი შემდეგნაირად სრულდება: "ამისთვის განიხარა გულმან ჩემმან და გალობდა ენა ჩემი, უფროისღა და ხორცთაცა ჩემთა დაიმკვიდრონ სასოებით. "რამეთუ არა დაუტეო სული ჩემი ჯოჯოხეთს, არცა სცე წმიდასა შენსა ხილვად განსახრწნელსა."

სიკვდილს არ ჰქონდა ძალაუფლება არა მხოლოდ სულზე, არამედ ქრისტეს სხეულზეც, მის ხორცს არ უხილავს ხრწნა.

წმიდა აბოს სხეულს ცეცხლს მისცემენ, რათა ქრისტიანებმა თაყვანისცემა ვერ შეძლონ, ტყავში მოათავსებენ დარჩენილ ნაშთს და მტკვარში გადააგდებენ, რაზეც იოანე საბანისძე ამბობს: "და იქმნა წყალი იგი მდინარისაჲ მის წმიდათა მათ ძვალთა სამოსელ გარეშემოხვევითა მით და სიღრმეჲ იგი წყალთაჲ საფლავ წმიდისა მის მარტვილისა, რათა არავინ უდებად მიეხოს მათ. ქრისტესმბრძოლთა მათ ესრეთ ყვეს და ესრეთ ღვაწლი კეთილი მოიღვაწა ნეტარმან მან".

მათეს სახარებაში წერია: "ხოლო რაჟამს მოვიდეს ძე კაცისაი დიდებითა თვისითა და ყოველნი ანგელოზნი მისნი მისთანა, მაშინ დაჯდეს საყდართა დიდებისა თვისისათა, და შეკრბენ წინაშე მისა ყოველნი ნათესავნი, და განარჩინეს იგინი ურთიერთას, ვითარცა-იგი მწყემსმან რაი განარჩინის ცხოვარნი თიკანთაგან; და დაადგინნეს ცხოვარნი მარჯუენით მისსა და თიკანნი მარცხენით.მაშინ ჰრქუას მეუფემან მარჯუენითა მათ მისთა: მოვედით, კურთხეულნო მამისა ჩემისანო, და დაიმკვიდრეთ განმზადებული თქვენთვის სასუფეველი დასაბამითგან სოფლისაით /მათ. 25, 31-34/.

აბოს წამება მოხდა 6 იანვარს, მაცხოვრის ნათლისღების დღეს, იყო პარასკევი... აბოსთვის კი პყრობილებიდან **მეათე** დღე იდგა ("რაჟამს განთენა მეათეჲ იგი დღეჲ...").

იოანე ნათლისმცემელმა "მიხედა იესოს, ვიდოდა რაჲ იგი, და თქუა: აჰა ტარიგი ღმრთისაჲ. და ესმა მისი ორთა მათ მოწაფეთა, იტყოდა რაჲ ამას, და მისდევდა იესოს. მოექცა იესო და იხილა იგინი, მი-რაჲ-სდევდეს მას, და ჰრქუა მათ: რასა ეძებთ? ხოლო მათ ჰრქუეს მას: რაბი, რომელი ითარგმნების მოძღუარ, სადა იყოფი? ჰრქუა მათ: მოვედით და იხილეთ; და მივიდეს და იხილეს, სადა იყოფოდა, და მის თანა დაადგრეს მას დღესა შინა; ჟამი იყო ვითარ მეათე". /იოან. I, 36-39/.

იოანე საბანისძე მიანიშნებს, რომ ყოველივე რაც ხდება, ღვთის მკაცრი განგებითაა (მეცხრე, მეათე,

მესამე ჟამნი; დღეები – წმიდა მამა ანტონისა და რაჟდენ პირველმოწამის ხსენებისა და მრავალი სხვა დეტალი) და ყოველივე ესოდენი სიზუსტით იმისათვის აღიწერება, რომ იმ ეპოქას მოშორებულმა მკითხველმა გულისხმაყოს უფლის სიტყვები: "თქუენი თავისაცა თმანი ყოველნი განრაცხილ არიან" /მათ. 10, 30/.

წამების დღეს აბო დაიბანს პირს, იცხებს ზეთს და იტყვის: "–მაშინ სადამე ვიყავ თვით მენელსაცხებლე, კეთილად შემაზავებელი სულნელთა მათს საცხებელთა, ხოლო **ესე საცხებელი დღეს დაფლვისა ჩემისა არს**".

იოანეს სახარებაში ვკითხულობთ: "ხოლო იესო უწინარეს ექუსისა დღისა ვნებისა მის მოვიდა ბეთანიად, სადა – იგი იყო ლაზარე მომკუდარი, რომელი იგი აღადგინა მკვდრეთით... ხოლო მარიამ მოიღო ლიტრაი ერთი ნელსაცხებელი ნარდისა სარწმუნოისა მრავალ-სასყიდლისაი და სცხო ფერხთა იესოისთა და თმითა თვისითა წარხოცნა ფერხნი მისნი, და სახლი იგი ყოველი აღივსო სურნელებითა მის ნელსაცხებელისაითა... და ჰრქუა იესო: უტევე მაგას, **დღეს დაფლვისა ჩემისა დამიმარხა ესე**" /იოან. 12, 1-7/. აბოს სიტყვებში წიაღსვლა უფრო ღრმავდება: "ამიერიდგან არღარა ვიცხო განქარვებადი ესე მწიროებისა ჩემისა ზეთი, არამედ, ვითარცა "ქებასა შინა ქებათასა" ბრძენმან სოლომონ მასწავა მე: "**სულნელებასა ნელსაცხებელთა შენთასა ვრბიოდი**".

"ქებაჲ ქებათაიში" ეს ადგილი ამგვარად იკითხება:" და სულნელებაჲ ნელსაცხებელთა შენთაჲ უფროჲს ყოველთა სულნელებათა. ნელსაცხებელ წარმოცალიერებულ – სახელი შენი... შემდგომად შენსა სულნელად ნელსაცხებელისა შენისა ვრბიოდეთ" /ქებ. 1,3-4/.

როგორც ორიგინე განმარტავს:

სიძეში იგულისხმება ქრისტე, სძალში – ეკლესია, სძლის თანმხლები ქალწულები არიან მორწმუნეთა სულები, სიძის თანმხლები ყმაწვილკაცები – ანგელოზები და ისინი ვინც მიაღწია სრულყოფილი კაცის მდგომარეობას "საზომსა ჰასაკისა სავსებისა მის ქრისტესისა" /ეფ. 4, 13/.

ქრისტე მოდის მამის მიერ ცხებული მრავალი ნელსაცხებელით. "სძალი მიიმართება სიძის გვერდში ამომდგარი, მსახურები კი უკან მიჰყვებიან – "სამეოც არიან დედოფალნი და ოთხმეოც ხარჭნი და ქალწულნი, რომელთა არა არს რიცხვი" /ქებ. 6,8/.

აბო კი ამბობს ქალწულთა სიტყვებს: "სულნელებასა ნელსაცხებელთა შენთასა ვრბიოდი".

მისი მოწამეობრივი აღსასრულის შემდგომ იოანე საბანისძე სირბილით მიმავალ დედებზე იტყვის: "დედანი მსგავს იყვნეს წმიდათა მათ მენელსაცხებლეთა, რომელთა სრბით მიაქვნდა სულნელები იგი წმიდასა მას ქრისტეს ღმრთისა ჩვენისა საფლავსა. ნანდვილვე იყვნეს ესენიცა მსგავს მათა, რამეთუ რბიოდეს ცრემლითა და მიაქნდა მათ თანა სანთლები და საკმეველი ხელითა თვისითა". როგორც იესომ იცხო ნელსაცხებელი, ასევე აბომ გაიმეორა მაცხოვრის ქმედება, მისი წამების შემდგომ კი გამოჩნდნენ მენელსაცხებლე დედები. "ქებათა-ქებიდან" ადგილის მოხმობით კი წმიდა მოწამე განჭვრეტს ადგილს ღვთის წიაღში. როგორც ქრისტეა ცხებული მამისაგან, ასევე აბო ცხებულია ქრისტესაგან.

ზეთის ცხების შემდეგ აბო ეზიარება ("და ესე რაი თქვა – წარავლინა წმიდად ეკლესიად და მოჰგვარეს მას წმინდაი იგი საიდუმლოი. ხორცი და სისხლი ქრისტესი. **იყო ჟამი იგი მესამეჲ დღისა მის დიდისა დღესასწაულისაჲ**").

იოანე საბანისძე მიანიშნებს, რომ აბო ზიარებას მესამე ჟამს იღებს. რა იგულისხმება მესამე ჟამში? მათეს სახარების მე-20 თავში მოყვანილია ვენახის მუშაკთა იგავი: "რამეთუ მსგავს არს სასუფეველი ცათაი კაცსა სახლისა უფალსა, რომელი განვიდა განთიადად დადგინებად მუშაკთა ვენახსა თვისსა. და აღუთქუა მათ სასყიდელი თითოეულსა დრაჰკანი დღესა შინა და წარავლინნა იგინი ვენახსა თვისსა. და განვიდა იგი **მესამესა ჟამსა** და პოვნა სხუანი, მდგომარენი უბანთა ზედა უქმად, და ჰრქუა მათ: წარვედით თქუენცა ვენახსა ჩემსა და, რაი-იგი იყოს სამართალი, მიგცე თქუენ. ხოლო იგინი წარვიდეს. და მერმე განვიდა **მეექუსესა** და **მეცხრესა ჟამსა** და ყო ეგრეთვე. ხოლო **მეათერთმეტესა ჟამსა** განვიდა და პოვნა სხუანი მდგომარენი და ჰრქუა მათ: რაისა სდექით თქუენ აქა დღე ყოველ უქმად" /მათ. 20, 1-6/.

პილატესთან საუბრის შემდეგ "მესამე ჟამს" ჯვარს აცვამენ იესოს ("ხოლო იყო ჟამი მესამე, და ჯუარს-აცუეს იგი") /მარკ. 15, 25/.

მესამე ჟამს გადმოდის სულიწმიდა მოციქულებზე. ბაბილონის გოდოლის შენებისას ენების აღრევით ხალხებმა დაკარგეს ერთმანეთის გაგების უნარი, რადგან უფალმა აიღო მათგან მადლი. სულიწმიდის გარდამოსვლით ეს მადლი უბრუნდებათ მოციქულებს.

ზიარების შემდეგ აბო იტყვის: "გმადლობ შენ უფალო ჩემო და ღმერთო, იესუ ქრისტე, რომელმან მომეც მე საგბლად ჩემდა ცხოვრების მომანიჭებელი ხორცი შენი და სიხარულად და განმამტკიცებლად ჩემდა – პატიოსანი სისხლი შენი. აწ უწყი, რამეთუ

არა დამიტევო მე, არამედ ჩემ თანა დადგომილ ხარ და მე შენ თანა. ამიერიდგან არღარა მოვიღო სხვაი საზრდელი, რომლითა კვალად მშიოდის, და არცა სხვა სასმელი, რომლითა კვალად მწყუროდის, არამედ კმა არს ესე ჩემდა ცხოვრებად საუკუნოდ. აწ დაღათუ ვიდოდი მე შორის აჩრდილთა სიკვდილისათა, არა შემეშინოს მე ბოროტისაგან, რამეთუ შენ, უფალი ჩემ თანა ხარ" /ფს. 22,4/.

ფსალმუნის ამ სიტყვების დასრულებისთანავე მოდიან მსახურნი, როგორც "აჩრდილნი სიკვდილისანი" ("და ესე ვითარცა თქვა მყის მოიწინეს მსახურნი იგი მსაჯულისანი").

მესამე ჟამის შემდეგ მიდის აბო მსაჯულთან და გზას საპყრობილედან მსაჯულის კარამდე ამგვარად აღწერს იოანე საბანისძე "ხოლო იგი მივიდოდა, ვითარცა ვინ მოგზაურ ექმნის მკვდარსა, ეგრე ხედვიდა თვისსა მას გვამსა. და სულითა თვისითა მოგზაურქმნული **თვით** იტყოდა ფსალმუნსა ამას ასდამეათრვამეტესა:

"–ნეტარ არიან უბიწონი გზასა, რომელნი ვლენან რჯულსა უფლისასა" /ფს. 118, 1/, –და საგალობელად მუხლისა მის თქვის შემდგომად სიტყვაი იგი ნეტარისა ავაზაკისაი: "–მომიხსენე მე, უფალო, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა!"

იოანე ოქროპირი განმარტავს: "ჩვენ ვიტყოდით – ნეტარია ის, ვინც ამ მიმქროლავ ყოფაში უფლის მცნებებით ცხოვრობს. გზად – წინასწარმეტყველი წუთისოფელს სახავს, რადგან მასში არაფერია მყარი და მუდმივი. ჩვენი ცხოვრება ჩრდილია და კვამლის მსგავსად გაიფანტება... ვიღვაწოთ მომავალი სიკეთისათვის... როგორც ვთქვი გზა – ამქვეყნიური ცხოვრებაა, გზა – დაბადებიდან სიკვდილამდე, რომელსაც ჩვენ ყველა გავივლით. ის, ვინც თავის სვლაში არ ირხევა მარჯვნივ და მარცხნივ და ცხოვრობს ღვთის მცნებებით ნეტარია".

ამის შემდეგ აბო ამბობს იესოს გვერდით ჯვარცმული ნეტარი ავაზაკის სიტყვებს: "მომიხსენე მე უფალო, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა". და უფალი ეუბნება მას სახარებაში: "ამინ გეტყვი შენ: დღეს ჩემთანა იყო სამოთხესა" /ლუკ. 23, 42-43/.

ასე იკვრება იოანე საბანისძის თხრობის შიდა შრე ერთ წრედ, სადაც ბოლო უერთდება დასაწყისს: "ტკბილ არიან სასასა ჩემსა სიტყვანი შენნი უფალო, უფროის თაფლისა პირსა ჩემსა" და მთელი თხზულება ღვთის სადიდებელ ჰიმნად იქცევა:

118-ე ფსალმუნის:

1. 103-ე მუხლის სიტყვებით – ავტორი და მოწამე და მათთან ერთად მკითხველი, თხზულების დასაწყისში, ერთიანდებიან ქრისტეს სიყვარულში.

2. 85-ე მუხლის სიტყვებით – მოწამე მიატოვებს მამულით შჯულს და შეიყვარებს ქრისტეს.

3. 115-ე მუხლის სიტყვებით – აბო კვდება წუთისოფლისათვის და როგორც ყრუს აღარ ესმის ამქვეყნიური უშჯულოებანი და როგორც მუნჯი არაფერს ამბობს მათზე.

4. 1-ლი მუხლის სიტყვებით – სრულდება აბოს ქრისტიანული ზეაღსვლა, აქ არის მისთვის მოწამეობრივი გვირგვინის დადგმისა და ახალ ცხოვრებაში გადასვლის დასტური: "ნეტარ არიან უბიწონი გზასა, რომელნი ვლენან რჯულსა უფლისასა".

დიდი შაბათის მთელი ღვთისმსახურება წარმოადგენს საოცარ შუბამეპას ყველაზე საპირისპირო გრძნობებისა – მწუხარებისა და შვებისა, დარდისა და სიხარულისა, ცრემლისა და ნათელი ზეიმისა. იგი შედგება ქვეყნად მაცხოვრის მოწამეობრივი ცხოვრების წინასწარმეტყველურად გამომხატველი მე-17 კანონისაგან (118-ე ფსალმუნი), რომელსაც "ნეტარ არიან უბიწონი" ეწოდება.

იოანე ოქროპირი წერს: "სახელგანთქმულმა მოძღვრებმა და მასწავლებლებმა, ჩვენმა წმიდა მამებმა მოგვცეს გალობად და სადიდებლად ასმეთვრამეტე ფსალმუნი, რომელიც საუფლოდ იწოდება. ეს არის დიდი საუნჯე, სულიერი განძი და სარგო დამოძღვრა. და ჩვენ ვგალობთ მას უფლის სადიდებლად, როგორც ცხოვრებაში განმტკიცებული კეთილი საქმეების ნიმუშს, რადგან მასში **ღვთისაკენ თანმიმდევრული ცხოვრების** გზა იხსნება. და მასშია დარიგება. ამიტომ აქვს ასეთი სახელწოდება, რადგან ვინც ყურად იღებს მას და ზედმიწევნით ჩაწვდება მის აზრს, ის ცხოვრების სრულქმნას დაეუფლება და სახელწოდების თანახმად სრულყოფს მას უბიწობით. უბიწო კი არის ის, ვინც ყოველგვარი დანაშაულისაგან, სიბილწისა და ჭუჭყისაგან თავისუფალია, არ ურევია ბიწი, უკანონობა და ცოდვა. ის იმავდროულად ნეტარია, რადგან ამ ცხოვრებაშივე ეზიარა ჭეშმარიტ განცხრომას, განათდება ღვთისხილვით. დაივანებს მყუდროებაში და მარადიული ცხოვრების ნეტარებაში."!

იოანე საბანისძე მოგვითხრობს:

"სადა-იგი შთაყარნეს ღმრთივპატივცემულნი იგი ძვალნი სანატრელისა მის მოწამისანი, ხიდსა მას ქვეშე, აღმობრწყინდეს ნათელნი სვეტისა მსგავსად... და განათლებულ იყო გარემოსსა კიდეთა მის მდინარისათა კლდეჲ იგი და კბოდენი და ხიდი... ეგრევე ყოველი სიმრავლეჲ ქალაქისაჲ ჰბედვიდა, რაჲთა ყოველთა ჰრწმენეს, რამეთუ ჭეშმარიტად იესუ ქრისტეს, ძისა ღმრთისა მარტვილ არს. და გულისხმა ყონ ყოველთა ქრისტეს მორწმუნეთა და

ურწმუნოთა, რამეთუ ჭეშმარიტ არს სიტყვაჲ იგი უფლისა, რომელ თქვა, ვითარმედ: "მე თუ ვინმე მმსახურებდეს, პატივ სცეს მას მამამან ჩემმან, რომელ არს ცათა შინა" /იოან. 12,26/.

მესამე თავი სრულდება 115-ე ფსალმუნის სიტყვებით: "პატიოსან არს წინაშე უფლისა სიკვდილი წმიდათა მისთაჲ" /ფს. 115,6/.

"წინასწარმეტყველი ამბობს, რომ უფალი ზრუნავს წმინდანის ცხოვრებაზე და მის სიკვდილზეც. ეს ეხება არამარტო ბუნებრივი წესით მომხდარ სიკვდილს, არამედ ხშირად, უფლის განსაკუთრებული ნებით დაშვებულ სიკვდილსაც. განა არ გსმენია მოციქულ პავლეს სიტყვები: "ხოლო დადგომაჲ ხორცთა შინა უნებელადრე თქუენთვის. და ესე სასოებით უწყი, რამეთუ დავადგრე და გგებდე თქუენ ყოველთა წარმატებისა თქუენისათვის და სიხარულისა მის სარწმუნოებისათ" /ფილ. 1, 24, 25/. ეს არაა საკვირველი, რადგან ზოგიერთი მათგანის შობა ბუნებრივ კანონს ეწინააღმდეგებოდა. ასეთი იყო ისააკი, სამუელი.

ამიტომ ამბობს მოციქული: "არათუ შვილნი ხორცთანი" არიან, არამედ "შვილნი აღთქუმისანი" /რომ. 9,8/. ღვთის განგებით მოკვდა მოსე და არა შემთხვევით. იოანე ნათლისმცემელის სიკვდილიც ღვთის მიერ იქნა დაშვებული, და ის "პატიოსანი" იყო, მიუხედავად იმისა, რომ მისი თავისკვეთა მეძავისათვის მისართმევი ჯილდო იყო; ეს სიკვდილი ნამდვილად პატიოსანი იყო, რადგან ის ხორციელ სიცოცხლეს გაშორდა ჭეშმარიტების გამო, რაც იმაშიც ჩანს, რომ თავად მკვლელი ძრწოდა მის წინაშე" და ესმა ჰეროდეს მეფესა, რამეთუ განცხადნა სახელი მისი, და იტყოდა, ვითარმედ: იოანე ნათლისმცემელი მკვდრეთით აღდგომილ არს და მისთვის იქმნებიან ძალნი მის თანა" /მარკ. 4,14/. იხილე აბელის სიკვდილის პატიოსნება - "სადა არს აბელ, ძმა შენი?... ხმაჲ სისხლისა ძმისა შენისა ღაღადებს ჩემდა მომართ ქუეყანით" /დაბ. 4,9-10/. იხილე ლაზარე სიკვდილის შემდგომ ანგელოზთაგან აღყვანილი /ლუკ. 16, 22/. იხილე, მოწამეთა წინაშე შეკრებილი, სიყვარულით აღგზნებული ქალაქები და ხალხები" /იოანე ოქროპირი/.

115-ე ფსალმუნის მოხმობილი სიტყვების დასტურია იოანე საბანისძის აღწერილი: "ამაინ იწყო სიმრავლემან ქალაქისამან ქრისტიანეთამან და განაგდეს შიში მძლავართა მათ და განვიდოდეს ყოველნივე ადგილსა მას, სადაცა დაწვნეს ხორცნი იგი წმიდისა მოწამისანი".

გამორჩეულია იოანე საბანისძის ღვაწლი წმიდა აბოს წამების აღწერაში. ის არ ტოვებს უმცირეს დეტალებს და სრულად წარმოაჩენს აბოს მოწამეობრივი გვირგვინის სრულყოფილებას— თუ როგორ შეიმოსა წამებულმა უფალი და განვლო ქრისტეს გზა, ქრისტეს მეოხებით. ნაწარმოების მეოთხე ქებით ნაწილში ჩანს, რომ ქართლის კათოლიკოსის სამოელის არჩევანი მრავალ ასპექტს გულისხმობდა. არამარტო იოანე საბანისძის განსწავლულობას საღმრთო წერილში, არამედ მის ხორციელ და სულიერ სიახლოვეს უფლის სანატრელ მოწამესთან. იოანე საბანისძე მიმართავს სანატრელ მოწამეს: "მნებავს ქებად შენდა, ყოვლად ქებულო ქრისტეს მოწამეო, არამედ ვერ ვიკადრებ, რამეთუ უფროის გონებისა ჩემისა აღმაღლდა ქებაჲ სათნოებათა შენთაჲ. და კვალად მეშინის მე დადუმებად, რამეთუ სანატრელითა მით ქრისტესმიერითა სიყვარულითა შემიყვარე მე, ვიდრეცა იყავცა სოფელსა ამას შინა ჩვენსა"...

როგორც ვხედავთ განსაკუთრებულია იოანე საბანისძის მიმართება ფსალმუნთა წიგნისადმი და გამორჩეულია 118-ე ფსალმუნის გამოყენება ნაწარმოების არქიტექტონიკაში.

ფსალმუნთა გამოყენებისას ავტორი ითვალისწინებს:

1. ფსალმუნში შემავალ წინასწარმეტყველებას
2. მის დადასტურებას ახალ აღთქმაში
3. მის მიმართებას მოწამის სულიერ საფეხურთან

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, გაოცებას იწვევს ქრისტიანული ხელოვნების ამ ჟანრის, აგიოგრაფიული თხზულების, აგების შრეებითი სიღრმისეულობა, თითქოს და ლოკალური მოვლენის გაანალიზება განზომილებათა სხვადასხვა სიბრტყეზე, მისი დროის სხვადასხვა კატეგორიებში მოხილვა, გლობალურ, სამყაროსეულ მაშტაბებში გააზრება და ადგილის მიჩენა. ამავე დროს, სხვადასხვა დონის მკითხველის გათვალისწინება.

ყოველივე ეს კი ნებისმიერი ეპოქისათვის სისხლხორცეულს ხდის და უხრწნელების ნიშნით აღბეჭდავს მას.

ისევ დაგვრჩენია, ჩვენც ვედრებით მივმართოთ მას, ვინც თბილისი გამოიხსნა "ვეშაპის" მონებისაგან საკუთარი სისხლის დათხევით, მტკვარი ემბაზად აქცია და იორადნეს ამსგავსა:

"აწ გევედრებით ყოველნი შენსა ქრისტესმოყვარეობასა, მეოხმცა ხარ წინაშე მაცხოვრისა ყოველთაჲსა ჩვენ ყოველთათვის, რომელნი შენ მიერ ითხოვენ წყალობასა ქრისტეს ღმრთისაგან, რომლისაჲ არს დიდებაჲ და პატივი და ძლიერებაჲ თანა მამით და ყოვლადწმიდით სულითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ!"

მსოფლიო საეკლესიო კრებები გელათის ტაძრის კედლის მხატვრობაში

არა ყოფილა და აღარც იქნება კაცთა მოდგმის ცხოვრებაში ისეთი დიდი მოვლენა და ეგზომ დიდი მიჯნა, როგორც განკაცება და ვნება-აღდგომა უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტესი. ათასწლობით ღმრთისაგან გარეშეოდ კაკობრიობას, მაცხოვრის ჩვენთვის დათხეული სისხლით გამოსყიდულს, კვლავ გაეხსნა ზეკიურ მამასთან მიმყვანებელი ბჭე. მაგრამ ადამიანის ცოდვით დაცემული ბუნება კვლავაც აბრკოლებს მის ღვთის სიტყვის მიერ ჩვენებული, წმ. მოციქულთაგან ხარებული, დიდთა მოძღვართაგან ქადაგებული გზით სვლას. უჯერო საქციელი და უკულმართი აზრი თვით ქრისტეს ეკლესიაშიც კი შეჭრილა; გულზვიადსა და ამაო სიბრძნით მოქალულთ, არაერთხელ დაურღვევიათ მისი წესი და მთლიანობა, ვითარცა წინასწარ გვაუწყებდა მაცხოვარი: "ეკრძალენით ცრუ წინასწარმეტყველთაგან, რომელნი მოვიდოდნენ თქუენდა სამოსლითა ცხოვართათა, ხოლო შინაგან იყუნენ მგელ მტაცებელ". /მათე, 7, 15/. ეკლესიისათვის ამგვარი რამ მოუთმენელი იყო და არის, რადგან უმთავრესი კანონი მისი არსებობისა სწორედ ერთობაა – "ყოველნი ერთ იყუნენ, ვითარცა შენ, მამაო, ჩემდამო, და მე შენდამი, რათა იგინიცა ჩუენ შორის ერთ იყუნენ" – ბრძანა იესუ ქრისტემ მოციქულებთან უკანასკნელი საუბრისა და გამოთხოვებისას /იოანე, 17, 21/. ამიტომაცაა ძველთაგანვე, რომ შფოთისა

და უწესრიგობის პასუხად შეიყრებიან ხოლმე მღვდელმთავარნი და მოძღვარნი ეკლესიისანი და მათი კრებულისათვის მოვლინებული სულიწმიდის ძალით გამოარჩევენ კეთილს, დაადგენენ სწორსა და მართებულს – ამგვარ თავყრილობას უწოდებენ საეკლესიო კრებას.

საეკლესიო კრება ორგვარი შეიძლება იყოს – ადგილობრივი და მსოფლიო. ადგილობრივი კრების სამსჯელო რომელიმე ერთი ქვეყნის თუ მეზობელი ქვეყნების სატკივარი არის ხოლმე, თუმცა მისი ძეგლისწერა შემდგომ საყოველთაოდაც შეიძლება იყოს აღიარებული. მსოფლიო საეკლესიო კრება, რასაკვირველია, ის იქნება, რომელშიც მთელი საქრისტიანოს ეკლესიები მონაწილეობენ და დადგენილებანიც მისი, ცხადია, იმთავითვე ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანისათვის არის სავალდებულო. თქმა არ უნდა, რომ ისინი ყველაზე დიდსა და რთულ საკითხებს განიხილავდნენ ხოლმე და ეკლესიის ისტორიისათვისაც მათ აქვთ უპირატესი მნიშვნელობა. დღევანდლამდე შვიდი მსოფლიოდ აღიარებული საეკლესიო კრებაა ცნობილი: ნიკეის 325 წლის კრება, იმპერატორ კონსტანტინე დიდის თაოსნობით მოწყობილი – მან დაგმო და შეაჩვენა არიოზის მწვალებლობა, ვინაც უარჰყო ძე-ღმერთისა და მამა-ღმერთის თანა-არსობა; კონსტანტინოპოლისა – 381 წლის, იმპერატორ თეოდოსი დიდის მოხმობილი, რომელმაც ანათემას გადასცა მაკედონიესისა და აპოლინარის მწვალებლობანი და დაამკვიდრა სულიწმიდის მამასა და ძესთან თანასწორობა; ეფესოს 431 წლისა – მას იმპერატორი თეოდოსი II უძღვებოდა – ნესტორიოსის ცრუ მოძღვების საწინააღმდეგო, ვინც ამტკიცებდა, ვითომც იესუ ნაზარეველი ჩვეულებრივ კაცად დაბადებულიყო და მასში მხოლოდ "ჩასახლდა" ღმრთის სიტყვა, მეორე პირი წმ. სამებისა; ქალკედონის 451 წლის კრება, იმპერატორ მარკიანეს შეკრილი ევტიხისა და დიოსკორეს მწვალებლობის განსაგდებად, რომელნი უარჰყოფდნენ მაცხოვრის კაცებრივ ბუნებას და ე. წ. ერთბუნებიანობას /მონოფიზიტობას/ ამტკიცებდნენ; 553 წლის კონსტანტინოპოლისა, იმპერატორ იუსტინიანე დიდის შეკრებილი კვლავ ნესტორიოსისა და მასთან ორიგენეს დასაგმობად; 628 წლის, კვლავ კონსტანტინოპოლს შემდგარი იმპერატორ კონსტანტინე პოლონატის ნება-სურვილით, სერგისა და კირესის ცდომის უკუსაგდებელად, რის თანახმადაც მაცხოვარს ორი ბუნება კი ჰქონდა, ოღონდ მხოლოდ ერთი, ღვთიური ნება /მონოთელიტობა/ და, დასასრულ, ნიკეის 787 წლის კრება, იმპერატორ კონსტანტინესა და მისი დედის ირინეს მოთავეობით ჩატარებული – მან აღადგინა ხატთა თაყვანისცემა და ამხილა ხატმებრძოლთა შეცდომილებანი.

მსოფლიო საეკლესიო კრებებზე განხილული კითხვათა განხილვა გვარწმუნებს, რომ მონაწილე წმ. მამების მიერ გარკვეულ იქნა მართლმადიდებელთა მრწამსის ყველაზე არსებითი დებულებანი, რომელნიც, ერთობით, აყალიბებენ ეკლესიის მოძღვრებას, მათი მთლიანობაში მოხილვა კი ყველა უმთავრეს ქრისტიანულ დოგმატს წარმოგვიდგენს. ამის გამოა სწორედ, რომ შვიდ მსოფლიო საეკლესიო კრებას გვერდს ვერ აუვლიდა ქრისტიანული მხატვრობა, ვინაც თავს იდო საღვთო ისტორიის თვალისთვის სახილველყოფა. ძველი და ახალი აღთქმის ამბავთა, წმინდანთა ვნება-ცხოვრებების გვერდი-გვერდ ბიზანტიელი, სერბი, რუმინელი, რუსი წიგნებისა თუ ეკლესიათა მომხატველნი კრებებსაც გამოსახავდნენ ხოლმე – ერთ რომელიმეს, რატომღაც დამკვეთის და დამხატავისთვის საგანგებოდ საგულისხმოს, ან კიდევ შვიდივეს.

საქართველოში შვიდი საეკლესიო კრების ერთადერთი გამოსახულებაა გადარჩენილი – გელათის მონასტრის მთავარი, ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის დასავლეთის ბჭეში /ე.წ. ნართექსი/. ისინი კედელ-კამარებზე ერთმანეთის მიყოლებითაა დახატული და თუმცა საკმაოდ შელახულია, მაგრამ შერჩენილი გამოსახულებების და მათი თანმხლები წარწერების მეოხებით თვალსაჩინო ქართველმა მეცნიერმა ქ-მა თინათინ ვირსალაძემ შეძლო მათი ამოცნობაც და აზრობრივი და ისტორიული მნიშვნელობის განმარტებაც. ისინი კი მართლაც მეტად საყურადღებოა. ჯერ ერთი, ჩვენამდე მოღწეულთა შორის გელათური გამოსახულებანი ლამისაა უძველესია კედლის მხატვრობათა შორის – ბეთლემის უფლის შობის ეკლესიაში კი არის VIII საუკუნის დამდეგის მოზაიკების ნაშთები, მხოლოდ აქ მოჩარჩოებული წარწერებია შემორჩენილი; არის კიდევ მირას წმ. ნიკოლოზ საკვირველმოქმედის ეკლესიის მხატვრობის ნაგლეჯები, მიახლოებით XII საუკუნისა და კიევის წმ. კირილე ალექსანდრიელის ეკლესიის ერთ-ერთი ფრესკა, 1170-იანი წლებისა. გელათის ნართექსის მხატვრობა

ტაძრის მშენებლობის თანადროულია, მისი ბჭეები კი, რომელთა დასრულებას მონასტრის დამაარსებელი, წმ. მეფე დავით აღმაშენებელი აღარ მოსწრებია, მისი მემკვიდრის, დემეტრე I-ის ზეობაშია აგებული, 1125-1130 წლებს შუა. მაშასადამე, მოხატულობაც 1120-იანი წლების მიწურულისა ან, სულ გვიან, 1130-იანი წლების დამდეგისაა. იგი, ამრიგად, ზევრად უსწრებს წინ ბიზანტიური სამყაროს პირველ კრებათა შემორჩენილ ციკლს სერბიაში, სოპოჩანის წმ. სამების ტაძარში დაცულს /XII საუკუნის მეორე ნახევარი; კიევში მხოლოდ ეფესოს კრებაა დახატული, რომლის მონაწილე იყო წმ. კირილე/.

მაგრამ არც ამით ამოიწურება გელათური მხატვრობის მნიშვნელოვანება. ისინი საეკლესიო ისტორიისა და იკონოგრაფიის უზუსტეს ცოდნას მოწმობენ – წარწერებში დასახელებულია კრების რიგი, მისი ჩატარების ადგილი, მისი თაოსანი იმპერატორი, მისი უმთავრესი მონაწილენი. განსაკუთრებით ვრცელია ქალკედონის კრების გამოსახულების ზედაწერილი – იგი მისი მოწვევის მიზეზს, ევტიხის წვალებასაც იხსენიებს. ამას გარდა, მას დამატებითი გამოხატულებაც ახლავს. საზოგადოდ, შვიდივე კრება ერთგვარადაა წარმოდგენილი; გამოსახულებანი ორ რიგადაა განთავსებული: ზემოთ შუაში საყდარზე, პირით ჩვენკენ იმპერატორი ზის, მის ორსავ მხარეს კი ეპისკოპოსნი სხედან; ქვევით – ცარიელი ალაგით გაყოფილი მღვდელმთავართა ორი ჯგუფია – ერთი – მართლმადიდებლებისა, მეორეც – შეცთომილ-დამწუხრებული მწვალებლებისა. ქალკედონის კრების დამართ კი, სარკმლის ჭრილში კიდევ ერთი, კრებისავე დროს მომხდარი ამბავია დასურათებული: წმ. ეფემიას ცნობილი სასწაული. გადმოცემის მიხედვით, ერთბუნებიანობისა და ორბუნებიანობის დებულებანი, გრაგნილზე დაწერილი, ჩაუდვიათ წმ. მოწამის სარკოფაგში და მას უარუყვია მონოფიზიტობა და შეუწყნარებია დიოფიზიტთა სწავლა. ქ-ნი თ. ვირსალაძე აღნიშნავს, რომ ამგვარი გამოყოფა მაინცა და მაინც IV კრებისა, მიგვითითებს ჩვენი მხატვრობის მიზანდასახულებას და იმასაც გვიხსნის, თუ რატომ განიზრახეს საზოგადოდ გელათის კრებათა დახატვა /თუმცა, რა თქმა უნდა, მსგავსი გამოსახულებანი, ჩვენ დრომდე ვერმოღწეული, სხვა ქართულ ტაძრებშიც შეიძლებოდა ყოფილიყო/.

გელათური ფრესკების გაჩენა დიახაც გასაგები ხდება XII საუკუნის დასაწყისის საქართველოს ვითარების გათვალისწინებით. როგორც ვიცით, წმ. დავით აღმაშენებელმა არა მხოლოდ პოლიტიკური ანუ სამხედრო თვალსაზრისით განაგო თავისი სამეფო, არამედ არანაკლები ყურადღება მიაქცია მის სულიერ მდგომარეობასაც, ნიშანდობლივ ეკლესიის შინა ცხოვრებას. აღმოაჩინა რა, რომ მასში ზოგი რამ უწესობა შემოპარულიყო, მან ბიზანტიის ღმრთისმოყვარე ხელმწიფეთა კვალად, მოუწოდა ქართველ ეპისკოპოსთა და სჯულისმეცნიერთა და ორგზის ჩაატარა ადგილობრივი კრება. ერთი მათგანი განსაკუთრებით კარგად არის ცნობილი "ძეგლისწერის" წყალობით – ესაა რუის-ურბნისის კრება, XII საუკუნის პირველივე წლებისა. იგი უმეტესწილად საეკლესიო კანონთა დარღვევის საწინააღმდეგოდ იყო მიმართული, თუმცა "ძეგლისწერის" მუხლებში გაკრთა კიდევ ერთი საკითხიც – ერთბუნებიანობასთან დამოკიდებულებისა. ამ უკანასკნელს მით უფრო დიდი მნიშვნელობა მიენიჭა წმ. დავით მეფის ზეობის ბოლოსკენ, როდესაც ქართული სამეფოს შემადგენლობაში შევიდა სახელმწიფოებრიობადაკარგული მონოფიზიტური სომხეთი. ამიტომაც უკვე 1120-იან წლებში მოწვეულ იქნა ქართველთა და სომეხთა სამღვდელოების კრება, სადაც სჯა და კამათი ჰქონდათ დოგმატიკის საკილო კითხვებზე. ეს ყოველივე ნათელყოფს მომგებელთა და მხატვართა განაზრახს: ფერწერის ენითაც უნდა ყოფილიყო გამოთქმული ქართველობის ერთგულება საზოგადოდ მსოფლიო ეკლესიის მოძღვრებისადმი და, მეტადრე, ქალკედონის შეკრებილ მამათა აღსარებისადმი. გასაგებია ისიც, რომ ეს ნიშანობლივ გელათში მოიწადინეს – გელათი ხომ "მეორე იერუსალიმად" იყო განსაზღვრული, ქრისტიანული სულისკვეთების განსხეულებად; აქ იღვწოდნენ გამოჩენილი ღმრთისმეტყველნი და თვითონ არსენ იყალთოელი, "დიდი სჯულისკანონის" გადმომქართულებელი...

ასეთი იყო ჩვენ წინაპართა ჩანაფიქრი და ახლაც ასე დაგვაკვირიან გელათის ღმრთისმშობლის ტაძრის კარიბჭეში შვიდი საეკლესიო კრების გამოსახულებანი, ვითარცა გაცხადება და დამტკიცება ჭეშმარიტი სარწმუნოებისა.

მასალა მომზადებულია გიორგი ჩუმინაშვილის
სახელობის ქართული ხელოვნების
ისტორიის ინსტიტუტში

ეკა კაჭარავა

ალავერდის საეპისკოპოსო

ალავერდის საეპისკოპოსო კახეთის უმთავრესი ქრისტიანული სამწყსო იყო შუა საუკუნეებში. საქართველოს პოლიტიკური დაშლილობის ხანაში /XV-XVIII სს./. ალავერდელი ეპისკოპოსი – აბბა — ალავერდელი, რომელმაც ამ პერიოდში მიტროპოლიტის პატივიც მიიღო, ფაქტურად მთელი კახეთის სამეფოს ეკლესიის სათავეში იდგა.

ტერმინი "აბბა" სირიულია და მონასტრის წინამძღვრის ქართული სახელწოდების "მამის" შესატყვისს წარმოადგენს. ამ ზედწოდებას ალავერდელი ეპისკოპოსები ატარებდნენ იმის გამო, რომ ისინი მონასტრის წინამძღვრებიც იყვნენ. ტრადიცია უნდა მომდინარეობდეს ალავერდის პირველი წინამძღვრის, ერთ-ერთი სირიელი მამის, იოსებისაგან, რომელიც აბბა – ალავერდელად იწოდებოდა.

რაც შეეხება თვით სახელწოდება ალავერდს, მის ეტიმოლოგიაზე სხვადასხვა თვალსაზრისია გამოთქმული. მკვლევართა ნაწილი ამ სახელს უკავშირებს ალვანს /ე. ი. ალბანეთს, აზერბაიჯანს/: ალვან-გვერდი – /ვახუშტი ბატონიშვილი[1], ს. ჯანაშია[2],/ ზოგი მას მიიჩნევს ინგუშურ სიტყვად /ბ. ალბოროვი[3]/, ზოგიც — წოვა-თუშურად /ა. შანიძე[4]/.

ალავერდის საკათედრო ტაძარი მდებარეობს ალაზნის ველზე, სოფ. ალავერდთან /ახმეტის რ-ნი/, თელავიდან 20 კმ-ის მანძილზე. ის აგებულია ჰერეთ-კახეთის მეფის კვირიკე III-ის /1009-1037/ მიერ.

ტაძარი მრავალჯერ დაზიანდა გარეშე მტრების თავდასხმებისა და მიწისძვრის შედეგად. ის ორჯერ იქნა რესტავრირებული შუა სს-ში /XV-XVIII/, მაგრამ მან მაინც შეინარჩუნა თავდაპირველი სახე. გ. ჩუბინაშვილის გამოკვლევით, ალავერდი თავისი ხუროთმოძღვრული ნიშნებით თანადროულია მცხეთის სვეტიცხოვლისა და წინამორბედია სამთავისის და სამთავროს ტაძრებისა. ესაა მკაცრი, ლიდებული, გრანდიოზული სივრცის, კომპოზიციურად მთლიანი ძეგლი. გეგმით ის წარმოადგენს ტრიკონქს, ჭვრისებრ, ცენტრალურ-გუმბათოვან ნაგებობას. საკურთხევლის ორთავე მხარეს აქვს დამატებითი სათავსოები. ჭვრის მკლავების გადაკვეთაზე აღმართული გუმბათი ოთხ ბურჯს ეყრდნობა. ტაძარი ნაგებია რიყის ქვით და მოპირკეთებულია მოყვითალო კვადრებით. ადრე გადახურული ყოფილა ცისფრად მოჭიქული კრამიტის ფილებით.

ალავერდის კათედრალი აგებულია წმ. გიორგის პატარა ეკლესიის ადგილზე. მიჩნეულია, რომ აქ VI ს-ის შუა ხანებში მონასტერი დააარსა სირიელმა მისიონერმა იოსებმა. ამ პერიოდში საქართველოში იოანე ზედაზნელის მეთაურობით მოვიდა 13 სირიელ მამა, რომლებმაც გაჩაღეს სამონასტრო მშენებლობა. ისინი ოთხი წელი ზედაზნის მთაზე ცხოვრობდნენ, შემდეგ კი საქართველოს სხვადასხვა კუთხისაკენ გაემართნენ და დააარსეს მონასტრები: შიომღვიმის, სამთავისის, იყალთოს, ნეკრესის, წილკნის და დავით-გარეჯის. იოსებ ალავერდელის შესახებ მის სვინაქსარულ ცხოვრებაში წერია:

"ესე წმიდა და ნეტარი მამა ჩუენი იყო მოწაფე იოვანე ზედაზნელისა, რომელი იყო ქუეყანისაგან ასურეთისა შუამდინარით, ესე ნეტარი იოვანე და ათორმეტნი მოწაფენი მისნი აღძრულნი ღმრთითა მიერ წყალობისათვის ნათესავთა საქართველოსათა... ხოლო წმიდა ესე აბბა იოსებ მოიწია კახეთად... ადგილთა ამათ, რომელსა ეწოდების ალავერდი და დაემკუიდრა მას შინა ადგილთა და უდაბნოთა უშენთა და უფალთა კაცთაგან..."[6]

---

1 ქართლის ცოვრება, ტ. IV, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., თბ., 1973, გვ. 548-549.
2 ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, თბ., 1949, გვ. 157.
3 Чубинашвили Г.Н. Архитектура Кахетии. Тб., 1959. გვ. 869.
4 იქვე.
5 იქვე.
6 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. IV, ე. გაბიძაშვილის გამოც., გვ. 403-405.


ბევსურეთი
ოფოფეთი
ოსეთი
ოსეთი
ოს

აქ იოსებმა "ეკლესია ალავერდისა ალაშენა წოდებასა ზედა სახელგანთქმულისა მოწამისა გიორგისსაა" და აღსრულების შემდეგ იქვე დაკრძალეს. ასე დაიწყო სამონასტრო ცხოვრება ალავერდში.

ჯახეთის სამთავროში /VIII-X სს./ ალავერდი უმთავრესი საკულტო ცენტრი იყო. 914 წლის ახლოს, როდესაც აფხაზთა მეფემ კონსტანტინემ, ქორეპისკოპოს კვირიკე I-თან /892-918/ ერთად, ილაშქრა ჰერეთის მეფის წინააღმდეგ, სალოცავად შეჩერდა ალავერდის წმ. გიორგის კლესიაში.

სავარაუდებელია, რომ ალავერდის მონასტერი ეპისკოპოსის კათედრად იქცა XI ს-ის I მეოთხედში, როდესაც აქ აშენდა ახალი ტაძარი, დღემდე შემორჩენილი. საეპისკოპოსოების დაარსება საქართველოში, ჩვეულებრივ, იწყებოდა კათედრალის აგებით. პირველად ალავერდელი ეპისკოპოსი წყაროებში იხსენიება დავით აღმაშენებლის დროს, როდესაც დავითმა შარვანის გამგებლობა ჩააბარა სვიმონ ბედიელ-ალავერდელს. ამრიგად, 1124 წელს ალავერდისა და ბედიის ეპარქიებს ჰყოლიათ ერთი მღვდელმთავარი. საქართველოს ორი ტერიტორიულად უკიდურესი კათედრა /აფხაზეთის და კახეთ-ჰერეთის/ გაერთიანებულა. ეს იყო ერთ-ერთი გამოვლინება სრულიად საქართველოს საეკლესიო კონსოლიდაციისა, რაც ინტენსიურად მიმდინარეობდა X-XII საუკუნეებში. სვიმონი, ამავე დროს, ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესიც იყო. ეს მოწმობს, რომ ალავერდელი ეპისკოპოსი ყველა ეპისკოპოსზე წინ იყო თავისი რანგით. ამასვე მიუთითებს XIII ს-ის დოკუმენტი "განგება დარბაზობისა", სადაც აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს მღვდელმთავართა შორის ამბა ალავერდელს მეექვსე ადგილი უჭირავს კათალიკოსის, ჭყონდიდელის, სომხეთის მიტროპოლიტის, ქართლის მთავარეპისკოპოსისა და მაწყვერელის შემდეგ. XIII ს-დან ალავერდელი წყაროებში უკვე იხსენიება მთავარეპისკოპოსის პატივით.

XV ს-ში კახეთი ცალკე სამეფოდ გამოიყო. საქართველოს მეფე გიორგი VIII /1446-1466/ დამკვიდრდა კახეთში /1466-1476/ და საფუძველი დაუდო კახეთის ბაგრატიონთა დინასტიას. ალავერდელი, ცხადია, ამ სამეფოს ყველაზე გავლენიანი ეპისკოპოსი გახდა. გიორგი მეფემ დააწესა კახეთის ოთხი სასარდლო-ტერიტორიული ერთეული - ოთხი სადროშო. ეს სადროშოები მან დაუქვემდებარა არა თავადებს /როგორც ეს იყო ქართლისა და იმერეთის სამეფოებში/, არამედ - ეპისკოპოსებს /თუმცა, რა თქმა უნდა, სადროშოებს უშუალოდ ბრძოლის დროს სარდლობდნენ არა ეპისკოპოსები, არამედ მოურავი თავადები/. წყაროებში დასახელებულია მხოლოდ სამი სადროშო: რუსთველის/გარე-კახეთი, ქისიყამდე/, ბოდბელის /ქისიყი/ და ნეკრესელის /გაღმა მხარნი, ელისელნი/[10]. მეოთხე სადროშოზე ცნობები არ მოგვეპოვება. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ალავერდელს ჰქონდა სასარდლო, რომელიც მეფის დროშით გამოდიოდა.[11] სხვა მოსაზრებით, მართებული იქნება, მეოთხე სადროშოს სამეფო სადროშო ვუწოდოთ.[12] ეს ორი მოსაზრება ერთმანეთს არ გამორიცხავს: მეოთხე სადროშო, როგორც ქართლში, ისე კახეთში, ალბათ, სამეფო იყო, მაგრამ ქართლში ექვემდებარებოდა თავადს, ხოლო კახეთში — ეპისკოპოსს, ალავერდელს.

ალავერდის ტაძარი XV ს-ში დაუზიანებიათ გარეშე მტრებს. აღუდგენიათ და განუახლებიათ ის კახეთის მეფეს ალექსანდრე I-ს /1476-1511/, მის დედას - დედოფალს ნესტან-დარეჯანს და თანამეცხედრეს — ანა დედოფალს. ამის შესახებ მოგვითხრობს ანა დედოფლისეული ნუსხის ანდერძი, აგრეთვე "ქართლის ცხოვრების" გაგრძელება. მათ აღუდგენიათ ტაძრის კედლების და სახურავის ნაწილი, გუმბათი, სამხროები; მოუხატავთ, შეუწირავთ მისთვის საეკლესიო ნივთები, წიგნები, აგრეთვე ყმა-მამული.

7 ლაპიდარული წარწერები, I., (V-X სს.) თბ., 1980, გვ. 172
8 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, IX-XIII სს., თბ., 1984, გვ. 58.
9 იქვე, გვ. 190
10 ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, , თბ., 1973, გვ. 538, 542, 545.
11 აკ. კლიმიაშვილი, მასალები XV-XVIII სს. ქართლისა და კახეთის სადროშოების ისტორიისათვის, კრებ: XIV-XVIII სს., რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი, თბ., 1964, გვ. 124.
12 ა. თორდია, გვიანი შუა სს-ის კახეთის სამეფოს სადროშო -საძოურავო საკითხი /XV-XVIII სს-ში/, თსუ შრომები, ტ. 243, თბ., 1983, გვ. 86.

ალავერდის საყდარი მომდევნო საუკუნეებშიც არაერთხელ დაურბევიათ გარეშე მტრებს: ირანელებს, თურქმანებს, ლეკებს. 1614 წელს ალავერდი დაარბია ირანის შაჰმა აბას I-მა /1587-1629/: "...აღიღო ციხე თორღისა შააბაზ და გამოიღო ყოველივე საგანძური კახეთისა და შემუსრა ხელითა თვისითა წმიდა გიორგი ალავერდისა, და შემუსრნა პატიოსანნი ხატნი და ჯუარნი და შემოსძაცუნა პატიოსანნი თუალნი და მარგალიტი, მისცა მეძავთა, ცოლსა და ხარჭათა მისთა და ყო სამკაულად მათდა".[13] კახეთის მეფეს თეიმურაზს /1606-1648/ კახეთის ეკლესიების ხატები სვეტიცხოვლის ტაძარში გადაუმალავს, თვითონ კი გახიზნულა იმერეთში. თეიმურაზის შვილიშვილი ერეკლე I/1688-1703/თავის სიგელში აღნიშნავს, რომ თეიმურაზის მიერ სვეტიცხოველში მიბარებული ხატები მას წამოუღია იქიდან და ალავერდელისათვის მიუბარებია:" ...ეს მურასა ხატები...ჩვენ გამოვიბარეთ...ახლა ჩვენს ბატონს ალავერდელს ნიკოლობს მივაბარეთ და წმ. გიორგის ალავერდს დავასვენეთ."[14]

როდესაც ირანის შაჰმა კახეთი განჯის ხანს სელიმს გადასცა /1656-1600/, აქ ჩამოსახლდნენ თურქმანი ტომები, რომლებმაც დაიკავეს ქვეყნის ნოყიერი სამეურნეო სივრცეები და, მათ შორის, ალავერდის ადგილ-მამულიც. თვით ტაძარი მათ საქონლის სადგომად და თავიანთ ციხედ აქციეს: "ამან სალიმ ხან მოიყვანნა ელნი და დასხნა შიგნით და გარეთ კახეთს, და დაიპყრეს ამათ ბახტრიონი, ალავერდი და განრყუნეს წმიდანი ეკლესიანი, რამეთუ იყვნენ არვე-მრწოლეთა მათთა სადგურად და იყო ჭირიცა დიდი მათგან კახეთსა შიგან".[15] "ხოლო თათართა ეპყრა მონასტერი ალავერდი ციხედ და იყვნენ შიგა".[16] 1660 წელს აჯანყებულმა ქართველებმა გაჟლიტეს ჩამოსახლებული თურქმანები და გაწმინდეს მათგან კახეთი.

XVIII ს-ის დასაწყისში ლეკების გამუდმებული თარეშით შევიწროებულმა ალავერდელმა ეპისკოპოსმა თავი შეაფარა ქსნის საერისთავოს: "ოდეს კახეთი ლეკთ დაიპყრეს, ჩვენ ქსნის ხევზე ქსნის ერისთვის მამულში დავიხიზნით," — გვამცნობს ალავერდელი თავის ერთ-ერთ საბუთში.[17] 1735 წელს ალავერდი თამაზ-ხანმა ააოხრა.

ალავერდის ტაძარი ორჯერ დააზიანა ძლიერმა მიწისძვრამ: 1668 და 1742 წლებში. 1668 წლის მიწისძვრის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი გადმოგვცემს: ალავერდი "დიდშენი, ზღუდე-პალატებიანი, გუმბათიანი... დაიქცა ძვრით".[18] ტაძარი შეუკეთებია არჩილ მეფეს. 1742 წლის მიწისძვრის შედეგად ჩამოიქცა ტაძრის გუმბათი, რომლის აღდგენა დაიწყო 1750 წლიდან თამარ დედოფალმა და დაასრულა ერეკლე II-მ.

ალავერდის ეპარქია კახეთის ერთ-ერთი ვრცელი სამწყსო იყო. მასში, გარდა კახეთის ცენტრალური რაიონისა/ რომელსაც ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით კავკასიონის ქედი და მდ. სტორი საზღვრავდა, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით მდ. თურდო, დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით კახეთისა და ციგვიმშორის ქედები/, შედიოდა აგრეთვე თუშ-ფშავ-ხევსურეთი. ვახუშტის ცნობით, ალავერდელმა შეიერთა თუშეთში ხარჭაშნელის სამწყსო. 1811 წელს ალავერდის ეპარქიაში შედიოდა 113 ეკლესია.

ალავერდი, როგორც კახეთის უმთავრესი საყდარი, წარმოადგენდა კახთა მეფეების საძვალეს. წყაროების ცნობებით, ალავერდში დაკრძალული არიან კახეთის მეფეები და სამეფო სახლის წევრები: ალექსანდრე I /1476-1511/, ალექსნადრე II /1574-1605/, თეიმურაზ I /1606-1648/, თეიმურაზ I-ის ძე დავითი, ალექსანდრე II-ის ძე გიორგი, ერეკლე I-ის ასული ქეთევანი, მისი დედა ელენე, თანამეცხედრე, დედოფალი ანა, ერეკლე II-ის თანამეცხედრე დედოფალი ქეთევანი და სხვ.

ალავერდის საყდარი ფლობდა დიდი რაოდენობით ყმა-მამულს. მისი ყმა-მამულის წყარო იყო შეწირვა და სყიდვა. ჯერ საქართველოს მეფეები, ხოლო XV საუკუნიდან კახეთის მეფეები ზრუნავდნენ კახეთის ამ უმთავრესი საყდრისა და მონასტრის, მისი

13 ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 392
14 თ. ჟორდანია, ქართლ-კახეთის მონასტრებისა და ეკლესიების ისტორიული საბუთები N 92.
15 ქართლის ცხოვრება, IV, თბ., 1973, გვ. 599.
16 ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 434.
17 ხელნაწ. ინსტ. Hd - 1638.
18 ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 554

საყდრიონისა და კრებულის მატერიალურ უზრუნველყოფაზე, რისთვისაც სწირავდნენ მას ყმა-მამულს და სხვა სახის ქონებას. მაგალითად, ალექსანდრე II-ს, 1578 წლის დოკუმენტის ცნობით, ალავერდისთვის შეუწირავს ოცი კომლი გლეხი თავიანთი მამულით კონდოლში, კისისხევში, არბუხში.[19] 1612 წელს თეიმურაზ I-მა ალავერდს შესწირა 63 კომლი, გლეხი კისისხევში და კაკელში.[20] 1811 წელს ალავერდის საყდარს ჰყავდა 342 კომლი ყმა-გლეხის.

შუა საუკუნეებში ქვეყნის პოლიტიკური დაშლა ხელს უწყობდა საეკლესიო სეპარატიზმსაც. XV ს-დან ქართლის კათალიკოს-პატრიარქს გამოეყო დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსო აფხაზთა კათალიკოსი-თურთ, (შემდგომში იმერეთის კათალიკოსი/. სამცხე-საათაბაგოს საქართველოდან გამოყოფას მოჰყვა ათაბაგების მცდელობა – XV ს-ში ეკლესიურადაც გამოყოფდნენ საქართველოს, კერძოდ, მცხეთის საპატრიარქოს და სამცხე-საათაბაგოს ეკლესიის საქეთმპყრობელად დაეყენებინათ მაწყვერელი ეპისკოპოსი. ასეთივე სეპარატისტული ტენდენცია გაჩნდა XV საუკუნიდან კახეთის ეკლესიაშიც. ალავერდელი ეპისკოპოსი ცდილობდა ქართლის საკათალიკოსოსაგან გამოყოფას.

კახეთის სამეფოს საეკლესიო მესვეურების სეპარატისტული მისწრაფებანი ასახულია ჩვენამდე მოღწეული XV-XVIII საუკუნეთა ისტორიულ დოკუმენტებში, კერძოდ, ერთგულების წიგნებში, რომელთაც აშბა ალავერდელი და სხვა კახი ეპისკოპოსები უძღვნიან საქართველოს კათალიკოს – პატრიარქს, შენდობას სთხოვენ და ერთგულებას ეფიცებიან.[21]

მიუხედავად იმისა, რომ ალავერდელის ქართლის საპატრიარქოდან გამოყოფის მცდელობამ მარცხი განიცადა, მან მაინც შეძლო მნიშვნელოვანი პრივილეგიების მოპოვება. ის აღიარებულ იქნა კახ ეპისკოპოსთა მამამთავრად, მათ მაკურთხევლად და სამღვდელთმთავრო ხარისხის მომატებასაც თვითონ განაგებდა.

XV-XVIII საუკუნეთა საბუთებიდან ვიგებთ, რომ აშბა ალავერდელები კახეთის გავლენიანი თავადური გვარების წარმომადგენლები არიან /ავალიშვილი, მაყაშვილი/, მაგრამ ძირითადად ამ ტიტულს ანდრონიკაშვილები ან ჩოლოყაშვილები ატარებენ და ისინი აქტიურად მონაწილეობენ კახეთის სამეფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ჩვენს ხელთ არსებულ საბუთთაგან კარგად ჩანს კახ მეფეთა ალავერდის წინამძღვრისადმი მოწიწებული დამოკიდებულება და ალავერდელთა გამორჩეული მდგომარეობა. ზოგ შემთხვევაში კახი მეფეები ალავერდელს პირადი საქმეების გარიგებასაც კი ანდობდნენ /მაგ. ავ-გიორგიმ თავისი "ცოდვის საქმის" გასარჩევად იოანე ალავერდელიც მიიწვია/, თათბირებიდნენ მათ სასულიერო-საეკლესიო საკითხებზე.[22]

ალავერდელ მღვდელმთავართა გამორჩეულ მდგომარეობას არა ერთი საბუთი მოწმობს. თეიმურაზ I საგანგებოდ აღნიშნავს: თავის ერთ-ერთ წყალობის წიგნში "... ალავერდი ჩვენს მამა-პაპათ აეშალებინათ და უმეტეს ყოველთ კახთეპისკოპოსთაგან განდიდა და გვირგვინოსან ექმნა ალავერდელი და მისი წინააღმდეგი და უნდომი და დაუმოწმებელი კახთეპისკოპოზებისა კურთხევაც არ იქნებოდა." იმავეს ადასტურებს "განაჩენი ერეკლე II ალავერდელის პატივის შესახებ" /1764 წ/.

ამავე დროს, ალავერდის კათედრალი იყო საქართველოს ერთ-ერთი მძლავრი კულტურულ-საგანმანათლებლო კერათაგანი. როგორც ჩანს, აქ მრავლად იყვნენ მწერლები, ხელნაწერთა გადამწერნი თუ მკაზმავნი. სამწუხაროდ, აქ მოღვაწე პირთაგან ჩვენთვის მხოლოდ რამდენიმე მათგანია ცნობილი. ესენი არიან: ფილიპე ალავერდელი, ზებედე მთავარეპისკოპოსი, ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი, მარიამ-მაკრინე ბაგრატიონი, კირილე ამირანიძე და იოანე ლარაძე.

ალავერდის მონასტერში არსებობდა საკმაოდ დიდი ბიბლიოთეკა, სადაც ინახებოდა როგორც იქვე გადაწერილი, აგრეთვე სხვაგან დამზადებული ხელნაწერი წიგნები.

---

19 საქართველოს სახ. ცენტრ. არქივი, ფ. 1449, 812

20 საისტორიო მოამბე, წ. I, 1925, გვ. 146-153.

21 ე. კაჭარავა, საქართველოს პოლიტიკური დაშლის ისტორიისათვის, მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნ. ისტორიის სერია 3, 1987.

22 ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I., ნაკვ. I, თბ., 1962, გვ. 339-340

ამბა - ალავერდელთა ქრონოლოგიური რიგი / XVI-XVIII სს./

1. იოანე - 1511
2. ეფთვიმე - 1522
3. ნიკოლოზი - 1578
4. კირილე - 1579
5. იოანე ავალიშვილი - 1612
6. ზებედე - 1639
7. არსენ ავალიშვილი 1651-1660
8. გრიგოლი 1670
9. ნიკოლოზ ანდრონიკაშვილი - 1685-1694
10. ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი - 1695-1711
11. იოანე მაყაშვილი - 1712
12. ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი - 1724-1728
13. ზაქარია ანდრონიკაშვილი 1733-1734
14. ნიკოლოზ ანდრონიკაშვილი 1736-1757
15. ზენონი 1761-1782
16. ნიკოლოზ ანდრონიკაშვილი 1784-1785
17. ანტონ II კათალიკოს-ალავერდელი 1785-1801

ნარკვევში გამოყენებულია ზოგიერთი სტატია ქართული საჭოთა ენციკლოპედიიდან, ხოლო ალავერდელი ეპისკოპოსების მიახლოებითი ქრონოლოგიური რიგის გადმოცემისას ვიყენებთ ზოგიერთ ქრონოლოგიურ ცნობას გ. ჯანდიერის ნაშრომიდან "XVII საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული ქრონოლოგიის საკითხისათვის" /მრავალთავი, I., თბ., 1971./.

ათონელი ქართველი ბერები

ორი წლის წინათ გამოიცა საინტერესო და სულის მარგებელი წიგნი "XIX საუკუნის ათონელ მოღვაწეთა ცხოვრებანი" (რუსულ ენაზე), რომლის ავტორ-შემდგენელია მღვდელმონაზონი ანტონ მთაწმინდელი. მოკლე, მაგრამ მრავალისმეტყველ მოთხრობებში გაცოცხლებულია XIX საუკუნის ათონის მთის მონასტრების ცხოვრება, ღვთის რჩეულთა წმიდა მოღვაწეობა.

წიგნში შეტანილია ორმოცდაცამეტი ათონელი ბერის "ცხოვრება". ისინი სხვადასხვა ეროვნების ადამიანები არიან, მაგრამ აერთიანებთ სარწმუნოება, ღვთის, მართლმადიდებელი ეკლესიის ერთგულება.

ბერძენი, რუსი, ბულგარელი, მოლდაველი, სერბი და კუკოვლახელი ბერების "ცხოვრებებთან" ერთად აღწერილია ორი ქართველი მამის ბენედიქტე ქიტიშვილისა და ბესარიონ ქიქოძის წმიდა მოღვაწეობა.

ვფიქრობთ, ჩვენს მკითხველს დააინტერესებს ძველ ქართველ ათონელთა უკანასკნელი მემკვიდრეების ცხოვრება.

მამა ბენედიქტე (+ 1862)

მამა ბენედიქტეს სამშობლო იყო ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრა – ძველი იმერეთის სამეფო. მამამისი, გვარად ქიტიშვილი, სოფლის მღვდელი იყო. ბენედიქტემ განათლება ოჯახში მიიღო და შემდეგ თვითონაც სოფლის მღვდელი გახდა. ის და მისი ძმა იმერეთის უკანასკნელ მეფეს სოლომონ მეორეს გაჰყვნენ თურქეთში. მეფის გარდაცვალების შემდეგ მამა ბენედიქტე გაემგზავრა იერუსალიმს, სადაც წილად ხვდა პატივი, უფლის საფლავთან წირვა აღესრულებინა.

მამა ბენედიქტემ იერუსალიმიდან მთაწმიდას მიაშურა და პანტელეიმონის მონასტერში დაივანა. ეს იყო 1816 წელს. აქ მამა ბენედიქტემ, მხოლოდ მისთვის ცნობილი მიზეზით, არ გაამჟღავნა თავისი წმიდა წოდება. მონასტერი სწორედ იმ დროს შენდებოდა და ისიც მუშებს ამოუდგა მხარში. ერთმა მონაზონთაგანმა, რომელსაც მამა ბენედიქტე იერუსალიმში ენახა, იცნო იგი და ილუმენს, მამა საბას უსაყვედურა, – როგორ ექცევით ამ წმიდა კაცს, ეს რა უჯერო საქმეზე დაგიყენებიათო; თქვენ თუ არ იცით, მე ჩემი თვალით მინახავს, ეგ რომ უფლის საფლავის წინაშე სწირავდაო. საბა ფრიად განცვიფრდა და უმალ უხმო ბენედიქტეს, რათა მისი ამბავი შეეტყო. მორჩილი მღვდელი ყველაფერში გამოტყდა. მაშინ საბამ კანონი დაუწესა: ორმოცი დღის მანძილზე თვალ-ყური ედევნებინა მონასტრის პარაკლისების უქრობელი კანდელებისათვის.

მალე ბენედიქტემ შეიტყო, რომ დიონისეს ბერძნულ მონასტერში მკაცრი წესდება ჰქონიათ და, გმირობის სურვილით ანთებული, მიადგა ამ მონასტერს, სადაც ბერად აღიკვეცა კიდეც. წმიდა მამების წერილთა სულიერი საბრდო რომ არ მოკლებოდა, ივერთა მონასტრიდან გამოჰქონდა ქართული ხელნაწერი წიგნები.

მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა მისი მოღვაწეობა ამ სავანეში: საბერძნეთის აჯანყების მიზეზით აქ თურქი ჯარისკაცები შემოიჭრნენ და აავსეს მონასტერი. ერთხელ მამა ბენედიქტე კარეაში იმყოფებოდა. ჯარისკაცებმა შენიშნეს და გამოელაპარაკნენ. როგორც ჩანს, ისინი ბათუმის ოლქიდან იყვნენ, სადაც ბევრი ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობს. ყოველ შემთხვევაში, ქართული იცოდნენ. მართლმადიდებელ ქართველთა შთამომავლები კარგად მოეპყრნენ ქართველ ბერს. ეს არ გამოპარვიათ ივერთა მონასტრის ბერებს, რომლებმაც მამა ბენედიქტე თავისთან მიიწვიეს და ფრიად საპატიო საკანონო გაუწესეს: ჩაბარეს ღვთისმშობლის პარაკლისი, რომელშიც ასვენია ზეციური დედოფლის სასწაულმოქმედი ხატი "პორტაიტისა". ეს მოვალეობა, როგორც წესი, მონაზონთა შორის ყველაზე მოკრძალებულთ ეკისრებოდა.

ამავე დროს, მამა ბენედიქტე ბეჯითად იკავდა მარხვის წესს: ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს ლუკმას არ ჩაიდებდა და წყალს არ დალევდა. ასეთ მორჩილებაში იმყოფებოდა იგი ყრმა ბასილის ათონზე ამოსვლამდე, ე.ი. 1834 წლამდე. ხატის თაყვანისმცემელთაგან შემოწირულობის ნაწილი, წესისამებრ, პარაკლისის გამგეს რჩებდა. მამა ბენედიქტემ კი დაგროვილი ფული მთლიანად მონასტერს გადასცა.

ნიშნად მადლიერებისა, მონასტერმა მას შესთავაზა, ამოერჩია ორიდან ერთ-ერთი სენაკი: ელია წინასწარმეტყველისა ან ბასილი დიდისა. მყუდრო ცხოვრების მოყვარულმა მამა ბენედიქტემ პირველი ამოირჩია, ვინაიდან ეს სენაკი იდგა გორაკზე, მონასტრის პირდაპირ და ოთხივ კუთხით საუკეთესო ხედებს გაჰყურებდა. 1821 წელს, აღდგომის პირველ დღეს აქ ისურვა განმარტოება პატრიარქმა გრიგოლ V, რომელიც შემდეგ თურქებმა ჩამოახრჩვეს კონსტანტინეპოლში. ამ სენაკში მამა ბენედიქტემ თავის მოწაფე ბასილთან ერთად სიკვდილამდე (28 წელიწადი) იცხოვრა.

მისი შინაგანი ცხოვრება სავსებით იდუმალი იყო. ცნობილია მხოლოდ, რომ დღე-ღამურ წესს კრიალოსანზე ასრულებდა. საშუბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობით და კვირაობით გაუკდენლად აღასრულებდა ლიტურგიას. ღამისთევით ესწრებოდა მხოლოდ აღდგომას, შობას და მიძინებას. ღამისთევის შემდეგ კი სენაკში ბრუნდებოდა ჟამისწირვის ჩასატარებლად. წმიდა ელია წინასწარმეტყველის დღესასწაულზე მონასტრიდან მოუკითხავდნენ ხოლმე ტკბილეულსა და ყავას, რითაც ის სტუმრებს უმასპინძლდებოდა.

ცნობილი ბერი, მამა იოარიონ ქართველი, მამა ბენედიქტეს სულიერი შვილი იყო და მოწაფეც: იგი, ისევე, როგორც მთაწმიდის ყველა იმჟამადელი ბერი, დიდად აფასებდა მოძღვრის სულიერ ნიჭსა და გამოცდილებას.

ბერი უფლის წინაშე წარსდგა 1862 წლის 9 მარტს, დიდმარხვის მესამე კვირის პარასკევს.

მამა ბესარიონი (+1893)

მამა ბესარიონი დაიბადა 1807 წელს საქართველოს სამეფოს გურიის სამთავროში. წმიდა ნათლისღებისას სახელად ბასილი ეწოდა.

შშობლები – დეკანოზი მაქსიმე და ანა აზნაურ ქიქოძეთა გვარს ეკუთვნოდნენ. მაქსიმეს მამა გურიის გავლენიანი თავადის მამია გურიელის კარზე იმყოფებოდა (მამია გურიელი გარდაიცვალა 1810 წელს, სულ მალე მას შემდეგ, რაც თავისი სამთავრო რუსეთის მფლობელობაში მოექცა).

იმჟამად ყმაწვილები განათლების მიღებას შინ, უფროსების ხელმძღვანელობით იწყებდნენ და მონასტრის კედლებში ასრულებდნენ. სახელმძღვანელოებად ჰქონდათ საეკლესიო-საღვთისმეტყველო წიგნები. უწინ, საუკუნეთა მანძილზე, საქართველოში არსებობდა ტრადიცია: ყოველ სამ წელიწადში თორმეტ ყრმას აგზავნიდნენ ათონზე უმაღლესი განათლების მისაღებად. უმეტესწილად ცნობილ თავადთა შვილებს არჩევდნენ.

ბასილის პაპა, მღვდელი გერასიმე, მეუღლე რომ გარდაეცვალა, აღიკვეცა ნამორნევის მონასტერში, რომელიც ქუთაისის გუბერნიის ლეჩხუმის მაზრაში მდებარეობს; შვილიშვილი, ყრმა ბასილიც თან წაიყვანა. პაპის გარდაცვალების შემდეგ ბასილმა დატოვა საშობლო და მთაწმიდას მიაშურა. ეს ასე მოხდა: ბასილის მეზობელს, იერუსალიმიდან საქართველოში რომ ბრუნდებოდა, ათონის მთაზე შეუვლია, სადაც მამა ბენედიქტე უნახავს. ეს კაცი თურმე ბევრს ყვებოდა თავისი სულიერი მამის, ათონელი ბერის ღირსეული ცხოვრების შესახებ. ყრმა ბასილი ისე დაინტერესებულა მოსმენილი ამბებით, რომ გადაუწყვეტია ათონს წასულიყო და ეს ბერი ენახა. განზრახვა მამისათვის გაუნდვია, მაგრამ მამას არ გაუშვია. მაშინ ბასილს თვითონ შეუგროვებია ფული და გამგზავრებულა.

ქუთაისამდე ფეხით იარა. აქ პასპორტი მიიღო, შემდეგ ჩავიდა ფოთში და კონსტანტინეპოლს მიმავალ ხომალდზე ავიდა.

ცურვის დროს ბასილმა ერთი სომეხი ვაჭარი გაიცნო. მან ბასილს ურჩია, ტრაპეზუნდში რომ ჩავალთ, თურქის ფაშასთან მიდი, დაგეხმარება, ქრისტიანებს მოწყალედ უყურებსო. ბასილმა დაუჯერა; როგორც კი გემმა ღუბა ჩაუშვა, ჩამოხდნენ, სომეხმა ფაშას სახლამდე მიიყვანა და ურჩია, მარტო შესულიყო. ფაშამ ბრძანა, შეეშვათ ბასილი. ბასილი არ დაიბნა და, როგორც ქრისტიანმა, მუსულმანის წინაშე თავი არ დაიმდაბლა, ოთახში რომ შევიდა, მოკრძალებით თავი დაუკრა აღმოსავლურ წესზე ფეხმორთხმულ ფაშას, მივიდა და დივანს ემთხვია. შემდგომში ბასილი ყვებოდა ხოლმე: ფაშამ გაიკვირვა, რატომ ხელზე ან მუხლზე არ ვემთხვიე, როგორც ქართული წესიაო. მე კი ვუპასუხე, ხელზე ან მუხლზე როგორ

გეამბორებოდი, თურქი ხარ მეთქი.

ფაშას უთხრეს, ეს კაცი იერუსალიმს მიემგზავრება, მაგრამ ფული არა აქვს და დახმარებას ითხოვსო. ფაშამ ბრძანა, მიეცათ 180 ლევი, რაც მეტად რიგიანი თანხა იყო.

ბასილი კონსტანტინეპოლიდან ათონს გაემგზავრა. ის 28-ე წელში იყო გადამდგარი და იყო 1835 წელი, როცა ფეხი დაადგა ათონის წმიდა მიწას. გზად გაიცნო ქართულის მცოდნე ბერძენი ბერი, რომელსაც ერთხანს საქართველოში, ივერთა მონასტრის მეტოქში ეცხოვრა. მან ბასილი მამა ბენედიქტესთან გაგზავნა.

მამა ბენედიქტემ ფრიად გაიხარა, ჭაბუკი განათლებული რომ იყო და გალობაც შეეძლო. - დიდი ხანია, მინდოდა მოწაფე ამეყვანა დ განცალკავებით მეცხოვრა, მაგრამ დღემდე ქართველი ვერსად მომეძებნაო, - უთქვამს ბერს. ისინი საცხოვრებლად წმიდა ელია წინასწარმეტყველის სენაკში გადავიდნენ, სადაც ბენედიქტემ აღკვეცა ბასილი და უწოდა ბესარიონი. თითქმის ოცდაათი წელიწადი გაატარეს ერთად და ამ ხნის მანძილზე მამა ბესარიონმა მოღვაწეობის მაღალ საფეხურებს მიაღწია. იგი ბავშვივით თვინიერი, ალალი და უბოროტო იყო. მოძღვრისაგან შეითვისა მხურვალე ლოცვა გულითა და გონებით. ივერთა სავანის ბერი იაკობი, რომელიც ზოგჯერ მათ წირვას ესწრებოდა, ამბობდა, მამა ბესარიონი იმგვარი მოწიწებით აღასრულებდა მნათეს მოვალეობას, კაცი კი არა, ანგელოზი გეგონებოდაო. დიდ სამონასტრო დღესასწაულებზე იგი ტრაპეზთან ტრიალებდა. უფრო ხშირად ბერ-პროესტოსების მოწაფეებს ეხმარებოდა საჭმლის მომზადებასა და მიტანაში. მონასტრის მუშები, რომლებმაც იცოდნენ მამა ბესარიონის კეთილი გულის ამბავი, მუდამ მის სიახლოვეს ტრიალებდნენ. მაგალითად, როცა მას მოჰქონდა დიდი ტაბლა, უმალ გვერდში ამოუდგებოდა რამდენიმე კაცი და სთავაზობდა დახმარებას. მამა ბესარიონი დაუფიქრებლად გადასცემდა თითქმის ნახევარ ტაბლას. ამას ამჩნევდნენ მორჩილები და ბერებთან ჩიოდნენ, მაგრამ ბერებმა იცოდნენ მამა ბესარიონის ალალი გულის ამბავი და ხმას არ იღებდნენ.

სიცოცხლის ბოლოს მასაც სტანჯავდა ათონელთა ჩვეულებრივი სენი - რევმატიზმი: ხელის თითები დაეკრუნჩხა, წოლის დროს კი იძულებული იყო ცალი ხელი ზეაღმართული, თოკით ჭერზე მიბმული ჰქონოდა. სისხლი ვეღარ ათბობდა ბერის ავადმყოფ სხეულს, ვერც თბილი სამოსი შველოდა და ვერც საბანი. ცხელი ჩაიღა ათბობდა ოდნავ.

ათონზე გატარებული მთელი ცხოვრების მანძილზე მუდამ ქრისტეს მიმართ მლოცველი იყო და ასეთად დარჩა უკანასკნელ ამოსუნთქვამდე. ბოლოს ისე დაუძლურდა, ლოცვასაც ვეღარ წარმოთქვამდა, მხოლოდღა ჩურჩულით იტყოდა: "უფალო, უფალო!"

1893 წლის 7 ოქტომბერს, საღამოს, უცებ ალაპარაკდა და თქვა; დეკანოზი გიორგი მოვიდაო. გიორგი იყო მისი მოწაფის, ქრისტეფორეს ძმა. სად ხედავთო, - ჰკითხეს ირგვლივ მყოფებმა. - ნუთუ არ იცით, რომ ათონზე მოვიდა სხვებთან ერთადო? - ბოდავსო, იფიქრეს და ყურადღება არ მიაქციეს ბერის სიტყვებს. სინამდვილეში ამ დღეს საქართველოდან მართლაც ჩამოვიდა დეკანოზი გიორგი ორი ქართველის თანხლებით. მეორე დღეს, დილით ისინი მოვიდნენ წმიდა იოანე ღვთისმეტყველის ქართულ სენაკში და არ შეუსვენიათ, წმიდა ელია წინასწარმეტყველის სენაკისაკენ გაემართნენ ბერისა და მისი ძმის ბესარიონის მოსანახულებლად. წვიმდა, მაგრამ დეკანოზი მაინც წავიდა, მამა ბესარიონის ნახვის სურვილი არ მაყენებსო.

როცა ბერს აცნობეს, გიორგი გეახლა და ღვიძლი ძმის, იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის წერილი მოგართვაო, ჩაჩურჩულა: - მომეცით წერილიო. წერილი არ გაუხსნია, ეამბორა და უკანვე დაუბრუნა, არც უკითხავს, რას სწერდა ძმა. მდუმარედ შეხედა დეკანოზს, გულში ლოცვას წარმოთქვამდა, ტუჩებს ოდნავღა ამოძრავებდა და მშვიდად მიაბარა სული თვისი უფალს 1893 წლის 9 ოქტომბერს. დაბადებით იყო 86 წლის. მამა ბესარიონმა ათონზე 58 წელიწადი იცხოვრა და სულ — ერთ ადგილას.

ანტონ მთაწმინდელი

ილარიონ ქართველის ცხოვრება

რუსეთში ჩასვლა და მოსკოვში გატარებული დღეები

მეფე სოლომონის ამალა 600 იმერელისაგან შედგებოდა. მეფის გარდაცვალების შემდეგ პროტოპრესვიტერმა იესემ განიზრახა რუსეთში გამგზავრება. ამის შესახებ აცნობა სამეფო კარის ყველა წევრს და მათაც ურჩია მის მაგალითს მიჰყოლოდნენ. ბევრმა სიხარულით მიიღო ეს წინადადება, მაგრამ მის განხორციელებას იმპერატორის რისხვა აბრკოლებდა. მამა იესემ ყველა დაამშვიდა და აღუთქვა იმპერატორთან შუამდგომლობას საკუთარ თავზე ავიღებო. თავადებისა და ამალის სხვა წევრების სახელით იქვე დაწერა თხოვნა და გაუგზავნა იმპერატორს. ხელმწიფემ მოწყალედ მიიღო თხოვნა, არათუ შეუნდო თავის არცთუ ისე დიდი ხნის წინანდელ მტრებს, არამედ დაუბრუნა მათ წართმეული ყველა ჩინი და საგვარეულო მამულები. სამეფო ამალაში 76 თავადი იყო.

მეფე სოლომონის გარდაცვალებიდან სამი თვის შემდეგ, 1814 წლის მაისში, მამა იესე სხვებთან ერთად დაბრუნდა იმერეთში და თავისი მშობლების სახლში დაბინავდა. ახლა იგი მეფის ტყვეობიდან და მოძღვრის მოვალეობიდან გათავისუფლებული, უშფოთველი ცხოვრებისთვის ეძებდა მყუდრო ადგილს. სურდა მშობლიური სოფლის ახლოს ან ტაბაკინის მონასტრის მახლობლად მდებარე უდაბნოში დამკვიდრებულიყო, სადაც მან ყრმობის წლები გაატარა. მაგრამ არ გასულა შვიდი თვეც, როცა იმერეთის დედოფალმა მარიამმა იგი თავისთან მოსკოვში იხმო. მოსკოვში დედოფალი მეფე სოლომონის თურქეთში გაქცევის შემდეგ წაიყვანეს. როგორც მეფის სულიერ მოძღვარს, მამა იესეს შეეძლო ყველაზე სრულად და სწორად მოეთხრო დედოფლისთვის მისი მეუღლის უკანასკნელი დღეების შესახებ. თავისი მოვალეობის ერთგულმა აღმსრულებელმა მამა იესემ არ დააყოვნა მოსკოვში წასვლა და დედოფალს ყველაფერი დაწვრილებით მოუთხრო.

დედოფალი პატივს სცემდა მამა იესეს, როგორც თავისი განსვენებული მეუღლის ერთგულ მსახურს და თანაც არ სურდა, სულიერ მოძღვრად არაქართველი ჰყოლოდა და მარიამმა მამა იესეს თავისთან დატოვება ისურვა. მამა იესემ მოსკოვში ჩაიტანა მეფე სოლომონის საკუთრება — უფლის ცხოველმყოფელი ჯვრის საკმაოდ დიდი ნაწილი, რაც დედოფალმა მარიამმა თავისი სასახლის ეკლესიაში წააბრძანა.

გაურკვეველია, რა მიზეზით (შეიძლება მეფე სოლომონის ამალის რუსეთისაკენ შემობრუნების გამო თუ დედოფალი მარიამის წარდგენით და შუამდგომლობით) ხელმწიფე იმპერატორმა ალექსანდრე I-მა მამა იესესათვის დედაქალაქის მღვდელმთავრის ხარისხის მინიჭება განიზრახა. მაგრამ, ამ პატივს არ შეეძლო მოეხიბლა მეუდაბნოეს სული, რომელიც მუდამ განმარტოებას ესწრაფვოდა.

სასახლეში ცხოვრებისას მან აშკარად დაინახა სამეფო კარის რელიგიური თუ ზნეობრივი ცხოვრების დონის დაკნინება.

მამა იესე იმასაც მიხვდა, რომ მოუხედავად საკუთარი თავისადმი მკაცრი დამოკიდებულებისა, ასკეტიზმის ბეჭედდასმულ მის ცხოვრებაშიც კი საოცარი ცვლილებები ხდებოდა. ნებით თუ უნებლიეთ იძულებული იყო, დამორჩილებოდა დედაქალაქის ცხოვრების წესს. ანებივრებდა სუფრაზე დახვავებული ნაირნაირი საქმელი, ეძალებოდა ღვინოს, იწვა ბუმბულის ლეიბზე. ყოველივე ამას კიდევ ერთი ახალი, უფრო სერიოზული საფრთხე დაემატა — მძიმე და საშინელი ცოდვებით დაცემისა.

ყოველმხრივ შეიწროებულმა მამა იესემ არაერთხელ სთხოვა დედოფალს, გაეთავისუფლებინა იგი დედაქალაქური ცხოვრებიდან და სამშობლოში გაეშვა, მაგრამ მას ამის გაგონებაც კი არ უნდოდა. ასე განვლო სამნახევარმა წელმა; ეს ხანმოკლე დრო უფრო მკაცრი და დიდი გამოცდა იყო მამა იესეს ღვთისმოსავი სულისთვის, ვიდრე მეფე სოლომონთან ერთად შვიდი წლის ხეტიალი უცხოეთში.

ასეთ სავალალო მდგომარეობაში მყოფი მამა იესე

სიმშვიდეს მხოლოდ უფლისა და ყოვლადწმიდა მარიამისადმი ლოცვაში ჰპოვებდა. გულმხურვალედ შესთხოვდა მას, ღირსი გაეხადა სანუკვარი სურვილის აღსრულებისა – უდაბნოში განდგომილი ცხოვრებისა. ეკვდრებოდა წმიდა დიდმოწამე გიორგის, რომლის მიმართაც ჯერ კიდევ ყრმობიდანვე შშობლებისაგან ჩაენერგა განსაკუთრებული რწმენა და რომლისგანაც ბევრჯერ მოელია შეწევნა.

მალე მამა იესემ გაიცნო ათონის ივერთა მონასტრის არქიმანდრიტი, რომელმაც შემდგომში მთაწმიდელებს უამბო მამა იესეს ნამდვილი ვინაობა, რადგან ათონის მთაზე მას არ გაუმჟღავნებია თავი და ცხოვრობდა, როგორც უბრალო ღატაკი ბერი.

დრო გადიოდა და მამა იესეს მწუხარებაც დღითიდღე იზრდებოდა. მან ერთხელ დედოფალ მარიამის კამერდინერს, მისადმი კეთილგანწყობილ პიროვნებას გაანდო თავისი დიდი ხნის განზრახვა. კამერდინერმა მოუწონა ეს განზრახვა და დახმარება აღუთქვა. მანვე შეადგინა გეგმა და მამა იესეს გააცნო. წინასწარ გულმხურვალედ ილოცეს და მიტროპოლიტ სერაფიმესთან წავიდნენ. მიტროპოლიტი ხშირი სტუმარი გახლდათ დედოფლისა, კარგად იცნობდა კამერდინერსაც და მამა იესესაც – დედოფლის სულიერ მოძღვარს. კამერდინერმა მოახსენა მიტროპოლიტს, თითქოს დედოფალს გამოეგზავნოს იგი და ეთხოვოს მამა იესესათვის მიეცა პასპორტი, რათა იმერეთში, თავის სახლში დაბრუნებულიყო დროებით. მიტროპოლიტმა მაშინვე გასცა განკარგულება და მალე მამა იესეს პასპორტი ხელთ ჰქონდა, დატოვა დედოფალი და იმავე ღამეს გაუდგა გზას.

მამა იესე საქართველოში არ ჩამოსულა, პირდაპირ ოდესისაკენ გაემართა, იქიდან კი კონსტანტინოპოლში. მიზნად ჰქონდა, მოენახულებინა პალესტინა და სინა და დასახლებულიყო იქ, სადაც ძველად ქართველები მოღვაწეობდნენ. ათონის შესახებ კი მან თითქმის არაფერი იცოდა.

კონსტანტინოპოლში მისი ჩამოსვლა სულიწმიდის მოფენის დღეებს დაემთხვა. იგი იერუსალიმში წასვლის თაობაზე რჩევის საკითხავად იერუსალიმის პატრიარქს მიეახლა. პატრიარქმა აუხსნა, რომ თუ მას აღდგომამდე იერუსალიმში დარჩენა ჰქონდა განზრახული, მაშინ თითქმის მთელი წლის იქ გატარება მოუწევდა, რაც ერთობ მოსაწყენი იქნებოდა მისთვის. ამიტომ ათონზე წასვლა, იქ გამოზამთრება და მერე უკვე დიდი მარხვისათვის იერუსალიმში გამგზავრება ურჩია. მამა იესემ მადლობა გადაუხადა კეთილი რჩევისთვის და გამოემშვიდობა პატრიარქს.

რა თქმა უნდა, ბერთა სამეფოში, წმიდა მთაზე გამგზავრებისას მამა იესეს მუდმივად იქ დასახლების სურვილიც გაუჩნდებოდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი მთელი სერიოზულობით ფიქრობდა ამაზე. გადაწყვეტილება —მთელი არსებით ემსახურა უფლისთვის, —იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ მყისვე გაცვალა თავისი აბრეშუმის სამოსი მწირის უხეშ კაბაზე, რითაც უნდოდა დაეფარა თავისი საერო ყოფის ადრინდელი დიდება და უფლისათვის თავი შეეწირა. ნახა თუ არა მამა იესემ ათონზე მიმავალი გემი, მაშინვე დატოვა კონსტანტინოპოლი. იგი 1818 წელს მივიდა წმიდა მთაზე.

ᲓᲘᲝᲜᲘᲡᲘᲐᲢᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲔᲠᲨᲘ

ათონზე მამა იესე ივერთა მონასტერში დასახლდა. აქ მან ვერცერთი ქართველი ვერ ნახა და, რადგან ბერძნული არ იცოდა, ხოლო თურქულის მცოდნენი ცოტანი იყვნენ, მამა იესე დროის დიდ ნაწილს მდუმარებაში ატარებდა. მან მონასტრის ძმებს გააცნო თავი–რომ იგი ქართველია, თანაც ღარიბ–ღატაკი, რასაც მისი გარეგნობა–ძველი და ჭუჭყიანი ტანსაცმელიც მოწმობდა და, რომ აქ სიწმიდეთა თაყვანისაცემად და წმიდა მთის სანახავად ჩამოვიდა. წესისამებრ, იგი," არხონდარიკში" (სტუმრის მისაღებ ოთახში) წაიყვანეს, სადაც მან ერთი კვირა დაჰყო. ესწრებოდა ლოცვებს და თან მონასტრულ ცხოვრებას აკვირდებოდა.

მას განსაკუთრებულ ყურადღებას არავინ აქცევდა. მამა იესე მდუმარედ მიმოდიოდა სავანეში, გულდასმით აკვირდებოდა მონასტრის შინა ყოფას, მაგრამ აქაური ცხოვრების წესი მაინცდამაინც არ მოსწონდა და თავისთვის ამბობდა: "თუმცა ეს მონასტერი ჩვე—

ნია, მაგრამ ჩემი ადგილი აქ არ არისო". ერთხელ, როცა იგი მონასტრის ალაყაფის კარიდან გამოვიდა, ფიქრებში წასული წუთით შეყოვნდა – უკან შენიშნა, რომ ზოგიერთი ძმა, ზურგზე თოფგრამოკიდებულები სადღაც მიემართებოდნენ. კითხვაზე, სად მიემგზავ-რებითო? უპასუხეს, დიონისიატის მონასტრის ტაძრის დღესასწაულზე მივდივართ, ხვალ ხომ იოანე ნათლისმცემლის შობის დღესასწაულიაო. მამა იესემ სთხოვა, ისიც თან წაეყვანათ, – თუ გინდა, წამოდიო, – იყო პასუხი. იესე გაჰყვა მათ.

ადგილობრივი წესის მიხედვით, დღესასწაულზე მოსულნი ჯერ "არხონდარიკში" ჩერდებოდნენ და იქ მათთვის შეთავაზებულ ადგილებს იკავებდნენ. აქ მათ უმასპინძლდებიან "რაკით", ერთი ფინჯანი თურქული ყავით და ცივი წყლით, შემდეგ მოსამაგრებლად მიჰყავთ ტრაპეზში და მხოლოდ ამის შემდეგ ესწრებიან ღამისთევის ლოცვებს. მაგრამ მამა იესეს სხვა რამ შეემთხვა: მონასტერში შესვლისას ხალხის ტალღაში თანამგზავრები დაკარგა; კართან გაჩერდა, იმათ კი დააგვიწყდათ, რომ მამა იესე არ იცნობდა აქაურ წესებს და ძებნაც არ დაუწყიათ. მამა იესეს დილიდანვე არაფერი ეჭამა და ძალზე მოშივდა. იგი არავინ მიიწვია ტრაპეზზე: გაიგონა თუ არა ზარების რეკვის ხმა ღამისთევის ლოცვისთვის, სხვებთან ერთად ეკლესიაში წავიდა. მიიჩნია, რომ დიდი წინასწარმეტყველის, იოანე ნათლისმცემლის ხსოვნის პატივსაცემად ამ დღეს მონასტერში მკაცრი მარხვა იყო დადგენილი და ძმები არაფერს ჭამდნენ.

ლოცვის ხანგრძლივობამ გააკვირვა იესე. თითქმის მთელი ღამე გაილია, ღამისთევა კი კვლავ გრძელდებოდა, ლოცვა მხოლოდ მზის ამოსვლიდან ორი საათის შემდეგ დამთავრდა.

–ნეტავ, ახლა მაინც თუ მოგვცემენ საჭმელს, –გაიფიქრა მამა იესემ,– თუ კიდევ გააგრძელებენ მარხვას? მაგრამ დაიწყო წირვა, წირვის დამთავრების შემდეგ ყველანი სატრაპეზოში წავიდნენ, მათ შორის მამა იესეც. ეს დღესასწაული მისთვის დიდ სულიერ ნუგეშისმცემელ ძალად იქცა. წირვის წესი, ბერების ცხოვრების წესი, სიმკაცრე და ყველაფერში წესიერება და მართებულობა ისე მოეწონა, რომ აღარ უნდოდა სავანის დატოვება.

დღესასწაულის მესამე დღეს "არხონდარმა" ჰკითხა სტუმარს: რატომ სხვებთან ერთად არ მიდიხარო? მამა იესემ მიუგო: მიხდა კიდევ დავრჩე, რომ უკეთ გავეცნო მონასტრის ტიპიკონსო. ეს კი მას დიდ ნუგეშს აძლევდა. მაშინ "არხონდარმა" აუხსნა, რომ ასეთ შემთხვევაში, მონასტრის წესისა და კანონის მიხედვით, წინამძღვრისაგან კურთხევა უნდა აეღო. მამა იესე მივიდა ილუმენთან, რომელმაც ჩინებულად იცოდა თურქული და განუცხადა, რომ დიონისიატის მკაცრი წესები მას მეტად მოეწონა, და სთხოვა, კიდევ რამდენიმე ხანს აქ დარჩენა, ხოლო თუ წინამძღვარი ნებას დართავდა, მზად იყო, სამუდა-მოდაც დარჩენილიყო აქ. წინამძღვარმა სტეფანემ თვალი შეავლო მის ძლიერ აღნაგობას, მიღებაზე თანხმობა განუცხადა, რადგანაც მუშა-ხელი სჭირ-დებოდა და იგი მორჩილად განაწესა.

დიონისიატში მამა იესემ ნახა თავისი ძველი მეგობარი მამა ბენედიქტე ქართველი, რომელიც მონასტრის სიახლოვეს უდაბნოში ცხოვრობდა. 1821 წლის დიდ მარხვაში ისინი ერთად აღიკვეცნენ ბერად. აღკვეცისას მამა იესეს ეწოდა ილარიონი და რადგანაც იგი პირველად წარადგინეს ბერობის წესის მიხედვით, მამა ილარიონი მამა ბენედიქტესთვის უფროსი ძმა გახდა. მაგრამ მამა ილარიონი მამა ბენედიქტეს ყოველთვის თავისზე უპირატესად მიაჩნდა, მისი განსაკუთრებული მოღვაწეობის გამო, რაც მისი ცხოვრების შემდგომი აღწერისას უფრო გამოჩნდება. აღკვეცისთვის მას ახალი ტანსაცმელი მოუმზადეს, მაგრამ მამა ილარიონმა იუარა და ითხოვა, კვლავ ძველი სამოსის ტარების ნება მიეცათ. მამა იესეს მორჩილება სხვადასხვანაირი ჰქონდა: სამზარეულოსა და სატრაპეზოს გარდა, იგი თითქმის ყველა მძიმე სამუშაოს ასრულებდა: მუშაობდა მონასტრის ვენახ-ებშიც – "მონოკსილიტში", ათონის საზღვრის ახლოს. საქმიანობის დროს მუდამ მძიმე და ძნელ სამუშაოს ირჩევდა. ვენახშიც ყველაზე უფრო დიდ თოხს ეჭიდებოდა და ისე ღრმად ამუშავებდა მიწას, ისე ზარავდა, რომ სხვა ვერავინ შეედრებოდა. ღვთისგან ფიზიკური ძალით დაჯილდოებული და მოღვაწეობი-სადმი საღვთო შურით აღვსილი მონასტერშიც დაუღლელად ასრულებდა ყველა მორჩილებას.

მიუხედავად იმისა, რომ მამა ილარიონმა ბერძნული ენა არ იცოდა, ძმებმა შეიყვარეს იგი სამაგალითო შრომისმოყვარეობისათვის, სათნო და მოწამეობრივი ცხოვრებისათვის. იგი მონასტერში ცხოვრობდა, როგორც ერთი უბრალო ბერი, მას არაფერი გააჩნდა და არასოდეს კეტავდა ხოლმე თავის სენაკს.

ერთხელ, მისი იქ არყოფნის დროს მამა ილარიონის სენაკში შევიდა ერთი ბერი, იქ მან ნახა თუნუქის ქილა და დაინტერესდა, თუ რას ინახავდა მამა

ილარიონი შიგ. გაოცდა, როცა იქ რუსული პასპორტი და თურქული ფირმანი იპოვა, სადაც ეწერა, რომ მისი მფლობელი დეკანოზი იყო. ამის შესახებ მან მაშინვე ილუმენს უამბო. წინამძღვარმა თავისთან იხმო მამა ილარიონი და ჰკითხა, თუ რა ინახებოდა მის თუნუქის პატარა ყუთში? მამა ილარიონმა მიუგო, რომ იქ იდო მისი პასპორტი. წინამძღვარმა პასპორტის მოტანა და ჩვენება უბრძანა. მამა ილარიონი იმედოვნებდა, რომ რუსულად და თურქულად კითხვა არავის ეკოდინებოდა და მიუტანა ისინი წინამძღვარს. სამწუხაროდ, ერთი ბერი თურქულის მცოდნე აღმოჩნდა და შეძლო ფირმანის წაკითხვა.

მაშინ ყველამ გაიგო, რომ იგი მოდელი იყო. მამა ილარიონი გულმხურვალედ ევედრებოდა სულიერ ძმას არავისთვის ეთქვა ამის შესახებ. საერთოდ ბერძნებთან ხშირად ხდებოდა, რომ მოდელი საერო ცხოვრებიდან როდესაც ბერად აღიკვეცებოდა ხოლმე, ღვთისმსახურებაში აღარ მონაწილეობდა და იგი ყველა სხვა უბრალო ბერებთან ერთად ეზიარებოდა.

მამა ილარიონმა მკაცრ მორჩილებაში დაახლოებით ორი წელი გაატარა, იგი ყველაფერს სიყვარულითა და თავდაუზოგავად ასრულებდა. მას მხოლოდ ის აბრკოლებდა, რომ ბერძნული ენის უცოდინარობის გამო ღვთის სიტყვას ვერ ისმენდა. ამიტომ, ერთხელ გადაწყვიტა თავისი განზრახვა წინამძღვრისათვის გაეზიარა და აღო კურთხევა, რომ ივერთა მონასტრიდან, სადაც მას ბევრი ქართული წიგნი ჰქონდა ნანახი, ზოგიერთი მათგანი წამოეღო. არადა, წმიდა წერილის წაუკითხაობით სული უმძიმდებოდა. წინამძღვარმა აკურთხა ილარიონი და ისიც თავისი ძველი და ჭუჭყიანი ტანსაცმლით ივერთა მონასტრისაკენ გაეშურა.

როცა ივერთა მონასტერს მიუახლოვდა, შეჩერდა, რათა ელოცა მონასტრის კარიბჭის თავზე მდებარე სასწაულთმოქმედი ღვთისმშობლის ხატის წინაშე. უკვე მოსაღამოებული იყო, პორტიკში (მონასტერში შესასვლელი ჭიშკრის ქვეშ) ისხდნენ უფროსი ძმები, მათ შორის ის არქიმანდრიტიც, რომელსაც ჯერ კიდევ მოსკოვში ყოფნისას გაეცნო მამა ილარიონი. მან დანახვისთანავე იცნო მამა ილარიონი და ყველას გასაოცრად მივარდა ილარიონს და მის მხრებსა და ხელებს კოცნა დაუწყო. თან ყვიროდა " აგიე! აგიე! – პაპა იესე, პაპა იესე! აგიე პნევმატიკე! პნევმატიკე ვასილიკოს!" – ე.ი. ეი, მამა იესე, მამა იესე! წმიდაო მოძღვარო, მეფის მოძღვარო". ასეთი უჩვეულო მისალმებით გაკვირვებულნი ყველა ფეხზე წამოდგა და მასთან მივიდა. არქიმანდრიტმა ხელი ჩაჰკიდა მამა ილარიონს, მამებს წარუდგინა და უთხრა: "ეს არის მამა იესე, მეფის მოძღვარი, რომლის გაცნობის ბედნიერებაც მოსკოვში მომეკა, იმერეთის დედოფლის სასახლეში". გაოცებულმა ბერებმა იესე მონასტერში წაიყვანეს. ყველანი გაკვირვებულნი იყვნენ ამ აღმოჩენით, განსაკუთრებით კი ისინი, ვინც ორი წლის წინათ იცნობდნენ მას, როგორც ლატაკ გადამთიელს. არქიმანდრიტი საყვედურს გამოთქვამდა იმის გამო, რომ ასეთი ღირსეული ადამიანი გაუშვეს მონასტრიდან. ძმები, როგორც შეეძლოთ, თავს იმართლებდნენ. არქიმანდრიტმა მამა ილარიონი თავის სამყოფელში წაიყვანა, სამი დღე არ გამოუშვა იქიდან და ევედრებოდა, დარჩენილიყო მათ მონასტერში. საცხოვრებლად სთავაზობდა საუკეთესო სენაკებს, მონასტრის სრულ უზრუნველყოფაზე ყოფნას, მსახურის დანიშვნას... მაგრამ როცა დარწმუნდა, რომ მამა ილარიონს არ სურდა დარჩენა, მისცა ქართული წიგნები და გულდაწყვეტილმა გამოისტუმრა.

მზარზე თოფრაგადაკიდებული დაბრუნდა მამა ილარიონი დიონისიატში, არც კი უფიქრია, რომ მის შესახებ აქაც უკვე ყველაფერი იცოდნენ. არადა, ხმა იმის შესახებ, რომ დიონისიატში უბრალო ბერის სახით მეფის მოძღვარი იმალება, მთელ ათონს უკვე მოედო. მონასტერში შესვლისას მეკარე მოკრძალებით მიესალმა და თაყვანი სცა, როგორც ხუცესს და თან ნიშანი მისცა წინამძღვარს. ისიც გულდაგულ გადაეხვია და ძმურად უსაყვედურა, რატომ მალავდიო შენს ვინაობას. ასეთი შეხვედრით განაწყენებულმა მამა ილარიონმა მიუგო: ივირონის ნახვას ჩემთვის კარგი არა მოუტანია რა. უკეთესი იქნებოდა, არ წავსულიყავი იქ, რადგან წმიდა მთაზე საკუთარ ცოდვათა განსაწმენდად მოვედი, რამეთუ უცხოობაში იყო ჩემი სიმშვიდე, ახლა კი..." წინამძღვარს უკვე აღარ უნდოდა გაეშვა ილარიონი ძველი მორჩილების შესასრულებლად და სთხოვდა, მოვდლობა მიეღო. მაგრამ, მამა ილარიონმა გადაჭრით უარა და დაჟინებითაც კი მოითხოვა, არ ჩამოეშორებინათ ძმათა მსახურებისთვის, მაგრამ იქ დიდხანს არ გაჩერებულა, რადგანაც საერთო თაყვანისცემა ყველგან თან სდევდა. ძმები ძველებურად ნებას არ რთავდნენ შეესრულებინა მისთვის ესოდენ საყვარელი, მაგრამ მძიმე სამუშაო. ცდილობდნენ მძიმეს აწევისას, შეშის ან წყლის მოტანისას ხელი შეეშველებინათ მისთვის. ეს ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ მამა ილარიონმა დატოვა იქაურობა და მონასტრის ახლოს კარიელ სენაკში გადასახლდა.

ალმსარებლობა

ამ დროს, /1821/ საბერძნეთის აჯანყების შემდგომ, ყველგან სასამართლოები იმართებოდა და უამრავი ხალხი სიკვდილით ისჯებოდა. ქრისტიანული სისხლი მდინარეებად მიედინებოდა, თურქებს სურდათ იარაღით ჩაახშოთ აჯანყება, რომ როგორმე დაეშოშმინებინათ აშბოხებული ხალხი. ამ აჯანყებაში ათონიც იყო ჩართული და, ამიტომ, ომის სიმძიმე მის მხრებსაც დააწვა. სოლუნის განმგებელი ფაშა აბდულ რობუტი კასანდრიდან მრავალრიცხოვანი ჯარით ათონის ასაოხრებლად დაიძრა და კუმიცზე, ნახევარკუნძულის ყელზე, ათონის საზღვრის მახლობლად დაბანაკდა.

ეს იყო 1822 წლის დასაწყისი. ფაშამ მკაცრი ბრძანება გაუგზავნა მონასტრების წინამძღვრებს, – ისინი, როგორც ერთი, უნდა ხლებოდნენ და თაყვანი ეცათ მისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, ფაშა იმუქრებოდა წმიდა მთის დაპყრობითა და მონასტრების აოხრებით. ილუმენებმა კარგად იცოდნენ თურქების სისასტიკე და ფანატიზმი. ქრისტიანების აჯანყებამ კიდევ უფრო დაძაბა მდგომარეობა, ამიტომ, ვერ გაბედეს, ხლებოდნენ ფაშას, ეს ხომ სიკვდილის ტოლფასი იქნებოდა. ყოველი მათგანი ცდილობდა მოსალოდნელი საფრთხისათვის თავი აერიდებინა და ეძებდა ვინმე მოხალისეს, ვინც ურჯულოს სასჯელს არ შეუშინდებოდა. დიონისიატის მონასტრის ილუმენმა სტეფანემ მამა ილარიონს სთხოვა, ფაშას ხლებოდა, რადგან თვითონ საშინელმა შიშმა შეიპყრო. მამა ილარიონი ხალისით დაეთანხმა და მოუგო: "მე არ მეშინია თურქების". მაგრამ, ილუმენმა წინასწარ გააფრთხილა, რომ ეს საქმე ფრიად საფრთხილო იყო. რადგანაც, როდესაც ბერები ფაშასთან მოსალაპარაკებლად გაემგზავრებოდნენ, მთელი ძმობა დატოვებდა სავანეს და თან წაიღებდა მთელ განძეულსა და სიწმიდეებს; რისთვისაც მათ უკვე მზად ჰქონდათ ტომრები. ეს კი თურქებს შეუმჩნეველი არ დარჩებოდათ და ამ მოტყუების წილ ყველა წარგზავნილს დახოცავდნენ. ასე, რომ, მამა ილარიონს უეჭველი სიკვდილი ელოდა. მამა ილარიონმა უპასუხა, მე ყველაფრისთვის მზადა ვარ, რადგან ჩემი დიდი ხნის სურვილია, ქრისტესთვის ვევნო და მასავით ვეწამოო. "აი, ახლა ყველაზე უფრო შესაფერისი შემთხვევაა და გამოიყენე იგი საერთო კეთილდღეობისათვის",—უთხრა ილუმენმა. მამა ილარიონთან ერთად კიდევ ორნი გაემგზავრნენ — მღვდელ-მონაზონი პანტელეიმონი და კიდევ ერთი ბერი.

ისინი, კუმიცში ჩასულები, ფაშას ეახლნენ და წმიდა კინოტის[1] წერილი გადასცეს. ამ წერილში ჩამოთვლილნი იყვნენ მონასტრიდან წარმოგზავნილი მამებიც. ფაშამ დაიწყო კითხვა და როდესაც ილარიონ ქართველის სახელამდე მივიდა, შეჩერდა, შეხედა ბერებს და დაინტერესდა, რომელი იყო მათ შორის ქართველი. მამებმა მიუთითეს მამა ილარიონზე. მაშინ ფაშამ ქართულად იკითხა: "რომელი მხრიდან ხარ"? – "იმერეთიდან" – უპასუხა მამა ილარიონმა. "მე კი აფხაზეთიდან ვარ", – მოუგო ფაშამ. "რომელი ქალაქიდან?" – კვლავ კითხვა შეუბრუნა ბერმა. ფაშამ ქალაქი დაუსახელა. "ეს ქალაქი ხომ ჩემი აღგილსამყოფლის მეზობლად არის, რა გვარისა ხარ?" – ფაშამ თავისი ქართული გვარი უთხრა – "მე ხომ შენი სახლიც კარგად ვიცი", – გაუბარდა მამა ილარიონს. ფაშა სახელგანთქმული ღვთისმსახურის შვილი აღმოჩნდა, ყრმობაში იგი გაუტაციათ, გაუყიდიათ თურქეთში და მუსულმანობა მიუღებინებიათ. "გამოდის, რომ ჩვენ ერთი მიწის შვილები ვართ", – "დიდი ხანია აქ ცხოვრობ? რამ მოგიყვანა აქ?" – დაინტერესდა ფაშა. "მე აქ იმიტომ მოვედი, რათა ვილოცო ღვთის წინაშე; უკვე სამი წელია, ათონზე ვცხოვრობ".

ამ ახსნა-განმარტებების შემდგომ ფაშა თურქულად დაელაპარაკა მამა ილარიონს: "რატომ მოხვდი ამ ავაზაკებს შორის? შენ, პატიოსან და ღირსეულ ადამიანს რა საერთო გაქვს ამ არამზადებთან. ათონისა და ათონელების ლანძღვასთან ერთად, ფაშა ურჩევდა მამა ილარიონს, მიეტოვებინა იქაურობა, ცდილობდა, სხვადასხვა უტყუარი საბუთებით დაერწმუნებინა თავის სიმართლეში, რომ იგი მოწოდებული იყო, ამოეხოცა ათონის მთაზე ყველა ქრისტიანი. მაგრამ არ უნდოდა, რომ მამა ილარიონს, როგორც

1 წმიდა კინოტი - ყველა მონასტრის წმიდათაწმიდა საკრებულო, - ათენის მმართველობის ორგანო.

უკეთილშობილეს ადამიანსა და მის თანამემამულეს გაეზიარებინა ეს მძიმე ხვედრი. ფაშა ყოველნაირად ცდილობდა მამა ილარიონის დარწმუნებას, სთავაზობდა თავის სახლს სოლუნიაში, სადაც მისი ცოლი ცხოვრობდა და სულთნის სახელით ყოველგვარ წყალობას ჰპირდებოდა. მაგრამ ამაზე მამა ილარიონმა მიუგო: მე ათონზე სულის გადასარჩენად მოვედი და ამის გარდა სხვა არაფერი მესაჭიროებაო.

ფაშამ ხელახლა დაუწყო რწმუნება მამა ილარიონს, მიეტოვებინა ათონი — ეს ბუდე "გარყვნილებისა და ავაზაკობისა", იგი სთავაზობდა, თავისი ხარჯით გაემგზავრებინა მამა ილარიონი და დიდ მფარველობასაც ჰპირდებოდა. მამა ილარიონმა უარყო ფაშას წინადადება, ათონელებზე კი უთხრა: "არა! ეს პატიოსანი ხალხია, ღვთის ჭეშმარიტი მონები". შემდეგ კი ფაშას გაკიცხვა დაუწყო მამა-პაპისეული რჯულისაგან და სამშობლოსაგან განდგომის გამო. "აი, როგორ ულირსად იქცევი,—ეუბნებოდა მამა ილარიონი,— განუდექი ჭეშმარიტ ქრისტიანობას და შენი ცოდვის დასამძიმებლად და სულის დასაღუპად შეიარაღებულს ქრისტეს მიმდევრების დასახოცად აღგიმართავს ხელი. უდანაშაულოთა სისხლს ღვრი და ტყვედ მიგყავს ქრისტიანი ჭაბუკები, რათა ისინიც ისეთივე უღმერთოები გახადო, როგორიც შენ ხარ და დაღუპვამდე მიიყვანო". ფაშა პასუხად ადანაშაულებდა ათონელებს თურქების წინააღმდეგ აჯანყების მოწყობაში და ირგვლივ მცხოვრები ხალხების წაქეზებაში სულთნის ძალაუფლების წინააღმდეგ. რაც შეეხება ათონიდან წაყვანილ ჭაბუკებს, ფაშას აზრით, მათ შეუძლიათ სარგებლობა მოუტანონ სახელმწიფოს და ტყეულ-უბრალოდ არ დაიმარხონ უდაბნოში.

შემდეგ ფაშამ მართლმადიდებლურ სარწმუნოებაზე დაიწყო მკრეხელობა: "დიდი შეცდომაა, გჯეროდეს რომ ქალწულმა შვა ღმერთი და შემდეგ ისევ ქალწულად დარჩა". ამაზე მამა ილარიონმა მიუგო: "შენ არ გესმის ღვთის სიტყვის განცხადების საიდუმლო, ამის გაგება ღვთის წყალობაა, ვისაც გაარნია ეს წყალობა, იმასაც გაიგებს, როგორ შეძლო ქალწულმა ქვეყნიერების გადამრჩენის შობა! აი, მე აგიხსნი..." ამ სიტყვებზე ფაშა განრისხდა და კარავში ბოლთის ცემა დაიწყო. მონასტრების დანარჩენი წარგზავნილები მიხვდნენ, რომ ეს საუბარი მათ სიკეთეს არ მოუტანდა და შეუმჩნევლად წასჩურჩულეს მამა ილარიონს: ახლა რა დროს კამათია, შეიძლება ფაშა განარისხო და იმ ზომამდე მიიყვანო, რომ არამარტო შენ, ჩვენ ყველას და წმიდა მთაზე დარჩენილებსაც ამოგვხოცავსო. ამ სიტყვებით დაარწმუნეს მამა ილარიონი, მოელაპარაკნენ ფაშას და საჩუქრები გადასცეს.

ფაშამ გაუშვა მამა ილარიონი, საითაც გინდა, იქით წადიო, ხოლო მონასტრის დანარჩენი წარგზავნილები სოლუნის საპყრობილეში ჩაყარა. ბიჭებიც სოლუნში გაგზავნა, რათა ისლამის მისაღებად მოემზადებინა პატიმრები. სულ 300 ყრმა იყო. თვითონ ფაშა კი ქალაქ ნეგოშს გაემგზავრა, სადაც ცოტა ხნის წინ აჯანყება იყო, რისთვისაც ფაშამ უამრავი ქრისტიანი აწამა და დახოცა.

ათონზე დაბრუნებული მამა ილარიონი ბევრს ჯავრობდა, რომ ღვთის შეურაცხმყოფელ სიტყვებზე საკადრისი პასუხის გაცემა ვერ მოასწრო. მათ კამათში ფაშა თითქოსდა გამარჯვებული გამოვიდა. უფრო დიდმა დარდმა კი მას შემდეგ შეიპყრო, როცა ნეგოშში ჩადენილი მხეცობის ამბავი შეიტყო. გულმოდგინე ღვთისმსახურმა მამა ილარიონმა სთხოვა ილუმენ სტეფანეს, გაეშვა სოლუნში ფაშასთან მოსალაპარაკებლად, ჯერ ერთი, ბერს სურდა გაეგრძელებინა შეწყვეტილი კამათი ქრისტიანული რწმენის საიდუმლოებების შესახებ; აეხსნა, რაში სცდებოდა იგი. მეორეც – ეშხილებინა მისი სიმხეცე და სისხლისმსმელობა. ილუმენმა ჰკითხა: "შეუძლია კი საკუთარ თავში აღმოაჩინოს იმდენი სიმამაცე და ძალა, რომ გაუძლოს ხანგრძლივ წამებასა და თვით სიკვდილს?" მამა ილარიონმა მიუგო, რომ იგი ყოველგვარი წამებისა და წვალებისათვის მზადაა და დარჩება ღვთის წყალობის მოლოდინში. მაშინ ილუმენმა სტეფანემ უყოყმანოდ მისცა კურთხევა და მაცხოვარსა და ღვთისმშობელს შეავედრა იგი. მამა ილარიონმა ძმებს სთხოვა ელოცათ მისთვის და ფეხით გაუდგა გზას სოლუნისაკენ. ქალაქს მან "რამაზანის" დღესასწაულისათვის მიაღწია. ამ დღესასწაულზე თურქები დღე მარხულობენ, ხოლო მზის ჩასვლის შემდეგ მხიარულებას ეძლევიან.

ფაშას სახლის ჭიშკართან მცველმა მამა ილარიონი შეაჩერა და ჰკითხა, რა გინდაო?, – მამა ილარიონმა აუხსნა მცველს, აუცილებელად უნდა მოვინახულო ფაშა და მოველაპარაკო მეტად მნიშვნელოვან საკითხზე, რომ ქართველ ილარიონს, რომელიც კუმიცზე წარუდგინეს, სურს ფაშასათვის ახსნა-განმარტების მიცემაო.

ამ დროს ფაშასთან შეკრებილნი იყვნენ მაღალი

რანგის თურქი მოხელეები და ცნობილი უცხოელი სტუმრები: ინგლისელები, ფრანგები, ებრაელები და სომხები. საღამო ახლოვდებოდა და მალე ნადიმი უნდა დაეწყოთ.

როდესაც ფაშას ქართველი ილარიონის მოსვლის შესახებ აცნობეს, მან ყველას გასაგონად თქვა: ა! ეს ის ხუკესია, რომელიც მე ქრისტიანული რწმენის მცდარობაში დავარწმუნე. იგი აქ დიდი წინასწარმეტყველის სარწმუნოების მისაღებად მოვიდა. –დაუძახეთ! — შემოვიდა მამა ილარიონი, ფაშა დივანზე იჯდა. მის გარშემო მდგომ მოხელეებს მოავლო თვალი და ყველას მიესალმა. ფაშამ სიხარულით მიმართა: მამა ილარიონ, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! შენი სტუმრობა სარწმუნოებაზე ჩემი საუბრის შედეგია ალბათ.

– დიახ, – მიუგო მამა ილარიონმა, ზუსტად ჩვენი საუბარი იქცა მიზეზად ჩემი აქ მოსვლისა, რადგანაც მაშინ კუმიცზე არ მოგვცეს მისი დამთავრების საშუალება. ჩემთვის ძალზე სასიამოვნოა, რომ შენთან სოლუნის წარჩინებულ მოქალაქეებს ვხედავ. ჩემთვისაც ძალიან სასიამოვნოა, რომ შენ ჩვენი დღესასწაულის დღეს შეგხვდი და გესაუბრები, – უთხრა ფაშამ. შემდეგ ფაშამ მამა ილარიონი გვერდით მოისვა, ყველა პატივცემული მოქალაქე კი კვლავ მათ წინ ფეხზე იდგა. მამა ილარიონმა გაწყვეტილი საუბარი განაახლა: "შენ დაეჭვდი იმაში, თუ როგორ შობა ქალწულმა ღმერთი და ამის შემდგომაც ქალწულად დარჩა? ახლავე აგიხსნი, თქვენი წინასწარმეტყველი მაჰმადიც ამბობდა, რომ იესო ქრისტე ქალწულისაგან არის დაბადებული, დაიბადა თესლით ჩასახვის გარეშე და ამიტომაც, დაბადება მისი, როგორც ჭეშმარიტი ღმერთისა, მიუწვდომელია. იგია ჭეშმარიტი ღმერთი და კაცობრიობის გადარჩენისათვის ხორცი შეისხა, რათა ადამიანების დაცემული მოდგმა სიკვდილისა და წყევლისაგან ეხსნა.

ფაშა მიხვდა, რომ მამა ილარიონი თავის მსჯელობაში ურყევი იყო და შეეკამათა. ამ კამათის დროს მამა ილარიონი ფაშას მიერ ნეგოშში ჩადენილ სისასტიკეებს შეეხო: არ გეშინია ღმერთის, ასე რომ აწამებ უდანაშაულო ქრისტიანებს? შენ თავად დაიბადე ქრისტიანულ ოჯახში და ასე მზეკურად და ბოროტად იმიტომ იქცევი, რომ ჩაახშო სინდისის ხმა, რომელიც შენ ქრისტესაგან განდგომის გამო გტანჯავს.

ამის პასუხად ფაშამ გაიცინა და უთხრა: პირიქით, მე მოხარული ვარ, რომ თავიდან მოვიცილე ქრისტეს სასაკილო რწმენა. როცა ჩემთან მოვიდა ის ადამიანი, ვინც მე მომიპარა და თურქებს მიყიდა ჩემი თავი, მადლობის ნიშნად დავაჯილდოვე, იმხანად უკვე ფაშა ვიყავი და მადლობაც მოვახსენე უდიდესი დახმარებისათვის. თქვენი რწმენა რომ ჭეშმარიტი და ღვთისათვის სასურველი იყოს, მაშინ უფალი არ ჩაგაგდებდათ მტრების ხელში და ასე უმოწყალოდ არ გაგწირავდათ ყველგან და ყველაფერში.

ამ ამაყი სიტყვების პასუხად მამა ილარიონი შეეკამათა ფაშას: – არასწორად გესმის ყოველი, ფაშა! განა მამა არ იღებს ხოლმე ხელში ჯოხს, რათა დასაჯოს თავისი საყვარელი შვილი, როცა იგი ცელქობს? ამას იმიტომ კი არ აკეთებს, რომ გულიდან მოიწყვიტოს პირშო, არამედ იმიტომ, რომ გამოასწოროს იგი. როცა ნახავს, რომ ბავშვი გამოსწორებულია, მამა ამტვრევს ჯოხს და ცეცხლში ყრის. ასევე, უფალმა თქვენი თავი მოგვივლინა ცოდვებისათვის, რადგანაც ჩვენი გამოსწორება სურს. თქვენ ხართ ის კვერთხი, რომელიც ღმერთს უპყრია მარჯვენა ხელში და როცა უფალი ჩვენს გამოსწორებას იხილავს, მაშინ იგი ამ კვერთხს სანაგვეზე გადააგდებს, როგორც უსარგებლო ნივთს.

შემდეგ მამა ილარიონმა ფაშას იმ ბიჭების გამო დაუწყო გაკიცხვა, მან რომ ათონის მთიდან წაიყვანა. მაგრამ, პირველ დღეს, მამა ილარიონმა ვერ შეძლო დიდხანს ესაუბრა ფაშასთან, რადგანაც უკვე ასაღამოვდა და ფაშაც მრისხანების გარეშე ისმენდა გაკიცხვას. მან მამა ილარიონს ღამის გასათევი ადგილიც კი შესთავაზა, მაგრამ ბერი დასვენების კი არა, წამების გზას ეძიებდა და დილის მოლოდინში მთელი ღამე ეზოში გაატარა, იმედოვნებდა, რომ მეორე დღეს მაინც მიაღწევდა მიზანს.

მეორე დღეს, როდესაც ფაშამ, ღამის მზიარულების შემდეგ, გამოიღვიძა, მამა ილარიონმა გააგრძელა საუბარი, – დაიწყო ქრისტიანული რჯულის ჭეშმარიტების მტკიცება. თან ლანძღავდა ფაშას, ეძახდა უღმერთოს, ავაზაკს, ჯორსა და ღორს, ყველანაირად ცდილობდა განერისხებინა იგი და სასიკვდილო განაჩენი დაემსახურებინა. განსაკუთრებით კიცხავდა მამა ილარიონი ფაშას პატარა ბიჭებისათვის, რომლებიც ამჯერად თეთრ სამოსელში გამოწყობილები მოეყვანათ, რათა მასზედ უწმინდური წესი შეესრულებინათ. იმ 400 ყრმიდან, რომლებიც

ფაშამ სხვადასხვა ადგილას შეკრიბა, მხოლოდ ორი განუმკლავდა განსაცდელს, არ უარყო ქრისტიანობა და ამის გამო მხეცურად აწამეს, ხოლო ყველა დანარჩენი გათურქდა.

ფაშა გულგრილად უსმენდა მამა ილარიონს, დროდადრო გადიოდა ხოლმე, რათა მისთვის ლაპარაკის გაგრძელების საშუალება არ მიეცა: ასე გავიდა სამნახევარი დღე. სასახლეში მყოფი თურქი მოხელეები და უცხოელები განცვიფრებულები იყვნენ იმით, რომ ფაშა ასე დიდხანს ითმენდა ვიღაც ლატაკი ბერის მხილებას. მეორე ღამე მამა ილარიონმა ღვთისმოყვარე ქრისტიანის სპანდონის სახლში გაატარა, რომელმაც თავის ოჯახთან ერთად გულღია მასპინძლობა გაუწია მას.

სოლუნში გატარებულ ერთ-ერთ ღამეს მამა ილარიონი მხურვალედ ლოკულობდა და ემზადებოდა ტანჯვა-წამებისათვის. უკვე, სახლში შეიარაღებული თურქი შევიდა, ზუსტად იმ დროს დაშვებული იყო ნებისმიერი ქრისტიანის მოკვლა ყოველგვარი პასუხისმგებლობის გარეშე. თურქმა ხმალი იშიშვლა და მლოცველი ბერის განგმირვა დააპირა, შესძახა: "ახლავე აგჩეხავ" და ხმალი მოიღნია, მაგრამ, რატომღაც ვერ შეძლო თავისი განზრახვის შესრულება, ხელი გაუშეშდა, თითქოს ვიღაცამ დაუჭირა მაჯა და მკლავის დაშვება მხოლოდ მაშინ შეძლო, როცა ხმლის ქარქაშში ჩაგება გადაწყვიტა და ბერისათვის ზიანის მიყენება გადაიფიქრა.

მეოთხე დღეს, ფაშას უფრო მეტისმეტი განრისხების მიზნით, მამა ილარიონმა დაიწყო ლაპარაკი მუსულმანური რელიგიის სიცრუის და მისი დამარსებელის – მაჰმადის შესახებ. ბერი მაჰმადს მატყუარას ეძახდა და ამბობდა, რომ როგორც თავად წარიწყმიდა სული, ისე დაღუპავდა იგი ყველა თავის მიმდევარს.

– როგორ ფიქრობთ, სად აღმოჩნდებით ჩვენ? – ჰკითხა ფაშამ სიცილით.

– იქ, სადაც თქვენი მაჰმადი წავა, – უპასუხა ბერმა.

– სად წავა შენი აზრით, მაჰმადი?

– ჯოჯოხეთში! – მიუგო მამა ილარიონმა, – და, თქვენც მასთან ერთად.

– შენი აზრით, ვინ გადარჩება და ვინ მოხვდება სამოთხეში?

– მხოლოდ ისინი, ვისაც ჭეშმარიტად სწამთ ღმერთი, ისინი ვინც მართლმადიდებლური ქრისტიანობის წიაღში იმყოფებიან, დანარჩენი ყველანი – ებრაელები, სომხები, კათოლიკები, პროტესტანტები ტანჯვამისჯილნი არიან.

აქ ყველამ, ვინც კი ოთახში იმყოფებოდა, განრისხებით შესძახა: "სიკვდილი ამ ბერს"! ფაშას უკვე აღარ შეეძლო გულგრილად დარჩენა და მიუხედავად იმისა, რომ თავად მას არ სურდა მამა ილარიონის სიკვდილი, იმისათვის, რომ მუსულმანური სარწმუნოების მოღალატედ არ ჩაეთვალათ, ბრძანა, თავი მოჰკვეთეთო ბერს!

– აი, შენ თვითონ დანავსე საკუთარი თავი. ახლა, მე აღარ ძალმიძს შენი დაცვა, ასეთი გაბედული სიტყვებისათვის მხრებიდან ჩამოვაგორებთ შენ თავს.

მამა ილარიონმა თავი გაიშიშვლა, დახარა და უთხრა: "მომკვეთე, აჰა, მომკვეთე, მე არ მეშინია ჭეშმარიტებისათვის სიკვდილი", და, იყო ასე, ვიდრე არ მოვიდნენ მცველები და არ წაიყვანეს სასაკლაოზე.

სანამ განაჩენის აღსრულებისათვის ემზადებოდნენ, ფაშასთან მივიდა განსაკუთრებით დაახლოებული ორი აფხაზი პირადი მცველი – ერთი ხაზინადარი და მეორე კი განსაკუთრებული დავალებების შემსრულებელი მოხელე[2]. მათი ერთგულების გამო ფაშას ორივე ძალიან უყვარდა. ქართველი მღვდლის სიკვდილით დასჯა მიბრძანებიაო, – უთხრა მათ ფაშამ. საოცრად განცვიფრებულმა მცველებმა ხელები გაასავსავეს და შესძახეს: "ეს არ მოხდება! ეს ხომ ჩვენი სირცხვილია, ქალაქში როგორ გამოჩნდეთ, იტყვიან, ძლივს ამ მხარეში ერთი ჩვენი თანამემამულე გამოჩნდა და ისიც სიკვდილით დასაჯესო, ეს ჩვენი სამუდამო სირცხვილი იქნება". ფაშას არ სურდა თავისი საყვარელი მოხელეებისათვის გული დაეწყვიტა და მამა ილარიონი მათ განკარგულებაში გადასცა.

მცველებს უამრავი ხალხი გაჰყვა – ქრისტიანები, თურქები, ებრაელები... ქუჩებში ხალხი უფრო და უფრო ემატებოდათ, მოედანზე კი იმდენი კაცი

2 მცველები - ხშირ შემთვევაში ქრისტიანები.

მოგროვდა, რომ გავლა შეუძლებელი გახდა. მამა ილარიონი მტკიცედ მიაბიჯებდა, არც სახეზე, არც მოძრაობაში შიშის ნატამალიც კი არ ეშნეოდა. ჩურჩულით ლოცულობდა და ისეთი ბედნიერი გამომეტყველება ჰქონდა, გეგონებოდათ, საქორწინო ნადიმზე მიდისო. როგორც კი ფაშასაგან ნებართვა მიიღეს, პირადმა მცველებმა სასწარაფოდ მოედნისკენ გასწიეს. მამა ილარიონი უკვე სასჯელის აღსრულების ადგილზე იხილეს. ფაშას სახელით მცველებმა ბერი ჯალათის ხელებისაგან იხსნეს და წაიყვანეს. ხალხი უკან გაჰყვა.

მამა ილარიონს ეგონა, ალბათ სასჯელის აღსრულების ადგილი შემიცვალეს და სახრჩობელაზე შივყავარო. მორჩილად მიყვებოდა მცველებს და გზად კვლავ ლოცვას აღავლენდა. რაც უფრო შორს მიჰყავდათ, მით უფრო ემატებოდა განცვიფრება. უკვე საკმაო მანძილი გაიარეს, მიდიოდნენ ქუჩებითა და ეზოებით და ყოველ ეზოში მამა ილარიონი ფაშას სასჯელის აღსრულებას ელოდა. იგი სულ უფრო და უფრო შორს მიჰყავდათ, იმ გზით, რომლითაც იგი ათონიდან მოვიდა. ხალხი, ფეხდაფეხ რომ მიჰყვებოდა, ქალაქის კარიბჭესთან მცველებმა შეაჩერეს. მოხელე აფხაზებმა მამა ილარიონი ქალაქგარეთ გაიყვანეს და როცა უკვე საკმაო მანძილი განვლეს, ერთ-ერთმა მათგანმა ისე ძლიერად წამოარტყა კეფაში ბერს, რომ ილარიონი კინაღამ სახით მიწაზე დაენარცხა და უთხრა: "წადი, მღვდელო, შენს ათონზე და მეორეჯერ აქ აღარ დაგინახოთო".

მამა ილარიონი გამოერკვა და ნელ-ნელა გაშორდა მათ. ცოტა რომ გაიარა, უკან მოიხედა, ორივე მცველი იმავე ადგილზე იდგა, მათ მუშტები მოუღერეს და დაუყვირეს მამა ილარიონს, უკანმოუხედავად გაეგრძელებინა გზა. საკმაო მანძილი რომ გაიარა, კვლავ მოიხედა: მცველები იმავე ადგილას იდგნენ და მრისხანედ უჭნევდნენ ხელებს. ცოტაც და, ისინი თვალს მიეფარნენ. მაშინ მამა ილარიონმა პირჯვარი გადაიწერა, ამოიოხრა და თქვა: "მე წყეული, ალბათ, არ ვარ ღირსი იმისა, რომ უფალმა ჩემგან მსხვერპლი – ტანჯვა-წამება მიიღოს!" და ნელი ნაბიჯით გასწია ათონისაკენ. მაგრამ, როცა ამ ქრისტიანის სიყვარული გაახსენდა, რომელმაც შეიფარა და დაამშვიდა, გადაწყვიტა დაბრუნებულიყო და მადლობა გადაეხადა თავშესაფრისა და კეთილი მიღებისათვის. სპანდონიმ კი გაიხარა მამა ილარიონის ხელახალი ნახვით, ბერი ათონზე ფეხით არ გაუშვა, ცხენი მისცა და გამყოლიც გაატანა.

ტყვეების სამსახურში

როდესაც თავის გამყოლთან ერთად ათონზე ბრუნდებოდა, მამა ილარიონმა გზად სოლუნში შეიარა. მთელი ქალაქი გაიარა, გარეუბნების ქუჩებიც კი უკან მოიტოვეს და, ის-ის იყო, შარაგზაზე უნდა გასულიყვნენ, რომ უეცრად ძახილი მოესმათ: "მამაო, მამაო"! მამა ილარიონმა მიიხედა, მაგრამ ვერავინ დალანდა. ძახილი კვლავ განმეორდა. აქ კი მან გვერდით მდგომი სახლის კედელზე პატარა სარკმელი შენიშნა, ვიღაც ხელს უქნევდა და საშველად უხმობდა. ამ შენობაში, როგორც შემდეგ შეიტყო, ბოროტმოქმედებთან ერთად საბერძნეთის აჯანყებაში მონაწილეობისათვის დამწყდეულები იყვნენ ქრისტიანები, უმეტესად ათონელი ბერები. ტყვეები შიმშილითა და წყურვილით იტანჯებოდნენ. როდესაც მამა ილარიონი სარკმელს მიუახლოვდა, ხელი ისევ გამოჩნდა, ამჯერად კათხით. ხმა კი, რომელიც საპყრობილედან ისმოდა, წყალს ითხოვდა. მამა ილარიონმა პატიმარს თხოვნა აუსრულა, იმავე წუთს ახლა მეორე ხელი გამოჩნდა კათხით და იგივე თხოვნა განმეორდა, მერე კიდევ და კიდევ გამოიწოდეს ტყვეებმა ხელები მუდარით. ბერმა სიხარულით შეასრულა მათ თხოვნა; როცა შეიტყო, ვინ იყვნენ საპყრობილეში გამომწყდეულები, გადაწყვიტა, დარჩენილიყო და მათთვის ემსახურა. ასე რომ, გამყოლი ცხენითურთ უკან დაბრუნა. მამა ილარიონმა განსაჯა, რომ ზუსტად ამ უბედური ხალხის გამო აჩუქა უფალმა მას სიცოცხლე, რათა გაჭირვებაში მყოფ ქრისტიანებს დახმარებოდა. ყოველდღე მოდიოდა ბერი საპყრობილესთან და ტყვეებისათვის პური, წყალი და სხვა პროდუქტები მოჰქონდა.

ერთხელ ერთმა თურქმა მცველმა შენიშნა მამა ილარიონი და განრისხებულმა მისი მოკვლა გადაწყვიტა; ბერი ოდნავადაც არ შეუშინებია ამ ამბავს; იგი მზად იყო სიხარულით მიეღო სიკვდილი საძულველი თურქისაგან. მაგრამ სწორედ რომ დროზე გამოეცვლა მეორე მცველს და ამხანაგი შეაჩერა: "გაანებე თავი, რაც უნდა ის აკეთოს, არც შენ

და არც მე ამ პატიმრებისათვის პურის მიმწოდებელნი არა ვართ, ჩვენ აქ იმიტომ ვდგევართ, რომ ვუყარაულოთ და არა იმიტომ, რომ ისინი შიმშილით დავხოცოთ. თუ ამ ბერს ესოდენი გულმოდგინება გააჩნია, აამოს, ჩვენ ხელს ნუ შევუშლით".

ამის შემდეგ მცველები ხელს აღარ უშლიდნენ მამა ილარიონს, დაეპურებინა პატიმრები. მაგრამ, თავიანთი უსაფრთხოების მიზნით, ფაშას მოახსენეს: ვიღაც მღვდელი, ქართველი, რომელიც სულ ახალახანს თავხედურად ამბილებდა ფაშას, ახლა ციხის ახლოს ბინადრობს და ტყვეებს ეხმარება. ფაშამ უპასუხა: "ნუ შეეწინააღმდეგებით, კანონით აკრძალული ნივთების გარდა რაც უნდა, ის მიუტანოს". ამის შემდეგ მცველებმა საბოლოოდ თავი დაანებეს მამა ილარიონს და ნება დართეს, რაც უნდოდა, ის მიეტანა ტყვეებისათვის ღვინის, კიბორჩხალებისა და სხვა მაგარი სასმელების გარდა. თან დაპირდნენ, თუ ბრძანებას არ შეასრულებდა, მის თავს ხევში ჩააგორებდნენ.

მამა ილარიონი ფაშას მიერ მიცემული უფლებით სარგებლობდა და დღე და ღამ შრომობდა. იგი ტყვეებისათვის მარტო საჭმელსა და ხილს როდი ყიდულობდა, სხვადასხვა დავალებებსაც უსრულებდა. ბერი მარტო ქრისტიანებს კი არ პატრონობდა, თანაბრად უვლიდა და ეხმარებოდა თურქებსაც. იგი თავად ურეკავდა მათ თეთრეულს. მუდამდღე შრომაში იყო, რადგანაც ტყვეები ბევრნი იყვნენ, ის კი ერთი. ერთხელ ლავრის სამონასტრო ტაძრის ერთმა მამამ მამა ილარიონს სთხოვა, ავადა ვარ და, ცოტაოდენი კიბორჩხალები მომიტანეო. მამა ილარიონი დათანხმდა და მცველთაგან ფარულად მიუტანა. მაგრამ, როგორც კი ერთს შეუსრულა თხოვნა, მაშინვე სხვებიც აჰყვნენ: ვინ ღვინოს ითხოვდა, ვინ კიბოებს. ბერი ყველას უსრულებდა თხოვნას. ხშირად საპყრობილეში სასტიკად აკრძალული რაღაცეები შეჰქონდა. ერთხელ, ბედად, მან არ წაიღო არც ღვინო და არც არაყი. ჩვეულებისამებრ თავისი გუდა პურით გაავსო და საპყრობილისკენ გასწია. ციხის კედელთან მცველებმა შეაჩერეს: "მოიცადე ერთი, მღვდელო, ვნახოთ, რაიმე აკრძალული ხომ არ მიგაქვს?" ყველაფერი რომ გაუჩხრიკეს და, საეჭვო ვერაფერი უნახეს, გაუშვეს; თან მუქარაც გაუმეორეს.

მაგრამ მამა ილარიონს, ამისდა მიუხედავად, მაინც დაჰქონდა ტყვეთათვის აკრძალული ღვინო და კიბოები. ხუთი დღის შემდეგ, მძიმე ტვირთის გამო, კვლავ არ წაუღია რაიმე სასმელი. მას გადაწყვეტილი ჰქონდა, ხელახლა მიბრუნებულიყო სასმელისათვის და, აი, რა მოხდა? ამჯერადაც გააჩერეს თურქებმა და გაჩხრიკეს. პატიმრებმა ეს რომ გაიგეს, ძალიან შეწუხდნენ, თავი დამნაშავედ ჩათვალეს ბერის ხიფათის გამო, რადგანაც იგი ყველაფერს უყოყმანოდ უსრულებდა მათ. ტყვეების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც მცველებმა ბერს კვლავ ვერაფერი უპოვეს.

მალე დილეგის ბინადართ მთელი ფული შემოელიათ და გასაჭირში ჩავარდნენ. მამა ილარიონსაც არაფერი გააჩნდა დაგლეჯილი სამოსელის გარდა. იგი პატიმრების სიბრალულით აღივსო და სოლუნელი ქრისტიანებისაგან მოწყალების შეგროვებას შეუდგა. ბერისგან შთაგონებული ქრისტიანები მეპურეს შეუთანხმდნენ, რომ მას პატიმრებისათვის პური უფასოდ ეძლია. ანგარიში რომ არ არეოდათ, ბერსაც და ხაბაზსაც ერთნაირი ჯოხები მისცეს, რაზედაც ჭდეებს აკეთებდნენ, იმის მიხედვით, თუ რამდენ პურს წამოიღებდა მამა ილარიონი საცხობიდან, შემდეგ ამ ჭდეების მიხედვით გაუსწორდებოდნენ მეპურეს.

ასე გაატარა მამა ილარიონმა ტყვეების დახმარებაში ექვსი თვე.

იმავე საპყრობილეში, ცალკე საკანში თოკებზე ჩამოკიდებული იყო ორი პატიმარი – ერთი ქრისტიანი, მეორე კი მდიდარი თურქი – ბანკირი, რომელსაც ფაშა ტანჯვა-წამებით ართმევდა ფულს სახელმწიფოებრივი ხარჯებისათვის. ისინი ისე იყვნენ ჩამოკიდებული ხელ-ფეხით, რომ ოდნავი მოძრაობის დროსაც კი თოკები ტრიალს იწყებდნენ, ტყვეები კი აქეთ-იქით ქანაობას. მათ განსაკუთრებული მცველები ჰყავდათ მიჩენილი, რომლებსაც თოფები მუდამ ჩახმახზე ჰქონდათ შეყენებული და გაშიშვლებული ხმლებით მომარჯვებული არავის უშვებდნენ საწყალ პატიმრებთან. უბედურებს არც წყალს და არც საჭმელს არ აძლევდნენ, რადგანაც მათ შიმშილით სიკვდილი ჰქონდათ მისჯილი, თანაც ასეთ საშინელ მდგომარეობაში.

უსაშველოდ ცხელი დღე იდგა, ჩამოკიდებულები წყურვილით იტანჯებოდნენ. სიცხით ტუჩები დაუსივდათ და დაუსკდათ. მამა ილარიონმა, რომელიც ხშირად იყო ხოლმე ციხეში, გადაწყვიტა, რითიმე დახმარებოდა უბედურებს, მაგრამ ყოველგვარი მცდელობა შეიძლება მას სიცოცხლის ფასად დასჯდომოდა. მამა ილარიონმა აიღო ორი დიდი მსხალი და მოხერხებულ დროს დაუწყო ლოლინი. და, აი, ერთხელ მან შეამჩნია, რომ ორივე მცველი, გაშიშვლებული ხმლებით და თოფებით კედელს მიეყრდნო და ჩათვლიმა. ფრთხილად გაძვრა მათ შორის მამა ილარიონი და მიუხედავად იმისა, რომ გასასვლელი მეტად ვიწრო იყო, არც ერთი არ გაუღვიძებია, ყველა განცვიფრებული დარჩა. მივიდა

ჯერ ერთ ჩამოკიდებულ პატიმართან და პირში ცოტაოდენი წყალი ჩაასხა, შემდეგ მეორეს დაალევინა და ასე გაიმეორა სამჯერ. მერე თითოეულს თითო მსხალი ჩაუდო პირში. ჩამოკიდებულმა თურქმა ბერის ასეთი თავდადება რომ დაინახა, თქვა: "დაე, ალაჰმა დაგაჯილდოვოს შენი კეთილი საქმისათვის! მაგრამ ჩქარა გამორდი აქაურობას, თორემ მცველები აგჩეხავენ". აკანკალებული ტყვეები თვალს ადევნებდნენ მამა ილარიონს. ბერმა თავისი საქმე მოათავა და უკან გამობრუნდა, მაგრამ, მეტისმეტი სიფრთხილისდა მიუხედავად, ერთ-ერთ მძინარე მცველს წამოედო და ორივემ გამოიღვიძა. მაგრამ უფალმა, რომელმაც მცველებს ძილი მოუვლინა, მამა ილარიონიც სასწაულად დაიფარა, ორივე მცველს გაეღვიძა, დაინახეს ბერის საქციელი, მაგრამ გაუნძრევლად, გახევებულები იდგნენ და ბერსაც არაფერი არ უქნეს. ამ გმირობამ იხსნა უბედურები სიკვდილისაგან, მათ სასიცოცხლო ძალები შეჰმატა.

მერე თურქი ბანკირის ნათესავმა ფაშას შეწყალება გამოსთხოვა და გაათავისუფლა თავისი ახლობელი. მაგრამ ეს მოხდა მამა ილარიონის ათონზე წასვლის შემდეგ. ბანკირი ყველას მოუთხრობდა ბერის გმირობის შესახებ და ითხოვდა: მომიყვანეთ, მიჩვენეთ ის ბერი! მე მას ოქროთი ავავსებ, მას ოქროს ხატად ჩამოვასხმევინებ და ვილოცებ მასზე, როგორც ჩემს გადამრჩენზე!"

გამოხდა დრო და, მამა ილარიონი საპყრობილეში შევიდა, რათა მეგობრებს დამშვიდობებოდა. თანაც უამბო, წინა ღამეს როგორ ეცნობა ღმერთისაგან, რომ მიეტოვებინა ტყვეების სამსახური და დაბრუნებულიყო ათონზე; რომ თვითონ არასოდეს მიატოვებდა პატიმრებს, მაგრამ ღვთის ნებას უნდა დამორჩილებოდა და წასულიყო. თავის ნაცვლად კი იპოვა ადამიანი, რომელიც დათანხმდა ტყვეებს მომსახურებოდა, ხოლო ღვთისმოყვარე სპანდონი მზად იყო ამ კაცისათვის ფული ეხადა. მამა ილარიონმა აუხსნა ყველაფერი მის შემცვლელს, რა, როგორ უნდა ეკეთებინა და გზას გაუდგა. ბერის წასვლის მეორე დღეს უკვე ყველამ შეიტყო, რომ ფაშას უბრძანებია ჭალათისთვის, მამა ილარიონისათვის თავი მოეკვეთა. მაშინ ყველა ტყვემ ადიდა ღმერთი, რომელიც თავის მონას აგრერიგად იცავდა და ბერის წასვლით გამოწვეული მწუხარება სიხარულით შეეცვალათ.

მამა ილარიონი ტუქსავდა თავის თავს, რომ იგი წმიდა მოწამეობრივი სიკვდილისათვის ულირსი აღმოჩნდა.

ათონზე დაბრუნება და მეუდაბნოეობა

მამა ილარიონი ფეხით მივიდა ათონის მთაზე და ისევ დიონისიატის მონასტერში დასახლდა; იქ იმავე საქმიანობას ეწეოდა, რასაც თავდაპირველად. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ამჯერად თურქებსაც ეხმარებოდა, რომლებიც მრავლად დასახლდნენ წმიდა მთის მონასტერში. თურქები ისე ბევრნი იყვნენ, რომ დარჩენილი ბერები ძლივს პოულობდნენ თავისთვის საცხოვრებელ ადგილს. მარტო დიონისიატის მონასტერში 50 თურქი ცხოვრობდა.

ამ გარემოებამ აიძულა მამა ილარიონი გასცლოდა მონასტერს და უდაბნოში დასახლებულიყო, საცხოვრებლად მან მთის ძირში მდებარე გამოქვაბული ამოირჩია, სადაც ორნახევარი წელიწადი გაატარა. აქ ბერს არავითარი საკვები არ გააჩნდა, თავიდან ვიღაცამ გოგრა უწყალობა; მამა ილარიონი ყოველ დღე პატარ-პატარა ნაჭერს აჭრიდა და უმად ჭამდა, მაღე წყალიც გაუთავდა. სამი დღის მერე გადაწყვიტა, მონასტერში მისულიყო და რაიმე სარჩო ეთხოვნა. გამოქვაბულიდან გამოსულმა უკვე ფქვილით სავსე ტომარა იპოვა; გაურკვეველი იყო, ვინ და როდის მოუტანა ბერს ფქვილი. მამა ილარიონი მონასტერში წავიდა და ფქვილის შესახებ იკითხა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მონასტერში არავის გულშიც კი არ გაუვლია ფქვილის მიტანა, რადგანაც თვითონაც არაფერი გააჩნდათ საჭმელი. მაშინ მამა ილარიონმა ნახევარი ტომარა ფქვილი მონასტერში დატოვა, ნახევარი კი თან წაიღო. იგი ცომს ბელდა და ხან უმად, ხან კი გამომცხვარს შეექცეოდა.

შემდეგ ბოროტი შურისაგან ილარიონს სასტიკი სულიერი ბრძოლები დაეწყო. მას საშინელი ბილწსიტყვაობა შეეჩნდა. მამა ილარიონმა მიატოვა ეს გამოქვაბული და კატუნაკიზე გადავიდა, სადაც მრავალი მღვიმე მოიარა და მრავალი წლის მანძილზე ყველაზე მძიმე ცდუნებებს გაუძლო. საბოლოო ჯაშში, მან გამოქვაბულებში სამნახევარი წელიწადი დაჰყო.

მთელი ეს დრო მამა ილარიონი არ ჭამდა პურს და საერთოდ არაფერს მოხარშულს, მის საზრდოს შეადგენდა ზოგიერთი ბალახი, მკენარის ფესვები და წაბლი. ბერი ხორცს აუძლურებდა, ხოლო სულით უხილავ მტერზე ძლიერდებოდა. მამა ილარიონი თითქოს ბაბილონის ცეცხლში იწვოდა: მისი სულიერი ბრძოლა ისეთი ძლიერი იყო, რომ სამი წლის განმავლობაში დღე და ღამ მოსვენებას ვერ პოულობდა. მისი თანამედროვენი და ნაცნობები ამბობდნენ, კატუნაკზე, დაწყებული წმიდა ანას სავანედან წმიდა ვასილის სავანემდე არ დარჩენილაო არც ერთი კენჭი, მამა ილარიონს ცრემლით რომ არ დაესველებინოსო. ღამისთევის ლოცვებისა და აუტანელი სულიერი ბრძოლების დროს იგი ამტვრევდა და ამარცხებდა გველის თავს, რომელიც მის წინააღმდეგ მთელი თავისი ჯოჯოხეთური სიძლიერით წარმოდგა.

ამავე დროს, მამა ილარიონი მკაცრ მდუმარებაში იმყოფებოდა, იგი არავის ნახულობდა და თუ შემთხვევით ვინმე მეუდაბნოეს შემოხვდებოდა, მაშინვე თავს არიდებდა და მდუმარების აღთქმას არ არღვევდა.

ერთხელ, მტრის უძლიერესი შემოტევის დროს, მამა ილარიონმა 40 დღე ჯვარცმულ მდგომარეობაში გაატარა. არც ჭამდა, არც სვამდა, თითქმის არც ისვენებდა, ამარცხებდა მის წინააღმდეგ აღმდგარ მტერს, რომელიც ამ დროისათვის ისე გამხეცდა, რომ ბუნებრივი ალის გარდა, არაარსებული ცეცხლიც შეუნთო. მაგრამ ამითაც ვერ დაამარცხა ვაჟკაცი მებრძოლი.

გარდა იმ ცდუნებებისა, რომლებსაც მამა ილარიონს ადამიანური ბუნება თხოვდა, მტერი სხვადასხვა ჩვენებების სახითაც ესხმოდა ბერს თავს — ხან არაზების სახით გამოეცხადებოდა, ხან მებრძოლების, ხან ზეკების. ყველაფერ ამას უხილავი მტერი იმიტომ აკეთებდა, რომ მამა ილარიონი ლოცვისთვის მოეწყვიტა.

გამოქვაბულის საშინელი ნესტისაგან ბერს თითქმის მთლიანად გასცვივდა თმა. მღვიმე ფართო იყო, მაგრამ ცალი მხრიდან არაფერი იცავდა და ამიტომ წვიმის წყალი შიგნით თავისუფლად შედიოდა. ნესტს შიმშილი და ავადმყოფობაც მიემატა. იგი მუდმივად გაციებული იყო, ფეხები დაუსივდა და ხშირად გამოქვაბულიდან გამოსვლის ძალაც კი აღარ შესწევდა.

ერთხელ, ავადმყოფობის დროს, მამა ილარიონს წყალი გაუთავდა, წყაროზე წასვლის ძალა არ შესწევდა, ბერმა ლოცვა დაიწყო და ღმერთმა წვიმით სავსე ღრუბელი გამოუგზავნა, რომელიც მისი გამოქვაბულის თავზე გაჩერდა. წვიმამ ბერის ყველა ჭურჭელი წყლით გაავსო. სამი წლის შემდეგ კი, თავის ერთგულ მონაზე მზრუნველმა უფალმა ღმერთმა ყველაფერი, რაც კი საჭირო იყო, ისე გაუგზავნა: გამოქვაბულში მყოფი მამა ილარიონი ხუთი, ათი, თხუთმეტი დღე ხშირად არაფერს ჭამდა. როცა არც პური და არც სხვა რამ არ გააჩნდა, იგი მთლიანად ღვთის განგებას ეძლეოდა და ამბობდა: "თუ ღმერთი ინებებს, რაც საჭირო იქნება, თვითონვე გამომიგზავნის. და, ერთხელ, მესამე წელიწადის მიწურულში ერთი ბერი მამა ილარიონის გამოქვაბულის მახლობლად ლოკოკინებს აგროვებდა, შემთხვევით მის მღვიმეშიც შევიდა და მამა ილარიონი უკიდურეს უძლურებაში მყოფი იხილა. როდესაც ბერმა გაიგო, რომ მამა ილარიონს 15 დღის განმავლობაში არაფერი უჭამია, ლოკოკინებით გამოკვება და შემდეგ მის შესახებ გარშემო მდებარე სავანეებში მოუთხრო ყველას. მას შემდგომ, რაც მამა ილარიონის ადგილსამყოფელი გაიგეს, ყოველი მხრიდან მოდიოდნენ და მისთვის საკვები მოჰქონდათ. მასში წმიდა ბერს ხედავდნენ და ამიტომ ხშირად რჩევასაც ეკითხებოდნენ.

უფრო ადრე კი მას ასეთი რამ შეემთხვა: ორ კვირაზე მეტი გაატარა მამა ილარიონმა უჭმელად და ისე დაუძლურდა მარხვით, რომ განძრევაც კი აღარ შეეძლო, იწვა და სიკვდილს ელოდებოდა. ღვთის ნებით, ერთი მეუდაბნოე, რომელსაც ორცხობილა ეყიდა, იქვე გამოქვაბულის მახლობლად, თავისი ტვირთით, გზად მიდიოდა /ამ ადგილის ცოტა ზემოთ, წმიდა ანას სავანედან ლავრისაკენ ბილიკი მიდის/. გზად მას მეტისმეტად მოსწყურდა. წყაროზე ჩავიდა, რომელიც მამა ილარიონის გამოქვაბულის ქვემოთ მოწანწკარებდა და გადაწყვიტა, შეევლო ბერთან. როდესაც მღვიმეში შევიდა, მამა ილარიონი სიკვდილის პირას მისული დახვდა. მეუდაბნოე მიხვდა, რომ ყველაფერი ეს შიშმილის ბრალი იყო, ბერს პირში ცოტა წყალი ჩაასხა, ორცხობილა დაუსველა, აჭამა და ასე გადაარჩინა სიკვდილს.

ამ ამბების შემდეგ, სულ მალე, მამა ილარიონმა უამრავი მომსვლელის გამო მიატოვა ეს გამოქვაბული. ისინი ბერისგან სულიერ რჩევებს ითხოვდნენ და ყოველი მხრიდან მოდიოდნენ მასთან. თავიდან მან გადაწყვიტა, არავინ შეუშვა გამოქვაბულში, მაგრამ მერე ამჯობინა, საერთოდ გაქცეოდა ხალხს და თავის საყვარელ მდუმარებაში და განუწყვეტელ ლოცვაში გაეტარებინა დღეები.

განდგომა

უამრავი მომსვლელით შევიწროვებული მამა ილარიონი უფრო დიდ საგმირო გზას დაადგა – მან სრული განდგომა გადაწყვიტა, შეასრულა კიდეც და ახალი სკიტის კოშკში ჩაიკეტა. ამისთვის მან წმიდა პავლეს მონასტერში წინასწარ აიღო კურთხევა. ასე მარტოობაში გაატარა მამა ილარიონმა თითქმის სამი წელიწადი. მისი ცხოვრების წესი ამგვარი იყო: დღეში ერთხელ მხოლოდ პურით ან ორცხობილით ნაყრდებოდა, პარასკევობით კი საერთოდ არაფერს ჭამდა. როდესაც მამა ილარიონი ათონზე ჩავიდა, იგი იმდენს ჭამდა, რომ დღეში სამი ფუტი პური არ ჰყოფნიდა, ხოლო დაყუდებით ცხოვრებისას, წმიდა მამის – მაკარი დიდის მსგავსად, ორცხობილას ნამცეცებს ჰყრიდა გოგრის ქერქში ვიწრო ყელით, იქიდან მუჭით იმდენს იღებდა, რამდენიც ხელს ამოყვებოდა ხოლმე და მთელი დღე ჰყოფნიდა.

ბერს ემსახურებოდა მამა გერასიმე, რომელიც თხუთმეტ დღეში ერთხელ მოდიოდა და მისთვის ორცხობილა მოჰქონდა.

მამა ილარიონი წყალსაც გამზომილად სვამდა – დღეში ერთ ფინჯანს. როდესაც ბერი პეტერბურგში სამეფო კარზე ცხოვრობდა, იგი უზომოდ ბევრ ღვინოს სვამდა. წმიდა მთაზე ჩამოსვლისას ასევე დაიწყო ბევრი წყლის სმა, რის გამოც იგი ძალზე იოფლებოდა ხოლმე და ძლივს ასწრებდა ტილოს პერანგების გამოცვლას. გამოქვაბულებში ცხოვრებისას, მამა ილარიონის მოძღვარი იყო მამა ნეოფიტე კარამანსილი, რომელმაც იხილა რა ბერის მიერ ამდენი წყლის სმა, აუკრძალა და მალე მისი დოზა დღე-ღამეში ერთ პატარა ფინჯნამდე დაიყვანა. თან ეუბნებოდა – თვითნებობა სარგებელის მომტანი არ არის და წყლის ასეთი დიდი რაოდენობით მიღება საბოლოოდ დაგაავადმყოფებსო.

როდესაც მამა ილარიონი სამეფო კარზე ცხოვრობდა, იგი მეტანიებს არ ასრულებდა, არ შეეძლო ამის კეთება; ხოლო, როცა ათონზე გადასახლდა, მან ბევრი მეტანიის შესრულება დაიწყო, განდგომის პერიოდში კი კიდევ უფრო მოუმატა. ეძინა მხოლოდ ორი საათი, შემდგომ კი ერთი საათი დღე-ღამეში.

ასეთი გარეგნული გმირობების გარდა, იგი სულიერ ხილვებსა და ბრძნულ ლოკვებში ჩაიძირა, მაგრამ, შემდეგ დაიწყო სასტიკი სულიერი ბრძოლა: ჯოგ-ჯოგად ევლინებოდნენ დემონები, როგორც საბრძოლო ლეგიონები, კოშკთან შემოჯარულნი იერიშზე გადასული ჯარისკაცებივით ყვიროდნენ, თავს ქსხმოდნენ, გაჰყავდათ მიწისქვეშა თხრილები, მაგრამ, რომ ვერ ასწრებდნენ, შერცხვენილნი ბრუნდებოდნენ უკან. თან იმუქრებოდნენ, მაინც გამოვდევნითო მამა ილარიონს მისი განდგომიდან. ხანდახან მთელი ეშმაკეული მრავალრიცხოვნება, ბერის შეშინების მიზნით, გაჰკიოდა: სამი მხარე უკვე აღებულია, მხოლოდ ერთი დარჩა და ამასაც ავიღებთო.

დიდი ხანი არ იყო გასული მას შემდეგ, რაც მამა ილარიონი დაეყუდა და მას, ჩვეულებისამებრ, მამა გერასიმე ეახლა – საზრდელი მოუტანა. და, აი, რა მოხდა: მამა გერასიმე შევიდა მამა ილარიონთან, სენაკის კუთხეში დაჯდა და ორივე ბერმა სულის გადამრჩენ საგნებზე გაიბა საუბარი. უცებ მათ ადამიანის მძიმე ნაბიჯების ხმა მოესმათ – კიბეზე ვიღაც ამოდიოდა. უცნობი ისე მძიმედ მოაბიჯებდა, რომ კოშკის კედლები ზანზარებდნენ, ხმაურის მიხედვით შეიძლებოდა მიმხვდარიყავით, რომ უცნობი უზარმაზარ ხმალს მოათრევდა. ბერებმა იცოდნენ, რომ კოშკის კარი შიგნიდან იყო დაკეტილი და ძალზე გაუკვირდათ, უცხო პირს რა უნდაო შენობაში. ფეხის ხმა თანდათან ახლოვდებოდა; უცებ კარი გაიღო და ზღურბლზე სამხრეებიან მუნდირში გამოწყობილი თავით ფეხამდე იარაღში ჩამჯდარი ტანმაღალი მეომარი გამოჩნდა. გამხეცებულმა ყვირილით იშიშვლა ხმალი და მამა ილარიონს მოუჭნა. "ჩემს საწინააღმდეგოდ იარაღდები?!" მამა ილარიონი მოულოდნელობისაგან და მეომრის საშინელი შესახედაობისაგან შეკრთა, დაიბნა და კედლისკენ დაიხია. სადაც თვითონ იჯდა. იგი ბოლომდე ღვთის ნებას იყო მინდობილი, ხელნი აღაპყრო და უფლის სახელი ახსენა, დემონი იმავე წამს გაქრა. მამა გერასიმე, რომელიც ყოველივე ამას შეესწრო, შიშით გაქვავდა.

ერთხელ, მამა ილარიონს დემონების მთელი ჯარი ეწვია. რაკიღა მათ ბერის ვაჟკაცური და შეურყეველი რწმენისათვის ვერავითარი ზიანის მიყენება ვერ შეძლეს, უთხრეს: "არ გეგონოს, რომ ვერ მოგერევით. აუცილებლად დაგამარცხებთ! შენს წინააღმდეგ მთელ ხალხს შევაიარაღებთ, მოვიყვანთ აქ თურქებს,

გადავთხრით აქაურობას ისე, რომ ქვას ქვაზე არ დავტოვებთ, შენ კი მაინც გაგაძევებთ აქედანაც და ათონიდანაც. პასუხად მამა ილარიონმა მიუგო ეშმაკს: "კურთხეულ არს ღმერთი! თუ ღვთის ნებაა, აჰა, შემჭამე"! დემონებმა ბერის ასეთი სიმტკიცე რომ იხილეს, შესძახეს: "შენ თუ იცი ვის წინაალმდეგ იარაღდები და ვისთან გაქვს საქმე?" ამ დროს კოშკის თაღი გაიპო და მამა ილარიონის წინ თავად ეშმაკი წარმოდგა, იმხელა, რომ მისი თავი ვარსკვლავიან ცას სწვდებოდა. მამა ილარიონმა ლოცვა დაიწყო და ქრისტეს სახელით დამარცხებული დემონი გაუჩინარდა.

მაგრამ ისეც ხდებოდა ხოლმე, რომ უფალი არ აკავებდა ეშმაკებს და ისინიც გაბოროტებულნი თავს ესხმოდნენ ბერს, სცემდნენ და თითქის სიკვდილის პირას მისულს სტოვებდნენ.

მამა ილარიონის კოშკში გადასვლა, გამოწვეული იყო მასთან სულიერი რჩევისათვის მოსული ხალხისაგან თავის დაღწევის მიზნით. იგი თავისთან აღარავის უშვებდა მამა გერასიმეს და თავისი მოძღვრის ნეოფიტე კარამანლისის გარდა, რომელიც მეტად იშვიათად თუ ეწვეოდა ხოლმე. ბერის კოშკში გადასვლის შემდეგ არ გასულა დიდი დრო და მასთან მოძღვარი მივიდა და ჰკითხა: რატომ დატოვე გამოქვაბული და აქ რატომ გადმოხვედი? მნახველებმა მაიძულესო, – მიუგო მამა ილარიონმა. მოძღვარმა ისევ ჰკითხა: კურთხევის გარეშე, როგორ შეუდექი ასეთ საგმირო საქმეს? მამა ილარიონმა მიუგო: "რადგან იმ დროს მოძღვარი შენ არ იმყოფებოდა /მამა ნეოფიტე, ათონის გარშემო მოღვაწე ყველა მეუდაბნოეს მოძღვარი იყო და ამიტომ ხშირად დადიოდა უდაბნოში მათთან, აღსარებებს იღებდა და აზიარებდა კიდეეაც ბერებს/. მან მიმართა თავის ძველ მოძღვარს – დიონისიტის მონასტრის იღუმენს სტეფანეს და კურთხევა სთხოვა. თანაც უთხრა: მე ყველა მადიდებს, აქ იმიტომ წამოვედი, რომ დავდე ფიცი, ამ ადგილს უნდა ამომხდეს სული. მამა ილარიონი ერთხელ შეეცადა უძილობას შესჩვეოდა და თორმეტი დღე-ღამე თვალი არ მოუხუჭავს, რის გამოც საერთოდ შეერყა ჯანმრთელობა: მთელი ტანი უკანკალებდა, თავბრუ ეხვეოდა, თითქოს მთელი მსოფლიო მის თვალწინ ტრიალებსო. ამასთან ერთად, გონებაც დაებინდა. ყოველად გაიძვერა ეშმაკმა მისი ასეთი მდგომარეობა რომ იხილა, მიუდგა მას და ფიქრებით დაუწყო შთაგონება: აი, შენ უკვე მოიხიბლე! უბრძანე, რომ ყელზე თოკი შეიმოგახვიონ და კედელზე მიგაბან. უთხარი მოსწავლეს, მომკალი-თქო, რადგან გონება დაკარგე და აღარაფრად არ ვარგიხარ...

მამა ილარიონმა ეშმაკის ჩაგონებები მასთან მოსულ მამა გერასიმეს გადასცა. მამა გერასიმემ არ იცოდა, რომ მამა ილარიონი გმირობისთვის იყო მოწოდებული და ყველაფერი ავადმყოფობას დააბრალა. ვერც კი მიხვდა, რა გმირობა ჩაიდინა. შემდეგ მამა გერასიმემ დაწვრილებით გამოკითხა ბერი და როცა შეიტყო, რომ მამა ილარიონს უკვე 12 დღე-ღამე არ სძინებია და ძილი საერთოდ გაუქრა, ცოტა წყალი დაალევინა, თან დაბეჯითებით სთხოვა დაწყნარებულიყო. ბერმა წყალი მოსვა და რამდენიმე წამით ჩასთვლიმა. შემდეგ მამა გერასიმემ კვლავ მისცა წყალი და დამბალი ორცხობილის ნატეხი, ყოველივე ამან ისე კარგად იმოქმედა, რომ ბერმა კიდევ რამდენიმე წუთი ჩაიძინა. და ასე, წყლისა და საჭმლის თანმიმდევრობით მიღების შედეგად ბერმა მთელი საათი იძინა და საბოლოოდ გამოჯანსაღდა.

როგორც უკვე ითქვა, მამა გერასიმეს მამა ილარიონისათვის საჭმელი ყოველ მეთხუთმეტე დღეს მოჰქონდა და კოშკის კართან ტოვებდა, იქიდან კი ბერი თავად იღებდა. ერთხელ მამა გერასიმეს დაავიწყდა კუთვნილი ულუფის მიტანა. დათქმულ დროს მამა ილარიონი ჩვეულებისამებრ გამოვიდა ორცხობილების ასაღებად, და როცა ვერაფერი ნახა, თავისთვის ჩაილაპარაკა: "ეტყობა, ღმერთი გამოცდას მიწყობს". თუმცა, ბერს შეეძლო გამვლელებისთვის დაეძახა, მაგრამ მან არ მოინდომა და ღვთის ნებას მიენდო. ცხრა დღე გაატარა მან საჭმლის გარეშე, თავის ჩვეულ გმირობებში და ოღნავადაც კი არ შეუმცირებია ისინი. ცხრა დღის შემდეგ კი ისე დასუსტდა, რომ აღარ შეეძლო ლოცვა მისთვის ჩვეული წესით შეესრულებინა. ამიტომ, გულხელი დაიკრიფა, ფარდაგზე ჩამოჯდა და ასე იყო ექვსი დღე. გავიდა თხუთმეტი დღე და მოვიდა მამა გერასიმე. იგი მეტად გაოცდა, როცა მამა ილარიონი ასეთ დაუძლურებულ მდგომარეობაში იხილა. ჯანმრთელობის ამბავი გამოჰკითხა. ბერმა მორჩილად უპასუხა, რომ ჯანმრთელადაა, მაგრამ მეტად დასუსტდა. მამა გერასიმეს მხოლოდ ახლა გაახსენდა, რომ გასულ ჯერზე ბერისთვის არც წყალი და არც საკვები არ მოეტანა. იგი ძალზე შეწუხდა და კიცხავდა თავის უყურადღებობას, უნდოდა სასწრაფოდ დაეპურებინა მამა ილარიონი, მაგრამ ვერ შეძლო, რადგანაც მას ტუჩები ჰქონდა საშინლად დახეთქილი. მაშინ მამა გერასიმემ გაათბო წყალი,

შიგ ორცხობილა ჩაალბო და მამა ილარიონს პირში ჩაუდო.

ნელ-ნელა ბერმა ძალები აღიდგინა. ასეთი შემთხვევა რომ აღარ განმეორებულიყო შეთანხმდნენ, რომ საჭიროების შემთხვევაში მამა ილარიონი სარკმელში ცხვირსახოცს გამოფენდა.

ერთხელ მამა ილარიონს იმდენი ეშმაკი გამოეცხადა ერთად, რომ ისინი კოშკზე ხშირი თოვლის ფანტელებივით ცვიოდნენ და ხიოდნენ: ჩამოვაგდოთ იგი, ჩამოვაგდოთ! უშიშარი ბერი კი პასუხობდა: "თუ ღვთის ნებაა – ჩამომაგდეთ"! ეშმაკები გაქრნენ. მეორეჯერ ეშმაკებმა დაიტრაბახეს, კოშკში თოვლს შემოგიყრითო. მართლაც, ზამთარში ერთი საშინელი ქარიშხლის დროს ჭერი ჩაიქცა და, კოშკი თოვლით ისე ამოივსო, რომ ბერი მთლიანად დაფარა. მამა ილარიონმა თოვლის ქვეშ სამი დღე დაჰყო, სანამ სავანის ძმობამ არ ამოიყვანა. სიკვდილის პირას მისული, ძმებმა არქონდარიკზე წაიყვანეს და ძლივს მოიყვანეს გრძნობაზე. ბევრი ეხვეწეს, თავი გაენებებინა განდგომისათვის, მაგრამ მამა ილარიონი არ დათანხმდა. ამ შემთხვევის შემდეგ მას მთელი ცხოვრების მანძილზე რევმატიზმი აწუხებდა. ავადმყოფობა მას მარტო სამი დღე თოვლის ქვეშ ყოფნის გამო როდი დაემართა, დღენიადაგ ნესტიან, გაყინულ შენობაში /კოშკში უხვად ჩადიოდა წყალი/ უხდებოდა ყოფნა. სნეულება მთელ ორგანიზმში გავრცელდა და სამი წლის განმავლობაში მხოლოდ თავისი მტკიცე ბუნების წყალობით გადაურჩა სიკვდილს.

ერთხელ ანატოლიელი მლოცველები გემით სავანის ახლოს მიცურავდნენ; მათ გაეგონათ მამა ილარიონის შესახებ. გზაში მლოცველებს სასტიკმა ქარიშხალმა მოუსწრო. ასე რომ, მათ გადარჩენის ყოველგვარი იმედი გადაეწურათ. მლოცველებმა უფალს ლოცვა აღუვლინეს და შეევედრნენ "ბერის წმიდა ლოცვებით". ღმერთმა შეიბრალა ისინი და ქარიშხალი იმწამსვე ჩაწყნარდა. გემი ნაპირს მიაყენეს და მლოცველებმა თავიანთი მხსნელისაკენ გასწიეს მადლობის გადასახდელად. მაგრამ, კოშკი დაკეტილი დახვდათ. ისინი შეევედრნენ მამა გერასიმეს, გაეღო კოშკის კარი და ბერისათვის თაყვანის ცემის უფლება მიეცა, მაგრამ მამა გერასიმე არ დათანხმდა. მაშინ ორი მლოცველი ქვედა ფანჯრიდან როგორღაც გადაძვრა კოშკში. კარი შიგნიდან გააღეს. ყველანი შევიდნენ და კიბეზე ასვლა დაიწყეს. მამა ილარიონმა ისინი ეშმაკებად დასახა და, ჩვეულებრივ, ეს უშიშარი ადამიანი სასტიკად შეშინდა – ასე აშინებს ხოლმე უფალი თავის მონებს და გვიჩვენებს, რომ ჩვენ მის გარეშე არაფრის გაკეთება არ ძალგვიძს. მლოცველებმა ბერის სახეზე შიში ამოიკითხეს. რომ დაერწმუნებინათ იგი, რომ ჭეშმარიტად ადამიანები იყვნენ, წავიდნენ მამა ილარიონის სენაკის გვერდით მდებარე ეკლესიაში და ლოცვა და პირჯვრის გადასახვა იწყეს. შემდეგ მივიდნენ ბერთან, თაყვანი სცეს, ფეხები დაუკოცნეს და მადლობა შესწირეს, რომ მხსნელად მოვლენილმა დახრჩობას გადაარჩინა.

მლოცველების მოსლვამ მამა ილარიონი ისეთ დიდ სულიერ გასაკდელში ჩააგდო, რომ მან გადაწყვიტა განდგომილი ცხოვრებისათვის თავი გაენებებინა: ეშმაკები მოსვენებას არ აძლევდნენ, მუდამჟამ ჩასჩიჩინებდნენ: "აი, შენ უკვე წმინდანი ხარ, აი, შენ უკვე სასწაულმოქმედი ხარ".

ამ აზრებისაგან რომ თავი დაეღწია, მამა ილარიონმა სთხოვა მამა გერასიმეს, გამოეცხადებინა ყველა ბერისათვის, რომ იგი ხიბლმა შეიპყრო და ეთხოვა, რომ იგი ფსკვნილზე ლოცვისას მოეხსენებინათ. ბერები ასეც მოიქცნენ, მაგრამ ცდუნება არ თავდებოდა. მაშინ მამა ილარიონი შეეხვეწა მამა გერასიმეს მისთვის ხელები შეეკრა და სავანის ყველა სენაკში ჩამოეტარებინა როგორც ჭკუიდან შემცდარი, თავად კი შეევედრებოდა ბერებს ელოცათ მისთვის.

ერთხელ სავანეში მლოცველთა დიდი ჯგუფი მოვიდა; ტაძარს მნიშვნელოვანი თანხა შესწირეს და როცა დაყენებული ბერის ამბავი გაიგეს, მისი ნახვა მოისურვეს. მაგრამ, რადგანაც ბერი არავის იღებდა, არც მათ მისცა შესვლის უფლება; მლოცველებმა ცოცხალი კიბის გაკეთება გადაწყვიტეს; ერთმანეთს მხრებზე შედგომოდნენ და იმ ფანჯრამდე მიეწიათ, საიდანაც ბერს დაინახავდნენ და მისთვის კურთხევა ეთხოვათ. როდესაც მამა ილარიონი მლოცველებს ჩანაფიქრს მოუხვდა, შეძრწუნდა, რადგანაც ფანჯარა მაღლა იყო და ყოველივე ეს შეიძლებოდა ცუდად დამთავრებულიყო.

შინაგანად საშინლად აფორიაქდა ბერი. ერთი მხრივ, უნდოდა სასწრაფოდ გაეღო კოშკის კარი, რომ მლოცველთა სიკვდილის მიზეზი არ გამხდარიყო, ხოლო, მეორე მხრივ კი, არ სურდა აღთქმის დარღვევა და თავს იმით იმართლებდა, რომ მას არავითარი ბრალი არ მიუძღოდა მლოცველების მიერ ამ არასწორი გადაწყვეტილების მიღებაში. რამდენიმე

წუთს საშინელმა ძრწოლვამ აიტაცა ბერის სული, არ იცოდა, რა მოემოქმედა. ბოლოს, მოყვასის სიყვარულით დამარცხებულმა, საჩქაროდ გააღო კარი, გამოვიდა კოშკიდან და მიიმალა.

ამ შემთხვევამ, რომელმაც მას მიცემული აღთქმა დაარღვევინა, გადააწყვეტინა ბერს, აღარ დაბრუნებულიყო კოშკში. თავისი ეჭვების გადასაწყვეტად, რჩევისათვის სავანის მოძღვარს, მამა ლეონტის მიმართა და ფიქრები გაანდო. მოძღვარმა დააშშვიდა და დაარწმუნა მამა ილარიონი, რომ მისი გამოსვლა კოშკიდან არც ისე მნიშვნელოვანი დარღვევა იყო აღთქმისა, თან ურჩია, უკან დაბრუნებულიყო. ბერმა შეასრულა მოძღვრის რჩევა და ცოტა ხნით კვლავ დაბრუნდა კოშკში.

დემონებმა, შემთხვევით ისარგებლეს და ისევ შეუტიეს მამა ილარიონს: ერთიმეორის მიყოლებით მლოცველების სახით იწყეს კოშკის ფანჯარაში შეძრომა, ბერს კი ეუბნებოდნენ – იძულებულნი ვართ ამ ზომას მივმართოთ, რადგან შიგნით არავის უშვებო. მათთვის კი მეტად სასურველი იყო მამა ილარიონის, როგორც თავიანთი თანამემამულის ნახვა. თითქოს, ისინი მისი გულისათვის შორეული ქვეყნიდან იყვნენ ჩამოსულები, რათა სხვადასხვა საქმის გამო რჩევა ეკითხათ. მამა ილარიონმა ისინი მართლაც მლოცველებად მიიღო და ლაპარაკი გაუბა, დემონებსაც ეს უნდოდათ. მათ დაწვრილებით დაუწყეს საუბარი იმის შესახებ, თუ როგორ გაჭირვებულ მდგომარეობაშია ჩავარდნილი მამა ილარიონის სამშობლო და ეკლესია, ბოლოს კი საშინლად შეურაცყყეს იგი და ისე სცემეს, რომ ბერი ორი თვე უგრძნობლად იწვა.

ამავე დროს ეშმაკები ცდილობდნენ მოეხიბლათ ბერი, – ოცნებაში წარმოუდგინეს, თითქოს ეზოში იმხელა თოვლი მოვიდა, რომ კოშკის ზემოთა ფანჯრამდე დადო და მნახველები თავისუფლად შედიოდნენ კოშკში. როდესაც მამა ილარიონმა ეს დაინახა, გონებამ უკარნახა: "სასწრაფოდ დატოვე აქაურობა!" მაგრამ ბერი ხმამაღლა პასუხობდა თავისსავე აბრებს: "მოკვდები და არ წავალ!" – და ამ სიტყვებზე ეშმაკები გაუჩინარდნენ.

მამა ილარიონის განდგომის მესამე წელიწადს, საიდანღაც ჩამოვიდა ეპისკოპოსი და სურდა სულიერი სარგებლობის მისაღებად ბერთან საუბარი. მაგრამ, ბევრი ხვეწნისდა მიუხედავად, მამა ილარიონმა მაინც არ გაუღო კოშკის კარი და არ მიიღო მღვდელმთავარი. შეურაცხყოფილმა ეპისკოპოსმა ხმამაღლა შესძახა: "გაფრთხილდი, მესვეტე, შენი ასეთი განდგომით ქედმაღლობაში არ ჩავარდე! შენ არად ჩააგდე შენთან არა ცნობისმოყვარეობით, არამედ სულიერი სარგებლობისათვის მოსული მღვდელმთავარი. ამისთვის ღმერთი დაგსჯის!" ეპისკოპოსის გამგზავრების შემდეგ მამა ილარიონი ის-ის იყო, თავისი ჩვეული წესის ასრულებას შეუდგა, რომ უკვე ზეციდან ცეცხლი გამოვარდა, შეტრუსა იგი და წყობიდან გამოიყვანა. მამა ილარიონი თავის თავს აღარ ეკუთვნოდა, ისეთი დიდი ძალა ჰქონდა ეპისკოპოსის სიტყვებს. მაგრამ ღმერთმა ცეცხლი, ისევე, როგორც ყველას, ვინც კი მის გამოცდილ სიტყვას ესწრაფოდა, მასაც სარგებლობისათვისაც გამოუგზავნა, რადგან ბერს, გადატანილი უამრავი ავადმყოფობის გამო, მაინც აღარ შეეძლო კოშკში დარჩენა.

კოშკში ყოფნის სულ ბოლო ხანებში მამა ილარიონმა დალანდა ეშმაკების მთელი რაზმი, რომელიც წმიდა პავლეს რიყიდან ნახევარი საათის სავალ გზაზე მდებარე მისი ადგილსამყოფელისაკენ მოემართებოდა. უფლის ნებით, მათ ისევე სცემეს მამა ილარიონი, როგორც დიდი ანტონი, აბრაამი და სხვა მრავალი. ისე მიასიკვდილეს, რომ ბერი ძლივს გადარჩა ცოცხალი. სამი დღის შემდეგ მამა გერასიმე, ჩვეულებისამებრ, მოვიდა მამა ილარიონთან, საკვები მოუტანა და როცა იგი ცოცხალ-მკვდარი იხილა, საშველად სხვებსაც მოუხმო და ბერი მახლობელ სენაკში გადაიყვანეს. შემდეგ ერთობლივი ძალისხმევით გრძნობაზე მოიყვანეს.

როდესაც მამა ილარიონი გონს მოეგო, მოუყვა ძმებს საშინელი ცდუნების შესახებ და სთხოვა, ისევ კოშკში გადამიყვანეთო. მაგრამ სავანის მამები არ დათანხმდნენ და მოიხმეს მამა ილარიონის მეგობარი – მამა ბენედიქტე და სთხოვეს, ბერის მდგომარეობას ჩასწვდომოდა. მამა ილარიონთან საუბრის შემდეგ მამა ბენედიქტემ განაცხადა, რომ მამა ილარიონისათვის აღარ შეიძლებოდა განდგომით ცხოვრება. ყველა ერთსულოვნად დაეთანხმა ბერს. ასე რომ, მამა ილარიონი დაემორჩილა ბერების საერთო გადაწყვეტილებას. იგი წმიდა ხარალამპის სენაკში მოათავსეს; მასზე მზრუნველობა მამა ბენედიქტემ იკისრა. მალე ბერმა ნელ-ნელა იწყო გამოჯანმრთელება. მამა ილარიონს მთელი ზურგი დაუშავეს დემონებმა ცემით. ამიტომ, ორი თვე საწოლში

გაატარა, მთელი სხეულით იტანჯებოდა, მაგრამ ბერის სულიერ მდგომარეობას საფრთხე უკვე აღარ ემუქრებოდა.

მამა ბენედიქტე გამოცდილი იყო სამოღვაწეო ცხოვრებაში. მან მთელი სიმკაცრით დაიწყო მამა ილარიონის ნების მოკვეთა ყველაფერში. გარდა იმისა, რომ ბერი სენაკში დაასახლეს, მამა ბენედიქტე მორჩილების მიზნით აიძულებდა მამა ილარიონს ეჭამა კარაქიანი საჭმელი, თევზი და ყველი. მამა ილარიონი იმდენად ბრძენი იყო და თან მორჩილი, რომ ყველაფერს უსიტყვოდ უჭერებდა თავის მეგობარს, რამეთუ მის კეთილ-გონიერებაში ეჭვი არ ეპარებოდა. ავადმყოფობისაგან გამოკეთებული მამა ილარიონი დიონისიტის მონასტერში მდებარე წმიდა მოციქულ იაკობის სენაკში გადაიყვანეს, სადაც მან ცოტა ხანი იცხოვრა. იქ ბერს თავი შეახსენა კოშკში მიღებულმა რევმატიზმებმა, რითაც მამა ილარიონი მეტად იტანჯებოდა. გარდა ამისა, ზნეობრივი სატანჯველიც გაუჩნდა ბერს, რისი მიზეზიც გახდა ძმათა შორის უთანხმოება ზიარების საიდუმლოების აღსრულების შესახებ. ნაწილი ძმებისა მოითხოვდა, რომ ისინი კვირაში ერთხელ ზიარებულიყვნენ, მეორენი – თვეში ერთხელ ამჯობინებდნენ, ხოლო სხვებს კიდევ სხვაგვარი სურვილები გააჩნდათ. ამის გამო, წარმოიშვა განხეთქილება და ყველა მხარე ცდილობდა მამა ილარიონის მიმხრობას. ყოველივე ამან მეტად დაადარდიანა მშვიდობისმოყვარე ბერი და უკვე ორი თვის შემდეგ იგი ივერიის მონასტერში გადავიდა.

(გაგრძელება იქნება)

თარგმნა თ. ჩიქოვანმა



ელენე ბარამიძე

სამკურნალო მცენარეები

შროშანა

Convallaria majalis L. შხამიანი მცენარე

შროშანა მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა მცოცავი ფესვურათი, რომლისგანაც იზრდება 20–30 სმ-ის სიმაღლის ზეაღმართული ყვავილიანი ღერო. ეს ღერო (ჩოყი) ფუძესთან იფარება ბუდის ფოთლებით, რომელთა ზემოთაც ვითარდება ორი დიდი ფოთოლი – ელიფსისებური ან ოვალური ფორმის და ეხვევა ღეროს.

შროშანა კარგად ცნობილი მცენარეა.

ყვავილობს მაის-ივნისში.

იზრდება ტყეებში, ჩრდილიან ადგილებში, ბარდებში, გავრცელებულია საყოველთაოდ, უპირატესად კი მდინარეთა ხეობებში.

აგროვებენ შროშანის ყვავილებს, რომლებსაც აშრობენ ჩრდილში ან ისეთ ადგილზე, კარგად რომ ნიავდებოდეს. მხოლოდ ასე შეიძლება ავიცილოთ ყვავილების გამუქება.

ხალხი შროშანის ყვავილებიდან ამზადებს სპირტიან ნაყენს, რომელიც გულის დაავადებების, განსაკუთრებით კი გულის მანკის დროს გამოიყენება.

შროშანის ნაყენს შემდეგნაირად ამზადებენ: ვიწროყელიან ქილაში ყრიან შროშანის ყვავილებს მთელი მოცულობის დაახლოებით 3/4 – მდე და თითქმის ბოლომდე ავსებენ 90 გრადუსიანი სპირტით. ახურავენ თავს და აჩერებენ ორი კვირის განმავლობაში. ნაყენი თანდათან იფილტრება და მიიღება მწარე გემოს მოყვითალო გამჭვირვალე სითხე, რომელსაც ოდნავ დაჰკრავს შროშანის სუნი. იღებენ დღეში 10–15 წვეთს 3 – ჯერ.

გულის დაავადებების დროს, რასაც თან ერთვის აშკარად გამოხატული ნერვული მოვლენები, დღეში 5 – ჯერ იღებენ შავბალახას ნაყენს, რომელშიც 30–35 წვეთი შროშანას სპირტიანი ნაყენი იენება ჩაწვეთებული. ამავე ნარევს ამავე დოზით სვამენ უძილობისა და მოწყენილობის დროსაც.

ვინაიდან ევროპის ბევრ ქვეყანაში შროშანის მოშენებას საუკუნოვანი ისტორია აქვს, ხშირად მას ბაღის მცენარედაც თვლიან. განსაკუთრებით სახელგანთქმულია ჩრდილოამერიკული შროშანა, რომელიც შუა ზამთარში ყვავილობს.

შროშანას ყვავილებს გახმობის შემდეგ ინახავენ მჭიდროდ თავდახურულ კოლოფებში.

JVARI VAZISA
(The Cross of Vine)

In the present issue under the heading " Theology " the journal publishes the georgian translation of one of the most important epistles, by St. Ignatios of Antioch.

The journal publishes the new series of the articles, giving us the history of different religions and distinctive features of apostolic studies. The comments on parable of weeds are printed here. (Matthew 13, 24-30).

The article by Ekutime Kochlamazashvili based on theological studies, literary sources of typikon and church traditions, explains the questions connected with mentioning of the deceased.

Under the heading " Bible and Georgian Culture " the reader is acquainted with the article by L Djaparidze narrating about the Canon - the main feature of the Christian culture. The author based on the St. Fathers' works writes, that the Canon originates in Holy Scripture and is closely connected with the principal object of the christian culture which stands for directing the man's way towards God.

Witness of sacred images - symbols of psalms and Gospel in the "Martyrdom Abo", by John Sabanisdze is represented in the article by N. Bokuchava.

The material presented by the Georgian Art Institute deals with the painting of Gelati Monastery, describing world church meetings.

The article by E. Kacharava acquaints the reader with the history of Alaverdi Episcopasy. The journal suggests to us to get acquainted with the lives of Father Benedict and Father Vesarion.

In this issue the printing of " Ilarion The Georgian's life ", by Anton Mtatsmindeli, is kept on.

E. Baramidze tells us about the healing qualities of the herb " Lily of the Valley".



ДЖВАРИ ВАЗИСА

Кресть из лозы виноградной

В настоящем номере под рубрикой "Богословие" публикуется одно из важнейших посланий святого Игната Антиохского, перевод которого на современный грузинский язык выполнен по последнему изданию оригинала.

Журнал открывает новый цикл статьей, в которой вкрадце будет изложено об истории происхождения разных вероисповеданий, об их различиях с апостольским учением. Предлагается комментарий Иоанна Златоуста притчи о плевеле / Матфей 13, 24-30 /.

Основываясь на богословские учения, литературные источники типика и церковные традиции статья Эквтиме Кочламазашвили разъясняет вопросы связанные с упоминанием усопших.

Раздел "Библия и грузинская культура" предлагает публикацию Лелы Джапаридзе. Повествуется о главной черте христианской культуры, о каноничности. Основываясь на творения святых отцов автор пишет, что свое начало каноничность берет в священном Писании и связывается с главной целью христианской культуры - с направлением человека к Богу. Статья Наны Бокучава посвящается вопросу употребления образов - символов псалмов и Евангелия в "Мученичестве Або" Иоанна Сабанисдзе. Представленный Институтом Исскуства им. Чубинашвили материал касается изображению всемирных церковных соборов в стенной росписи Гелатского храма.

Эка Качарава на основе грузинских историографических источников рассказывает об истории Алавердского Эпископства. Читатель с интересом познакомится с предлагаемым описанием жизней двух последних приемников атонских деятелей - отца Бенедикта и отца Бесариона. Продолжается публикация "Жития Илариона Грузинского" иеромонаха Антона (Святогордца).

О целебных свойствах ландыша рассказывает Эленэ Барамидзе.

სარჩევი

ღვთისმეტყველება

რედაქტორისაგან 3

იოანე ოქროპირი. იგავი ღვარძლის შესახებ. 4

წმიდა ეფანტი ანტიოქელი. ეპისტოლე რომაელის მიმართ. 10

იზარდებოდი სიტყვითა სარწმუნოებისათა

ექვთიმე კოპლამაზაშვილი. მიცვალებულთა მოხსენების დღეების შესახებ. 22

ბიბლია და ქართული კულტურა

ლელა ჯაფარიძე. ქრისტიანული ხელოვნების საფუძველი და მისი თვისებები. 29

ნანა ბოკუჩავა. ფსალმუნისა და სახარებისეული სახე-სიმბოლოების დამოწმება
იოანე საბანისძის "აბოს წამებაში" 35

მსოფლიო საეკლესიო კრებები გელათის ტაძრის კედლის მხატვრობაში 47

საეპისკოპოსოების ისტორიიდან

ეკა კაჭარავა. ალავერდის საეპისკოპოსო 50

ათონელი ქართველი ბერები

მამა ბენედიქტე 56

მამა ბესარიონი 57

ანტონ მთაწმიდელი. ილარიონ ქართველის ცხოვრება 59

სამკურნალო მცენარეები

ელენე ბარამიძე. შროშანა 76

რეზიუმე ინგლისურ ენაზე 77

რეზიუმე რუსულ ენაზე 77

გარეკანზე:
I გვ-ზე - წმიდა ნინო. შირ მღვიმე, მე-17ს. II ნახ.
IV გვ-ზე - ლაზარეს აღდგინება. მე-12 ს. მინანქარი.

საგამომცემლო განყოფილების თავმჯდომარე ეპისკოპოსი ზოსიმე (შიოშვილი)
რედაქტორი დეკანოზი **არჩილ მინდიაშვილი.**
პასუხისმგებელი მდივანი **ანდრო ბედუკაძე**

JVARI VAZISA (The Gross of Vine)
Georgian Patriarchate, Tbilisi 1, Erekle's square

ДЖВАРИ ВАЗИСА (Крест из лозы виноградной)
Грузинская патриархия Тбилиси, пл. Ираклия 1.

რედაქციის მისამართი
სრულიად საქართველოს საპატრიარქო. თბილისი, ერეკლეს მოედანი N1, ტელ. 98-26-34
ორიგინალ-მაკეტი და შრიფტები მომზადებულია კოოპერატივ "ინფოტექში". ტირ. 10000
შეკვ. 282 დაიბეჭდა გამომცემლობა "**ხამშობლოს**" სტამბაში, თბილისი, კოსტავას 14.